



3.19
221

მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი შეიქმნა

182

№ I

20

ი ა ნ ა რ ი, 1899

ტ ფ ი ლ ი ს ი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექცია

1899



ს. ბ. ნ. ც. მ. ბ.



Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Февраля 1899 г.

შ ი ნ ა რ ს ი

- I—**წარსულიდან.—სკოლაში წასვლამდის.—**მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა (გაგრძელება) 83-1
- II—**ძეგაბათა ძეგა.—**ლექსი ვაჟა-ფშაველასა 23
- III—**გამსუფთავებული.—**ოთხ-მოქმედებიანი დრამა დუტუ მუგრელისა 26
- IV—**ჩუმი დარაჯობა.—**სერბიული მოთხრობა, იაქშიჩისა, თარგმანი ი. გომართელისა 55
- V—*** * ჩუმიდან.—**ლექსი ს.-სა 85
- VI—**გლახი-კაციის ისტორია.—**ნაწილი მეოთხე.—**ერკმან-შატრანისა, თარგმანი ი. მაჭავაცხაძისა (გაგრძელება)** . . . 87
- VII—**სოლომონ II, მეფე იმერთა.—**(საისტორიო მასალა) თ. ჟორჯანიასა 1
- VIII—**„გლახის-ტყაოსნის“ ჟღერა აღვილები.—**LXI, LXII, LXIII, LXIV და LXV ზღ. ს.—**შვილისა** 11
- IX—**სამართველოს ისტორია და ბ-ნი უფოვი.—**ა—**ლისა** 35
- X—**ბიბლიოგრაფია.—**I, „საქართველომან მკელი დროის თგვანდასავალი, ლექსად დაწერილი“.—გამოცემა დეკ. დავ. ლამბაშიძისა. ფასი ორი აბაზი, მ. ჟანაშვილისა.—
II, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью. Георгія Церетели. Изъ VII выпуска Московскаго Археологическаго Общества. 1898 года. (стр. 34).—
III, გ. კვაჭავაძე. ბერანჟე ქართულად. თარგმანი. ტფილისი 1898 წ. ფასი ორი აბაზი. 61

ქ რ ო ნ ი კ ა :

- XI—ზინაური მიმოხილვა.**—ახალი ცვლილება ჩვენის საადგილ-
მამულო ბანკების წესწყობილობაში. — ჯერ ვიკითხოთ, როგორ
დაეუბრუნოთ საზოგადოებას ის ფული, რომელიც მას ხელი-
დან ეცლება, და მერე გარდავწყვიტოთ, რას მოვახმართ ის
ფული. — ერობის შემოდების საქმე ქუთაისისა და ტფილისის
თავად-აზნაურობის კრებებზე. — ქუთაისის თავად-აზნაურობამ
წინ გაუსწრო ტფილისისას ნაფიც-მსაჯულთა შესახებ შუამდ-
გომლობის საქმეშიც. — მოხსენება ქუთაისის თავად-აზნაურობისა
ამ საქმის შესახებ. — ქართული ეკკლესია კავკავში. — ტფილი-
სის სათავად-აზნაურო სკოლისათვის საკუთარი შენობის საქმე
ბ-ნი ნ. ცხვედაძის ხელში. 75
- XII—უცხოეთის მიმოხილვა.** — ჩინეთის აღორძინება. —
მაკედონელთა მზადება აჯანყებისათვის. — მშვიდობიანობის
კონფერენცია. — საფრანგეთის რეაქციონერთა ახალი ოინები.
ლაღისა 87
- XIII—განცხადებანი.**

წარსულიდან

სკოლათაში წასვლამდის

III *)

ცხრამეტს მკათათვეს 185* წ. გასაოცარი სიცხე დადგა. თითქმის ერთი თვე გადიოდა, რომ ცის ნამი არ გადმოვარდნილიყო მთელს სერის ხეობაში; შეწუხდა პირუტყვი, ხალხი, სიმინდების და ვენახების მოსარწყავად მდინარე ფრონის წყალი აღარ ჰყოფნიდა. შუა ღლის ქამს ედიშერმა შეამჩნია საციციანოს მთაზე, სადაც იგი ბორჯომის მთებს უერთდება, რომ აქა-იქ მთის წვერებზე ნისლები გაჩნდა.

— ამაღამ ვარაუდით წვიმა უნდა გვეღირსოს... აბა, შვილო ისიდორე, გახედე იმ ჩვენ საავდროსა, როგორ ნისლებს იხევეს.

მზე დაიწვერა. უცბად დასავლეთის ქარმა, რომელსაც ქართლში ზენა ქარს ეძახიან, წამოუბერა ძალიან მძლავრად; აიტანა ჰაერში ჩალა-ბუღა, ბუმბული, ბზე; მოჰბერა ჯერ ცხელი ჰაერი, შემდეგ ნელ-ნელა შეიცვალა და მზის ჩასვლისას შესამჩნევად აგრილდა. მთლად დასავლეთის მხარეზე წამოიყუდნენ უზარმაზარი ღრუბლები, რომლებიც ნელნელა დაიტენნენ ცვარებით და მიიღეს ტყვიის ფერი. საციციანოს მთაზე ჩამოზნულდა, ჩამოწვა შავ-ბნელი ღრუბლები; შიგ გველივით დასლიკინებდა ელვა, რომელიც გულს უპობდა ღრუბლებს და ანათებდა საშინელს წყვილიანსა. საციციანოს მთიდან ნელნელა გაიკრიბა ნის-

*) იხ. „მოამბე“ № XII. 1898 წ.

ლები სხვა-და-სხვა ადგილას, უცბად მოედო მთელს ცისკრულს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთამდე და სულ ერთიანად დაბნელდა დასავლეთის მხარე; თანდათან აცივდა; ქარმა მძლავრად დაიწყო ბერვა და მინდორ-ველიდან წამოიღო სოფლად ქინძისაღ სხვა-და-სხვა სუნელოვანი ბალახეულობის საამოდ საყნოსი სუნი. ელვა-ქექამ მოუხშირა და აგერ მოადგა ღრუბელი სოფელ სერის ხეობასაც, სადაც ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმოდიოდა მსხვილი ნამები წვიმისა, და ქარმა ააყენა აქაც გოლგის მყრალი სუნი. ბუნებამ თანდათან უმატა მრისხანებას; ღრუბელი ისე ჩამოაწვა ქვეყანას, თითქო მისი გადასანსვლა მოსურვებიაო; მძლავრმა ქარიშხალმა აახმიანა ხეები, რომლებზედაც შემსხდარს და შებუდებულს ფრინველებს არ ასვენებდა; ფართხალებდნენ საწყლები, ერთი ხიდან მეორესკენ მიეშურებოდნენ; მძლავრი ქარი ხან აღმა აატანდა მთელს გუნდს ფრინველებისას, ხან დაღმა; ხლეჩდა ხის ტოტებსა და ისე გადაჰქონდგადმოჰქონდა ისინი, თითქო ეს-ეს არის უნდა შუაზე გადახლიჩოს ეს უზარმაზარი კაკლის ხეებიო. ედიშერმა იკადრა ოთახში ასვლა და მიანება თვისს ცაცხვს თავი; მას სწამდა, რომ ელვა-ქექის დროს ხის ქვეშ ყოფნა საშიშია: ადამიანს ეშმაკი ამოეფარება და როდესაც ელია წინასწარმეტყველი მეხს ისვრის ციდან, ეშმაკი, რომელიც კაცს ამოეფარება ხოლმე, ძვრება მიწაში და ადამიანი ხდება მეხის მსხვერპლიო, ამიტომ ედიშერი არასოდეს არა რჩებოდა წვიმის დროს ხის ქვეშ და სხვასაც უშლიდა ამას.

აგერ რუხრუხით ჩამოჰყვა წვიმა სერის ხეობას; ჰქუხს და ელავს ნელ-ნელა, ხანდაზმით; ელვა-ქექა გაება ჯაქვივით, უმატა და უმატა ხმას, უცბად ისე დაიქექა, რომ დედამიწამ სულ ზრიალი გაიღო და ისეთი ცეცხლი დააკვესა სერის ციხეზედ, თითქო ციდან ნათელი რამე ჩამოვიდაო; ციხიდან შემოისმა ყრუ ხრიალი და აფორიაქებულის ყვავების ჩხავილი და არევიდარევა.

— წმიდა არს, წმიდა არს!—წამოიძახა პირჯვრის წერით ედიშერმა და მასთან თითქმის ერთხმად გაიმეორეს მთელს მის



ოჯახში.—საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!—წამო-
იწყო კვალად ედიშერმა:—არ შეიძლება, რომ ცხრამეტში, ან
ოცში, წვიმა არ მოვიდეს. ვენაცვალე ელია წინასწარმეტყვე-
ლის მადლსა და ძალსა! ყოველთვის თავს იჩენს და ისახელებს
ხალმე; ხვალ მისი დღეობაა და ხალხს წვიმა მოუვლინა... მაგ-
რამ ამალამ, შეილო ისილორე, ეს წვიმა ღამის თევას დაუშ-
ლის, აი კარგა ხშირ-ბინდია და ჯერ აღამიანი არა სჩან... არც
ჩემი დაბარებული მგელ-ზაბია სჩანს...

— ამისთანა თქეშში აბა ჯერ ვინ მოვა; ზაფხულის წვი-
მაა, ერთს წამს გადივლის და მერე შეიყრება ხალხი,—უბასუ-
ხა შეიღმა.

ედიშერი მოუთმენელად დაიარებოდა სახლის აივანზე და
ელოდა დაბარებულს კაცებს; ამასობაში წვიმამ იკლო, ღრუბ-
ლები დაიფანტა აქეთ-იქით, საავდრო აღგილებმა სრულიად გა-
დიყარა ნისლები; გაჩუმდა ბუნება; დამშვიდდა ყოველივე; ბუ-
ნება განახლდა მშვენიერის ჰაერით; მოაბრუნა წვიმამ ქვეყანა,
მოსწმინდა მას ქუჩყი, გაალამაზა იგი, გააფორუზა მინდორ-ვე-
ლი. გაცოცხლდა ყოველივე, ყველამ სიამოვნებით ამოიხვნეშა
და გულიდან კეშანი მოეშვა. მხოლოდ ედიშერი, თუმცა ნა-
სიამოვნები ამ ბუნების სიმშვენიერით და მოლამაზებით, რა-
ღაცას სწუხდა, მის სიარულს აივანზედ ემჩნეოდა ეს წუხილი:
ხან შესდგებოდა და ერთს ალაგას მიაპყრობდა თვალებსა, ხან
თავს გადმოაჰყოფდა აივნიდან და აქეთ-იქით მიავლ-მოავლებ-
და თვალსა. აგერ შემოესმა ყრუ ხმაურობა, ტალახში მომავა-
ლის ფეხის ჰყაპუნნი. პატარა ხანს უკან ედიშერის ცაცხვთან
ორი ჩრდილი გამოჩნდა, რომლებიც აქეთ-იქით ირყეოდნენ,
იხედებოდნენ, თითქო ვილაცას ათვალეირებენო. ედიშერმა იგ-
რძნო, რომ ეს უთუოდ მისგან დაბარებულნი იყვნენ.

— რომელი ხარ მანდა?—მიაძახა ედიშერმა.

— თქვენა ბრქანდებით, ბატონო?... კინალამ აღარ წამო-
ვედით, წვიმამ შეგვაყენა;—უთხრა ზაბიამ, რომელიც აივანს
მოადგა.—მე და ნინიკა გიახელით, ბალოც აი ფეხ-და ფეხ მო-
გვდევდა და კალოზე მიბრუნდა, მგონი, ორმოში წყალი ჩასვ-

ლია. მხოლოდ გიგოლას ველარ შეეცხმიანეთ... ცოტა რაღაც ვერ არის სანდო კაცი, ვაი თუ კარგად ვერ გამოვიდგეს მისი საქმეში ჩარევა...

— როგორ, ვეფო! იმის ყოფნა იმიტომ იყო საჭირო, რომ ჯვარის მამასთან მოურავობს, მისი ავან-ჩავანი იცის, იცის, თუ როგორ მიეუდგეთ ამ კაცს, იქნება მშვიდობიანადაც გაგვეთავებინა საქმე გიგოლას წყალობითა. აი ამიტომ იყო საჭირო, თორემ სხვაფრივ კი არ მჭირია მე ისა.

— მოგახსენებ, შენი ქირიმე, რომა... მთელი სოფელი აღელვებულია იმაზე, თუ ხელში ჩაუვარდება სოფელსა, შუაზე გაგლეჯენ, თქვენ ნუ მომიკვდებით და მამის თქვენის პლატონის სულსა ფეცავ, — სთქვა ბაბიამ.

— დიად, დიდი ცოდო ტრიალებს, ბატონო, ჩვენს სოფელში მისგან, დიდი; აი საცაა ზღვად გადაიქცევა, ტალღები მოგვეკრენ და თვის ზვირთებში ჩაიხვევენ მთელს სოფელსა. მე დღეს შევიტყე ეს ამბავი და თუ მართალია, ის, ის გიგოლა გულთაშვილი, უნდა შევაჩვენო ეკკლესიაში და განვაძევო ჩემს მოწაფეობიდან, — წამოიწყა გულმხურვალედ მამა ისიდორმა.

— მართალი ბრძანებაა, მართალი! — დაუმატა ნინიკამ; ერთი ზღვა ცოდო დაატრიალა ჩვენ სოფელში მაგ წყეულმა, მაგანა.

ელიშერი სმენად გადაიქცა, არ იცოდა სად იყო, რაში მდგომარეობდა საქმე, რა ბრალდებოდა გიგოლას. მას სულ შეეცვალა აზრი და გეგმა თვისის მოქმედებისა ჯვარის მამის წინააღმდეგ ლალა-კულუხის გამო.

— მე არ მესმის, რას აბრალებთ იმ კაცსა; რა ცოდვა ჩაიდინა, რა უბედურება დაატრიალა სოფელში იმ წყეულმა — სიტყვაც იმისაკენა და პირიცა — ერთი გამაგებინეთ და!

— აი მამა ისიდორეს უფრო უკეთ ეცოდინება, როგორც მოძღვარსა, უთხრა ბაბიამ.

— შვილო, იცი მაგისთანა უბედური ამბავი სოფლისა და შენს მამას არ მეუბნევი?

— მეც დღეს შევატყე, არ მინდოდა შემერყია თქვენის სულის მშვიდობა, არ მინდოდა იმიტომ, მამაჩემო, რომ თქვენი გული, როგორც მე ვიცი, ვერ მოითმენდა ამ უცნაურს ამბავსა და ვაი თუ უცბად, მოუმზადებლად რომ მეთქვა, ძიელ შეწუხებულიყავით: თქვენი გული იმდენს ვერ აიტანს და მოითმენს, რავდენსაც ჭაბუკისა: ჭაბუკის გულს მალეც დააჩნდება ყოველისფერი და მალეც მოინელებს; თქვენს ხანში კი სულ სხვაა, სხვაა იმიტომ, რომ მაგისტანა ამბების ვაგონებს, მაგისტანა საქმის ნახვას, მაგისტანა მოვლენას სოფელში ჩვეული არა ხართ.

— სთქვით, რაშია საქმე, სული ნუ ამომახდინეთ, — სთქვა მოუთმენელად და ხელების შლით ედიშერმა.

— დილას გემიაშვილის ქვრივმა გამიხმო ელიის ეკლესიის ეზოში, ჩამივარდა ფეხებ ქვეშ, — დაიწყო ისიდორემ ხმის კანკალით და ღელვითა, ეტყობოდა სული ყელში ებჯინებოდა და სიტყვის თქმა ეძნელებოდა. — ბედკრული ელენე სულ ცრემლად დაიღვარა და მთლად დამილტო ქოშები ცრემლითა. შემომჩვილა და შემომემუდარა: „ჩემი გოგო, ჩემი გასათხოვარი ქალი, რომელიც ჩემის ლეჩაქის ყურით გამომიზნია, რომლისათვისად რავდენი შავ-ბნელი დღე დამიღამ-გამითენებია, იმ წყეულს გიგოლას გულიაშვილს დღეს-ხვალ მოტყუებით გაუცნობებია სასახლის*) ბერძენისათვის. მე, მოგესხენებათ, დღისით ხან მინდორში დავეხეტები ქერის საგლეჯად, ხან ვენახში და ხან ბოსტანში ვშველი მეზობლებს მარგვლაში; ჩემი კეკე მარტოდ-მარტო იყო სახლში მეზობლების ანაბარადაო; დიად, შეუჩვევია გიგოლის ეს ბერძენი ჩემი ქალისათვისაო... აგერ თვით ელენეც მოვიდა, — შესცვალა მამა ისიდორემ კილო ლაპარაკისა და მიუბრუნდა გემიაშვილის ქვრივს ელენესა. — ნათლიდედ, აბა შენ თვითონ გვიამბე დედაშვილობასა შენი ამბავი, ნუ გეშინიან; არც კაცი და არც ღმერთი არ შეარჩენს უკეთურებს შენს შეურაცხყოფას.

*) ახე ეძახიან სერელები ჯვარის მამის სახლსა.



ელენემ, რომელსაც პირის-სახე შავის რიდეთი ჰქონდა გაკრული, მდაბლად თავი დაუკრა ყველას და მოიკითხა. მან გულხელი დაიკრიბა და გაჩერდა, როგორც მსაჯულის წინაშე ბრალდებული.

— აბა, დედაშვილობას, გვიამბე, რა მოგივიდა, შე საბრალო! — ერთ ხმად უთხრეს ყველამ.

ელენეს გული აუღუღდა, დარდმა და ვარამმა სული შეუხუთეს; რავდენჯერმე მძიმედ ამოიხვნეშა, რომ გზა მიეცა ამ დარდ-ვარამს სიტყვისათვის, მაგრამ ვერ დასძლია იგი; მალე ცრემლიად გასკდა მთელი ეს ვარამი: ელენე დაეცა მუხლებზედ და ღრმა ქვითინი მორთო; ცოტა მოეშვა გულზედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიწყო:

— ენა აღარა მაქვს, ბატონო ედიშერ, ენა სასახე მიმეკრო, წელეები მეწვის... მუცელში ცეცხლის ალი მიტრიალებს... რატომ, შე დალოცვილო ღმერთო, ჩვენო სასოებაო ელია წინასწარმეტყველო, რატომ შენი მეხი არ დამეც თავზედ და მიწაში არ ჩამიტანე, ვიდრე ამ ამბავს მოვესწრობოდი... აი ბატონო!... ვაი, მე ჩაქოლვილსა, როგორ უნდა ვათქმევინო ამ სამიწე ენასა!... ჩემი გოგო კეკე შეუგულნიათ მარტოკა სახლში... მე, უბედურის შვილი, ამ ქალაქია-დღე დღიურად ვმუშაობ აქა-იქა. რა ვქნა, სხვა ღონე არა მაქვს-რა... შესჩენია წყეული მოურავი ჯვარი-მამისა გიგოლა გულიაშვილი: მე მინდა შენ კარგს ბედს გწიოო; ჯვარის-მამის ბერძენს მიგაოხოვებო... სოფელი, თქვენი კენესამე, ზაფხულში ყრუ გახლავთ, ყველა მინდორ-ველშია გაფანტული... ამან დამიყენა თვალები, რომ პატრონი თავს არავინ აღვა ჩემს უბედურს გოგოსა... ჩაუგდიათ დედა-მკვდარი ხელში და...

— და ნამუსი აუხდიათ?!... — ჩაეკითხა ედიშერი და ხელები დაკუმშა, თითქო კეკეს ნამუსის ამხდლეები უნდა დაფშენას და გაანადგუროსო.

— ეაი ამ დღის მომსწრესა!... უძალავნით, ბატონო, ი დედა-მკვდარი... ოჰი! ამოდი, ჩემო ტანჯულო სულო, ნუღარ-ვე!... ი დედა-მკვდარი სულ დაღურჯებულია, სულ დაგაზუ-

ლი აქვს მთელი სახე... შემიბრალებთ, გენაცვალეთ... ჩემი კე-
კე, ბატონო ედიშერ, შენი რძლის ეფროსინეს გაზრდილია...
ერთი პირი იმანაც იტირა, რომ მოვახსენე... თქვენი ოჯახის
შვილია, წიგნი აქ ისწავლა და სახეების კერვა... მიშველეთ
რამე...

— ნუ გეშინიან, ნათლიდედა! შენი ქალი ისევ ნამუსია-
ნად დარჩება... იმისი გათხოვება და დაბინავება ამ ჩემს კისერ-
ზე იყოს; შენ შედი ჩვენსა დარბაზში ჩემ რძალთან, შენი ქა-
ლიც ჩვენთან ამოიყვანე... შვილო ისილორე, ჰქმენ განკარგუ-
ლება ამათის დამშვიდებისა და დაბინავებისა.

— ღმერთმა აკურთხოს შენი გაჩენის დღე, — სთქვეს გლე-
ხებმა.

— ღმერთო პატრონო! ეს რა ცეცხლი ჩამოუგდია სო-
ფელში მაგ წყეულსა, მაგასა! — სთქვა გულისწყრომით ედი-
შერმა.

— ბევრს რამეს სხვასაც მოგახსენებდით, უფრო უარესებ-
სა, მაგრამ არ ითქმის, ადამიანის ენა ვერ იტყვის იმას, რაც
მაგას სასახლეში ჩაუდენია, — სთქვა მგელ-ბაბიამ.

— თათრის დრო დაუბრუნებია რალა!... თათარი ძალათი
ერეკებოდა ჩვენს ქალ-ყრმათა სათათრეთში; შინ კი, ჩვენს ქვე-
ყანაში, ჩვენს სახლში, ჩვენს კერიას პირს, მუდამ ნამუსი იყო
დაცული; მისი გატეხა არ იქნებოდა... განსვენებული მამა-ჩე-
მი პლატონ იტყოდა ძველ ზნეობაზედ: ქართველის ზნეობა მუ-
დამ შეუმწიკვლეელი იყოვო; შინ მისი დარღვევა არ მოხდებო-
და, მტკიცე იყო, როგორც სალი და სუფთა კლდე, მაგარი,
როგორც რვალიო. თუ მოხდებოდა შერყევა ზნეობისა რომელ-
სამე ოჯახში, მის შემრყეველს, მის შემწიკვლელს, საქვეყ-
ნოდ თავზედ ლაფს დაასხამდნენ და გასდევნიდნენ სოფლი-
დან, ან თუ მეფემდე მიაღწევდა, სასტიკად დასჯიდნენ ხოლ-
მეო... ჩვენ დღესაც გვაქვს ერთი გუჯარი, რომელიც გან-
სვენებულს მამა-ჩემს ჩაეგდო ხელში საიდლანაც. ის გუჯა-
რი ამბობს: ერთს გლეხთან ყანაში მკის დროს გადასულა მე-
ზობლის დედაკაცი, რომელიც მეზობლად თურმე უგრეხელს



გლეჯდა, და წყალი ეთხოვნა დასაღვეად. ზოგიერთს მეზობელს შეემჩნია ეს და ცილი დაეწამნათ იმ კაცისათვის, ის ცოლშვილიანი კაცი ყოფილა, სირცხვილით თურმე მეზობლებში თავს ველარ ჰყოფდა; შეწუხდა, ველარ მოიპოვნა სინიდისის ქენჯენა, თუ რად მომივიდა ასეთი საქმე, რატომ არ ჩამოვიტხოვე ის დიაცი და რად გავიუბედურე თავიო, ადგა და მეფეს ქაღალდი მიართვა... ეს ნეტარ-ხსენებულს ერეკლე მეფის დროს ყოფილა... მეზობლის ცოლზე ცილი დამწამეს; ბრალი არა მაქვს-რა იმის მეტი, რომ სიცხეში, გაჭირვების დროს, მკაში რომ ვიყავ, წყალი მთხოვა და ვასვი, სირცხვილით თავი ველარ გამომიყვია, ამხადეთ ეს ცილის-წამება და შემიწყნარეთო. სულ-მნათს მეფეს არძაზე ქათალიკაზთან წაეწერა: ამ საწყალ გლეხს ნუ სტანჯავენ, ცოდო არა მიუძღვის-რა, ცილი ახადეთო... აი რამტკიცე იყო უწინ ზნეობა... ახლა სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი გვითესლდება და თავიანთი ზნეობა შემოაქვთ... უარ და უარ სოფელი!

— ხალხიც უწინ იყო, უღვაშიც მათ ესნათ და ნამუსის ქუდიც იმათ ეხურათ,—სთქვენს ნადვლიანად და თავ-ჩაკიდებით გლეხებმა.

— როგორც ვხედავ, ჩაიშალა ჩვენი თათბირი ჯვარის მამასთან ლალა-კულუხის გადახდის შემცირების შესახებ. ჩვენ ეხლა უნდა გადავუხადოთ გიგოლას ქვრივი ელენეს გოგოს გაუპატიურება... მაგრამ მაინც უნდა მოვიყვანოთ გიგოლა და მთლად დავრწმუნდეთ მის სიყვარავსა და მუხთლობაში.

— მოსვლით კი მოვა, — სთქვა ბადომ, — მე ის შემხვდა კალოზე, ორმოს რომ ვისინჯავდი, ზემო უბანში გარბოდა, ბატონი სასახლეში იბარებს კახნიაშვილებსაო, ლალა სრულად არ ჩაუტანიათო...

— თუ ყველაფერი, რაც ითქვა, მართალი გამოდგა, ჩასაქოლია, თავზე ლაფის დასხმის ღირსია... ის ამ საქმეშიაც გვიღალატებს...

— მგელ-ბაბია, გვიღალატებს და ჩვენც მოვიშორეთ თავიდან, როგორც ხორც-მეტი, გავაძევოთ სოფლიდან, სახლი შეუკრათ, თავზე სასოფლოდ ლაფი დავასხათ.

— მამა-შვილობამ, შვილო ისიდორე, მართალს ამბობს ლათის ღირსია.

— ღირსია, ღირსია! თავზე ლაფი დავასხათ სასოფლოდ, გაიმეორეს მეზობლებმა.

— სადამო კარგად ყოფნისა!—უთხრა ედიშერს და გლეხებს გიგოლა გულიაშვილმა, რომელიც შეუმჩნევლად მოადგა ედიშერის აივანს და ამოვიდა მალა.

— გაგიმარჯოს, ჩემო გიგოლი, სად იყავ, კაცო, რომ ამდენი გვაცდევინე, მაგრამ არა უშავს-რა, ამაღამ მაინც უნდა ღამე ვათიოთ ელიის ეზოში, ვენაცვალე მაგის მადლსა,—უთხრა ედიშერმა.

— დაილოცოს მაგის სამართალი, სწორედ დროზედ მოგვცა წვიმა; პირუტყვი თურქულით სულ დავარდა; მინდორში უწყლობით პირები სულ შაშვივით ჰქონდათ დაღებული; ახლა ამ წვიმამ კველა გაახარა,—დაიწყო გიგოლამ,—ნურას უკაცრავად, რომ გალოდინეთ, ბატონი აქეთ-იქით დამარბევინებს ამ დაღების გამო; ფერდები აღარა მაქვს სიარულითა, მუხლი აღარ მერჩის...

— რა ვიცი, ე ღაბაბი ძან გაიკეთე ამ მოურავობაში და!... მგელ-ბაბიას წელიწადში, შვილოსა, ორ ტყავს აკერვინებ საზამთროდა, კაის სქამ და კაის სვამ,—უთხრა ერთმა მეზობელმა.

— საცა ერდო მალალია, შვილოსა, შენ იმისი მაყარი ხარ,—დასძინა მეორემ.

— თურმე ქვრივებსაც თვალს ავლებს,—გაეხუმრნენ სხვები.

— რა დროს ეგ არის... მე დღეს ჩემი კბილის კაცები შეგყარეთ ერთი საქმისათვის, მგელ-ბაბია გეტყოდათ. სოფელს უჯიათს აყენებს ბატონი ჯვარის-მამა; რაც მამა-პაპას ღალა არ გაუღია მინდვრის მოსავლიდან, კულუხი არ გადუხდია ვენახიდან, დღეს ეგ იმასა სთხოვს; რაც ადაფით ყოფილა, ის მიირთვას. მეორეც ესა: თურმე ჩემს გვარეულობასაც უპირებს ღალა-კულუხის შეწერას; ამას ვერ მოესწრობა და იმას კი მოესწრობა თვით ისა, რომა, რაც წინამოადგილეებს უღიათ, იმა-

ზე მეტს ვერც ეგ აიღებს. ხალხი შეწუხებულია, ხალხი ღაღადებს უსამართლობაზე; მერე წელს დიდის გვალვის გამო ქერმა და სიმინდმა მოსავალი არ მისცა ხალხსა: ქერს ხელით გლეჯენ, ისე დაიგვალა, და სიმინდი სულ გახმა; ეს წვიმა თუ მოაბრუნებს ცოტას, თორემ სულ ხელი უნდა აიღონ... ჩვენ უნდა ამალამ წმიდა ელიის ხატთან გავიფიქვნეთ, რომ მაგ ბერძენს საწყალს ხალხს ნუ დავაჩაგვრინებთ; გამოეუცხადოთ, რომ თავი დაანებოს ამ თავის გულის წადილსა.

— არ იქნება აგრე, ბატონო, — წამოიწყო გიგოლამ, — დიდკაცია, ისევ სიამ-ტკბილობით მოვექცეთ, ნუ გავანაწყენებთ, თორემ დიამბეგს მოიყვანს და ხალხს დაარბევნ.

— ჰო-და, ჩვენც იმას ვამბობთ: ჯერ ვთხოვოთ, შენ იმისი მოურავი ხარ, შენ იცი მისი ხასიათი, უთხარი ყველაფერი, ნურას დაუმალავ; თუ არა და, ხალხს ვუწინამძღვროთ და ძეგლს ადათზე გავატაროთ ეგ ბერძენი.

— ნუ, ნუ, შენი კენესამე, ნუ ინებებთ ამასა, — უთხრა გიგოლამ, — შენ ვერას გიზმენ და ჩვენ როზგს დაგვკვრენ და ციმბირში ამოგვაცოფინებენ თავსა.

— სიმართლისათვის მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო, ნათქვამია; დაე ჩვენ დაგვროზგონ, დაგვარჩონ, ციმბირში გავგზავნონ; ჩვენ ამას არ უნდა შევეუშინდეთ; მთელი ლეკების გუნდისა არ შემშინებია ხოლმე, და მაგისი როგორ შემეშინდება; ლაჩარსა და თინოს კაცს თუ შეეშინდება. მაშ მე მგელ-ბაბია არა ვყოფილვარ, თუ ეგ თავისას აასრულებს... შენ ცოტა კუდი გეწვის გიგოლა და იმიტომ აქეთ-იქით ირყევი ვერხვივითა.

— შენ, შვილოსა, ყველა გულის წადილს უსრულებ ბატონიანთა... ხალხს ნამუსი აღარ შეარჩინეთ, რაც არ მომხდარა ქვეყანაზე, სულ ამ ოხერ სოფელში დატრიალდა ახლა შენითანა კაცების წყალობითა, — უთხრეს მეზობლებმა გიგოლას, რომელმაც სული გატვრინა და არ იცოდა, როგორ დაეხწია აქედან თავი. მაგრამ მეტი ღონე არ იყო, დაჰყვა ნებასა, მაგრამ „იულა“ ეამს ეძიებდა.

წმიდა წინასწარმეტყველის ელიის ეკკლესიის ეზო წვიმამ გარეცხა, დააკრიალა; ნელ-ნელა შეიკრიბენ მლოცავები და დაიჭირეს ადგილები; ედიშერის ცაცხვის ქვეშაც დაბინავდნ რამდენიმე ოჯახი, დაანთეს ცეცხლები და შეუდგნენ მწვადების წვასა. ედიშერმაც ვახშამი გაამართვინა ჭდეულის ოთახების აივანზედ. ხალხი ვახშამად დასხდა, ნელნელა იწყეს საუზმობა, შეჰყვნენ სმას, თანდათან გაუხურა შუბლი ყველას ღვინომ და მთელი ღამის მთველები ჯერ შეაღიღინა, მერე აამღერა და ბოლოს გაუგებარს ყაყანს მოაყოლა. ამ დროს წმიდა ელიის ბზებთან ხუთი კაცი შემოვიდა ფეხაკრეფით, წყნარად; მივიდნენ თუ არა ბზებთან, ერთმა მათგანმა დაიჩოქა და ქუდი მოიხადა, სხვებმაც მიჰბადეს მას; მუხლ-მოყრით თაყვანისცა ყველამ წმიდა ელია წინასწარმეტყველს; ადგა ის, ვინც უწინ მოიყარა მუხლი, მივიდა და სასოებით ემთხვია ეკკლესიის კედელს; ყველამ მიჰბაძა მას, ყველა სასოებით ემთხვია. როგორც გადმოდგა უკან ნაბიჯი და ბზასთან უნდა გაჩერებულიყო ამ მლოცავთა წინამძღვარი, უცებ ციხიდან საზარელი ხმა შემოისმა: „ქოტ-ქოტ!“ შემოსძახა ციხის ქოტმა. წინამძღვარი შესდგა, თავი გაღიზარა ციხისაკენ და გასაოცარის ნაღვლიანის და შეწუხებულის ხმით მიაძახა:

— შენი თავიც ამოვიქამია, შენი! ჩვენ ჯვარი გვწერია... მაგრამ, მგელ-ბაბია, — წასჩურჩულა ყურში შეწუხებულმა, — ცუდად მაქვს დაცდილი ქოტის ხმა, ვილაც გაგვეცემს, გული ამიკვნესდა, რაღაც ცხლად შემომაწვა გულზედ, გაგბრუნდეთ.

— არა, ედიშერ, ეკკლესიიდან გაბრუნება აღარ შეიძლება; მოვსულვართ ამის კარსა, ვენაცვალე ამის მადლსა და ძალსა, და დაბრუნება აღარ შეიძლება, რაც ენებოს უფალსა, ის მოხდეს, ჩვენც დავმორჩილდეთ, — წასჩურჩულა ედიშერს მგელ-ბაბიამა.

— ხმ, ხმ! — ჩაახველა ედიშერმა და დაიწყა აკანკალებულის ხმით. — წელანაც გითხარით და ეხლაც გიმეორებთ: მგელ-ბაბია

გეტყობდათ, რისთვისაც ვართ დღეს ამ წმინდა ტაძართან შეყრილნი; სოფელი შეწუხებულთა, გაიბეგრა; ზოგს ერთი დღის ნახნაფი აქვს, გამოუვა ხანდისხან ოთხი-ხუთი კოდი და ნახევარი ჯვარის-მამას მიაქვს; ერთი ჩარეკი ვენახი აბადია, შევა მისი მოურავი, გაივლ-გამოივლის და დააწერს; ამ ვენახმა სამი კოკა კულუხი გადაიხადოსო; ვინ იცის, სულ სამიც არ გამოვიდეს; უწინ გადაწყვეტილი სხვაფრივ იყო, გლეხი არ წუხდებოდა, ეხლა ეს რომ შემოიღოს... რაღა შემოიღოს, კიდევ დაუწყვიათ წელს ამნაირათ გაწევა ღალა-კულუხისა; არა, გიგოლა?

— დიად, შენი კენესამე, აგრე ვახლავს.

— ჰო და, აი გიგოლა, შენ ჯვარის-მამასთან შესული კაცი ხარ, მოურავისავითა ხარ მასთან; შენ ჩვენი სისხლი და ხორცი ხარ, უნდა მიგვეგზავნო ხვალვე და თუ დაგყაბულდა იმას, რასაც ჩვენ შევეუფლეთ, ხომ კარკი, თუ არა და არას მისცემს ხალხი იმაზე მეტს, რაც უძღვევია ძველად. ამას არ აჯერებს, ჩემს გვარსაც უპირებს ღალა-კულუხის გადახდევინებას. ჩემი ოჯახი გაფიცულია, ერთს თავთავსაც არ დაანებებს არავის; მე იგი ვერას დამაკლებს; მე ხალხის საცოდაობა მარჩობს, ხალხისა.

ედიშერმა მოიხალა ქუდი, გლეხებმაც მიჰბადეს მას და ბზის ხეებთან ბნელაში ხუთი კაცი თეთრად გადაპნტილი თმით, ერთს წამს გაჩერდნენ, ედიშერს არ ასვენებდა ჭოტის ხმა, რომელიც უდროვო დროს შემოესმა, სწორედ საქმას დაწყობის დროს, მაგრამ მაინც დასძალა გულს და დაიჩქა, მასთან ყველამ მუხლი მოიდრიკა.

— ღმერთო და ელია ღრუბელთა-წინამძღვარო, დიდო წინასწარმეტყველო, ქვეყნის გამანდლებელო, ავის სულის მცხის დამცემო, შენ მოგვიმართე ხელი, შეგვეწიე და ჩვენი განზრახვა შეგვასრულებინე; ჩვენ უნდა ეუწინამძღვროთ ხალხსა, ყველასთან წინ წავდგეთ: დიამბეგთან, მთავარმართებელთან, მეფესთან და ღმერთსაც ჩვენ გავცემთ პასუხსა, თუ რაიმე ცუდს საქმეს ეპირებოდეთ. ჯერ ნება-ყოფლობით ვთხოვოთ,

ნუ იზამს ღვთის საწყენს საქმესა, თუ არ დაგვეთანხმოს, მაშინ ხალხს გამოვუცხადოთ, რომ ძველის წესით მისცეს ღალა-კულუბი და თუ ხალხს საენებელი რამე მოუხდეს, ჩვენ ამ ხუთმა კაცმა გავცეთ ჰასუბი სამართალსაც და ღმერთსაც. ვისაც გეშინიანთ რისამე, გული ვითქვამთ ცუდს ბოლოსა, ან არ გწადიანთ ხალხის შველა, ფიცში ნუ შემოხვალთ.

ყველა გაჩუმდა.

— მაშ ფიცს კისრულობთ?

— მოსასვლელი უნდა მოვიდეს, — სთქვა მგელ-ბაბიამ.

— მართალი ბრძანებაა, განიმეორეს ნინიკამ და ბადომ. მხოლოდ გიგოლა იუდასავით მღუპარებდა და, დაჩოქილი, ვერხვივით ირყეოდა.

— ელია წინასწარმეტყველო და ღრუბელთა წინამძღვარო! შენ დაეცი ჩვენთაგანს შენი უწყალო მეხი, გააძვრინე იგი ქვესკნელში და მიეც ბინა ჯოჯოხეთში; ხორცი მისი დასწვი, დასდაგე მწვაფი ცეცხლით და სული მისი მიეც ბოროტთა სულთა საქენჯნავად, ვინც ამ ჩვენს დაწყობილს საქმეს უღალატოს... როცა სხვის ყანა-ვენახი, პირუტყვი წვიმით გაახარო, ცეცხლი დაანთე, მოსწვი, მოტრუსე მოღალატის ყანა-ვენახი, პირუტყვი გაუწყე, გრგვენვას და მეხის-ტეხას ნუ გამოლევ მის ოჯახხედ და ჩანთქი და ჩასანსლე იგი; გამოუღიე მას ჭკუა-გონება, რომ თვისი კბილით დაჭამოს ძენი და ასულნი თვისნი; ყოველივე მოსავალი გველ-ბაყაყად გადაუქციე და შეჩვენებული ატარე, ვითარცა იუდა, მგმობი ქრისტესი; შხამი ჭამოს და ცეცხლად მოინელოს, რომ თვისი დღენი სიმწარითა და საღმობით დაასრულოს. ვინც ჩვენგანმა უღალატოს, — მიუბრუნდა ედიშერ დაჩოქილ ამხანაგებს, — ცალი მხარე წვერულფაშისა და თმისა გავპარსოთ სახალხოდ და მერე თავზე ღაფი დავასხათ. მაშ დედა შეერთოს ცოლადა, ვინც ერთმანეთს უღალატოს სოფლის საქმეში. ამინ!

— ამინ, ამინ! — გული-წმინდით გაიმეორეს დანარჩენებმა, მხოლოდ გიგოლა ვერ ეუბნებოდა ბანსა, რალაც ჩახრინწიანებულის ხმით და ამოლულლულებით წარმოსთქვა ამინი.



ელიშერი წამოდგა, გადიწერა პირჯვარი და ემთხერა ეკლესიის კედელს; ყველამ მას მიჰბაძა, ემთხვიენენ ისინიც. მერე გადაჰკოცნა ყველანი და წამოვიდნენ აივნისაკენ, სადაც გაშლილი სუფრა ელოდათ. ღამის-მთევლები ფეხზე წამოუდგნენ ელიშერსა და ყანწით ღვინო მიაწოდეს.

— ნათლი, დაგვლოცე, შენი ქირიმე! კაი ზედაზე გახლავთ. ვენაცვალე წმინდა ელიის ძლიერებასა, რა? ვერ დააყენებდა თავის ზედაშეს ლალივითა! ნათლი, მეორე ყანწმადე შემატყობინა, მაშინვე თავი ამიჩუჩუნდა... ოჰ, ბაბია, შენცა... ეეე, სად შეყრილან ე სოფლის თავი კაცები... ე გიგოლა რანაირ გალიბიანდა ამ ბერძნებშია და!... — სთქვა ენა-მოკიდებით ღამის-მთეველმა და ღვინო მისთავაზა. ელიშერმა და მასთან მყოფთ ბევრი კეთილი უსურვეს.

— იი, რა სუფრა, ე დალოცვილი და! — სთქვა ბაბიამ და ხელები მოითშენიტა, დაინახა რა აივანზე დაგებულნი სუფრა.

— აბა, შვილო ისილორე, ყველანი გამოდით ერთიანად და ერთი კარგად მოვუღხინოთ ჩემს ელიასა.

შემოუსხდნენ ყველანი სუფრას, ისილორემ „მამაო ჩვენო“ სთქვა და სუფრა აკურთხა.

— აბა, შვილო, ძილისპირის გალობით დავიწყოთ ვახშამი, თქვი პირველი, ამათ ყველამ იციან, მოგვბანამენ... არა, მოდი, ე ბერიკაცი ვიტყვი პირველსა... „ღღეს საღმთომან მადლმან ყოვლად წმიდისა მღვთისმშობლისამ შეგვეკრიბნა ჩვენ“, დაიწყო ელიშერმა, მეორე ჩამოაკაკანა ისილორემ, გლახებმა ბანი მისცემს და მშვენივრად, ხმა-ტკბილად და შეწყობილად გაათავეს საგლობელი. ღამის მთევლნი ფეხზედ წამოდგნენ, ყველგან შესწყვიტეს ჟივილ-ხივილი, სიმღერა და ყველა სმენად გადაიქცა; ამ ღვთიურმა ხმამ ყველა გამოათხიზლა და ზეცისაკენ მიაპყრობინა თვალნი.

— აი, თქვენი დედ-მამა გაანათლოს იმ ქვეყანას ღმერთმა! — წარმოსთქვეს ღამის-მთევლებმა გულწრფელად, როცა ელიშერმა გალობა დათავა.

— ე ნანადირევი ვისი მოტანილია, — იკითხა ელიშერმა სუფრაზე.

— რაღა ვისი და ვახტანგასი, ე შენი ძმისწულისა, — რეს გლახებმა. — ძან დაუცადი მარჯვენა აქვს, ედიშერის მზემა, ერთი სამფოჩა სხარტი აქვს და მწყერს არ გაუშვებს ჩამოუგდებელს; თოფს ხომ ფაჩუნზე ესვრის.

— ახალი ომიდან ჩამოსულია და დაჩვეული აქვს ხელი... მა რა, ეგ მიანც ისწაულოს, ეგ ძველი მამა-პაპის ხელობა... სწავლაზე გული არ დაუდო მაგ საძაგელმა, ვერ გავაჩერეთ, ბატონო, ი აღბუღალის სკოლაში, წმინდაუწუმ გამოიპარებოდა, რაც მავას მათრახით ცემა ჰქონდა, როგორ იცოცხლა, მამა ჩემი ნუ წამიწყდება; ავდექით და გამოვიყვანეთ; მერე ე ყირიმის ომი რომ ატყდა, თავი ახალციხეში ვუკარით.

— შე დალოცვილო, ედიშერ! ხეს იმიტომ დასერავენ, რომ ტანი ქნას; სწორედ ი ცემისაგან გამოვიდა ასეთი ბრგე ბიჭი ე ჩვენი ვახტანგა, — ჩაურთო ბაბიამ.

— დღესაც ომ-გადახდილია, — ჩაერია ლაპარაკში მამა ისიდორე....

— ისეთი დიდი, დიდი ტოტოჩინა დათვი მოუკლავს, პაპილო, ძიასა, რომა, — სთქვა მალხაზათ შაქრომა.

— ბიჭო, და რას გაჩუმებულხარ, ერთი გვიამბე და გავგართე... მართლა, წელს რამდენი დათვია ამ სოფელში... ეტყობა ტყეში ნაკლებად აქვს საზრდო...

— ჯერ რა არის ტყეში, პანტა არა მწიფს და შინდი, ამოგვაგდეს მა წყეულებმა.

— აბა პა, მოჰყე... — უთხრა ბიძამ და სასმენად მოემზადა.

— სასაცილო საქმეკი მომხდარიყო, — დაიწყო ვახტანგმა; — წვიმა გადაიღო თუ არა, მთელი ხალხი მინდვრიდან ჭალებში ჩამოვედით, მწყემსები მოსდებიყვნენ სააგურე ქალასა. მაზმიანთ სოსო თავიანთ ახოში წაქცეულ წიფლის ხეზედ გასულიყო თურმე და სოკოს ჰკრეფდა; თურმე ნუ იტყვი, ხის ძირში იმ სატიელო ძუ დათვს, ბელებიანსა, ბუნაგი არა ჰქონია; ჰგონებია, ეს კაცი მე მებარებო, ერთი უცნაური დაეღრი-აღნა და გამოვარდნილიყო; სოსო კი ხიდან ძირს ჩავარდნილიყო და თურმე ერთი საათი გულ-შეწუხებული ეგდო.



დაედო, ბატონო, მთელი მწყემსობა ძაღლებითა, ატყდა ერთი საშინელი კიჟინა! მაშინვე ვიფიქრე, უთუოდ საქონელს ნადირი დაერია-მეთქი. „არიქა, ვახტანგ, არიქა, დათვი მოდის შენკენ და ვინძლო ყოჩაღად იყოვო, მომადახეს უკანიდან მომკლებმა და ნამგლის ტრიალით გამოქანდნენ. ძაღლებმა ზედ ჩვენ ბაგაში მოაგდეს ის ტიელი, შემობობლდა ლობეზე, მაგრამ მაცვლის ბუჩქებმა არ ამოუშვეს. წაავლო იმ ღინ-ძაღლმა მარგილს თათი და როგორც უნდა გადმოგვახტეს, გავუღე თოფი... ცოტა გვერდით ვიდექი... მოხედა მარჯვენა თათში ტყვია და ნიდაყვის ძვალი მიანტვრია, თათი ველარ იხმარა, მაგრამ ისე გაცოფდა, რომ ძაღლებს სულ პანტა-პუნტით ისროდა ლობეს გარეთა, პირი ღორბლით ჰქონდა საესე. მე აღარც ვაცივე, აღარც ვაცხელე, თოფი ცხენის ტახტაზე გადავიკიდე, გავიძერ ხანჯალი და მივივარდი; ძირიდან ქვედა ყბაში, ცხვირის პირდაპირ, ვატაკე ხანჯალი და შიგ ცხვირში გავუტარე, აქეთ მე და იქით ისა, უცებ დაეუნაცვლე ხანჯალი და მეორე თათი მივაჩხეხე; უკანიდან მოსდგნენ მერე საცოდავს და ხელ-კეტებით დაბეჭეს. უშველებელი თავი ჰქონდა იმ ოხერსა.

— აქ ამოიტანა, პაპა, და ბაეშვები ელიას გვერდაზე ვაგორავებდით.

— ბაშხადუნ, ვახტანგ!... ეეჰ, ეხლა ეგ-ლა დაგვრჩენია, მგლები და დათვები ვხოცოთ და საწყალი ჩიტები... სადღაა მტერი, დაგვიშორდა; ჰაი გიდი, რა სიხარულით ავისხავდით იარაღსა, როცა ლეკზედ მდევარს დაიძახებდნენ ხოლმე?

— ახლა, ბიძია, ლეკები აღარ არიან, მაგრამ ლეკებზედ უარესს ოსები გვიშვრებიან... ერთი თუ მე მაგათ ოხტში არ მოვედი და რაღა ბიჭი ეყოფილვარ... კიდევაც შევიპირე ჩემი ტოლი ბიჭები, ახლა ერთი ჩვენ გაჩვენებთ ბიჭობასა.

ამ დროს ციხიდან ჰოტმა კვალად დაიძახა; ედიშერ შეაკანკალა და სახე შეიღმინჭა. არ უყვარდა მისი უცნაური და არა სასიამოვნო სიმღერა: ცუდად ჰქონდა დაუდლილი; „საწყენს რასმეს შევიტყობო“, — იტყოდა ხოლმე ედიშერი, როცა ჰოტის ხმას გაიგონებდა.

თითქმის პირველი მამლის ყვილი გახდა, რომ სტუმარ-მასპინძელნი გაიყარნენ და წავიდნენ თვის-თვისად.

V

ღვინო დაუარულს ბოროტებას გაამჟღავნებს: გულის ღვარძლს, გონების სიბნელეს, სულის სიწამხდრეს სულის სარკეზე გამოჰფენს და მერე ამ სამს უმგზავსოებას ენასაც ათქმევინებს. გიგოლა გულიაშვილი ახალ ნახადის ელიის ზედაშით კარგად ჩაღლეული ტორტმანით წავიდა სახლისაკენ. მან ოთხის წლის განმავლობაში ჯვარის-მამასთან სამსახურში სიმდიდრე შეიძინა: ჯორი გუთნეული საქონელი ჰყავდა სახლში, მშვენიერი დარბაზი ჩადგა და ისეთი გვირგვინიანი ერლო ჩააკლავა ზედ, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა, ქვითკირის საბძელი წამოქიმა და ზედ მოაბა დიდი თავლა; ერთი სიტყვით, იმ ხეობაში მდიდრის სახელი გაითქვა; იმის საყვერის ნიშა-ხარები ზარების წკარუნით, ურემში შებმულნი რომ წმაწვნით და კულის გრებით მოდიოდნენ, მთელს სოფელს პირში სიამოვნების ნერწყვი მოადგებოდა ხოლმე. ბევრს, ღვთის წინაშე, კიდევ შურდა გიგოლას ასეთი ბედი, მაგრამ მომეტებულ ნაწილს აინუნშიაც არ მოსდიოდა.

— რატომ არ გასუქდება, შვილოსა, ე გიგოლაი რა! მთელ სოფელს ევა სქამს; საითაც უნდა, იქით უზამს ჩვენს ჯვარის-მამას თავსა... მთელი სოფელი ფეხქვეშ ამოიღო, მაგრამ კაცს ნაარმი არ შერჩება; ბევრი კაცი გვინახავს აგრე გაკეთებული, მაგრამ ღმერთი მალლიდან ხედავს ყველასა: როგორც ააშენებს, ისე კიდევ მალე დააქცევს არამსა და დაუნდობელს კაცსა. — ასე ინუგეშებდნენ ხოლმე თავს მეზობლები, როცა უყურებდნენ გიგოლას უცებ გამდიდრებას.

ღიალ, გიგოლა ჯერ ლიტრის კაცებში ჩაწერეს და მერე ლიტრა-ნახევარზე აიყვანეს. ამ უცებმა გამდიდრებამ თავბრუ დაასხა ვიგოლას, ცოტა არ იყოს, მსუქანი ჯორივით მოჰყვა ამაყობას და თავისიანებს ტყუპ-ტყუპ წიხლს აზღელდა... აი მო-

დის ჩაღლეული გიგოლა და ფიქრობს: რომ გადუდგეს ჯვარის-მამას, ხომ მოაკლდება საზრდო, შემოსავალი, ხომ ველარ შეზიდავს თავის სახლში ჩუმად გადანარჩუნებულს ლალასა და კულუხსა, თვისის მეზობლების ნაძარცვ-განაგლეჯსა? რა მოიგონა იმ წყეულმა ედიშერმა! როგორ უნდა წავიდეს ჯვარის-მამის წინააღმდეგ? ხომ დაიღუბა თვით და ოჯახსაც დედა-ბოძი გამოეცალა? არა! — წამოიღულღულა გიგოლამ და შესდგა: — ნწ-არა! მე უმალ მაგათ დავლუბავ, ნავობახტში დავალპობინებ... მაგრამ ფიცი, ის საშინელი ფიცი!... — გააკანკალა, გააქრუოლა გიგოლას და მიბრუნდა ედიშერის სახლისაკენ: — წავალ, დავემზობი ელიის წინაშე, შევლაღებ, მაპატიოს, შემინდოს, ამხადოს ცოდვა ფიცისა... ტფუ ეშმაკო! რას მოვჩერჩეტებდი, რა მინდოდა... ჩემი გუთნეული, სახლ-კარი, გაფუფუნებული ოჯახი!... ესენი უნდა მომეშალოს! არა! მე კბილით შევქამ ყველასა, ვინც კი შეახებს ხელს და დამიქცევს ოჯახსა... სოფელს თავშიც ქვა უხლია, რა მოუცია, რა მივცე, რას შემწვევია, მე სამაგიეროდ შევეწო და თავი მახეში ჩაეიგდო... ჰა, გიგოლა! არ გადუდგე შენს ძველს გზასა!... აბა გაბედონ ჯვარის-მამის სასახლეში ფეხის მოდგმა, მე იმათ ლუკმა-ლუკმა ავკუწავ, მეც ვიცი ხმლის ტრიალი და ნიშანში სროლა; მეც მდევრათ ედიშერთან და მგელ-ბაბიასთან ბევრჯელ ვყოფილვარ; იმათ ჩემი ბიჭობა იციან: მე ვერ შემომბედავენ... სოფელი? სოფელი ქალაჩუნაა, საითაც მინდა, იქით მივატრიალებ. ამას ჩასძახოდა გიგოლას გული და გონება და ხან ლუღლუღით და ხან ხმა მალლა ებასებოდა თავის თავს და ნელ-ნელა რხევით მიდიოდა სახლისაკენ. მაკადეთ, ხომ შემარისხეთ ხატზედა, მაშ დილითვე თუ არ გამოავუსიო მთელს სოფელს ჯვარის-მამის ბიჭები, კაცი არა ვარ; ედიშერის ძნით დადებული ურმები თუ ბატონის კალოზედ არ ჩავავორებინო და გიგოლას ეს უღვაში ნუ სხმია. ამ ფიქრებით მივიდა სახლში და დერეფანში სასთუმალზე მიეგდო.

იმ დამესვე გიგოლას ერთგულებაზე ყველას ექვი შეეპარა, განსაკუთრებით დედაკაცის ნაამბობის შემდეგ, გიგოლას ლა-

ლატს ედიშერი და მასთან შეფიცებულნი არ უფრხოუნენ მაგრამ საქმეს მაინც ხელს შეუშლიდა, თუ აღრე გასცემდა იგი ამხანაგობის განზრახვასა—ეს უკლავდა იმათ გულსა; მაშინ ხალხი მოუშხადებელი დარჩებოდა და საქმე ისევ ძველებურს კვალზე გაივლიდა.

ედიშერს ამ აზრმა, ამ მოსაზრებამ ძილი და მოსვენება არ მისცა გვიანობამდის. აყვედრიდა თავის თავს, რათ შეიყვანა საიდუმლოში, რათ გაუზიარა თვისი ხვაშიადი იმისთანა კაცსა, რომელიც თვისის ღვიძლის ხალხისაგან გასუქდა, მისის სისხლისაგან დაისხვილა კისერი, მისის ძარცვით შეუღვა ოჯახს დედა-ბოძი! შვილმა ისიდორემ აყვედრა მამას, ედიშერს ეკაშნიკა შვილის სიტყვები, ხმა არ გასცა და ჩუმად დაწვა აივანზედ, სადაც მისთვის ლოგინი იყო დაგებული. მაგრამ „მწოლარეს ზედ აწვნენ უთვალავი მწარე ფაქრები, როგორც მალალ მთას დილით შავი ავდრის ღრუბლები“, ქოტის უცნაური სიმღერა ყურში ჩაზუზუნებდა და გულს უღრღნიდა... სძინავს ედიშერს და ჰხედავს სიზმარს: ვითომ დაღალული მიწვა მინდორში ხის ძირას, გული გაიღვლა და ნიავს მიუშვირა გასაგრილებლად, ცხენს ფეხი ჩაუკრა და საძოვარზედ გაუშვა; ტკბილ ძილშია; მოფრინდა შავი ყორანი, კობტად აუარ-ჩაუარა, გადახედა ედიშერის ტიტველა გულსა, ისკუბა ერთი და შედგა, ვერ შებედა მას გულზედ შეხტომა. ედიშერი არ ინძრევა. ყორანიშე შეორედ ისკუბა და დაახტა ტიტველს გულზედ, ერთი კიდევ აათვალ-ჩაათვალიერა იქაურობა და დაუწყა ხორცს წიწკნა; ედიშერს ემწვავა, უნდა სტაცოს ხელი, კისერი მოუგრიხოს ამ ყორანს, მაგრამ ვერ ინძრევა, სწორედ მაჯლაჯუნა დამაწვაო, —ფიქრობს გუნებაში; შეინძრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სწვდა ყორანს, ხელში მისი ბოლო შერჩა და თვით ყორანი გაუფრინდა. მაგრამ სწრაფად მოიგდო სიათი ხელში და ტყვია გააყოლა თვის ღვიძლის მწიწკნელს; ტყვიამ ფეხები გააცალა ყორანს, მაგრამ ის ველარ შენიშნა, ჩამოვარდა თუ არა. ამ დროს გამოვლვიდა ედიშერს და ხმამაღლა წამოიძახა:



— ჰაი, შე წყეულო, შენა!... რომელი ხარ?— წამოჯდა ლოგინზედ, პირჯვარი გამოისახა და ფიქრი გიგოლასკენ გაუქანდა:— შენ ხარ ყორანი, შენ! ვერას გახდები! შენზეა ნათქვამი ეს საღმრთო სიტყვები: „აჰა ესერა ელმოდა სიცრუე, მუცლად იღო საღმობა და ჰშვა უსჯულოება. ხნარცვი სთხარა და აღმოჰკვეთა იგი და შთავარდეს იგი მთხრებლსა მას, რომელიცა ქმნა; მიეცეს საღმობაი მისი თავსა მისსა და სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა დაუხდეს.“

— მამა-ჩემო, რა იყო? რამ მოგაგონა ამ გარიგრაჟზედ ფსალმუნის სიტყვები?— ჰკითხა შვილმა ისიდორემ, რომელსაც მამის ხმაურობაზედ გამოელვოდა.

— გიგოლა ორმოს გაგვითხრის, მაგრამ თავის ამოთხრილს ხნარცვში თითონვე ჩავარდება.

— როგორ, მამა-ჩემო, გიგოლასი გედარდება? თუ საშიში იყო, რად გაუზიარეთ საიდუმლო? ძველ კაცებს ერთობ წმინდა და უეშმაკო გული გაქეთ...

— აი ეშმაკმა წაიღოს მოლალატე კაცის სული! საკირეში დაიწვას იგი, რომ ძვალის ველარ იპოვონ...

— თუ საქმისა გეშინოდათ, აღარ უნდა გეკისრათ...

— ვაი შენ, ჩემო თავო! შიშს მიკითვინებ, შვილო, მე, რომელსაც მკერდი დაკუწული მაქვს, რომელსაც არსად ზურგი არ მიდრეკია? მე მოპირდაპირე მტრისა არ მეშინიან, მას როგორ გავექცევი, მაგრამ შიგნიდან გატეხილის ციხისა კი ძიელ მეშინიან, მას ველარას უწამლებ, ველარ გაამთელებ.

— რაზე მოიტანე, მამა-ჩემო, ეს სიტყვები, რამ გაფიქრებინა, რომ უთუოდ გიგოლა გილალატებს?

— მაკვირვებ, შვილო! მთელი ღამე იუდასავით იჯდა, ფეხები უკან რჩებოდა, ფიცზე რომ მივდიოდით... შენი ნაამბობი და საბრალო დედაკაცისა!!... ჩვენ მოგვატყუა მისმა ძველმა მეგობრობამ, ძველმა პურ-მარილმა; ის ველარ მოვიფიქრეთ, რომ ჯვარის-მამამ ის სიღარიბიდან ამოიყვანა და მას არ უღალატებდა.

— საფიქრებელი მაინც და მაინც არა არის-რა: დაყაბულდება თქვენს სიტყვას ჯვარის-მამა, ხომ კარგი; თუ არა და

ის თავისთვის, თქვენ თქვენთვის; ძალით არა გამოვარა, სხვა კანონი მუშაობს, მამა-ჩემო, სხვა ღრო დაგვიდგა... აი ხომ გახსოვს იმ წინაზე სვიმონ მთავარს რა უყო არქიელმა.

— რა უყო, აღარ მახსოვს! შენ ჩემთვის იმაზე არა გითქვამს-რა?

— მწირველი ბძანდებოდა არქიელი რუისის ტაძარში: როგორც ერთად-ერთი მთავარი, სვიმონიც მოიწვიეს თურმე...

— ჰაი დედას, რა გვარისშვილია ეს სვიმონი?... ასი წლისაზე მეტი იქნება ეხლა... დიდი კნიაზის კბილისაა... რუსები რომ შემოსულან ქალაქში, შვილო, დალაბანდის ბრახუნითა, აი სწორეთ მაშინ სვიმონ მთავარი ჯვარის-მამის ეკკლესიაში მთავარი ყოფილა... რა სახარების წაკითხვა იცის მაგ დალოცვილმა: მკვდარსაც კი სასოებაში მოიყვანს...

— იმას ვამბობდი... სვიმონიც თანამწირველი იყო; ნუ ბრძანებთ, თუ რა ჰქნა?... წირვაზე ჩვენი მეფეები მოიხსენა: მეფე ერეკლე, მეუღლე მისი და ძენი და ასულნი მათნი. წირვის შემდეგ დაიბარეს სვიმეონი... საწყალი ბლალაჩინი შიშით ცახცახებდა, ეგონა, ეს-ეს არის გამკრეჭენო... რათ მოიხსენე ისინიო; ჩემს კონდაკში ისინი მიწერია, მინამ ცოცხალი ვარ, მე იმათ მოხსენებას ვერ მოვიშლიო... — უპასუხა სვიმონ მთავარმა მშვიდად.

— ჰაი დედასა! ძველი კაცი რა არის? — მერე რა უთხრეს?

— მე ნიქოზელის ნაკურთხი ვარ, ახალის კონდაკის არა გამეგებარაო.

არქიელმა გაიცინა და უთხრა:

— აღარ გაბედო მაგისთანა თავხედობა, თორემ სამსახურიდან გადაგაყენებო. ბლალაჩინს კი სულ ცივება დაემართა თითის ქნეითა.

მამაშვილის ლაპარაკში კარგად გათენდა; ხალხი ბუზივით აიშალა და გააშურა სამუშაოდ; სოფელში ყრუ ხმა იდგა საქონლის ბლავილისა და მამლების ყივილისა; სოფლის პაწია ბავშვები მიერეკებიან ღორ-ხბოებს სანახიროზე მინდორში



გასარეკად; ყველა ფაქტობს, ყველა განხლისებულისა, ყველა ცქრიალით მიეშურება საქმისაკენ. ედიშერიც ოთახში შევიდა ჩასაცმელად.

— ბატონო ედიშერ!—დაუძახა მეზობელმა და მალე ხმა რომ არ მისცეს, გაიმეორა ცოტა ხმის მომადლებით:—ბატონო ედიშერ!—ედიშერი გამოვიდა ამ ხმაზე და მამა ისილორეც წვერის ბარცხნით თან გამოჰყვა.

— ოო, გზირო, რას იტყვი?

— მგელ-ბაბიამ გაახლათ ჩემი თავი, რომაო დიამბეგი გაახლებათ ხვალაო და შენი სახლი უნდა გვათხოვოთო, მანდ თუ მოისვენებსო, თორემ სხვა გზა არ არისო.


— ძალიან კარგი, მაგრამ რად მოდისო, იასაულს არ უთქვამს?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, რალაც უცნაურს მოგახსენებენ... რა ვიცი, რუსები უნდა ჩააყენონ სახლებშიო და... დიად, ასე მოგახსენებს.

— ეე, ჩემო სიზმარო, როგორ ამიხდები!... კარგი-თქო. ედიშერმა გადახედა შვილს და გაოცება სახეზე რა ვერ შენიშნა, ჩუმიად დაჯდა აივანზე, პირჯვარი გამოისახა, სურით წყაროს ცივი წყალი ჩაარაკრაკა და ღრმა ფიქრებს მიეცა. ხანდახან თითებს აათამაშებდა, შუბლის ნაოჭებს აიჭიმავდა და ბუტბუტბუტებდა: „დიამბეგი, რუსები სახლებში... რა ამბავი უნდა იყოს?...“

ს. მკვლავლიშვილი

(შემდეგი იქნება)



ქ ი ბ ბ თ ბ ქ ი ბ ბ ბ .

ხელში ავიღებ ჩონგურსა,
 მინდა დავმდერო ლაღადა, —
 თითები აღარ მომუვება —
 გული არ არის საღადა,
 გადაქცეულა ნახსარ,
 გააბეზრებულ ბაღადა.
 მიუფარს საგმირო ჭანგები,
 სიტკეა და აზრი ციური,
 მაგრამ გულს იქით არ მიდის
 გრძნობა და ფიქრი ღვთიური:
 ფრთებს მიკვეცს აღმა-ფრენასა
 ამაგი ყოველ-დღიური.

მოდმეთ კანების სიმაღლე მწადდა,
 იმათ გრძნობათა და ფიქრთ დიდობა:
 ვერაფერს გაუხდი, ვერვის რა ვარკე.
 გულს დავუკარკე რისთვის მშვიდობა?
 რისთვის? მეწადა ასეთი ქცევა,
 სიემილი მკლავდა ძმათა რკებისა;
 ეს იყო ჩემთვის ბედნიერება,
 ეს იყო ჩემთვის უოფნა შუებისა.
 და დღეს ისა მკლავს, გულს ის მიქენჯნის,
 ცუდივ ამაგი მესმის ძმებისა.
 გუთნის დედისა უოფნა იფიქრეთ,
 ნახოს ზაფხულში ხნულები მისა,


გაფხავებულის ნამგლით მივიდეს,
 დრო მოსულიყოს უანების მკისა,
 და უანის ნაცვლად ხსული დაუხვდეს
 გადალესილი ქვიშა-ლამითა...
 მაშ არ ავესოს მშრომელსა კული
 ბედისა მღურვით, ნადგულ-შხამითა?!

—
 კელით—არ მოხველ, მთვარეო,
 ცრემლი წინ გვიდგა გუბედა.
 შავი მოერტყა ნისლები
 ჩვენს უბედურს ბედს ზღუდედა.
 ვსტირით, ტირილი არას გეშეულს,
 დავცურავთ ნადგლის ზღვაშია;
 შინა არ გვეშინავება,
 არც გვასვენებენ კარშია.
 ჩამწარდა ჩვენი სიცოცხლე,
 უოველგან მთა და ბარშია.
 მკლავიც გაცუდდა, გონებაც,
 ჩვენთვის ორივე მკვდარია.
 უფავ-უოჩნის საბუდრად იქცა
 ჩვენი სახლი და კარია.
 მოვემწუვდით ორ წყალ შუაში,
 აღარსად ჩვენთვის ნავია;
 დაგვანვა თავზედ დრუბელი,
 როგორც ნახშირი, შავია;
 არ ვიცით უამ-კარ არეულთ
 სით დავახწიოთ თავია.

—
 სიუმაწვილის დრო წავიდა,
 გამომერია ჭაღარა;
 რასაც სიურმის დროს ველტვოდი,
 ვითომ მიევარდეს აღარა?!..
 გუნება გუნებად დარჩა
 თუმცა-და მოიძთახარა.

არ მამრჩენია ისევ მჭირს,
გულზე რაც მჭირდა იარა.
შავაყდარუნებ ფანდურსა,
თუ უინმა წამომიარა.
მაგრამ ეს არი სადარდა —
თქმა არი, საქმე კი არა...

გზუა-ფშაგელა.



გ ა კ ს უ ე გ უ ლ ი

ოთხ-მომქმედებიანი დრამა.

მომქმედნი პირნი:

რაჟდენ კონიშვილი, შეძლებული
აზნაური.

ვასასი, ამისი ცოლი.

ელიკო, ამათი ქალი.

თავადი ლენტორ მარაბდიძე, ელი-
კოს ქმარი.

თავადი კოტე, ლენტორის მეგობარი.

ბიქტორ } თავად კოტეს ამხანაგები.
ვარდენ }

მოსამსახურე, ბიჭები.

მომქმედება სწარმოებს ჩვენს დროს, სოფლად; პირველი, მეორე და მეოთხე—რაჟდენ კონიშვილის სახლში, მესამე—თავად კოტესას.

მომქმედება პირველი

(მარჯვნივ ცოტათი ამაღლებული აივანია, რომელზედაც გამოდიან ოდიდან კარები და ფანჯარები და რომლიდანაც ჩადის კიბე ეზოში; მარცხნივ კიშკარია. პირდაპირ მოსჩანს სამზარეულო სახლი. აივანზე სდგას მოფარდაგებული ტახტი, რომელზედაც წამოწოლილია რაჟდენი და ჩიბუხს აბოლებს; ძირს აგია ხალიჩა და ზედ სხედან ვასასი და ელიკო, რომელსაც გვერდით უდგია ზეწარ-გადაფარებული აკვანი და ნელა არწევს).

გამოსვლა პირველი

რაჟდენი. (ელიკოს) რა ქნა, არ დაიძინა?

ელიკო. (გადაჰხდის აკვანს პატარაზე ზეწარს) დაიძინა.

რაჟდენი. (წამოიწევეს და დააჩერდება მძინარე ბავშვს) აჩა, რა ღამა-ზია, რა ღამაზია, ენაცვალოს ბაბუა. ნამდვილი ანკელოზია, ციდან წამოფრენილი ანკელოზია!

გასასია. (თვითონაც დაჰხედავს ბავშვს და ღიმილით) რატომ არ ექნება ღამაზი, მისი ჭირიმი? დედა ღამაზი ჭყავს და მამა.

რაჟდენი. (სახე ეკმუნება) შენ თუ ყოველთვის მამაც არ წამოჩხინიკე, კი არ გაიმება. ვეღარ გაიკე, რომ მამა ადარა ჭყავს?

გასასია. (შეშფოთებით) უიმი, რას ამბობ? იმ დღეს დმერთმა ნუ მომასწროს, რომ დენტორი ადარ იუეს.

ელიკო. (ამ ლაპარაკის დროს თავს დახრის და ღრმად ამოიოხრებს).

რაჟდენი. მოსწრებული ხარ და ეკ არის! ჩვენთვის ადარ არის და თავისთვის კი მტელიც წანწალებს ტუეში, მაგრამ ამას ხომ აღმიანური ყოფნა არა ჭჭვიან?

გასასია. რანაირი ღამაზაკი იცი, ბეჩა რაჟდენ? კაცს რომ არ გაეკონება, იმისთანას იტუევი ხანდახან.

რაჟდენი. მშვენიერი ღამაზაკი ვიცი. დენტორი და მტელი სწორედ ერთმანეთის მზგავსნი არიან. ორივენი დაძწიან, რამ მუტეული ამოყორთნ და, ოდონდ თვითონ გაძდნენ, სხვა არა ენადგლებათ-რა. მტელი უკეთესიც არის დენტორზე, რადგან მხოლოდ მაშინ დაიწუებს წანწაღს, როცა შიან და თავისი ნაშობის სიუვარული იმანაც იცის, დენტორი კი ამასაც მოკლე-ბუღია. ის გაქსუებუღია, გატარეუღებუღი და არცერთ ტუის ნადირს არ ჩამოუვარდება! (ადგება და გაივლ-გამოივლის; ცოტა ხანს სრული სიჩუმეა; შემდეგ კიშკარში შემოვა ბიკი და წამოვა აივნისაკენ).

გამოსვლა მერე

ბიჭი. (მოადგება აივნის მოაჯირს და ვასასის) ქაღბატონო!

რაჟდენი. რა იუო, ბიჭო?

ბიჭი. ქაღბატონთან სიტუევა მაქვს.

რაჟდენი. მერე რატომ არ ეუბნები?

ბიჭი. სიადუმლოდ უთხარიო, დამაბარა.

რაჟდენი. ვინ?

ბიჭი. დენტორმა?

რაჟდენი. ვინ დენტორმა?

ბიჭა. ჩვენმა სიძემ, ბატონო.

რაჟდენი. (ვასასი) რჷ, საიდუმლოებიც გაგიჩნდათ შენ და ღებ-ტოტს?.. კაი ამბავია!..

ვასასი. შე იმასთან საიდუმლო არა მაქვს-რა. (ბიჭს) რაიო, ბიჭო, რა დაგაბარა?

ბიჭა. (გაუბეღავად) ძალიან საჭირო საქმე მაქვს და ერთ წამს მნახეთო.

ვასასი. თვითონ სად არის?

ბიჭა. ზეტრეიას ღუქანშია.

რაჟდ. (ნაძალადევად იცინის) ხა, ხა, ხა!.. ესდა გვაკლდა; ღუქანებშიაც უნდა ვიბრინოთ ახლა იმის გულისათვის!

ვასასი. (მღელვარებით) იქნება, მართლაც საჭირო საქმე აქვს?

რაჟდ. (დაცინვითი ღიმილით) დიდი, დიდი საქმე ექნება: იქეიფებდა, ფუფი შემოაკლდებოდა და გიბარებს, რომ უთავდებო.

ვასასი. მაშ, რა ექნა ახლა? იქით წავიდე, თუ აქეთ დავიბარო?

რაჟდ. არც იქით წასვლაც საჭირო და არც აქეთ დაბარება.

ვასასი. (განვიკრვებით) აბა?

რაჟდ. აბა და აბა!.. რაც უნდა, ისა ექნას, ჩვენ კი თავი დავგვანებოს!

ვასასი. (გადაწყვეტილად) უნდა წავიდე, ვნახო. ვინ იცის, რა უჭირს. (წასვლას აპირობს)

რაჟდ. (გულმოსული) სად მიხვალ?

ვასასი. (შესდგება და შეჰხედავს რაჟდენს).

რაჟდ. გადირიე, თუ როგორ არის შენი საქმე?.. (ბიჭს) წადი და უთხარი, ბატონმა შემოგიტყა, ღუქანებში სასიარულოდ ჩვენ არა გვცაღია; ჩვენთან თუ რამე საქმე გაქვს, აქ მოეთრიე-თქვა (ბიჭი არ ინძრევა).

ვასასი. არ გესმის, ბიჭო? წადი, მოახსენე, აქ მობრძანდით-თქვა. (ბიჭი მიდის).

გამოსვლა შესაძე

ელიკო. (რომელიც ამდენს ხანს თავ-დახრილი იყო, თვალეზზე ცხვირ-სახოცს მიიფარებს და ჩუმად სტირის).

რაჟდ. (ელიკოს) შენ რა გატირებს, გოგო?.. (სიჩუმე) არა, სატი-რალი კი გაქვსთ ორივე დედა-შვილს, რომ ქალური ჭკუ



იხმარეთ: აქა და თავადიშვილი სიძეობას და ქმრობას გვთხოვს, გადაირიეთ, მაგრამ ახლა რაღა გაქუობა?.. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ასე გათავდა საქმე და უარესისაგან დაგვიხსნა!.. რამდენი ახალგაზდა ქალი გაუბედურებულა უდროოდ? შენც ისე იფიქრე, რომ ქმარი მოგიკვდა და ღმერთს თავიანი ეცი, რომ სიჭვრივესთან სიღარიბეც არ გზვდა წილად. (ქიშკარში შემოდის ლენტორი) ოჲ, მობრძანდება, მობრძანდება მისი ბრწყინვალება! (დაცინვითი ღიმილით) თუმცა ამ გახუნებულ ჩოხაში სრულიადაც არ ბრწყინავს, მაგრამ სულ ერთია, გვარად ხომ დიდი მარაბდიქა და ესეც საკმაოა. ახა, ვინძლო, არ მიწყინოთ ძვირფასი სტუმარი!.. (შედის სახლში სწორედ მაშინ, როცა ლენტორი აივანზე ამოვა).

გამოსვლა ქეოთხე

ვასასი (მიეგებება ლენტორს) მობრძანდი, გენცგაღე! (გადაეხვევა და აკოცებს. ელიკო წამოდგება და მიუახლოვდება ლენტორს. ლენტორი უგულოდ აკოცებს ელიკოს და მივა ვასასისთან).

ვასასი. არა გრცხვენიახ, ღენტორ, რომ ასე დაგვივიწყე?

ღენტ. (ჩამოჯდება ტახტზე) რა ვქნა, დედა, არა მცაღიან.

ვასასი. (ჯდება ხალიჩაზე) რა ცალი გკიღია, შვილო?.. აგრე როგორ შეგძულდით ვეგლანი, რომ მოსვლაც კი გეზარება ამ სახლში? დუქანში ჩერდება და იქ მიბარება, სირცხვილი არ არის?

ღენტ. რა ვქნა, ეგ ჩემი ბრალი სულაც არ არის. აქ როგორ უნდა მოვიდე, რომ დასახაზვადაც კი ვეზარები რაჟღენს?

ვასასი. კი არ ეზარები, შვილო, არ მოსწონს შენი აგრე გაქსუება და...

ღენტ. (გააწყვეტინებს) თუ არ ვეზარები, მაშ, რად გაიქცა და დაიშალა, როცა დამინახა მომავალი?

ელიკო. (რომელიც ამდენს ხანს მოშორებით იდგა გრძნობით ლენტორს) საზარელი ხარ და ეზარები!.. კაცის აღარაფერი გჳერა და დაჭჭრი ქარივით, თითქო საზრუნავი არა გქონდეს-რა!.. არა,

დენტორ, ასე ცნობრება არ შეიძლება, ბავშვი კი ნუღარ გგონია შენი თავი, მამა ხარ, სხვა არა იყოს-რა. მის მაგიერ, რომ რამე საქმეს მოჰკიდოს ხელი, აჭყოლისხარ ვიღაც ოხრებს და დაშრლატნობ; ადარც ღვთის გეშინიან და ადარც კაცის გენათრება!

დენტ. (დაცინვითი ღიმილით) ვაი, ჩვენი ბრადი, რომ შენც ჭკუის მასწავლებლად გაგვიჩნდი! შენი დასარიგებელი კიდეც ვინდაა, შე ქათმის ტვინავ, შენა?

ელაკო. (მღელვარებით) შენ... შენ, ჩემის ცოდვით სავსე! შენ, ვისთვისაც დმერთს არც ჭკუა მოუცია და არც გრძნობა!

დენტ. (წამოდგება) კაია, კაი, გული ნუ შემეწუსე, მაინც არა ვარ ქაიფზე.

ელაკო. რატომ არ უნდა შეგიწუხო ვითამ გული? რატომ უნდა მოგეფერო? რა სიკეთე მიყავი, რომ მადლობა გითხრა?.. ქალი გამაუბედურე...

დენტ. (ხმას უმატებს) რას მიედ-მოედები? ვინ გაგაუბედურა? შენ არ იყავი, რომ კისერზე ჩამომეკიდე და ადარ მომეშვი?

ელაკო. (გაანხლებული) როდას, როდას?.. შენ არ იყავი, რომ...

დენტ. (გულმოსული) კარგია, კმარა!.. ტუილად კი არ არის ნათქვამი, მატლი რომ ფეხზე დაისვა, თავზე ატაცოცდებოა. ქანოსრო მარბდიძის შვილმა ჭონიშვილის ქალი ცოლად შევირთე, საუკუნოდ გავაბედნიერე და კიდეც რაებს შეუბნება?!

ელაკო. (ამოხვრით) ოჰ, რატომ არ დაიქცა ის დღე, რაცდა დღეს შენ ჩვეს სახლში ფეხი შემოდგი, შე უსინდისოვ, შენა!..

დენტ. (გაბრაზებული) ხმა ჩაიკმინდე-მეთქი! (გაიწვეს ელიკოსკენ).

გასასა. (უცებ წამოვარდება და ჩაღვება შუაში) კარგია, გენაცვალე დენტორ, დამშვიდდი!.. (ელიკოს წყრომით) რა დაგემართა, გოგო, ვერ დაეტყვი შენ ქერქში?

ელაკო. (ტირილით მოჰკიდებს ხელს აკვანს და შევა სახლში იმიანა).

გამოსვლა მესუთე

დენტ. (გაივლ-გამოივლის გულ-მოსული) გულზე როგორ არ უნდა გაესკდე, რომ ისიც ჭკუას მასწავლის?

ვასასია. (ხმა მოტკბილებით) რა ვუეთ, შეიღო? ცოლია, რაც უნდა იყო, და იმისი ნათქვამი როდი უნდა გეწინოს. უეგარხარ საბრალეს და იმიტომ გეთამამებს.

ლენტ. რა ვქნა, ვასასია?.. ათასჯერ მეფეს დათხოვიდი, რომ იმან მაინც არ დამიწოეს ხოლმე დარიგება. მე ჩემი მჭირს, გულზე ღოდვივით მასწევს ჩემი მწუხარება და ის კიდევ მომდგომია და მახელებს!

ვასასია. (თანაგრძნობით) რა იყო, შეიღო, რა გაქვს სამწუხარო?

ლენტ. (ვითომ ძალიან შეწუხებულია, ღრმად ამოიოხრებს) ეექ!

ვასასია. არა, რაზე იჭირვებ სექმეს?.. ღვთის მიწყალებით, სამწუხარო არა გაქვს-რა და ტუეილად იწუნებ თავს. ღმერთს კარგი ცოლ-შვილი და მზა-მზარეული ოჯახი მოუცია და მეტი რადა გინდა? დაბრძნდი, როგორც ეკადრება და შეშვენის შენს გვარიშვილობას, და გვიმსახურე!

ლენტ. რას ამბობ, ვასასია? სად დაბრძნდე?

ვასასია. შენს სახლში, შენს ცოლ-შვილთან.

ლენტ. არა, ვასასია, მე და რაუდენი ერთად ვერ მოვთავსდებით. ჩემი იმას არათუერი მოსწონს და მისი მე. იმას უნდა, რომ მოურავად დავუდგე და მე კი ეს არ შემიძლიან. მუშაობა რომ მდომიდა, ადგილ-მამული განა ჩემი არ მქონდა?.. არ მინდოდა და იმიტომაც მივანებე თავი. მე თავისუფლება მინდა, გასვლა-გამოსვლა, ჩანმა-დახურვა, ტოლ-ამხანაგებში გარევა და, სანამ ცოცხალი ვარ, დროს სიამოვნებით გატარება, თვარს სამარეში ჩამარხვა მაშინ არ მეუფთა, როცა მოგვედები?.. რაუდენს კი ესეები არ მოსწონს... აბა რა ცხოვრებაა ის ცხოვრება, თუ ვინც გინდა, ვერ მოვა შენთან; თუ, როცა გინდა, ვერ იმდერებ, ვერ ითამაშებ, ღვინოს ვერ დალევი, ვერ იქეიფებ?.. სანამ ახალგაზდა ვარ, მინამ მინდა ქონება, თვარს მერე ჯანდაბანს ეველაფერი! რაუდენმა კი გამომიცხადა, ერთ გროშსაც ნუღარ ელი ჩემგან...

ვასასია. რა ჭქნას, შეიღო?.. რაც ჰქვს, ეველაფერი რომ ხელში ჩაგიყაროს, შენ ხომ ერთ თვესაც არ გეუფთა და მერე შენს ცოლ-შვილს რადა ეშველება? შენი მამა-მამეული აღარა დაგრჩა-



რა და ჩვენ მაინც თუ არ ვიზრუნეთ ჩვენი შვილი-შვილები-თვის, ხომ შიმშილით დაიხცნენ?

დენტ. ყველაფერი ხელში ჩამიყაროს-მეთქი, მე არ მითქვამს; ასი და ორასი მანეთი კი რომ მომცეს ხოლმე ხანდახან, იმითი მაგის შეძლებას არაფერი მოაკლდება და მეც კმაყოფილი ვიქნები.

ვასასი. ასი და ორასი მანეთი ბევრჯერ მოუცია, შვილო, და აწინ ბევრჯერ მოგცემს, დეთის შეწევნით.

დენტ. თუ მომცემს, ჩემი გაჭირვებაც ეს არის, ჩემო ვასასი, და ვნახათ!

ვასასი. (შეშფოთებით) რა გაჭირვება, შვილო, რა იყო?

დენტ. რა იყო და ორასი მანეთისთვის კაცი ციმბირში უნდა დავიკარგო.

ვასასი. (შეშფოთებით) რას ამბობ? ციმბირში დასაკარგავი რა მოგივიდა?

დენტ. (თავს მოინაღვლიანებს) მომივიდა, დედა, მომივიდა და მეც იმიტომ ვარ მოსული, რომ დამიხსნათ ამ ხელად როგორმე. სხვამ თამასუქი გადმოიტაცა; მე ის გავასახივრე და ახლა აღმოჩნდა, რომ უაღბოა. თუ როგორმე არ მოგურიგდი იმას, ვიზებად თამასუქია შედგენილი, დამიბტკიცებს, რომ უაღბოა და დამკარგავენ. ორას მანეთს მთხოვს გარიგებაში... (ცბიერად) მეც, აი, ამატომ მოგაშურე შენ; ჩემო ვასასი, რომ ვინც კიეფარვარ და ჩემი დაკარგვა არ გაიმება.

ვასასი. (მწუხარებით) უწინამც კი დღე დამეღიოს! რას ამბობ? დაკარგვა კი არა, სულსა და გულს მიჩვევინისარ...

დენტ. (ცბიერებით) ვინც, ვინც, დედა, რომ შენს მეტი შემბრაღე არა მუავს. შენა ხარ ჩემი იმედი. ჩემი გაჭირვებაც ეს არის და შენ იცი, თუ დამიხსნი.

ვასასი. ნეტა ორასი მანეთი კი არა, ორი ათასი მომცა, რომ მე შენ არ დავიკარგო, მოგიკვდა ჩემი თავი.

დენტ. შენ, ვინც, რომ არა გაქვს, მაგრამ რაყდენტან გთხოვ შუამდგომლობას. იმას ასი და ორასი მანეთი უოველთვის ექმნება და მომიხერხე როგორმე, რომ მომცეს.

გასასი. ქნებით როგორ არა აქვს? ღვთის მოწყალება რასა
 თუმანიც უღვეს ახლა კოლოფში, მაგრამ...

დენტ. (გააწყვეტინებს) რა მაგრამ? რასი მანეთი მოაკლავს და
 მომტეს, რა უჭირს?.. ახლა დამისხნას ამ გაჭირვებიდან და
 მერე ზირობას მივცემ, რომ აღარ შევწახებ... (ხვეწით) ახა,
 ჩემო ვასასი, დამიფატურდი, თუ გიუფარდე, შენებურად! შენი
 ჭირიმიე, შენს ძუძუებს ვენაცვალე! (მოჭხვევს ხელს და აკოცებს
 ძუძუებზე).

გასასი. (აკოცებს შუბლზე) კარგი, შეილო, კარგი! ამდენი ხვეწნა
 რა საჭიროა? დედაშვილობამ ყოველ დონეს ვიხმარ, თუ გი
 რამე გამივიდა.

დენტ. (მხიარული) ოჰ, შენი ჭირიმიე, დედა, შენი, რომ ამისთანა
 კარგი რამა მუაფხარ (გადაეხვევა და კიდევ აკოცებს გულზე). ახა,
 ახლავე მოელაზარაკე, შენ გენაცვალავს შენი დენტორი!

გასასი. ახლავე წავალ და ვეცდები, დავიყოლიო როგორმე!.. შენ
 გი წადი მინამდის და ელიკოს შეურიგდი!

დენტ. (ცბიერის ღიმილით) ჩვენი ჯვარი ნუ გაქვს, დედა, მე და ის
 გამოფრიგდებით. ცოლ-ქმრის ჩხუბი სხვას მართალი ეკონაო,
 არ გაგიკონია?

გასასი. აგრე, შეილო, აგრე, თავს შემოგვეფლავს შენი სიდედრი!
 (შედის სახლში)

გამოსვლა მეექვსე

დენტ. (აღტაცებით) არა, ძალიან არ მოვიგონეთ?.. (სიჩუმე) საწყალი
 ვასასი, რა კეთილი გულის არის და რა საშინლად უეფარვარ?..
 დარწმუნებულია, რომ მართლა ციმბირში დამკარგაკენ, თუ
 რასი მანეთი ვერ მიშოფა... (სახლისკენ ხელს იშვერს და მუქა-
 რით) აა, შე ბებერო, შენა!.. სანამ არ ჩაძაღღდები, ასე გა-
 ტუუებ და მერე გი დავაჯადები ქეჩოზე შენს სიმდიდრეს და
 სულ ვარსადალავს ვიძახებ. (სიჩუმე) არა, სად იშოფა მაინც
 ამდენი ფული იმ გლახაკმა?.. რასი მანეთი გი არა, რასი
 თუმანი უღვეს კოლოფშიო. ოჰ, ერთი მიმაგნებინა იმ კოლო-



ფისთვის, რომ მე ის ცარიელზე დავსვას!.. აფსუსი რაყდენ კონიშვილს ორასი თუმანი ეწეოს კოლოფში და მე, დენტორ მარაბდიძე, ჯიბე ცარიელი დავდიოდე, მის სიძედ გადაქცეული!..

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

(ოთახი რაყდენ კონიშვილის სახლში, მარცხენა კედლის გასწვრივ ფარდა-კადაფარებული ტახტი სდგას, რომლის ერთ ბოლოშიაც დიდი სკივრია; ხოლო შუაზე აწყვია ქვეშაგები. პირდაპირ, ფანჯარასთან სდგას მაგიდა, რომელსაც უზის რაყდენი და რალაც ქალაღლებს ათვალიერებს. შემოდის ვასასი).

გამოსვლა შირველი

ვასასი. (მოკრძალებით მიუახლოვდება რაყდენს, რომელიც ყურადღებას არ აქცევს) რაყდენ!

რაყდენი. (თავ-აუღებლად) რა გინდა?

ვასასი. ცოტა საქმე მაქვს შენთან.

რაყდ. (შეზხედავს და გადაწყვეტილ) თუ დენტორისგან ხარ გამოგზავნილი, ტუეილად თავს ნუ იწუნებს! მე ვთქვი და გავათავებ, სანამ ცოცხალი ვარ, ერთ გროშსაც არ მივცემ მაგ უსინდისოს-შეთქი.

ვასასი. (დაღონებული) სხვიმის სხვა იყო, რაყდენ, და ახლა სხვაა.

რაყდ. ახლა რა არის? რაც სხვიმის იყო, ახლაც ის იქნება: საქეიფო ფულის სათხოვრად მოვიდოდა.

ვასასი. არა, რაყდენ; საქეიფოდ არ უნდა ახლა ფული. ის კი არა, კაცი აღარ არის დარდისგან: უაღბო თამასუქის შედგენა ბრალდება თურქე და, რომ თავი დააღწიოს ციშიბირში დაკარგვას, ორასი მანეთი სჭირდება.

რაყდ. რას ამბობ? (წამოაღება) დენტორს უაღბო თამასუქის შედგენა ბრალდება და ციშიბირში უშირობენ დაკარგვას? (აღტაცებით აღა-



პრობს ხელებს) გმადლობ შენ, დმერთო, რომ ამ დღეს შო-
მასწარი! (ვასასის) ჭეშმარიტად სამხარობლო გერგება, ვასასი,
ამისთანა სსსამოვნო ამბის მოტანისთვის!

ვასასი. (გაოცებული) რას ამბობ, რაჟღენ? ჭკუიდან ხომ არ შეი-
შაღე?

რაჟღ. (სახე გაბრწყინებული) კი არ შევიშაღე, ახლა მოვედი ჭკუაზე;
ახლა დავიბადე ხელახლა და ცოცხლად ვცხონდი!.. დენტორს
ციმბირში ჭკარგავენ! ოჰ, რა კარგი ამბავია, რა კარგი ამბავია!..
გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდესო, ხათჭავთია; დენტორიც
ცუდი სისხლია ჩვენ ოჯახში ჩამოთესლებული და მადლობა
დმერთს, რომ გვანთავისუფლებს მისგან, სხამ სრულიად არ
მოვეუწამლავართ!

ვასასი. (აღღვებული იწერს პირუჯვარს) დმერთო, მომკაღ, ეს რაები
მესმის?.. დმერთო, შეგცოდეთ ჩვენ ცოდვილთა და შეგვიბნდე!

რაჟღ. შენ მართლა რომ შესცოდე დმერთს, ჩემო ვასასი, და
შესცოდე მაშინ, როცა ელიკო დენტორის ცოდობაზე აკუთიანე,
მე კი სრულიადც არა ვცოდავ, როცა მიხარია ავისა და
მაგნე ადამიანის ამ ქვეყნიდან დაკარგვა!.. (გრძობით) მაშ,
გაუმარჯოს იმ კანონსა და სამართალს, რაც კანონი და სამარ-
თალი მტუყანს ამტუყნებს და დენტორისთანა ცუდი კაცისგან
ანთავისუფლებს ქვეყანას! ორას მანეთს კი არა, შეტსაც მივ-
ცემ ჩემ სიძე-ბატონს, მაგრამ მივცემ საგზლად, როცა მართლა
მიუსჯიან დაკარგვას და გზას გაუყენებენ!

ვასასი. (მეტად აღღვებული) მე შენ ვეღარ გცნობილობ, რაჟღენ...
არც მესმის შენი ღაზარაკი.

რაჟღ. (მტკიცედ) მე ვარ რაჟღენი ჭონიშვილი და ვამბობ, რომ
მიხარია, დენტორის ციმბირში დაკარგვა-მეთქი.

ვასასი. (აკანკალებულის ხმით) ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვა?

რაჟღ. (გადაწყვეტილ) სწორედ ეს არის.

ვასასი. მაშ, არ გინდა გამოიმეტო ორიოდ გროში, რომ დაიხსნა
შენი სიძე (თვლებზე ცრემლი ერევა), შენი ერთად-ერთი შვი-
ლის ქმარი და საყვარელი შვილი-შვილის მამა?

რაჟღ. არამც თუ არ მინდა მისი დახსნა, ზირიქით მზად ვარ მე ოვითონ
ვთხოვო მთავრობას, რომ შორს, შორს გადაკარგონ აქედან.



ვასასი. (თვალეხს იწმენდს) თუ ის აღარ გეტოდება, შვილს და შვილი-შვილს მაინც აღარ შეიტოდებ?

რაჟდ. ისინი რომ შეტოდება, იმიტომაც მიხარია ღენტორის დაკარგვა.

ვასასი. არა, აგრე რამ გაგიქვავა გული, რომ მახლობელთა მწუხარებას ვედარა გრძნობ და მათი ჭირი ღხინად მიგახნია?

რაჟდ. (გაჯავრებით) ჭო, კარგი, კარგი!.. შენ თუ დაწვე, კი ვედარ კათავებ?

ვასასი. (ხვეწნით) რაჟდენ, ჩემო რაჟდენ...

რაჟდ. (გააწყვეტინებს) მე ვთქვი, ვერაფინ და ვერაფერი ვერ შემადგეუვინებს ჩემს გადაწვეტილებას.

ვასასი. მე შენთვის თავის დღეში არაფერი მითხრავია... ახლა შირველად და უკანასკნელად გთხრავ, რომ მე მახუჭო ის ორასი მანეთი.

რაჟდ. არაფრის გულისთვის.

ვასასი. თუ გიუვარვარ, ან როდისმე გეუვარებივარ... (დაიხოქებს) აი, დაჩქილი გთხრავ, რომ შემისრულა ეს თხრავა.

რაჟდ. (მღელვარებით) ტეუილად იმცირებ თავს, ჩემო ვასასი!.. სჯობს, ასდგე და შენს საქმეს მიხედო.

ვასასი. არა, მე აქედან არ დავიძვრი, სხნამ თხრავას არ შემისრულებ.

რაჟდ. არ დავიძვრი და ბრძანდებოდე, სხნამ არ მოგწეინდეს აგრე უოფნა! (იღებს ქუდს და მიდის კარებისკენ).

ვასასი. (სასოწარკვეთილებით) რაჟდენ, რაჟდენ! (აღგება და მისდევს. მაგრამ რაჟდენი ყურადღებას არ მიაქცევს და გავა).

გამოსვლა მეორე

ვასასი. (გააყოლებს თვალეხს და საშინელის ხმით) ოო, შე გულქვავ, გულქვავ!.. (გამობრუნდება და დავემხოზა ტახტზე ტირილით; შემოდინ ღენტორი და ელიკო).

გამოსვლა შესამე

ღენტ. (მივა ეასასისთან) რა ამბავი, დედა?

გასასი. (აღგება და თვალების წმენდით) რადა რა ამბავი, შვილო? უარით გამომისტუმრა; ვერაფრით ვერ დავიუოლიე, ისე გაკერზდა.

ღენტ. (დაღონებული) მაშ, როგორ სჯობია?.. ხუ თუ ორასი მანეთისთვის უნდა დავიკარგო მაშინ, როცა ჩემ სიმამრს ორასი თუმანი უწევია კოლოფში?

ელაკო. (განკვირვებით) როგორ თუ უნდა დავიკარგო?

ღენტ. როგორ და კარგა. ორასი მანეთისათვის ციმბირში მგზავნიან, მაშაშენს კი ისე ვუყვარ მოძულეებული, რომ არ უნდა დამისხნას.

გასასი. როგორმე სხვა ნაირად უნდა ისაშუალო, შვილო. ქვეყანა დიდია. იქნება, ვინმემ გასესხოს და, როცა ღმერთი მოგცემს, გადაუხდო.

ღენტ. (უკმაყოფილოდ) მე რჩევის საკითხავად კი არ მოვსულვარ, ფულის სათხოვრად მოვედი. თუ შეგიძლიანთ, მიშოვნეთ და, თუ არა, ღმერთმა მშვიდობა მოქცეთ. გავშორდებით ერთმანეთს საუკუნოდ და ის იქნება (გაივლ-გამოივლის).

გასასი. (სიზუმის შემდეგ) აბა, რაფა იზამ ხსლად?

ღენტ. წავალ და, რასაც ღმერთი მაგონებს, იმას ვიზამ (მიდის კარებისკენ).

გასასი. (მოაძახებს) სად მიხვალ? ამაღამ მაინც დარჩი!.. სადა უნდა წახვიდე აწი, აგერ დაღამდება?

ღენტ. (გამობრუნდება და საყვედურით) რისთვის უნდა დავრჩე? გამოსათხოვარი ვახშმით ხომ არ გინდა გამიმასხინძლდეთ უკანასკნელად?.. არა, არა, ჩემ ჯალათთან ერთ ჭერ ქვეშ ვოფნა ერთ წამსაც აღარ შემიძლიან!.. მშვიდობით!..

ელაკო. (თვალეებზე ცრემლ მორთული ამოიღებს უცებ ჯიბიდან ქაღალდის ფულს და გაუშვებს) აჭა, ღენტო, ერთი თუმანია!.. აი, ესენი! (წაიძრობს თითებიდან ბეჭდებს და აძლევს) მეტი აღარა

დამჩა-რა, ფასი რომ დაედება, მისთანა. გაუიდე, ცოტა მაინც შეგიგროვდება. უბრალოდ რომ არ გადაგეყარა იმდენი ნივთი, ახლა ხომ გამოგადგებოდა, მაგრამ შენვე ხარ დამნაშავე და შენ თავს დააბრალებ.

ვასასი. (რომელიც ამდენს ხანს თავ-დანართლი იღვავ, ღრმად ჩაფიქრებული, უცებ აღებს სკივრს და იღებს იქიდან მოზრდილ კოლოფს) კარგ დროს გამახსენდა! (ღიმილით) მოიცა, ჯენტორ, შეტა მაქვს ერთი ნივთი, რომელიც კარგა ფული დირს. (ამოიღებს ჯიბიდან ვასალებს, ვალებს კოლოფს და დაიწყებს შიგ ძებნას. ძებნის დროს კოლოფში გამოჩნდება კეცა-კეცად ჩაწყობილი ქალაღის ფული).

ჯენტ. (რომელიც თავზე დასტკეროდა ვასასის, თვალს მოჰკრავს ფულს და აღტაცებით) უჭ, რატა ფული!.. ამდენს რაღას ეძებ, დედა? მოაკელი ორი ასიანი და ის იქნება! ამდენ ფულს არც კი დაეტეობა, რომ აკლია.

ვასასი. არა, შეიღო; ფული ჩემი არ არის და ვერც ერთ გროშს ვერ მოვაკლებ. ჩემი ეს არის მხოლოდ და ღმერთმა მოგახმაროს! (აძლევს ქალაღში გახვეულ ნივთს).

ჯენტ. (ვახსნის ქალაღს და სახე გაბრწყინებული) შუბლის ქინძის-თავი!.. (ასწევს ზევით) იფ, რა მშვენიერია!.. რა ძვირფასია აღმასია!.. ეს ხომ ორას მანეთზე მეტიც დირს და ამას არ სჯობია, ფული მამცე?

ვასასი. არა, შეიღო, არა!.. (ჰკეტს უცებ კოლოფს და სდებს ისევ სკივრში).

ჯენტ. (იღებს ჯიბეში ქინძისთავს) უჭ, რა უცებ დაკეტა, თითქო ეშინიან, არ წამართვასო!.. რისა კეშინიან, დედა? მართლაც ავაზაკი ხომ არა ვარ?

ვასასი. ღმერთმა გაშოროს, შეიღო! ავაზაკი რად იქნები? ავაზაკი კი არა, ჩინებული უმაწვილი ხარ, რომ ავრე გაქსუებული არ იყო და ერთს ადგილზე იყო დაბინავებული.

ჯენტ. (მზიარული) მაშ, ასე!.. მაღლობელი ვარ, რომ გადამარჩინეთ დაკარგვას!.. ახლა კი ნახვამდის! (ეთხოვება ელიკოს და ჰკოცნის; შემდეგ ვასასის აკოცებს).

გასასი. (წაღმა დააბრუნებს და ლოცავს) ღმერთი იყოს შენი შუამწე, შეიღო; უფველთვის ასე წაღმა გატაროს და აგაშოროს უფველ ხიფათს!

ელეკო. (თვალ-ცრემლიანი) კი მაგრამ, ღენტორ, მთელი შენი სიტოცხლე ასე იქით-აქეთ ხეტიალში და ვიდაც თავზე-ხელ-აღებულ ოხრებთან ქეიფში უნდა გაატარო? აღარ დაგჭვიანდები აწი?

ღენტ. (სიცილით) მაღე, მაღე დაგჭვიანდები.

გასასი. ჰო, შეიღო!.. ცოტა უნდა დაწუნარდე აწი!

ღენტ. დაწუნარდები, დედა, დაწუნარდები, შენ ნუ მომიკვდე!.. ამ საქმეს მოგრჩე! (მიღის კარებისკენ და შესდგება სკივრთან) ოჰ, იმ ფუღიანის კოლფთვის ჯაფრი კი მიმეუება თან, მაგრამ რა გაეწეობა?.. (ვასასის) ხშირ-ხშირად ნახე ხოლმე, ვასასი, თვარა თავგებმა რომ დახრან, სუმრობაა?!

გასასი. (ღიმილით) შენ მაგისი მჯაფრი ნუ გაქვს, თავგები იქ ვერ მიუღენ.

ღენტ. (ხელს ჩაიქნევს) ოი, მაგათი ღდინი კი რა იქნა, მაგათი, რომ იმისთანას ჩაუვარდებიან ხელში, ვისაც მოხმარების შნო არა აქვს!.. (გაღის).

გამოსვლა მეოთხე

ელეკო. (სირუმის შემდეგ) იცი, დედა, მე დარწმუნებული ვარ, რომ სულ ტუეილია უაღბი ვექსილის ამბავი და არაფერი მაგისთანა სჭირს. უველაფერი იმიტომ მოიკნა, რომ ფული დაეტუეუბინა.

გასასი. (დაღონებული) რა ვიცი, შეიღო, ტუეილია, თუ მართალი. ჩვენ ბედობაზე კი აღარაფერი გაუშვა და...

ელეკო. ჰო და... ასი თუმნის ნივთები აქვს წადებული ჩემგან კარდა ფუღისა მაგ უსინიღისოს, მაგას.

გასასი. რა გაეწეობა, შეიღო?.. მე და შენ განსამართლებელი ჰირი აღარა გვაქვს და ორივე უნდა გაგზუდეთ!.. (ნაღვლიანის ღი-



მილით) შენც სუ და მეც სუა, ხომ გაგიგონია, თვინა რამ ვუსაუვედურათ, ვის უნდა ვუსაუვედურათ?! ჩვენვე ვართ დამნაშავე, რომ ავევით გუფს და არ დაუფკრეთ რაჟდენს და აწი რადა გვეტქმის? (შემოდის რაჟდენი; ვასასი და ელიკო, თითქო დანაშაულში დაიჭირესო, რაჟდენის დანახვაზე შეკრთებიან და თავს დახრიან).

გამოსვლა მესხეთე

რაჟდ. (დაცინვითი ღიმილით) რა ჭქენით, გაისტუმრეთ ძვირფასი სტუმარი?.. (სიხუმე) საგზაო კვერები რომ ვერ გამოუცხვეთ, კი ვერ მოგივიდათ კარგად, მაგრამ არაფერია, ოღონდ ის საცემბირთად გამზადონ და მერეც მოვესწრებით საგზადის გაგზავნას!.. (გაივლ-გამოივლის; ვასასი და ელიკო ისევ ისე თავდახრილნი დგანან).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მესამე

(ოთახი თავად კოტეს სახლში. ერთგან სდგას ტახტი, რომლის წინაც არის მაგიდა. შემოდის ბიკი და შემოაქვს ანთებული ლამპა; უკან მოჰყვებიან თავადი კოტე, ბიქტორი და ვარდენი).

გამოსვლა პირველი

კოტე. (ბიკს) აბა, წადი და მოგვიტანე მალე ღვინო და ხური, მწვანელი და ყველიც გვიშოვე სადმე!.. თუ ვინმე მიკითხოს, შინ არ არის-თქო, უთხარი. (ბიკი გადის).

გამოსვლა მეორე

კოტე. აბა, დაჟქით, ემაწვილებო! (ყველანი სხდებიან) ახლა მომივევით, როგორ იმგზავრეთ ამ ხელად? ხომ ცუდი არა შეგემთხვათ-რას?

ბიჭტოძე. ჩინებულად ვიმტკიცებ, კნიაზო, ჩინებულად. ისევე ვიარეთ მთელი ეს გზა, რომ ერთი უსიამოვნებაც კი არსად შეგვეხვედრია.

კოტე. მაინც, მაინც, თუ გიუფარდე!

ბიჭტ. შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, მშვენიერად გავათავოთ საქმე. აქედან რომ გადავბიჯოთ, გზაზე ერთი ცხენი ავწაზნეთ კიდევ და გათენებადის ვარდენისას გადავვლით; შეიძლება დღეს იქ დაფიქსურეთ და, დაღამდა თუ არა, გაუფრთხილეთ გზას. იმ დამეს კაი ძალი გზა გავიარეთ. მესამე დღეს ტუეში გავატარეთ; დაღამდა თუა არა, ისევ გაწვიეთ და გათენებადის, თქვენ შეგობარ გუდავურთან გავჩნდით. იმან დიდის აზრით მიგვიდოდა: მიუფანილი ცხენები მაშინვე გაგვასადებინა და ძალიან ზატივიც გვცა. ორ დღეს ვჭეიფობდით მის სახლში; შერე ორი მშვენიერი უბარდოელი ცხენი გამოგვატანა და გამოგვიშვა.

ვარდენი. თითო ოცდაათი თუმანი ფული დიკს, კნიაზო, თვარა ხვალ თქვენის თვალთ ნახავთ.

კოტე. ამაღამაც შევატყე, რომ ჩინებულნი ცხენებია. (შემოდის ბიჭი და შემოაქვს სასმელ-საჭემელი).

გამოსვლა მესამე

ბიჭი. (კოტეს) ბატონო, თავადი დენტორი კიასლათ, მავრამ შინ არ არის-თქვა ვუთხარო: თუ მიბრძანებთ, მოვეწევი და დაგაბრუნებ.

კოტე. დააბრუნე, დააბრუნე, დენტორი ჩვენია! (ბიჭი გადის.)

გამოსვლა მეოთხე

ბიჭტ. ვინ დენტორია?

კოტე. მარაბდიძე. ვერ იცნობ?

ბიჭტ. (ჩაიკინებს) როგორ ვერ ვიცნობ? ამხანაგია ჩემი. მეოთხე კლასიდან ერთად გამოგვატდეს. ძალიან სათლელი დუმა აბა ის არის, აი!.. რამდენჯერ გვიქეიფნია მისი ხარჯით, ვინ იცის?

გარდენი. ისეუ ისე აქვს შეძლება, თუ შემოელა?

კოტე. თავისი ადარა აქვს-რა, მაგრამ სიმამრი ჭყავს ძალიან მდი-
დარი და თითო-ორილა გრემს დასტუეებს ხოლმე ხანდახან.
ახლაც იქიდან მოდის ალბად. ამ ბოლო დროს ადარაფერს
აძლევის ის კრიყანგი და დღეს მე მივეცი ერთი რჩევა. ვნახოთ,
გასჭრა, თუ არა? (შემოდის ლენტორი).

გამოსვლა მესუთე

კოტე. (მიეგებება) გამარჯვებული მოდისარ, თუ დამარცხებული.

ლენტ. არც გამარჯვებული ვარ და არც დამარცხებული. (შეჭხედავს
ბიქტორს და ვარდენს) ოჰ, ესენიც აქ ყოფილან? (მიესალმება
ორივეს).

ბიქტ. აქა ვართ, მაშ.

კოტე. შენდა გვაკლდი, ჩემო ლენტორ, და მოდი და ეგ არის...
ახა, ემაწვილებო, დაბრძანდი! თითო ჭიქა ღვინო დაუდიოთ!
(ასხამს ღვინოს; ყველანი შემოუხსდებიან სუფრას) დმერთმა გაგი-
მარჯვოსთ!.. ლენტორ, მრავალ კაის შეესწარი!.. (სვამს ღვი-
ნოს; სხვებიც დაღევენ).

ლენტ. შენ სასარგებლოდ-თქვა, დაუმატე, თვარა მრავალ კაის რომ
შევესწრო, თუ მე ვერაფერს გამოვრჩები, რად მიხდა?

გარდ. სწორედ მართაფს ამბობს.

კოტე. (ხელახლავ ასხამს ღვინოს) აგრე იუოს! დმერთმა მრავალ
კაის შეგვასწროს, რომ ჩვენი სასარგებლო ყოფილიყოს (სვამს,
სხვებიც დაღევენ). მაშ, არაფერი მოგცა, ლენტორ, შენმა სი-
მამრმა, თუ ერთობ ცოტათი გამოგისტუმრა?

ლენტ. იმან არაფერი მომცა, მაგრამ მე მაინც ვიშოვე ჩემი: სამა-
სი მანეთის ნივთები გამომატანეს ჩემმა სიდედრმა და ცოლმა.

ბიქტ. აქვს კი ფული სახლში შენს სიმამრს?

ლენტ. როგორ არა აქვს?.. სულ კენტ-კენტად უწევია კოლოფში; მე
თვითონ ვნახე ჩემის თვალთ, როცა ჩემი სიდედრი ნივთს
ეძებდა.

ბიქტ. მაინც რამდენი ექნება?

დენტ. ჩემმა სიდედრმა სთქვა, ორასი თუმანია, მაგრამ მე მგონია, მეტი უნდა იყოს, რადგან ამდენი იდგა, აი, (ხელებს აკეთებს) სულ ასიანები.

ბიქტ. (აღტაცებით) ბიჭოს!.. ეს სახუმაროც აღარ უფიქრა.

გარდ. ორასი თუმანი!.. (თავის ქნევით) კაი საშოვარი, თუ გინდათ, აბა ეს არის!

კოტე. ჭო, და!.. ცხენის ქურდობას კი არა გავს. მიდი კაცმა, თუ სიმარჯვე გაქვს, და წარმოიდე ის კოლოფი. მორჩა და გათავდა.

ბიქტ. ორასი თუმანი, ორასი თუმანი!.. ეს ხომ მთელი სიმდიდრეა! (ვარდენს) მადი, ვარდენ, წავიდეთ ამაღამ და წავართვათ იმ ბებერს ის ფული!

გარდ. წავიდეთ, მე მზად ვარ.

კოტე. (ღიმილით) ოჰ, ჯერ ერთი საქმე არ გავითავებიათ, შეორეს იწყებთ? (დაახამს ლენოსს) ამფერუმ, ამფერუმ თქვენს ვაჟ-კაცობას!.. (იღებს ბიჭოს) თქვენი სადღეგრძელო იყოს, უმაწვილებო! დმერთმა გაგიმარჯოსთ უფელ საქმეში და აკაშოროსთ ხიფათს! ალაგერდს შენთანა ვარ, დენტორ... დადიე თუ გივარდე და მიდღეგრძელებე ეს ჩემი ამხანაგები და შეკობრები!

დენტ. (რომელიც ფიქრში იყო წარსული, დაღონებით) თქვენი სადღეგრძელო იყოს, უმაწვილებო! (სვამს).

კოტე. მაშ, მზად ხარ, ვარდენ, თუნდ ახლავე წახვიდე დენტორის სიმამრისს, ა?

გარდ. მზად ვარ, შენ ნუ მამიკვდე, კინაზო!.. აბა, რა დამიშლის ხელს? (ბიქტორს) წავიდეთ, ბიქტორ, რადა!

ბიქტ. მარტო ჩვენ სად წავალთ, რომ გზა არ ვიცი და კვადი? (შეზხედავს ლენტორს) დენტორიც რომ წამოვიდოდეს, მაშინ სხვა არის. (დენტორი ამ ლაპარაკის დროს თავდახრილია და ეტყობა ლელავს).

კოტე. წამოვა, რატომ არ წამოვა?.. (დენტორს) ცოდვა არ არის, დენტორ, შენ სიმამრს ორასი თუმანი ეწეოს კოლოფში და შენთვის არაფერი ემეტებოდეს?.. ტყუილად დაამცირე, მაშ,



თავი მამიშენის შვილმა და ჭონიშვილის ქალი ცოლად შეირთო, თუ ფულს მაინც, როგორც გინდოდა, ისე ვერ იშოვიდი? ღენტ. (მლელვარებით) რა ვქნა, ხომ ვერ მოგვლავ ცოცხალ ადამიანს და სხვა არაფერი გამოვიდა.

კოტე. მოგვლას ვინ გეუბნება, თუმცა არც იმით წახდება რაში, რაჟღენ ჭონიშვილი რომ ცოცხალი აღარ იყოს. სხვა ნაირადც მოველება საქმეს.

ღენტ. (ათრთოლებული) რანაირად?

ბიქტ. რანაირად და გეუბნებით, წავიდეთ ახლავე და წამოვიდეთ ის ფულიანი კოლოფი.

კოტე. მშვენიერი აზრია.

ბიქტ. ამაზე ადვილი რა არის? (ღენტორს) ჰუ, რას დაფიქრებულხარ? წავიდეთ! თუ გეშინიან, ოდნოდ გზა გავსწავლე და ისიც გვითხარი, სად არის ფულიანი კოლოფი, დანარჩენი მე და ვარდენმა ვიცით (ვარდენს) არა, ვარდენ?

ვარდ. ჰო, და, ხელად მოვაკვანახებთ საქმეს.

კოტე. (უსხამს ღვინოს) როგორ დადგინდი, ღენტორ?... დალიე და გულიდან დარდიც გადაგეურება!... (აიღებს ჭიქას) შენი სადღეგრძელო იყოს! ღმერთმა მადე შეგვასწროს იმ დღეს, რომ თავისუფლად ავადე რაჟღენის ქონებას და არხეინად ატარებდე დროს ძმა-ბიჭებთან ქეიფში! ალაჟერდი, ბიქტორ!

ბიქტ. იასში ოფ, კნაზო!.. ღმერთმა გადღეგრძელოს, ღენტორ, და ყოველი შენი სურვილი შეგისრულოს!

ვარდ. ღენტორ, შენი სადღეგრძელო იყოს! ეს კი არ არის კარგი, რომ ამდენს უფიქრობ და დროს ტუეილად გვაკარგვინებ. (ღენტორი მეტად აღელვებული დაღვეს ღვინოს და თავს დახრის).

ბიქტ. მე ვაჟკაცი მეგონე, ჩემო ღენტორ, და შენ კი მხდალი ყოფილხარ!.. ამდენს რას ფიქრობ? თუ წამოხვალ, რასაც ვიშოვით, ნახევარი შენი იყოს საკუთრად, მეტი რადა გინდა?..

კოტე. (ცბიერის ღიმილით) ასე თუმანი?.. უჰ, რა ფულია, რა ფული!.. (ღენტორს) გაბედე, ღენტორ, გაბედე!.. ამისთანა შემთხვევას კაცი გაუშვებს ხელიდან? მე, თუ შეითხავ, ეს დანაშაულად არც კი ჩაითვლება, რადგან შენი არ არის ეველათური,

რაც შენს სიმაჰმრს აქვს?.. რამდენი ხანია ვფარ-დაწერილი ხარ და ჯერ საიმისო არა იცი-რა მისგან.

ბიჭტ. ჰო, და, შხითევი არ გინდა, მაშ? (ლენტორი საშინლად ლელავს და ებრძვის თავის თავს).

გარდ. (ვესლიანად) ეეჰ, კარგია ერთი, თავი დამანებეთ, თვარა შევიცი, აწი ტირილსაც დაიწეებს და ბოეშეით აზღუქუნდება! ეკ მზა-მზარეულის ხარჯვაში ეოფილა მარჯვე, თვარა შოვის შნა არა ჰქონია. ეკ რომ მართლა ვაჟკაცი იუოს, ჩვენ კი არ უნდა ვეხვეწებოდეთ, თვითონ უნდა გვეუბნებოდეს, წამოდით, მომეხმარეთ, მეც მაშევიეთ და თქვენც იშევეთ.

ბიჭტ. ახლა, ეველა ხომ შენსავით თავზე ხელაღებული არ იქნება? ეტეობა ჩხვილი გული აქვს და ასე ადვილად ვერავის გაიმეტებს.

გარდ. ჩხვილი გული თუ აქვს, ქალი ეოფილა და ბარემ ღებჩიც დაიხუროს თავზე! ვაჟკაცის ქუდს რად ატარებს?

კოტე. კარგი, კარგი, ემაწვილებო! არც მაგრეა საქმე, თქვენ რომ გკონიათ. ჯერ ეს ღვინო დაუღიოთ და დმერთია მოწეაღე! (ასხამს ღვინოს).

ბიჭტ. დმერთმა გადღეგრძელოს, კნიაზო, შენი თავი ნუ მოგვიშაღოს! (სვამს).

გარდ. დმერთმა გაცოცხლოს, კნიაზ კოტე, და, როგორც შენ გინდა, ისე გამეოფოს! (სვამს).

კოტე. (ლენტორს, რომელიც მაგიდას დამხობია, ღრმა თიქრებშია წასული) შენ რას შერები, დენტორ, ჩემ სადღეგრძელოს არ დალეგ?

დენტ. (აიღებს თავს და აკანკალებულის ხმით) დმერთმა გადღეგრძელოს! (სვამს).

კოტე. (მიუახლოვდება და მხარზე ხელს დაადებს) არა, მართლა რომ ტეულიად ეოემანობ, დენტორ, შენ ნუ მომიკვდე! საშიში აქ სრულიად არაიერია: შენ გცოდნია, სად არის შენახული კოლოფი; მისვალთ ლამაზად და წამოიღებთ, ძალას არც კი იხმართ... ალბად, ძაღლები გინობენ და არც კი შემოგიეფენ...

გარდ. ძაღლებს დანახვისათხავე დახვრტო.

კოტე. სამზარეულოს კარებს გარედან გადაკეტო, რომ ბიჭები არ გამოვიდნენ და რაჟღენი და ქალები ხომ არ გაკაწივეენ წინა-ადმდეგობას?

ბიჭტ. ძნელი სრულიადაც არაფერია და ხვალ დიღას კი ასი თუშანი ექნება ჯიბეში გამოკრული; წავიდეს ქუთაისს და იქეითოს!

კოტე. აა, დენტორ, რას იტყვი? წავიდეთ და სულ ვარხადად ვიძახოთ! რა ხანია მანტ ქუთაისში არა უფილხარ? ამას წინად მეუბნებოდნენ ემაწვილები, რას შერები, ჩვენ გვეგონა, რა კი ჭონიშვილის ქაღს შეირთავდა, სულ აქ იქნებოდა და ის კი, ერთი წელიწადია აკერ, აღარ გაჭაჭანებულა. (ღენ-ტორს სახე ემანკება, და მწარედ ამოიხრებს).

გარდ. (წამოდგება ზეზე) შენი შტერია, ჩვენ მაგას ვერაფერი შევასმინათ! მიაუარე კედელს ცერცვი, რა გაახერებს ზედ. (ბიჭ-ტორს) წამო, ბიჭტორ, უმაგისოდაც მოვასერებთ ყველაფერს!.. რაჟღენის სოფელში ერთი მეგობარი კაცი მუყს; მისისას მივიდეთ და ის გვასწავდის სახლის გარემობას. სხვას ხომ ჩვენც შევიძლებთ, დენტორი კი დაჟდეს და ჩვენს მატელი, როცა ჩვენ მაგისი სიმამრის ფულებით ჯიბეებს გავივსებთ.

დენტ. (აღწოთებული შეჰხედავს ვარდენს) თქვენ მარტო როგორ წახვალთ? იქნება გგონია, რომ თავის ნებით მოგცემთ რაჟღენი ფულს. თავს შეგაკლავთ და იმას კი არ დაგანებებთ.

გარდ. შეგაკლავს და მაგის დარღსაც გავუძლებთ.

ბიჭტ. იმიტომაც გეუბნებით, დენტორ, რომ შენ თვითონ წამოხვიდე; მაშინ სულ ადვილად მოერჩებით საქმეს, რადგან ჩვენ რაჟღენს და ქალებს დავადგებით თავზე, რომ არ გაინძრენ, შენ კი კოლოფს ისვედრებ და მოკურცხლავთ!

კოტე. მშენიერი სიტყვას, დენტორ! შენ თვითონ წადი, სჯობია, ფულსაც იშოვი და საქმეც მშვიდობიანად გათავდება.

დენტ. (საშინლად აღეღვებული წამოდგება და აკანკალებულის ხმით) კარგი, წავიდეთ!

კოტე. (თვითონაც ადგება და მხარზე ხელს დაჰკრავს) უჩადა, უჩადა, დენტორ, რომ იმედი არ გამოცრუე და ვაჟაკობა დაამტკიცე!.. აი, ჩემი ჩოხა და ებაღახი წაიდე, თვარა შენ გასუნებულ



ჩხასში გინობენ (ჩამოიღებს კედლიდან ჩოხას და ყაბალახს და აძლევს. ლენტორი ალღევებული იძრობს ჩოხას და იცვამს კოტუნას).

ვაზდ. მაშ, ნუღარ ვიგვიანებთ! წავიდეთ, სანამ გუნება არ შესცვლია და უკან არ დაუსვია.

ბიჭტ. წავიდეთ, ძვირფას დროს ტუეილად ნუღარ ვეკარგავთ.

კოტე. (ჭიქით ხელში) თითოც გამარჯვებისა დავლით, ემაწვიებო!.. (აძლევს ყველას ჭიქებს) დმერთმა ხელი მოგიმართოთ!.. (სვამს; სხვებიც დალევენ) რასაკვირველია, იქიდან ჰირდაზირ აქ მოხვალთ და აქ გადაწვივით, შემდეგში როგორ მოვიქცეთ.

ბიჭტ. აქ მოვალთ, აქ!.. აქ გაგიყოფთ, რასაც ვიშოვით.

კოტე. (ლენტორს, რომელიც ერთობ შეწუხებულია) მარჯვედ იყავი, ღენტორ! ფიქრი ნუ გაქვს, უველაფერი ჩინებულად მოხდება.

ღენტ. (ძლივს ამბობს) რა ვიცი, გული მიწუხს როგორღაც და არ მიმწევს.

ვაზდ. გეშინიან და ეგ არის!

ბიჭტ. გული იმიტომ გიწუხს, რომ ცხელა ოთახში. გავიდეთ გარეთ, თუ მაშინვე არ მოგეშვას? (აღებს კარებს და ხელს ჰკიდებს ღენტორს. ღენტორი უნდომრად მიჰყვება).

ვაზდ. (მიმავალი კოტეს) აწი რომ კიდევ დაიწოას უკემანი, მე და ჩემმა დმერთმა, ჩემის ხელით მოგვკლავ (გაღიან სამივე).

გამოსვლა მეექვსე

კოტე. (გააყოლებს თვალებს გასულებს და აღტაცებით) არა, ჩემისთანა ტუეილია!.. გაკეთდება რაშე, მეც მიდევს წილი, წახდება და „моя хата сь краю, ничего не знаю“, რუსებისა არ იყოს!..

მოქმედება მეოთხე.

(პირველი მოქმედების სცენა. ბნელი ღამეა. აივანი, რომელზედაც სხედან რაჟდენი, ვასასი და ელიკო, ოდნავ განათებულია ფანჯარაზე მდგარ ღამით. შემოდის ბიჭი).

გამოსვლა პირველი

ბიჭი. (რაჟდენს) ბატონო, ჩვენი ძაღლები არსად სჩანან.

ვასასი. (შეშინებული) რაგორ არსად სჩანან, რა იქნენ?

ელიკო. ვახშამი რომ გავათავოთ, აქ იუვნენ და ასე უცებ სად გაქრებოდნენ!

ვასასი. (აღშფოთებული გადაადგება მოაჯირს და იძახის...) მურა, ეურშა, მურა, ეურშა...

ბიჭი. არა, ბატონო, არსად არიან, მთელი ეზო შემოვიარე, მაგრამ ვერსად ვნახე.

ვასასი. (პირჯვარს იწერს) დმერთო, შენ დაგვიფარე უოველ განსად-დელისკანი... (რაჟდენს) რაჟდენ, ეს კაი ამბავი არ არის ჩვენს თავზე.

რაჟდენი. (თუმცა თითონაც შფოთავს მაგრამ თავს იმაგრებს) რაგორ შეშინდი, დედაკაცო, არა გრცხვენინან? რა გუფოთ, რომ ძაღლები არ არიან. სადმე ლემს მიაგნებდნენ და შეჩებოდნენ, ან იქნება, რამე ნადირის კვალი ნახეს და იმას გაჭევენ.

ვასასი. არა, არა... სხვიმის ეზოდან ფეხი არ გადაუდგამთ. აქ რაღაც ცუდი ამბავია: ალბათ, დახოცა ვინმე.

რაჟდენი. დახოცა კი არა... შენ უოველთვის ახირებული რამე უნდა სთქვას! (ბიჭს) წადი, ბიჭო, ერთხელ კიდევ შემოუარე ეზოს, სასიმიინდე და ბედედი დაათვალიერე, დაუკეტავი არ იუოს, და დაწვევი! ფრთხილათ კი იუავი: თუ რამე ხმაურობა გაიგონო, კარში გამოიხედე ხოლმე. (ბიჭი გადის).

გამოსვლა მეორე

გასასი. (პირველს იწერს) ღმერთო, შენ დაგვიხსენი; წმინდა გიორგი, ძლევა მოსიღო, შენ იუაფი ჩვენი შემწე!... (რაჟდენს) რაჟდენ, ეს სახუმრო საქმე არ არის: ალბათ, თავს დასხმა უნდათ ამაღამ და იმიტომ დაგვიხოცეს ძაღლები.

რაჟდენი. (გაჯავრებით) კაია, კაია... ვინ უნდა დაგვეხსნას? დენტორი თუ მოვა, რომ ძალით წაგვართვას, რაც ნებით არ მივეცდი, თვარა სხვა არავინ მოვა უახლად ჩვენთან.

გასასი. უი, ღმერთო მომკალი, რას ამბობ?

ელაიკო. რავა, მამა? მართლა ავასაკად მიგანჩნია დენტორი?

რაჟდენი. რა ვქნა, შეიღო? დენტორი არც ერთ ავასაკს არ ჩამოუგარდებს და მისგან უგელაფურს უნდა მოელოდეს კაცი.

ელაიკო. (თვალეზე ცრემლები ერევა) ამისთანა სიტოცხლეს სიკვდილი როგორ არა სჯობია? (შედის თვალების წმენდით სახლში).

გამოსვლა მესამე

რაჟდენი. ახლა გვიან-დაა ტირილი!.. მაშინ უნდა გეფიქრა იმასზე, თუ ვის მიუგებოდი, როცა გადარეული იუაფი იმ არამზადათი. (ვასასის) წადი, ქვეშსაკები გამოიტანე და დამიგე!

გასასი. არა, რაჟდენ, ამაღამ აქ ნუ დაწეები, ოთახში წამოდი და კარები და ფანჯარები კარგად დაგკეტოთ. გული რადაც საშინლად მიშფოთავს. იქნება, მართლა მოვიდეს ვინმე.

რაჟდენი. მოვა და დავხვდები: ერთი და ორი ვერაფურს დამაკლებს და, თუ მართლა მთელი ბრბო დაგვესმის, კარ-ფანჯარებიც ვერ გვიმატივებენ. წადი, წადი, ქვეშსაკები გამოიტანე.

გასასი. (ხვეწით) შენი ჭირიმე, ჩემო რაჟდენ...

რაჟდენი. (გულმოსული) კიდეგ და კიდეგ!... რას ჩამაცვიდი, ქაღო... თუ მარტო ეოფნის გეშინიან, ელაიკო დაწეინე შენთან.

გასასი. ჩემო რაჟდენ, ჩემო!...



რაჟდენი. უჰ, უჰ!... შენ თუ დაიწვე, კი ვეღარ გაათავებ...
 მე სიმინდის მოსახარად მოდის ალბად და, გარეთ რომ და-
 მინახავს, ვეღარ მობედავს... წადა, გამომიტანე ქვეშსაგები!
 ვასასი. რა! კაცისას არ გაიკონებ და ეფეულთვის შენს ჭკუაზე
 უნდა იარო. (შედის სახლში).

გამოსვლა მეოთხე

რაჟდენი. (დაცინვით) შენს ჭკუაზე თუ გავიარე აბა, ბევრსაც მო-
 ვიგებ. მამა-ჩემს აქვს ცხენება, თქვენც რომ ჩემს ჭკუაზე
 გეგლოთ და თქვენსას არ აჭეოლოდით, ის გერჩიათ. (გაივლ-
 გამოივლის აივანზე, შემოდის ვასასი ქვეშსაგებით ხელში).

გამოსვლა მეხუთე

ვასასი. (გაშლის ტახტზე ქვეშსაგებს და საყვედურით) რა იქნებოდა, ეს
 დამე ოთახში დაწოდილიყავი!... (აღაპურობს ხელებს) ღმერთო,
 შენ დაგვიფარე!... (შედის სახლში).

გამოსვლა მეექვსე

რაჟდენი. (რამოდენიმე ხანს დაღის ჩაფიქრებული; შემდეგ გაჩერდება შუა
 ადგილზე და მლეღვარებით) არა, კაცმა რომ სთქვას, მართლა
 რომ საფიქრებელია ძაღლების ასე უცებური დაკარგვა!... ალ-
 ბად, მართლა დახოცა ვინმე, თვარა სად გაქრებოდნენ ორივე
 ერთად?... (სიხუმე) წავიდე, დავათვალიერო, ხომ საეჭვო არა-
 ფერია?... (ჩადის კიბეზე და მიდის ჭიშკრისკენ; რამოდენიმე ხანს
 მიდი-მოდის ეზოში და ათვალეერებს მიდამოს; შემდეგ აღის აივან-
 ზე და ჯდება ტახტზე). თუ ღმერთს გაწირული არა ვეფაროთ,
 თითონ ქიარიმაც რომ დაგვეცეს, მაინც ვერაფერს დაგვაკლებს
 და, თუნდა ციხეშიაც რომ ვიყოთ, მაინც ვერაფერი გვიშვე-
 ლის! (იხსნის ქამარ-ხანჯლს და იწყობს გვერდით; იღებს ჩექმის ყე-

ლიდან რევოლუციის და იღებს თავით; შემდეგ იხდის ჩონჩხს და მტკიცედ
 მებს და ახალუხის ამარა მიწვება; თან პირჯვარს იწერს) დემოკრატო,
 შენ გაკვირებენ ხვალინდელი დილა მშვიდობით! წმინდა რაყ-
 დენ, შენ იუაგ ჩვენი მფარველი!... (დახუტავს თვალებს; რამო-
 დენიმე ხანს სრული სიჩუმეა; მერე მოისმის რაღაც ხმა და რაედენი
 წამოიწვეს და სულ განაბული ისმენს, მაგრამ ხმაურობა შეწყდება
 და ისიც ისევ დაწვება. ახლა კარგა ხანს გრძელდება სიჩუმე; რაყ-
 დენი დამშვიდებით სუნთქავს; ეტყობა, რომ ტბილს ძილშია. უცებ
 მოისმის ჭიშკრის გაღების ხმა და ცოტას ხანს შემდეგ გამოჩნდებიან
 ყაბალანში გახვეულები: ღენტორი, ვარდენი და ბიქტორი. ისინი
 ფხაკრეფით მოუახლოვდებიან აივანს და შედგებიან).

გამოსვლა მეშვიდე

ბიქტორი. (ჩუჩხულით) აბა, ღენტორ, წადი და სამზარეულოს გა-
 რები გადაჭკეტე კარედან. ჩვენ აქ მოვიცდით!

ღენტორი. (მიდის სამზარეულოსკენ და ცოტას ხანს შემდეგ ისევ ბრუნ-
 დება).

ბიქტორი. აბა, ახლა ნელა-ნელა შევიდეთ აივანზე! (მიდის წინ და
 ისინიც უკან მისდევენ თითო-თითოდ).

ვარდენი. (დაინახავს რაედენს) ჩუ, აკერ ვიდაცა წევს!

ღენტორი. ჩემი სიმამრია.

ბიქტორი. ძალიან კარგად არის საქმე: მე ამას დავადგები თავზე,
 რომ არ გაინძრეს, თქვენ კი შეხვალთ სახლში. ვარდენ, შენ
 ქალებს შეაშინებ რაგორმე და გაახერებ, რომ ხმა არ ამოი-
 დონ, ღენტორი კი კოლოფს იხვედრებს და გავიქცევით.

ღენტორი. ჩემი ცოლი უკანა ოთახში წევს, წინა ოთახში კი სა-
 დაც ფუღია, მარტო ჩემი სიდედრია.

ბიქტორი. კიდევ უკეთესი! ვარდენი იმას დავადგება თავზე და შენ
 თავისუფლად შეგეძლება კოლოფის მოძებნა და წამოდება. მას
 საქმეს შევუდგეთ! (ამოიღებს ხანჯალს. მიეპარება მძინარე რაყ-
 დენს და თავსე დაადგება; ვარდენი და ღენტორი სახლში შევლენ).

გამოსვლა შერგე

ჩაუდენი. (გაშმაშურდება, გაახელს თვალებს და შემკრთალი) ვინა ხარ? ბიქტორი. (ხურჩულით) ხმა არ ამოიღო, თვარა გაგათავე! (მოიპარჯვებს ხელში ხანჯალს).

ჩაუდენი. (შეშინებული) ვინა ხარ, შე წყულო? (უნდა წამოიწიოს).
ბიქტორი. (ხურჩულით) არ გაინძრე, თვარა სულს გაგაცხებინებ.

ჩაუდენი. მაშ, ეს იყო? წაიღეთ, წაიღეთ ყველაფერი, ოღონდ ჩვენს დაგვხრეთ!

ბიქტორი. თქვენ რად უნდა დაგვხრეთ? ჩვენ შენი ფულები გვინდა; შენი სინჯიღე შენვე გქონდეს.

ჩაუდენი. (ზევით შეიხედავს) შენი მოცემულია, დმერთო, და შენვე მიიღე ყველაფერი, ოღონდ ცოცხლები გადაგვარჩინე ამ კშმაკის კერძებს!

ბიქტორი. კარგია, ბევრს ნუ უბედაბ! თუ ღოცვა გინდა, გულში იღოცე; დმერთი მაინც გაიგონებს. (რამოდენიმე ხანს სრული სინჯიღე; მერე მოისმის ვასასის შეკვივლება; ჩაუდენი გაიწევს, მაგრამ ბიქტორი გააჩერებს) არ გაინძრე, თვარა ახლავე საუკუნოდ გაგაშეშებ!

ჩაუდ. (მეტად აღელვებულია და შიშისაგან კანკალებს; ოთახიდან მოისმის ხმაურობა და ვასასის ხმა).

ვასასის ხმა. დენტორ, დენტორ, შენა ხარ გიცანი!.. არა გრცხვინან, რომ გასაგლეჯად გაგვიმეტე და ავაზაკები დაგვა...

განდენის ხმა. იცანი და ესეც შენი (მოისმის ხანჯლის გაწკრივლების ხმა) წადი ახლა და ილაშაკე, რამდენიც გინდა, იმ სოფელში!

ვასასის ხმა. მომკლეს, ჩაუ... (კიდევ მოისმის ხანჯლის გაწკრივლების ხმა და ვასასის ხმა შეწყდება).

ჩაუდ. (საშინელის ხმით) მოჭკლეს, მოჭკლეს იმ ურჯულოებმა! (გაიქცევა ოთახისკენ) დენტორ, შე შეჩვენებულო, შენა ხარ განა?

ბიქტ. (კისერში ხელს წაავლებს) განუმდი-მეთქი!

ჩაუდ. როგორ გაგნუმდე? (დაუწყებს ბრძოლას).

ბიქტორი. არ განუმდე და ძალათი გაგანუმე! (ჩაჭკრავს გულში ხანჯალს).

რად. (გულზე ხელს წაივლებს და წაიქევა) დმერთი იეოს აქვნი
 განმკითხველი!.. დენტორ, დმერთმა მოგკითხოს ამისი სმა-
 გიერო!

ბიქტ. აღარ მოჭკვდები?.. (კიდევ ჩაჰკრავს ხანჯალს; რაედენი კვდება;
 ოთახიდან გამოდის ვარდენი ფულიანი კოლოფით ხელში).

გამოსვლა მეცხრა

ბიქტ. ეგ კოლოფია?.. მოტყუებული არ ვიეოთ? (სწმენდს ხანჯალს)
ვარდ. არა... ეს არის.

ბიქტ. დენტორი რადას უცდას, რომ ვედარ გამოეტია კარებში?
ვარდ. რა ვიცი, წამოვას, აბა რას იზამს? მაგრამ იუნდაც არ წა-
 მოვიდეს, ჩვენ რა?

ბიქტ. აჰ, რას ამბობ? მისი აქ დატოვება როგორ შეიძლება? ვინ
 იცის, რა არ მოუვა კაცს თავში? რომ გაგვცეს, ხომ ჩამო-
 გვარჩევს?

ვარდ. მართლა, მართლა! მისი ჭკუიდან ეველაფერს უნდა მოე-
 ჯოდეს კაცი! (შეიხედავს ოთახში) დენტორ, დენტორ!.. გაო-
 ცებით) დენტორ, რას შერება, ხომ არ გადაირიე?

ბიქტ. რა იეო, რას აკეთებს? (მივა კარებთან).

ვარდ. დამსობია შკვდარს თავზე და ქვითინებს.

ბიქტ. (შეშინებული) რას ამბობ? შედი მალე და გამოათრიე! (შედიან
 ორივე ოთახში; ოთახიდან მოისმის ხმაურობა და ცოტა ხანს შე-
 მდეგ გამოვლენ ბიქტორი და ვარდენი და გამოათრევენ დენტორს,
 რომელიც გამოეშვება ხელიდან, დაეგდება ძირს და სტირის).

გამოსვლა მათე

ბიქტორი. (წაჰკრავს ფეხს დენტორს) რას შერები, შე რჯას დაქცე-
 ულთ? ხომ არ გინდა, დაგვანეთდეს თავზე და დავიდობოთ?...
 ადექი მალე! (ჰკიდებს ხელს და უნდა ააყენოს, მაგრამ დენტორი
 არ ნებდება) გადირია სწორედ, ეს მამა ოხრის შეილი!

ვანდენი. ხომ გითხარი, ვაჟკაცს არაფერი უკავს-მეთქი?... რაღას აზირობ ახლას?

ბიქტორი. (გაბრაზებული) ღენტორ, ადექი მალე და წავიდეთ, თვარს არ ვიცი, არა! სისხლი ეუღში მოვიდა... (წაჭკრავს, რაც ძალი და ღონე აქვს, ფეხს და ჰკიდებს ხელს).

ღენტორი. (წამოიწევეს და ტირილით) რა გინდათ, რა, ჩემგან... რატომ აღარ დამეხსნებოთ, თქვე ვაზაკებო, კაცის მკვლელებო?... თქვე უღმერთებო, სულსა და გულს აღამიანს ვერჩიე და ჩემ წინ ქათამივით გამოვადრეთ კისერი... აღარ მატირებთ მაინც...

ბიქტორი. (ხმა მოტყობილებით) ღენტორ, აქ სასუმრო საქმე არ არის!... თუ ახლავე არ წამოსულხარ, გათენება მოგვისწრებს, დაგვინახავს ვინმე და უკვლას ჩამოაჩნობა მოგველის!

ღენტორი. (გულ-აჩქაროლებული) ჩამოსარჩობები არა ვართ შერე?... წადით, თავი დამანებეთ! დეე, ჩამომარჩონ, სასიცოცხლო ხირო მაინც აღარა მაქვს ამ საქმის ჩამდენს! (ოთახიდან ხმაურობა მოისმის).

ვანდენი. ვიღაც დადის ოთახში, დავიდუბეთ!

ბიქტორი. ღენტორ, წამოდი, თვარა შენი აქ ცოცხლად გაშვება არ შეგვიძლია!

ვანდენი. (დაუმიზნებს რევოლვერს) ღენტორ, ხომ ჭხედავ? ან ჩვენი ამხანაგობა და ან სიკვდილი! აირჩიე, რომელიც გინდა!

ღენტორი. (გრძობით) ოჰ, მომკალით!... თქვენ ამხანაგობას, თქვენთან ყოფნას სიკვდილი მირჩევნია. მე თქვენთან ვერ წამოვალ... (ხმაურობა ძლიერდება ოთახში).

ვანდენი. ვედარ წამოხვალ და დარჩი!... (ცხვის რევოლვერს პირდაპირ თავში; ღენტორი გავორდება მკვდარი).

ბიქტორი. მოკვდა ეგ უბედური და ჩვენ მაინც თავს ვუშველთ! (სწრაფად ჩაირბენენ კიბეს და გაიქცევიან; ამ დროს კარებთან მოდგება სანთლით ხელში შეშინებული ელიკო და გაშტერებული იხედება იქით-აქეთ).

დასრულებული

ფ ა რ დ ა



ჩუმი ღარაჯობა

სერბიული მოთხრობა

იაქშიჩისა

I

მდინარე ტეისის მარჯვენა მხარეს, კიკინედსა და მელენ-
ცას შუა ეხლაც არის ორი სერბიული სოფელი ვ. და კ. პირ-
ველი მათგანი კერძო პირს ეკუთვნის, მეორე კი კიკინედის
სასამართლოს. გარეგანი შეხედულობით ორივე ეს სოფელი ერთ-
ნაირ სურათს წარმოადგენდა; სულ სუფთად, თეთრად შეღესილ
პატარა ერთ სართულიან სახლებს შეიცავდა, მხოლოდ ზოკი-
ერთა შეძლებულ პირების სახლები კი სხვა-და-სხვა ფერად იყვნენ
შეღებილი. აქა-იქ სახლის კედლებზედ დიდი აღისფერი ასოე-
ბით პატრონის გვარი და სახელი იყო წარწერილი, ხანდახან
სახლის აშენების წელიწადიც იყო აღნიშნული. კ—ში, უმათვ-
რეს ქუჩის ბოლოში, გამეღელი უსათუოდ დაინახავდა პატა-
რა სუფთა სახლს, რომელსაც დღესაც კარგად ატყვია ძველე-
ბური ზედ-წარწერა: სახლი ესე დააქციეს უნგრებმა 1848 წელს,
ხელმეორედ აშენებულ იქმნა 1852 წელს. ამ წარწერის ცოტა
ზემოდ, თითქმის სახურავის ძირში, მუჭის სიმსხო ასოები: „მარკო
ლაკოვიჩი“ მოჩანდა. ეს უშველებელი და ბედშავი ასოები,
რლმლებსაც კარგა შორიდან დაინახავდა ადამიანი, მაღლიდან
როგორღაც მრისხანედ გადმოიყურებოდნენ. რა იყო ამის მი-
ზეზი? არა მგონია, აგახსნასთ ვინმემ. საკმარისია იძის თქმაც,
რომ ყველა მარკოს პატივსა-სცემდა, ზოგს მისი კიდევაც ეში-

ნოდა, თუმცა მარკოს მთელს თავის სიცოცხლეში არამც თუ ბოროტება არავისთვის უქნია, არამედ გულშიაც არ გაუფლია. თვით გულკეთილი მოხუცი, სოფლის მღვდელი მამა იოანე, ჩვეულებრივად თავის გახუნებულსა და გაცვეთილს ქუდს ინდიდა, როდესაც მარკოს სახლს გაუფლიდა, ხანდახან კი დადგებოდა და დიდ ხანს მეგობრულის თავაზიანობით მარკოს სალამს აძლევდა, თანაც სხვა-და-სხვა საგნებზედ ბაასს ჩამოუგდებდა ხოლმე.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, ძვირფასო მარკო. როგორა ბრძანდები? — ჰკითხავდა ხოლმე ის და გაიღიმებდა: — თქვენი არ ვიცი და მე კი ასე მგონია, რომ წელს კარგი მოსავალი უნდა იქნეს. პურს ეხლა კარგი გასავალი აქვს... იმედი მაქვს, რომ ქორწილებიც ბლომად იქნება... ღმერთი მოწყალეა!

— იქნება, მამაო, იქნება. — დაღვრემილის სახით წაილულ-ლულებდა ხოლმე მარკო და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატებდა: — თუ ღმერთმა ინება, ყოველივე ბლომად გვექნება, მხოლოდ, მგონია, ერთი რამე კი აროდეს არ გვექნეს!

— ვიცი, ვიცი, რაზედაც ჰფიქრობთ! — უპასუხებდა მოძღვარი; ის ცოტა დაიბნეოდა და სახეზედ ეტყობოდა, რომ ბაასის სხვა საგანზედ გადატანა ძალიან ჰსურდა, — ვიცი თქვენი გულის წადილი, მაგრამ რას იზამ?... ყველას სურვილი ეგ არის... მაგრამ გარემოება კი იცით... როგორია? ასე რომ...

მოძღვარს ამგვარს პასუხზედ მარკო ჩვეულებრივის დაცინვის კილოთი ეტყოდა: ღმერთმა ჯანმრთელად გამყოფოს, მამაო, და თავის სახლისკენ გასწევდა. განცვიფრებული მოძღვარი შეშინებულ თვალებს გააყოლებდა ხოლმე უკან და წაიბუტბუტებდა:

— ეჰ, ეს მარკო კეთილ საქმეს თავის დღეში არ განიზრახავს; მის გულის ვერც მღვდელი, ვერც მნათე, და ვერც ბატონი მასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს. ერთხელ, მთვრალმა გიგო-დალაქმა ასწია ჭიქას და მთელი თავისი თანამოძმეების სადღეგრძელო დალია. მაშინ ჩვენს ბებერს სახე კმაყოფილებით გაუბრწყინდა, ზეზედ წამოხტა და აი თუნდა ეხლაც... კიდევ

რა მითხრა: ყოველივე გვექნება, მხოლოდ ერთი რამე კი სოდესო! ვიცი, რაზედაც ფიქრობს! მას სწყურია, მას უყვარს თავისუფლება!... ხა, ხა, ხა! დეე, გული მოიოხოს, ამ ჭკუით შორს ვერ წავა!

მოხუც მარკოს გარეგნობასა და ხასიათს რაღაც გასაოცარი და ჯიუტი სიმკაცრე ეტყობოდა. პირისახე უნაკლო, მაგრამ ულაზათო ჰქონდა, შუბლი მაღალი და ჩოფურა. ახოვანი ტანის იყო, მაგრამ ხმელ-ხმელი, მოუხეშელი, თუმცა მხნე და ღონიერი, ასე რომ მთელი მისი აგებულება რაღაცა მაგარ ფოლადს წარმოადგენდა. ის ძვირად ლაპარაკობდა და, თუ დაილაპარაკებდა, მხოლოდ მკათიოდ, გარჩევით, მოკლედ და მარტივად და არა ისე, როგორც იქცევიან ჩვენი სოფლელები, რომლებიც ადამსა და ევასაც კი არ დასტოვებენ, მარტო თავის ბებიაზედ ან მამიდაზედ რომ უნდოდეთ ლაპარაკი. მარკოს მეტად კეთილი გული ჰქონდა. სოფელში თუ მათხოვარი მოვიდოდა, ის თავის დღეში არ გააგდებდა მას, არამედ უთუოდ დაასაჩუქრებდა, რა სარწმუნოებისა და რა ტომისაც უნდა ყოფილიყო მათხოვარი. ასე გასინჯეთ, მადიარსაც კი არ გააგდებდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ სახლი მადიარებმა დაუქციეს. ხან და ხან ცივ ზამთრის საღამოს მისი სახლის წინ მათხოვარი მადიარი გაივლიდა ხოლმე. მარკო დანახვისათნავე შინ შემოიყვანდა და თავის სახლში ღამეს გაათევინებდა.

მადიარის ძალი სიცივეში გაიყინებო, იტყოდა ხოლმე მარკო; მათხოვარს აქმევდა, ასმევდა, ქვეშ-საგებს მისცემდა, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ეტყოდა; დილაზედ პურის ნატეხს მისცემდა და ცოტაოდენ არაყს დააღეფინებდა. მადიარი მადლობის გადასახდელად კრძალვით ხმას ამოიღებდა, მაგრამ მარკო არც კი შეხედავდა და სიტყვას გააწყვეტინებდა: „გზა მშვიდობისა“, ან „ნახვამდის“-ო. ვინც მარკოს დაახლოვებით იცნობდა, ის არ დაიჯერებს, რომ იგი ამ სიტყვებს წრფელის გულით ამბობდა: მარკოს არ შეეძლო მადიარისათვის მშვიდობის მგზავრობა მოენდომებია, იმ მადიარისათვის, რომელიც მისი სამშობლო მიწის მჩაგვრელი იყო. მარკოს ამ გვარი საქციელი

ვერავის ვერ აეხსნა. ამიტომაც იმის შესახებ უმზგავსი ჭორები შეთხზეს. სოფელში სულ ამას გაიძახოდნენ, მარკო ლაკოვიჩის სახლში ფარსავი არა ხდება-რაო; მისი მეზობელი მოხუცი ქალები ფიცულობდნენ, მარკოს სახლში ღამ-ღამე მისთანა საშინელი ვაიფავლახი და რახუნი ისმის, თითქო ცხენის მთელი ჯოგი დარბოდესო... მათ ერთხელ შუალამისას მარკოს სახლში და ზესხვანში სანთლის შუქი შეამჩნიეს. ჯერ იფიქრეს, ცეცხლი გასჩენიაო, მაგრამ შუქი უცებ გაქრა, რამაც ისინი საშინლად გააკვირვა. ძვირფასი მარკო კი ზესხვანიდან ფეხ-აკრფფით კიბეზე ჩამოვიდა. ხელში რაღაც ტვირთი ეჭირა. არც ერთ ქალს არ შეეძლო მისი თქმა, თუ რა იყო ეს ტვირთი; მიბარვა, დაზვერვა და ყურის დაგდება კი არამც თუ ქალებმა, კაცებმაც ვერ გაბედეს. მარკო მართლა ჩამოვიდა ზესხვანიდან ძირს, თავისი ტვირთი ბუხრის გვერდით დადო და ნაბადი გადაათარა; თითონ მოუჯდა სუფრას, რომელზედაც ანთებული კვარი ორ მოვახშმეს, მარკოსა და მის ერთ შვილს ტანოს, ანათებდა.

ტანო იყო მალალი ტანის ყმაწვილი, გამოცხადებული მამა, როგორც გარეგნობით, ისე სულიერისა და ფიზიკურის თვისებებით. მამისაგან მხოლოდ სიყმაწვილითა და სინორჩით განირჩეოდა. დიად მხატვარს, დროდ წოდებულს, ჯერ მის სახეზე ვერ დაემჩნია ის სიმედგრის ნაკვთიერება, რომელშიაც უდრეკი ხასიათი და ღირსეული სულის კვეთება გამოსჭვირს.

— ტანო, — მიუბრუნდა შვილს მოხუცი ბოხის ხმით: — სახურავქვეშ იყო მიმალული... ჩეჩქში.

ტანოს თეალები აენტო; ალბად, მამის სიტყვებმა ძალიან გაახარა; მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— ხვალ კარგად მოვილაპარაკოთ! — განაგრძო მარკომ: — ეხლა კი წადი, დაისვენე. შენ დღეს ბევრი საქმე გააკეთე; ხვალ კიდევ შორი გზისათვის უნდა მოემზადო!

• • • • •
 აი ყოველივე, რაც მოხუცმა ქალებმა იმ ღამეს ლაკოვიჩითა შესახებ გაიგეს. ისინი ამას ერთმანეთს ფარულად ეუბნებოდნენ და თან თავის მოსაზრებას უმატებდნენ. ყოველივე

ნახული მათ ოცნებას შესაზარად, იღუმალად და ძალიან სა-
 ექვოდ წარმოუდგა.

ყველა მათგანი თავის ქნევით ამბობდა: „ღმერთო, შეგცო-
 დე, და ეს ბებერი ეშმაკი რაღაც ბოროტ საქმეს აპირობს! იმის
 გამოისობით უბედურობას კი არ წავატყდეთო...“

II

მეორე დღეს მოხუცი ლაკოვიჩი და ტანო პატარა სუფ-
 თა ოთახში ისხდნენ. ორივე ფიქრებს მისცემოდნენ. მოხუცი
 მარკო თავის მეუღლის მაროს შემოსვლამ გამოაფხიზლა; მა-
 როს მოეტანა შაშხის ნაჭერი, პური და ცოტა არაყი წითელი
 ჭიქით.

— აი ამით დანაყრდით, — დაიწყო მარომ, — ხუმრობა ხომ
 არ არის, გენაცვალეთ, მთელი წარსული კვირა მოხარული
 გემოდ არ გვინახავს. ჩვენს ნაყოფიერს ბანატსაც*) ცუდი დრო
 დაუდგა... მართლა რომ ეხლა ვერ გაარჩევ, როდის არის უქ-
 მე და როდის საქმის დღე? იწვალე დილიდან საღამომდე და...
 რა გამოდის? — მისი მოწყენილი და დაღვრემილი სახე ამტკი-
 ცებდა, რომ ეს სიტყვები მის გულის სიღრმიდან ამოდოდნენ,
 რომ მას თვისი საწყალი, დაღიწყებული ერი ეცოდებოდა...
 ერთბაშად სახე გაუბრწყინდა... გაიღიმა: — ღმერმა მოჰკითხოს
 იმათ, არაფერია! ქილაში ცოტაოდენი ერბო კიდევ არის. დღეს
 ნამდვილ საბატონო სადილს მოვამზადებ; მეავე წვენს შევკაზ-
 მავ, ხაჭაპურებს გავაკეთებ, მგონია, ტანოს უყვარს, მერე ქა-
 დას გამოვაცხოვ. შენთვის, მარკო, მარანში ცოტაოდენი ღვი-
 ნოც მოიძებნება. რამდენი ხანია, რაც შენ მხიარული აღარ
 დამინახავხარ!

— მარო, ინდოური დაკალი, კარგად შეწვი და შიგნეუ-
 ლი ცალკე მოამზადე. — უთხრა მარკომ თავის ცოლს და თვა-
 ლები მიაპყრო.

მარომ განცვიფრებით შეხედა მარკოს:

*) ოლქი ან მარა.



— რას ამბობ, მარკო! ასე არ მითხარი, ინდოური საღმრთო სასწაულოდ გაასუქეო!... თუ მაინცა და მაინც აღარ იშლი, ორი იხვია, იმათ შევწვაე!...

— ინდოური შეწვი! — ხმა-ამაღლებით განუმეორა მარკომ.

მარომ ერთხელ კიდევ შეხედა განცვიფრებით და გატრი-აღდა. მარკომ თავისდა უნებურად არაყის ჭურჭლისაკენ გაი-შვირა ხელი, სამიოდეჯერ მოსვა და ტანოს გადასცა:

— ჰა, ტანო, პატარა მოჯანიანი!... სადაც შენ ღვთის შემწეობით წასვლას აპირობ, არა მგონია, იქ ამისთანა არაყი იშოვნო! ჩვენ ხომ ღარიბადა ვართ, ტანო, მაგრამ ისინი ჩვენ-ზე უფრო ღარიბადა და საწყლად სცხოვრობენ! რა ვქნათ!... შიმშილი ყველგან ერთია: სახლშიაც და კარშიაც; ტანჯვა ყველგან ტანჯვად რჩება, მაგრამ უცხო ქვეყანაში უფრო აუ-ტანელია, ვიდრე თვის სამშობლოში.

ტანო გაჩუმებული იყო; მას ბევრი ლაპარაკი არსად არ უყვარდა, მეტადრე საყვარელ მამასთან, რომელსაც უზომოდ პატივსა სცემდა. გარდა ამისა, სოფლელები საზოგადოდ უფ-როსებთან გულ-ჩახვეული არიან და ლაქლაქი ისე არა აქვთ ძვალსა და რბილში გამჯდარი, როგორც ქალაქში მცხოვრებ-ლებს. მან მხოლოდ თვალი გადაავლო ბუხრის წინ დადებულ ტვირთს, რომელიც წინა ღამეს მისმა მამამ ზესხვანიდან ჩამო-იტანა და ნაბადში მიდვა. მისი დანახვით რაღაც კმაყოფილე-ბის გრძობით ივსებოდა ტანოს გული და ეს გრძობა მის დიდრონ გიშერივით შავ თვალებს ცხადად გამოჰკიაფობდა.

— ეს ძალიან კარგი, ტანო, შენი სურვილი მომწონს, — განაგრძო მოხუცმა: — მართლს გეტყვი: ერთ დროს მეც ვი-ბრძოდი ავსტრიელებისა და უნგრების წინააღმდეგ, როდესაც მათ საეკლესიო წიგნები დაგვიწვეს და მღვდლები ჩამოგვიხრ-ჩეს. ჩვენ ამგვარმა ძალმომრეობამ მეტად გავვაცეცხლა; ძმუ-რად მოვკიდეთ იარაღს ხელი და ფიცი დავდეთ, მამულის და-საცველად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გვებრძოლა. ტყუი-ლად ცდილობდნენ ჩონჩიჩი და კანჯელიჩი დეკანოზთან ერთად მშვიდობიანობის ჩამოგდებას, ჩვენ მატყუერების სახლები და-

წვით; ბევრი კაციც დავხოცეთ.—ასე, ჩემო ტანო!... ასე, ჩემო ძვირფასო!—სთქვა წყნარად ბიძია მარკომ და მის ამტკივნეულ გულიდან ღრმა კვნესა აღმოხდა.

— მამა-ჩემო, განა ეხლა კი უკეთეს მდგომარეობაში ვართ? განა ავსტრიელები უკანასკნელ ლუკმას არ გვაცლიან პირიდან? განა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში იასაულ-მამასახლისები ხალხს არა ჰყვლეფავენ? ღმერთო ჩემო! იქ კიდევ რა არა ხდება! იქ უფრო შემადრწუნებელი და შესაზარი ამბებია! როცა მიხა გაზეთსა კითხულობს, გული სისხლით შევსება! ზოგი რავის ნაპირზედ კვდება შიმშილით; სხვებს გაბრაზებული ოსმალები საკუთარს სახლებში ყვლებს ჰლადრავენ. ოხ, ღმერთო ჩემო!... მანა-ჩემო! ფიცი დავდევი, ჰერცოგოვინას წავიდე, თუნდა ამის წერაც ვიყო! არ მინდა, რომ ფლიდი მაღიარი გაიძახოდეს: ეს რაცები იმდენად დაეცნენ, რომ თავისი სისხლიც კი დაივიწყესო... არა! ამას თავის დღეში ვერ ეღირსებინ, სანამ ჩემს ძარღვებში სერბის სისხლი სდუღს!... ერთ ღამეს მაინც ჩემ სიცოცხლეში ჰერცოგოვინის მთებში „ჩუმ სადარაჯოზედ“ გავატარებ ისე, როგორც შენ შეასრულე სამსახური 1849 წელს ბასკის მინდორზე.

უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე მოხუცს სახე მოექმუხნა, მაგრამ შვილის საპასუხოდ ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს.

— მამა-ჩემო, შენ ხომ დამპირდი და უნდა მომყოლოდი, როგორ შეასრულე შენი სამსახური „ჩუმ სადარაჯოზედ“! თუ ღვთის ნება იქნება, შეიძლება, ბოსნიის ან ჰერცოგოვინის მთებში მეც დავდვა ჩემი თავი სწორეთ ჩუმ სადარაჯოზედ; ასე რომ შენი საიდუმლოს გაგება არასოდეს აღარ მეღირსება!“

მარკომ დაკვირვებით შეხედა შვილს და ჩუმად წარმოთქვა:

— არის, შვილო, ნისთანა საგნები, რომლების მოგონებაც გულისა ჰკლავს და სისხლს ძარღვებში ჰყინავეს; მაგრამ, თუ მაინცა და მაინც ვაეკაცური საქმის აღსრულებამდე ჩემი ამბის მოსმენა გსურს, შენს კანონიერ სურვილს დავაკმაყოფი-

ლებ და ვეცდები ყოველივე მოვიგონო, რაც მაშინ ჩემმა გულმა გამოსცა და დაიდულა.

III

„მადიარების აჯანყებამდე ტეისის მეორე მხარეს არაოდეს არ ვყოფილვარ, — ასე დაიწყო მარკომ თავისი ამბავი, — რადგანაც საქმე არაფერი მქონია. ბევრ ჩვენი მხრის ალაგებში ვყოფილვარ, მაგრამ დანარჩენი ქვეყნიერების შესახებ არა ვიცოდი—რა, ან უკეთ რომ ვთქვა, მხოლოდ ის ვიცოდი, რაც სხვისაგან გამეგონა.

იმ სანახსოვრო დღეს ვიხილე ჩვენი მამაცი სრემელები, შუამადიელები, შავმთიელები... მათ დანახვაზედ გულმა მხიარულად ცემა დამიწყო!... ვიგრძენი, რომ მეც მაღალი ალაგი მექირა; ვიგრძენ, რომ დიდ სლოვიანთ ტომის და არა მარტო სერბიის ერის შვილი ვიყავი. ამ გვარი სასიხარულო გრძნობა ადამიანს მისსავე თვალში მალლა აყენებს!...

— სადღაა სამართალი, ვფიქრობდი, — რომ ამისთანა დიდი და სახელოვანი ხალხის შვილი რაღაც მადიართა მუდოების მონა იყოს?!...

მაგრამ მარტო მე კი არ ვფიქრობდი ასე: მთელი ჩვენი მხარე ამ ჯვარის აზრისა იყო და არაერთარ ადამიანს, არაერთარ ძალას არ შეეძლო, ჩვენსა და ჩვენს მჩაგვრელ-მტარვალთა შორის ეს ბრძოლა მოესპო. დიდი და სახელოვანი წინაპრების იარაღი ჯერ კიდევ ჩვენ ძველ სასამართლოში ელაგა... შევამტვრიეთ მისი რკინის კარები, იარაღი გაეინაწილეთ და თავის ნებით სახელოვანი „კიკინეთის ჯარი“ შევადგინეთ. ეს იყო საგანგებო ჯარი, რომელშიაც მთელი ჩვენი ახალგაზდობა ერია. მგონია, თვით ნაპოლეონ ბონაპარტეც კი თავს მოიხრიდა ამ ჯარის წინაშე. მეფის გაწვრთნილი ჯარის კაცები ჩვენთან სად მოვიდოდნენ?! — ერთი ბეწო მაზარიანი ტიკინები. უსულო და უგულო ხალხი, რომელსაც დიდი ხანია, გულის ცემა შესწყვეტდა! — ამ ნაირი ხალხი, შევიძლია რამდენიმე

გროშით მოისყიდო!... როდესაც მათ მოუხეშელი უფროსი დაუკნაელებს, მხარ მარჯვნივო, გაშეშებულნი მარჯვნივ მოტრიალდებიან, როდესაც გაისმის, მარცხნივო, მაშინ ჭრელი ტიკინა მარცხნივ მოტრიალდება, თუმცა არც კი ესმის, რატომ ან რისთვის სჩადის ამას?

ჩვენი საქმე კი სულ სხვა იყო! ბელადად მაიორი ლაზიჩი გეყავდა. ღმერთო, რა კაცი იყო! მაღალი, წარმოსადგეი, ხმელხმელი, მხარ-ბეჭიანი და ძარღვების სიმძლავრით ნამდვილი გმირთა გმარი!... მის გარუჯულ სახეს ეტყობოდა, რომ მას ნახევარი სიცოცხლე ცას ქვეშ გაეტარებინა და სახაზინო დაწესებულებაში მელნის მღვრევას არ მონდომია.

ამოიძრობდა ხმაღს და მეომართა წყობას გადაჰხედავდა, ასე გეგონებოდა, ყველა თავისი არწივის შეხედულებით უნდა განგმიროსო! თუ რომ მტერი ახლოს იქნებოდა, მამაცი ბელადი ერთს შემოგვძახებდა: აბა, მომყევით გმირებოვო! ეს იყო მთელი მისი მეცნიერება და ჩვენც ეს უფრო ზედმიწევნით გვქონდა შესწავლილი, ვიდრე ჩვენს დეკანოზს მოსეს მცნება... მისი ცხენი გრიგალივით ყოველთვის წინ მიჰქროდა მტრისაკენ. ბელადი კარგად გვიცნობდა და ძვირადაც აფასებდა ჩვენს სისხლს, რომელსაც ის სიწმიდედ სთვლიდა. ჩვენ კი მას ვალმერთებდით და ამითი თავი მოსწონდა.

მარკომ სული მოიბრუნა ზე გულ-მოდგინედ მსმენელ შეიღს განუგრძო თავის მოთხრობა:

— ჩვენ წინ, ტანო, გადაშლილიყო მოტიტვლებული უსაზღვრო მინდორი... შორს მადიართა ჯარი მოჩანდა... ისმოდა ნალარის ხმა, ურმების ჭრიალი, ცხენთა ჭიხვინი; მხედართ ხმაურობა... შენის თვლით ჰხედავ, ურჯულონი როგორ ემზადებიან, რომ ჩვენი სამშობლო მამულისშვილთა სისხლით შეჭლებონ. ისინი ჰეტიცულობენ თავის უღირს წინაპრებს, სერბებს სულ მოვსრესთო. ამას თან მოსდევდა უშვერი ლანძღვა-გინება და მუქარა... საცოდაენი!... მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, თუ ჩვენს გულში რა გვარი წინააღმდეგობა იყო დამზადებული!... მათ დავიწყებოდათ, რომ ჩვენ სახელოვანი და მამაცი



ერის შვილი ვიყავით, რომ ჩვენ სამშობლო მიწა-წყალის საცველოდ ვაქცაყურად და შეუდრეკელოდ შეგვეძლო ბრძოლა.

ჩვენის სისხლით შეძენილს იაფად არავის დაეუთმობდით.

— აბა, ვაქცაწო, — მომყევით! ერთბაშად დაგვძახა თავზედ მამაც ბელადის მძლავრმა და მედგარმა ხმამ... „ჰკა მაგათაო!“ იყო რავდენიზე ათასი კაცის პასუხი. მტერმა უკან გაქცევა იკადრა, ზარბაზნები დავლათ დაუტოვა იმათ, ვისაც ერთ დროს ბანათის ადგილი ოსმალებისათვის წაერთვა, რომ მადიარებისათვის მიეცა! მტრის უფროსები წესიერების დაცვას ცდილობდნენ, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ. თავის ქვეშევრდომებს ლანძღავდნენ და აგინებდნენ: „ნუ თუ თქვენი უძლეველი რაზმი ერთმა მუქა სერბებმა უნდა შემუსროსო? ვისაც მადიარის სისხლი გიდულთ, შესდექით, მტერს ვაქცაყურად შეუტიეთო!“ — ჰყვიროდნენ ისინი სასოწარკვეთილების დროს, მაგრამ საზოგადო ხმაურობაში მათი ყვირილი არავის ესმოდა; ბოლოს უფროსებიც მალე შეუშინდნენ სიკვდილს, ჩვენს შეუბრალებელს ხმლებს ზურგი უჩვენეს და თავის ჯარის-კაცებს უკან გაჰყვინენ... დადგა წამი, როდესაც ჩვენ შეგვეძლო მათი ავაზაკური მოქმედებისათვის სამაგიეროს მიზღვევა. სიხარულით ფეხზედ აღარ ვიდექით: ველარავინ მოგვიკლავდა ცოლს და უმანკო ყმაწვილებს, ველარავინ გადაგვიბუგავდა სოფლებს... საზიზლარი მადიარები უკან მოუხედავად მირბოდნენ; ჰყრიდნენ თოფებს, ხმლებს, ტანისამოსს; ზოგი წალეხსაც იძრობდა, რომ უფრო ადვილად მოეკურცხლა; ზოგი მზად იყო, სულ გატიტვლებულიყო, რადგანაც სული ეტკბილებოდა და უნდოდა ეცოცხლა, რომ ბილწისა და საზიზლარის საქმების ჩადენით უფრო გამძღარიყო. მაგრამ მათი საშველი აღარსაით იყო; მათ ხომ ნაქირავები ჯარი არ მისდევდა, ან განებივრებული ბატონები და ათასფერ ზორნებით შემკული ტიკინები, არამედ გამბედავი, მძლავრი, უშიშარი და სამშობლოს მოტრფილე ხალხი მისდევდა, რომელიც სულელსა და გონება-დახშულ მადიარებს პირუტყვებზე უფრო დაქვეითებულად მიაჩნდათ!... მათ მისდევდა დაჩაგრული და გაუბედურებული სერბის შურისძიება,

ყოველგან შეუბრალებელი სიკვდილი-და მოელოდათ! მზე ჩა-
სავალზე იყო, მაგრამ მის ოქროს ფერ სხივებს ჩვეულებრივი
სიწითლე დაჰკარგოდათ, თითქო კვამლსა და მტვერს სიბნელე-
სა და ღრუბელში ემალებოდნენ. მათი მიღებული ფერი სწო-
რედ მკვდრის სახეს მოგაგონებდა, რომელიც კუბოდან საკმევ-
ლის კვამლში გამოსქვირს... ჰაერში სიჩუმე სუფევდა, სიო არ
იძროდა, რომ გოგირდისა და კვამლის სუნი გაეფანტა... ვა-
თავდა ბრძოლა... ჩვენ რამოდენიმე ხანი მტერსა ვღიეთ, შემდეგ
თავთავის აღაგას დაგბრუნდით. ბრძოლის შემდეგ ჩვენ სულ სხვა
სანახაობას წარმოვადგენდით, ვიდრე ბრძოლამდე: სახე გავგშა-
ვებოდა და მოგვექანცოდა; თითქო ყველა დამუნჯებულიყო,
არავინ ჩვენგანი ხმას არ იღებდა, მხოლოდ გაჩნდა თუ არა
ჩვენი ბელადი, ყველას ერთბაშად სახე გაუბრწყინდა და გაუ-
ცოცხლდა. „ვაშას“ ძახილმა მეხვიით დაიქექა და მკვდრებითა
და დაქრილებით დაფარული მინდორი შეარყია.

ჩვენს ბელადს სახე მოწყენილი და ფერმკრთალი ჰქონდა,
მაგრამ თვალები ცეცხლივით უელავდა და ყოველისფერში ეტ-
ყობოდა, რომ ჩვენი კმაყოფილი იყო!... აი შემოგვხვდა; სახე
სიხარულით უბრწყინდება, პირზე წყნარი ღიმილი მოსდის...

— ძმებო, მეგობრებო!...— მოგვიბრუნდა და მისი წკრია-
ლა ხმა შორს გაისმა:— სიტყვით ვერ გამომიტყვამს ის ქება და
დიდება, რომელიც დღეს ასე ღირსეულად დაიმსახურეთ! თქვენ
ნამდვილი გმირები და მამულის სასიკადაულო შვილები ყო-
ფილხართ! პირველს ბრძოლაში თქვენ დაუმტკიცეთ მათ, ვინც
პირქვე დაამხო ჩვენის სისხლით შეძენილი მამა-პაპეული უფ-
ლებანი, რომ პატიოსანი კაცის დამონება შეუძლებელია!...
თქვენ თავისუფლებისათვის გაგაჩინათ ღმერთმა და კიდევ შე-
იძინთ მას!

„ვაშას“ ძახილმა საღამოს სიჩუმე დაარღვია.

ეს იყო პირველი ბრძოლა, საყვარელო ტანო! აქ პირვე-
ლად დავინახე, როგორ იღუპება მრავალი ადამიანი. აი თავის
სამშობლოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის ძებნაში

ერთმანეთს მშვიერ ვეფხვებსავით ეცემიან და უსულგულო ჯალათსავით ერთმანეთს აკვდებიან. კაცი თავის შემადრწუნებელ ნამოქმედარს უბოლოდ ბრძოლის შემდეგ ხედავს. გულ-ნაღვლიანი გაჰყურებ მკვდრებითა და დაქრილებით მოფენილ მინდორს და იმ წამსვე გულში გაივლივ: აღამიანი გააფთრებულ ნადირზე უარესია; თამამად შეუძლიან დაიძახოს: რა არის ჩემთან შედარებით ან ვეფხვი, ან ტურა, მგელი და სხვა მხეცი?! მე ვყოფილვარ უარესი სისაძაგლით და მტარვალობით აღქურვილი არსებოა!

ამ შეტაკების შემდეგ ბრძოლა ერთმანეთს მოჰყვა. ჩვენ და ჩვენი დაუძინებელი მტერი, მადიარები, ერთმანეთს ვაკვდებოდით. ამ დროის განმავლობაში ჩვენი უფროსნი ავსტრიისა და მადიარების მთავრობას მოწყალებასავით სთხოვდნენ, ჩვენთვის კანონიერი და სისხლით მოხვეჭილი უფლება დამტკიცებინათ; ჩვენ ვითხოვდით, რომ სამსაჯულო კანონები ჩვენ ხელთ ყოფილიყო და გასამართლებაც და განაჩენიც ჩვენთვის ჩვენს სამშობლო ენაზე ყოფილიყო; ძალადობითა და სისხლით შემწიკვლულ დავთრებშიაც ყველაფერი ჩვენს ენაზე უნდა ყოფილიყო ჩაწერილი; აგრეთვე იქ უნდა აღენიშნათ, ჩვენი წვითა და დავით მონაგარ ნაშრომიდან როდის ან რამდენი აგვაფუცქენეს ავსტრიელებმა და მადიარებმა, არა-მკითხე სულთამხუთაეებმა. ჩვენ ვითხოვდით, მხედართმთავრად ჩვენივე კაცი მოეცათ, რომ მას ჩვენს ენაზე გამოეჩინებინათ, ავსტრიელთა და მადიართა ბატონობის დროს რამდენი სერბიელი მამულისშვილი დაიღუპა; რამდენ მიწა-ადგილს დაუპატრონდა უცხო გაუმადლარი გული და რამდენი ჭირნახული შეხრა მათმა თახსირმა ძალამ. ყველა ამისთანა გამოაშკარავებას უცხო ტომის საჩვენოში ბატონობისათვის ნიღაბი უნდა ჩამოეხადა და მათი აულაგმელი, სხვის ქედზედ ჯდომის მოსურნე და სუსტის დაჯახნაში გაწაფული სიხარბე თვალ-ნათლიად გამოემქლავებინა.

ჩვენ ბრმა მათხოვარს ვემზგავსებოდით, რომელიც ჯოხითა და დახეულის გუდით გამოჩენილ მდიდრის სახლში მისუ-

ლიყო. ძვირფასად ჩაცმულმა მოსამსახურეებმა უბედური მოსა-
ცი სასაცილოდ აიგდეს; სახლის პატრონმა რომ მიიღო, და-
ცინვით დაეკითხა:

— რა გინდა, მოხუცო? თუ ოქროს ითხოვ, რად გინდა,
როდესაც თვალთ არ გიჩანსო!

— ოქრო კი არ მინდა, — უბასუხა თურმე მოხუცმა, — გუ-
და გამერღვა და ვერავის გავაკერვინე. გავიგე, რომ ქალიშვი-
ლი გყოლიათ, ამიტომ გაიხელით და გთხოვთ, რომ თქვენმა
ქალმა გუდა გამიკეროს...

მაშინ გაბრაზებულმა მდიდარმა თავის მოსამსახურეები წა-
ასია საბრალო მოხუცს; შეუბრალებელმა მოსამსახურეებმაც
საცოდავ მოხუცს სული გააფრთხობინეს.

აი ეს არაკი რას ნიშნავს, შვილო: მადიარებს ზარბაზნე-
ბიცა და იარაღიც ხელთ ეპყრათ, ჩვენ კი ხელცარიელი ვიყუ-
ავით; მხოლოდ მძლავრი მკლავები გექონდა და ისეთი გული,
რომელიც მაგრად სცემდა, რადგანაც თავისუფლების სურვი-
ლით იყო გატაცებული. მათი ხაზინა სავსე იყო სახელმწიფო
ფულით, რომლითაც ისინი სხვა ქვეყნიდან მოსულ მშვიდრებს
ასაჩუქრებენ; ჩვენ კი, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში
მეფის სამფლობელოს მტრისაგან ვიცავდით, ყოველგვარ ღო-
ნისძიებით გვფლეტდნენ. — მარკომ სული მოიბრუნა და მოუყვა
შვილს შემადრწუნებელ ამბავს, რომელიც 1848 წლის აჯანყე-
ბის დროს მომხდარიყო.

— რამდენისამე ვაჟკაცური გამარჯვების შემდეგ ტეისის
მეორე მხარეს გავედით. მაშინ პირველად ვიხილე ჩვენი ვაკე ბაჩკა.
ამ ადგილის დანახვაზედ გულმა სიხარულით ტოკვა დამიწყო.
ეს ადგილიც ხომ სერბების იყო! იმაზედ იღვრებოდა და ეხ-
ლაც იღვრება ჩვენი სისხლი! იქაც გაისმოდა კენესა და ტი-
რილი, რომლის მიზეზიც ჩვენი მტარვალი მადიარები იყვნენ!
რა მშვენიერი ალაგია ეს ბაჩკა, ლარივით სწორი და თვალ-
გადუწვდენელი! ნაყოფიერობით მთელს ავსტრიაში პირველია.
გული მიკვდება, როდესაც გამახსენდება, რომ საზიზღარი მო-
სეული სტუმრები ამ მშვენიერ ალაგსაც კი ფეხებით სტყეპნიან

და, ეს-ეს არის, კიდევ გაანადგურეს! სოფელ-სოფელ მივდიოდით; ყოველგან მხოლოდ დანახშირებულ ნანგრევებს-ლა ვხედავდით. გარშემო ცოცხალ არსებას წამლად ვერ ნახავდით, მაგრამ ცეცხლი ამტკიცებდა, რომ აქ წინედ ხალხი უნდა ყოფილიყო. გაივლი, მაგალითად, იმ ალაგას, სადაც ქუჩა უნდა ყოფილიყო და ძაღლის ყეფასაც კი ვერ გაიგონებ; საითაც მიიხედავ, ყოველგან ნანგრევები-ლაა; ზოგან კაცის თავი გდია! ერთის სიტყვით, ყოველგან საშინელი განადგურების შემადრწუნებელი სურათია.

— საღამოს ჟამს ფეუგარაცს მივედით, მტრის ბრბოს აქაც გაველო; ამახ ამტკიცებდა დამწვარა სახლები, დანგრეული საყდრები, კაცის თავები... ჩვენ ღამე აქ უნდა გაგვეთია.. ასე გვიბრძანა უფროსმა, რომელიც; იმ დროს მთელი სამხრეთი მხრის და მასთან ჩვენი მბრძანებელი იყო. ჩვენ ჯარს მტრისთვის უნდა ეთვალთვალა და მთელ რაზმში მშვიდობიანობა დაეცვა. ჩვენი ჯარიდან ყველგან დარაჯები დანიშნეს, რადგანაც მახლობლად მალიარების რაზმს თვალი მოჰკრეს. ჩვენი უფროსი გერმანელ ცხენოსნებს არ ენდობოდა; მოდარაჯე ჯარი კი მძიმე სიარულისა და ბრძოლის შემდეგ განცხრომას მისცემოდა. უფროსი კარგად გვიცნობდა და ისე გვენდობოდა, როგორც თავი თავს.

— აი ამ ღამეს დამაყენეს, ტანო, „ჩუმ სადარაჯოზედ“.

მარკო გაჩუმდა, ერთბაშად მის სახეს მკედრის ფერი დაედვა, თვალებს რალაც შიში დაეტყო. მარკო ისევ მალე დამშვიდდა და ჩვეულებრივის წყნარის ხმით განაგრძო:

შუა ღამე მოტანებული იყო, მაგრამ არა ბნელოდა, მთვარის შუქი მძლავრად გამოჰკრთოდა თხელს ღრუბელში და ანათებდა საბრალო დედა-მიწას, რომელზედაც ღრმა სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ხანდან ამ სიჩუმეს არღვევდა ხმელი ფოთლების შრიალი: მათ ღამის ნიაფი აფრიალებდა. დრო-გამოშვებით ამ შრიალს, როგორც გრუხუნს, გამოვყავდი ფიქრისაგან, რომელსაც თავი მივეც მარტო ყოფნის გამო. მიაჩერდები სივრცეს და ვაფაციცებით უკვირდები გარშემო ყოველისფერს!...

გგონია, ვიღაც მოდისო... დაუგდებ ყურს, არაფერ არის. გარ-
შემო საშინელი სიჩუმე სუფევს, ღამეა... წყნარად და ღიად
სინჯავ თოფს, რადგანაც ჩუმი საღარაჯო ცხედარით დამუნ-
ჯებულია. ხმა გაკმენდილი ბოლთასა სცემ და უნებურად გულ-
ში იკრავ თოფს, ძვირფას მეგობარს ამისთანა ალაგას.

ერთბაშად რაღაც ხმაურობა შემომესმა. მივიხედ-მოვიხედე,
არაფერ არ არის! ჩემ წინ ახლო მანძილზედ შევამჩნიე ფი-
ჩხის გროვა, რომელიც როგორღაც საეჭვოდ მეჩვენა. მივედი
და ხიშტით რამდენჯერმე გადავაბრუნე. მის ქვეშ არა იყო-რა...
გაბრუნება დავაპირე, მაგრამ ამ დროს რაღასაც ფეხი მოვსდევო.
შიშით შევბტი: მომეჩვენა, თითქოს ვისმე ჩემთვის ფეხში მაგ-
რად ხელი ეტაცოს!

თუმცა ბუნებით მხდელი არ ვყოფილვარ, მაგრამ იმისთან-
ა ალაგას, ჩემო ტანო, ძალიან გამბედავ კაცსაც კი აუცახ-
ცახდება გული. თურმე ფეხი წამოვკარი ნაყარ მიწას, რომელიც
სქელი ბალახით იყო დაფარული; ამ ბალახში ფეხები გამებ-
ლანდა და ძლივს გაენთავასუფლდი. გული დავიშვიდე. ეს ალა-
გი დავათვალიერე და ახალი უჯვრო საფლავი დავინახე. იქნე-
ბა ამ ცივ და სოველ საფლავში ვისიმე ნეშტი, ვისიმე ტყვიით
დახერეტილი გული განისვენებდეს, გავივლე გულში. გარშე-
მო საარული განვაგრძე.

საფლავის ცოტა მოშორებით ტილოს ნაჭერი ვიპოვე, კი-
დეც იქით ყაითანის ნაგლეჯი, წვრილი მოვერცხლილი ღი-
ლებით აჭრელებული, რომლებსაც ბაჩკაში როგორც სერბი,
ისე მადიარც ატარებს; ავიღე ტილოს ნაჭერი და დავრწმუნდი,
რომ ის კაცის ხალათის სახელო იყო; ცხადი იყო, რომ ის
მადიარს არ ეკუთვნოდა, რადგანაც სერბული ტილო იყო და
მასთან მოქარგულიც. ვინ იცის, ვისმა მოხუცმა დედამ ან დამ
მოქსოვა და შეკერა?... და ვინ ატარებდა იმ ხალათს? მაგრამ
პატრონი კი მშიშარა არ უნდა ყოფილიყო: სახელოზედ შემ-
ხმარი სისხლი დარჩენილიყო; იმის დამდვრელებს ეს იათად არ
უნდა დასჯდომოდათ; უეჭველია, ისინი იბრძოდნენ, თორემ აქ
რა უნდოდა დახეულ სახელოს და ყაითის ნაგლეჯს?... ვინც



ამ საფლავზედ განისვენებს, ალბად იგი უკანასკნელ წამამდის ვაჟკაცურედ იბრძოდა...

მაგრამ ვინ იყო მისთანა კაცთ-მოყვარე, რომ დამარხა? ნუ თუ მტრები მადიარები? მაგრამ მადიარი სულგრძელი არ არის; ის მოწყალეა მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ ვისიმე მოწყალეობა სჭირდება. ამ მწუხარე ფიქრებიდან გამოიყვანა წყნარმა ნიაემამ, რომელმაც ტრიალ მინდვრის თვალ-გაღუწვდენელ სივრციდან დაშვრა. ღამის კეკლუცი მთვარე ცარიელ ბაჩკის მინდორს მაღლიდან მოწყენით გამოსცქეროდა. ნეტავი მას მაინც შესძლებოდა შუალამისას ნახულის მოყოლა. ერთბაშად თითქოს ფეხის ხმა შემომესმა. გავიხედე და ხუთი ადლის მოშორებით ქალი იდგა. მას ტანს უფარავდა თეთრი ტანისამოსი, რომლის მძიმე ნაოჭები მიწამდის ჩამოშვებულყო. ღამის ნიავე წყნარად არხევდა მის მშვენიერ შავ ნაწნავებს, რომლებიც მის მარმარილოსავით თეთრ შუბლს შემორტყმოდნენ. ქალი გაქვავებულსა ჰგავდა; მისი დაბრიალებული თვალები მკაცრად მომჩერებოდა და ისე ანათებდა, რომ მათ მოგონებაზედ ეხლაც თმა ყალბხედ მიდგება.

შუბლზედ ცივმა ოფლმა დამასხა და ცახცახმა ამიტანა. მსურდა მეკითხა, ვინ იყო, ან რას ეძებდა ღამეში ამ დროს, მაგრამ ენას ვერ ვანძრევდი, სუნთქვა მეხუთებოდა; გული ისე მაგრად მიძგერდა თითქოს ამოხტომას ჰლამისო.

მინდოდა მასთან მივსულიყავი, გულზე ხიშტი მიმებჯინა, მაგრამ ადგილიდან დაძვრა აღარ შემეძლო. მოჯადოვებულსავით ვიდექი და მას მივჩერებოდი. ერთბაშად მომაგონდა ყველა საშინელი თქმულეზანი, რაც კი ოდესმე გამეგონა. იქნება ჭინკაა, კუდიანი ან ქაჯი? ვფიქრობდი ჩემთვის. მუხლები მიკანკალებდა და მეკვებებოდა. ორივე ერთმანეთს დაკვირვებით შევჩერებოდი. რაოდენ ჯერმე მოვინდომე, ამ მოჩვენებისათვის თვალი მომეშორებინა, მაგრამ ვერ შევსძელი. ამ დროს თუნდა ათ გენერალს რომ ებრძანებინა, ჩემთვის აქეთ მოიხედეო, სწორეთ ვერას გზით ვერ აფასრულებდი!

ამ მდგომარეობაში ვიდეკი გაქვავებულსავეით. მთვარე თან-ვისი მომხიბლავის შუქებით მის მშვენიერს ტანს ნათელსა ჰფენდა, თითქო განგებ ჰსურდა, განსაკუთრებით განეცხოველებინა მისი სილამაზე, რომელიც ჩემს გონებაში აქამდის მაქვს ჩარჩენილი! ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი იყო!

ქალმა ერთბაშად ღრმად ამოიოხრა, ხელები მალლა გაიშვირა და შემდეგ უღონოდ დაეშვა. მადლობა ღმერთს, აჩრდილი არაყოფილა, ვიფიქრე მე. ხომ მოგვხსენებათ, აღამიანს თავის ოცნების ქმნილებისა უფრო ეშინია, ვიდრე სინამდვილის. მეც ასე მომივიდა! ამასობაში ქალმა ჩემსკენ გამოსწია. მე თოფი ავმართე. მაგრამ მაშინათვე ძირს დავუშვი: ჩუმ სადარაჯოზედ თოფს მხოლოდ მაშინ მიმართევენ ხოლმე, როდესაც დარაჯს მრავალი მტერი თავს დაესხმის; ორ აღამიანს შუა კი ამდროს ერთად-ერთი მსაჯული ხანჯალი არის. მაგრამ მისთვის ან კი რა უნდა მექნა! ეტყობოდა, რომ მტერი არ უნდა ყოფილიყო. მას თვალს არ ვაშორებდი. ჩვენ შუა ორი ან სამი ნაბიჯი-ლა იქნებოდა. მსურდა მეკითხა, ვინ იყო, ან რა უნდოდა? მაგრამ როდესაც სახეზედ დავაკვირდი, მძინარედ მეჩვენა. მას მკვდრის ფერი ედვა. მხოლოდ მისი გიშვრით შავი თვალები სიცოცხლით იყო აღსავსე. აი გაინძრა კიდევ. სქელი ნაწნავები მის სხეულს გარს მოეფინა; ფერ მკრთალ სახეზე მარგალიტით ცრემლები გადმოჰგორდა. ცოცხალია, ცოცხალი!... სიამოვნებით გავიფიქრე, თუმცა არ ვიცოდი, ან კი რა მახარებდა... მაგრამ ეს მშვენიერი არსება გულში სიბრალულს მიღვიძებდა. ყოველი მისი ნაწილი თითქოს იმას ჰმოწმობდა, რომ მეტად უბედური უნდა ყოფილიყო! საწყალი, კანკალებდა, თრთოდა, როგორც ქარიშხალში ხის ფოთოლი; როდესაც მან თვალები ზეცისკენ აღაპყრო, მხოლოდ მაშინ შევამჩნიე მათი გასაოცარი გამომეტყველება... გული თითქო მომწყდა. ასე არ დავნადელიანებულვარ არც მანამდის, არც მას შემდეგ. იმ თვალების მწუხარე და ტანჯვის გამომხატველ გამომეტყველებას ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ.

— აქ შენი ალაგი არ არის! ზარის წკრიალსავით გაისმა ლამის სიჩუმეში მისი ნაზი ხმა:

— იქით წადი! ვანა ვერა ჰხედავ, რომ საფლავზედ სდგე-ხარ? ეგ ჩემი ქმრის სამარეა! იქით წადი... ნუ თუ მიწის სიმძიმე არ ეყოფა, რომ შენც არ სტკებნო შენის უწმინდურის ფეხებით?

მე კი ადგილიდან არ ვიძროდი. მან მხეცსავით გადმოაბრიალა თვალები და აკანკალებულისა და მწუხარებით აღსავსე ხმით წარმოსთქვა:

— წყეულიც იყავ!—ეს მედგრად წარმოთქმული სიტყვები ისარივით მეცა გულში. ეს რომ ჩემთვის სხვა ალაგას ეთქვა ვისმე, სულ სხვანაირად იმოქმედებდა ჩემზე, მაგრამ მაშინ კი ეს სიტყვები ისე იყო წარმოთქმული, რომ ნაკბენივით უკან დავიხიე. ქალმა ერთი საზარლად დაიკივლა და საფლავზედ გაიშხლართა.

როდესაც გონს მოვედი, საბრალო ქალთან მივედი, რომ ზეზე წამომეყენებინა. მოვკიდე ხელი; ის არ ინძრეოდა. თავი წამოვფუჩიე... ღმერთო ჩემო! მისი გულ-მკერდი სისხლში იყო ამოსვრილი, გულის დიდი ქრილობიდან სისხლი ამოსჩუხჩუხებდა; გვერდით კი საფლავზე სისხლიანი ხანჯალი ეგდო. უბედურს თავი მოეკლა!...

ცისკარზედ შორს ვიდაც კაცს თვალი მოევარი; მხარზედ ნიჩაბი გაედო, გრძელი ნაბადი ესხა, თავზე დიდი ბუხრის ქუდი ეხურა და უბედური ჩქარის ნაბიჯით საფლავისაკენ მოეშურებოდა. ყოველისფერში ეტყობოდა, რომ ის სერბი უნდა ყოფილიყო ახლობელ სოფლისა. როდესაც მომიახლოვდა, შეჩერდა; მკვდარი ქალის დანახვაზე ის მთლად აკანკალდა; სახე შეეცვალა. პატარახანს გაშტერებული იდგა და შემდეგ ნაღვლიანად წაიდუღუნა:

— სწორედ ამას მოველოდი!

მომიტრიალდა, ქუდი მოიხადა, თავი დამიკრა და წყნარად მიიხრა:

— გამარჯვება, ძმაო!... რა გაეწყობა! ეს არის ომი!... მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, ნათესავსა და მეგობრებს საღ შეხვედები... აი, ძმაო, სასაფლაოზედ ჩემი ქალია, საფლავში კი ჩემი სიძე... გუშინ ჯვარი უნდა დაეწერათ, მაგრამ მტრის ჯარმა გაიარა და სიძის მოკვლით მხიარულება მოგვიწამლა!

მოხუცმა მწარედ გაიღიმა და შემდეგ თავისთვის დაუმატა:

— ვიცოდი, რომ ამას აქ ვნახავდი; მეტი ილაჯი არა ჰქონდა!... ეს არის ომი! გუშინ ჩემი მეგობარი მარკო შვილს უთხრიდა საფლავს და დღეს კი მე უნდა გავუთხარო სამარე ჩემს ქალს!...

მოხუცმა გადმოიღო ბარი და დაუწყა მიწას თხრა; ამ დროს გაისმა ნალარის ხმა, რომელზედაც ყველა დარაჯები უნდა მოგროვილიყვნენ.

— მშვიდობით, მოხუცო, უნდა წავიდე!— მივუბრუნდი უბედურს მოხუცს.

— მშვიდობით, შვილო!— მიპასუხა მოხუცმა და თან დაღონებული ხმით ჩუმიად დაუმატა:— ვიცოდი, რომ ჩემს ქალს მხოლოდ აქ ვიპოვიდი!

ეს იყო ჩემი პირველი ჩუმი დარაჯობა, ტანო!

IV

ლაკოვიჩთა სახლობა სადილობდა. სუფრაზე სიჩუმე სუფევდა. მოხუცი მარო ატყობდა, რომ მამა და შვილი რალაც დიად საქმისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ისევ ამჯობინა, ჯერ თავისი გამოკითხვით ისინი არ შეეწუხებინა. როდესაც მარომ შეეწვარი ინდოური მოიტანა, მარკომ უთხრა:

— მარო, ინდოური დიდ ხელსახოცში გაახვიე, ერთი მობრდილი ქადაც ჩადე და, თუ ტანოს ტანისამოსი დახეულია, ეხლავე დააკერე, ჩემო ერთგულო მარო! ტანო დღეს საღამოს შორ გზას გაუდგება!

უბედურ მაროს თვალები ცრემლებით ავესო, მაგრამ ხმა-ამოუღებლად მიბრუნდა ბუხრისაკენ, ცრემლები კაბის კალთით



მოიწმინდა, ღრმად ამოიოხრა და თავის მეუღლის ბრძანების ასასრულებლად გასწია...

მოხუცმა მარკომ სიბრალულით გააყოლა მიმავალ მაროს თვალები, შემდეგ ტანოს მიუბრუნდა და არა-ჩვეულებრივის აღერსით უთხრა:

— ომი საზარელი რამეა, ტანო!.. მაგრამ შენ ხომ შენის ნებით მიდიხარ და...

— ჩემის ნებით, რასაკვირველია, — გააწყვეტინა სიტყვა ტანომ: — ოჰ, რა რიგად მინდა იქ წასვლა! დღეს ჩვენს ძმებს გერცოგოვინელებსა და ბოსნიელებს ჩვენ უნდა ვუშველოთ, ხვალ ისინი გვიშველიან... მამა-ჩემო, ჩვენ ან ბორკილი უნდა შევიძროთ, ან გავწყდეთ... ამდენი ხანია სამშობლო დაგვი-ობლდა და მტარვალ მაშინაცვალს ჩაუვარდა ხელში, ამდენი ხანია სამშობლოს თავისუფლებისათვის ვიბრძვით და ბოლო-საც არის, ეს სანატრელი თავისუფლება უსათუოდ უნდა დავიბრუნოთ. განა ამდენი სისხლი ტყუილად დაგვიღვრია? მხარ-თეძოზედ ხომ არა ვყოფილვართ წამოწოლილი, თავისუფლე-ბისათვის ვიბრძოდით და მერე როგორ ვიბრძოდით?! ქვეყანა-ზედ იშვიათად მოიძებნება მისთანა ხალხი, რომელსაც ჩვენო-დენი ტანჯვა-წვალება ენახოს და სულით არ დაცემულიყოს, აი მაქსიმე, გაბრიელის შვილი, ყოველ დღე კითხულობს წიგ-ნებსა და გაზეთებს; ერთიცა და მეორეც მხოლოდ ამას ჰლა-დადებს: ყოველი ადამიანი და ხალხი თავისუფლებისათვის არის გაჩენილიო; ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი მმართველო-ბა, თავისი სამეფო და თავისი საკუთარი გვირგვინოსანი უნდა ჰყავდეს. განა მხოლოდ უცხო ბატონის ლუკმადა ვართ გაჩე-ნილი? ნუ თუ სამუდამო მონობაში უნდა ამოგვხვდეს სული, ცოცხლად ტყავი უნდა გვაძრონ, სამშობლო ენა დაგვიჩაგრონ, წაგვიბილწონ და უდანაშაულო ცოლშვილი შეგვიგინონ? არა, მამა-ჩემო! დეე, ყოველ ჩემს ნაბიჯს, ყოველს წამს ჩემს სიცო-ცხლეში უფრო მეტი განსაცდელი მოსდევდეს, ვიდრე შენ ერთ დროს მკვდარ ჩუმ საღარაჯოზედ დაგტეხია, მაინც წავალ ჯარში საბრძოლველად.

— ნუ თუ არ გაგიგონია, ტანო, რომ მთელს სრემიდან, ბაჩკიდან და ბანათიდან საუკეთესო ვაჟკაცები და მამულიშვილები შეიკრიბნენ და მხოლოდ ჩვენა გველიან? ღამე სერბიაში გადავლენ, იქიდან კი ჰერცოგოვანას. განა ამის შესახებ ყური არაფრისთვის მოგვიკრავს? სული ვერ მოგვისვენებს მაშინ, როდესაც ჩვენი მოძმეების სისხლი შურისძიებას ითხოვს. ერთხმად გარდავსწყვიტეთ, რომ ჩვენი თავი ჩვენს მამულს და მის თავასუფლებას ვანაცვლოთ და მსხვერპლად შევწიროთ.

— ერთი თხოვნა შემისრულე, მამა-ჩემო! — გააწყვეტინა სიტყვა ტანომ მამას; მამაცური ხმა აუკანკალდა, მის ცეცხლსავიჯა აღვზნებულს თვალებს უდრეკი გარდაწყვეტილება დაეტყო: — მომეცი შენი კაჟიანი თოფი, მტერს რომ ბრძოლაში წაართვი და მას შემდეგ აღარც მოგიშორებია. მხოლოდ ეს არის ჩემი შენდამი ერთადერთი სათხოვარი, მაჩუქე ის თოფი; გავფერავ და, როცა ის ბრიალს დაიწყებს, ჩემი სახეც მაშინ გაბრწყინდება. შენი თოფი მტრის სისხლისაგან დაჟანგდა, ჩვენ კი მეტის მონობისაგან სახე გავვიშავდა, მაგრამ ჩვენი მტრისა და საკუთარი სისხლით ამ დიდი ხნის სამარცხვინო ჟანგსაც მოვიბანთ.

— ამ თოფს, ჩემო ტანო, მე არასოდეს არ ვიშორებდი, და მის ლულას ჟანგი არ მოჰკიდებია, ნება მომეცი, დღეს, გამოსათხოვრად, ჩემი ძველი მეგობარი უკანასკნელად გავფერო; შემდეგ ბედნიერად მოვახმაროს ღმერთმა. მითი გამოცნარჩლე შენს მოძმეს და მამულსაც! მანამდის კი სოფლის მიწოდორზედ გადი, ფერხულში ჩაები და ყმაწვილებთან იმხიარულე, ვინ იცის, შეიძლება, სადაც შენ მიხვალ, იქ დროს გატარებაც სხვანაირი იცოდნენ, და მაშინ შენს მშობლიურ ფერხულს ბევრჯერ მოინატრებ! წადი, ტანო, ფრთხილად კი იყავი: არა წამოგვცდეს-რა!... ხომ იცი, საქმე დიაღია და მეტად საიდუმლოც.

—

ტანო წავიდა; მოხუცმა მარკომ ბუხრისკენ გასწია, გადახადა ნაბადი და ფრთხილად ამოიღო თოფი. ის ტვირთი, რომელიც მარკომ წუხელი ზესხვანიდან ჩამოიტანა და თავის საი-



დუმლო მოქმედებით მეზობლები შეაშინა. მარკომ აიღო
 დოქი და ძმარი ჯამზედ დაასხა; შემდეგ ცარცი დაფხვნა და
 სქელი მაუდით თოფს ფერვა დაუწყო; თან ცდილობდა, სარკ-
 მელიდან არივის დაენახა. ხანდახან ღრმად ჩაფიქრდებოდა,
 ამოიხვნეშებდა და თავის ქნევით ჩუმად დაამღერებდა ხოლმე:

ჩემო თოფო დაჟანგულო,
 ჩემო ძველო მეგობარო,
 გიხაროდეს, ჩემ მაგიერ
 უნდა ჩემს შვილს ჩაგაბარო!

დაგვიბრუნდა სანატრელი
 დრო... და ითხოვეს ჩვენს სამსახურს,
 გაუხურდი ჩემს შვილს ხელში
 ისე, როგორც გული უზურს.

გაუწიე სამსახური
 ძველებურად, მეგობარო,
 ნუ გასცდები, სანამ მტრების
 სისხლი ხარბად არ დაღვარო!

მამის ძველო მეგობარო,
 შვილსაც უნდა უმეგობრო,
 რომ ვანგებამ დაგვიბრუნოს
 სანატრელი საშვები დრო.

მოუმართე ჩემს შვილს ხელი
 სავაჟაკოდ, მეგობარო,
 რომ დაბრუნდეს და მეც მასთან
 სიხარულის ცრემლი ვღვარო.

საყდრის წინ ფერხული გაეჩაღებინათ; მერე რა ფერხუ-
 ლი! თვალი ცქერით ვერ გაძღებოდა. ჯანმრთელს, მშვენიერს,
 სიცოცხლით სავსე და ნორჩ ახალთაობას აქ მოეყარა თავი.
 გული სიხარულისაგან ტოკავს, როდესაც ყმაწვილი კაცებისა
 და ქალების მხიარულ კრებას ჰხედავ მამა-პაპურ ტანისამოსში
 გამოწყობილს, რომელიც მათ რალაც სიმშვენიერეს და სიყო-
 ჩაღეს უმატებს. ქალებს ერთად თავი მოეყარათ. იკინიან, ყმა-

წვილ კაცებს თვალს ავლებენ და თანაც დასციინან და წაივლებენ. ყმაწვილი კაცებიც ლამაზ ქალებს თავს აწონებენ და ოხუნჯობენ.

ტანო მოფერხულებს მიუახლოვდა, გადაავლო ყველას თვალი, მაგრამ თამაშში არ გარეულა... მაქსიმეს გარდა ამისათვის სხვას არავის მიუქცევია ყურადღება; ეს მაქსიმე მოხუცი მარკოს ახლო მეზობელი, ლამაზი, გამჭრიახი ჭკუის და გამბედავი ხასიათის კაცი იყო. მას წმინდა ცისფერი მაუდის ტანისამოსი ეცვა და მომეტებულადაც უხდებოდა.

— რატომ მონაწილეობას არ იღებ მხიარულობაში? — დაეკითხა ის ტანოს: — თითქოს ტასოს გარდა სხვა ქალი აღარ არის! აქ ბევრი უკეთესიც არის! — ამ სიტყვებზედ მან მიიხედ-მოიხედა და გულიანად გადიხარხარა. სხვებმაც სიცილი დაიწყეს. ამ დროს ფერხულს ტასოც მიუახლოვდა. ერთი შეხედვა საკმარისი იყო, რომ იმასა და ტანოს ერთმანეთის აზრი გაეგოთ. ორივე ფერხულში ჩაებნენ, ტანოსა და ტასოს შუა ერთი ყმაწვილი ქალი იდგა, ერთი შემოტრიალებაც ვერ მოასწრეს, რომ მათ შუა მდგომი ქალი გავიდა და ტანომა და ტასომ ერთმანეთს ხელი მაგრად ჩაჰკიდეს. ისინი თავის გრძობებს მიეცნენ და სიმღერისა და ცეკვის ჯავრი აღარა ჰქონდათ. მაქსიმე მათ გაფაციკვებით თვალს აღევნებდა; ერთი გესლიანად გაიღიმა და თავის გუნებაში სთქვა: „არაფერია!... მაინც დარწმუნებული ვარ, რომ, აღრე თუ გვიან, ჩემი იქნება“. ამის შემდეგ მაქსიმე სრულიად დამშვიდდა.

—

ფერხული ჯერ არ თავდებოდა; თუმცა სადამო მოახლოვებულიყო, მაგრამ ყმაწვილები არ იშლებოდნენ; მხოლოდ ტანო და ტასო გამოვიდნენ ფერხულიდან და სადღაც მიიმალნენ. დაანებეს თუ არა ფერხულს თავი, სხვა-და-სხვა მხარეს წავიდნენ, რომ ექვი არავის აეღო და ისეთი არა გამოეგონათ-რა, რაც ყმაწვილ ქალს სახელს უტეხს. მათ იმედი ჰქონდათ სხვა აღაგს შეხვედრისა. სოფლის მცხოვრებს ერთსა და იმავე დროს ორი თვისება აქვს: გველური ეშმაკობა და ბავ-



შური უმანკოება, — მაგრამ სხვების მოტყუებას ცდილობდა. ნამდვილად კი მხოლოდ თავის თავს ატყუებს. ტანოსა და ტასოს წასვლა მაქსიმემ შეემჩნია, მაგრამ ის თავის თავს ამ ფიქრით იმშვიდებდა: არაფერია! თუმცა ეხლა ერთად არიან, მაგრამ, ღღეს თუ ზვალ, ჩემი იქნებაო. საიდან დაებადა ამ გვარი აზრი და იმედი, ამას, მგონია, თითონაც ვერ აგიხსნიდათ. აღბათ თავის სილამაზის და სიმდიდრის იმედი თუ ჰქონდა!

ტასო მართლა რომ არა ჩვეულებრივი ქალი იყო: შეეგვრემანი, მალალი, წარმოსადეგი და ლამაზი, — ყველგან და ყველასთან მხიარული და ცქრიალა. თავის სილამაზით და გულკეთილობით მთელი სოფლის ყმაწვილ-კაცობა მოხიბლული ჰყავდა; მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკვებნიდა, რომ მას ტასო მოეხიბლოს! მისი გული მხოლოდ ერთმა ტანომ მიიზიდა; ისინი მალე დამეგობრდნენ და ეს მეგობრობა სიყვარულად გარდაექცათ, ერთმანეთის დაახლოებისათვის მათ არავინ არა ჰკიცხავდა: ყველამ იცოდა, რომ ისინი ბავშობიდანვე ერთად აღიზარდნენ და მათს დაახლოებას ცუდს ვერასფერს დასწამებდნენ. გარდა ამისა ისინი მეზობლებიც იყვნენ, ყმაწვილი ქალისა და კაცის დაახლოებას კი ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც ახლო მეზობლობა. კიდევ ამიტომ დაუახლოვდნენ ერთმანეთს ტანო და ტასო და უბრალო ყმაწვილური მეგობრობა გულწრფელ სიყვარულად გარდაექცათ... მათ თითქმის შეუმჩნევლად ერთმანეთი შეეყვარდათ.

როდესაც ტასო ფერხულის შემდეგ სახლს მიუახლოვდა, ტანომ ხელი მოჰკიდა და ორივე ჩუმად წისქვილისაკენ წავიდნენ, სადაც ჩრდილში მათ ვერაინ ვერ შეამჩნევდა.

— ტასო!... — დაიწყო მან: — ჩვენი განშორების წუთი მოახლოვდა: ღღეს სალამოს მე შორს მივემგზავრები... ნუ მკითხავ, სად და რისთვის მივდივარ?... ნუ მკითხავ, როდის დავბრუნდები? ყოველივე ეს ღვთის ნებაა!... უნდა გამოგეთხოვო: იქნება ერთმანეთის დანახვას ველარც კი ველირსნეთ!

— შენ მიდიხარ?!... შენ?.. — წამოიკენესა ტასომ და მხოლოდ ეხლა, ამ განშორების ჟამს, იგრძნო, თუ რა უზომოდ

უყვარდა ტანო! ტანო მას არასოდეს არ ატყუებდა: ეხლა მისი ფერმკრთალი სახე გაბრწყინებული იყო; ხმას რაღაც მამაცური გამომეტყველება ეტყობოდა; თითქმის ტანო კიდევ გაზრდილიყო ტასოს თვალში; ჰხედავდა, რომ ტანო ტყუილს არ ამბობდა; მისი ლამაზი თავი წყნარად დაეშვა ტანოს მამაც გულზე, ხელები ტანოს კისერს შემოეხვივნენ; ტუჩები ერთმანეთს დააკონეს და პირველი მათი კოცნა ღრმა სიყვარულის უტყუარი მოწამე იყო.

— მივდივარ, ჩუმი იმეორებდა ტანო... ნუ მკითხავ, სად? ნუ მკითხავ, როდის დავბრუნდები, ჩემო საყვარელო, თუ ცოცხალი ვიქენი... მაგრამ შენ? დამიცდი და ჩემი ერთგულ იქნები?

— უკანასკნელს წუთამდე, ჩემო ძვირფასო!

იმ ღამესვე გასწია ტანომ იქ, სადაც სინიდისი და ტანჯულ მოძმეთა ხმა იწვევდა. ტასო მარტო დარჩა სახლში... პირველ ღამეს ტანოს წასვლის შემდეგ მას სრულებით არა სძინებია. როდესაც მეორე დღეს ადგა, წითლად დასიებული თვალებსა და გაყვითლებულ სახეზედ ეტყობოდა, რომ დიდ ხანს უნდა ეტირნა.

მოხუცმა დედამ თავის ქალიშვილს ასეთი ცვლილება შენიშნა და გულმტკივნეულად ჰკითხა:

— ტასო, ჩემო მტრედო, რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ?

— არა, დედა-ჩემო, არაფერი!... ისე... თავი მტკივა ცოტათი.— უბასუხა ტასომ და მიბრუნდა, თავის მწუხარების ნამდვილი მიზეზი დამალა...

V

მრავალმა კოკა წყალმა ჩაირბინა ტანოს წასვლის შემდეგ, მაგრამ, სად წავიდა და სად არა, არავინ არ იცოდა; ეს ყველასთვის გამოცნა იყო. ბიძია მარკო ძველებურად გაჩუ-



მებული იყო; შინაურ საქმეს თავის მოხუც მაროსთან ერთად წინ უძღოდა; მხოლოდ ხანდახან, როდესაც მარტო დარჩებოდა, ღრმად ამოიხვნეშებდა. ხშირად შორს დაიწყებდა ხოლმე ყურებას, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა; ნაღელიანად ბაღჩისკენ მიბრუნდებოდა და იტყოდა:

— არსად არის!... სრულებით არავითარი ამბავი ისმის... ნეტა ვიცოდე მაინც, ვის რაზმშია? აი გაზეთებში ყველაფერი სწერია, მაგრამ ჩემი შვილის შესახებ სრულებით არაფერია. ცამ ჩაყლაბა თუ დედამიწამ, არაფერი არ ვიცი.

ტანოს წასვლამ სოფელში დიდი ყაყანი ასტეხა; კაცები ამბობდნენ, ბატონი მარკო, ცოტა არ იყოს, ცუდი ხანიათის კაცია, სწორედ ამიტომაც მოშორდა ალბად შვილი და სადმე გარდაიხვეწაო... რა ცუდი კაცია ეს მარკო!... ამ უკანასკნელ სიტყვებს ისინი ჩუმად ამბობდნენ, რომ მარკოს არ გაეგონა როგორმე.

ქალები კი აი რას ლაპარაკობდნენ: იმას, ბატონო, ის გომბიო შეუყვარდა; ალბად, იმ უნამუსომ მოატყუა საწყალი და ისიც გონება-დაბნეული გადავარდა სადმე... თითქო ჩვენს სოფელში იმ გომბიოს გარდა, სხვა ქალი არ მოიძებნებოდეს! მერე რა მშვენიერი ყმაწვილი იყო! სწორედ ცოდვაა. იქნება თავიც მოიკლა სადმე. დაღუბა იმ როსკიპმა საწყალი ყმაწვილი!

მალე ყოველივე გამომეღავნდა.

1876 წელს სოფელში ერთი მათხოვარი მოვიდა; ის შუახნის, მალალი და საღი აგებულობის კაცი იყო; ცალი ფეხი ხისა ჰქონდა, მეორეზედ კობტა ქალამანი ეცვა, თავზე გახუნებული წითელი მაუდის ყალამოიანი შავი ქუდი ეხურა, ჯარის-კაცის ტანისამოსი ეცვა და ზემოდან ნაბადი ესხა. როდესაც ყავახანაში შევიდა, ყველამ თვალიერება დაუწყო, მაგრამ არავინ კი არ დალაპარაკებია. გლახამ ერთი ჭიქა ძრაცი მოითხოვა, დალია, დახლიდარს გაუსწორდა და შემდეგ ხმა-მალა იკითხა:

— მარკო ლაკოვიჩის სახლს ვერაფერს მასწავლით?

დახლიდარმა და ყველა იქ მყოფმა უცნობს განცვიფრებით შეხედეს, თითქო უნდა ეკითხათ, ძმობილო, ჩვენს მარკოს საიდან იცნობო?... გლახამ თავისი კითხვა განიმეორა. მანინ დახლიდარმა დაანახვა მარკოს სახლი და პატარაზედ კიდევ გააცილა. გლახა მიეჩქარებოდა ლაკოვიჩთან. მარკო ამ დროს მაგიდას უჯდა და ძველ გაქონილ წიგნსა ფურცლავდა. მაროს მოეკეცა და ბამბას ართავდა.

— მარო, — მიუბრუნდა მარკო თავის ცოლს, — დღეს ცუდი სიზმარი ვნახე, ვითომ...

მაროს ცრემლები მოერია, საბრალო დედამ იცოდა, ვისაც ნახავდა მარკო სიზმარში. თითონაც ხომ ყოველ ღამეს ხედავდა მას სიზმარში... მაგრამ დააპირა ქმარი ენუჯემებინა:

— დიდი ღამეებისა და უძილობის ბრალია; სულ ისა გგონია... ღმერთი მოწყალეა! ყოველივე კეთილად ახდება...

ამ დროს გულმოსული ძაღლის ყეფა შემოისმა. მარკოს გულმა ბანძგალი დაუწყო.

— მარო, ჩვენთან ვილაც მოდის!

ამ დროს კარებიც გაიღო და ოთახში გლახა შემოვიდა... მის დანახვაზედ მარკოს მკედრის ფერი დაედო: მის წინ სწორედ ის მოჩვენება იდგა, რომელიც სიზმარში ნახა. მარკო გლახას მიუახლოვდა.

— ტანოსაგან ხომ არ მოსულხარ?

— დიად... ტანოსაგან მოვედი... ერთი თვეა, რაც ერთმანეთს გავშორდით...

— ცოცხალია ჩემი ტანო, ჩემი გვრიტი? — დაეკითხა საბრალო მარო, რომელიც მწარედ სტიროდა და საზარელ პასუხის მოლოდინში შიშისაგან თრთოდა: — ხომ ცოცხალია ჩემი საყვარელი ბიჭი?

გლახას ენა დაება, ხელები აუკანკალდა; არ იცოდა, რა ეთქვა. ბოლოს ღონე მოიკრიბა და ჩუმად წარმოსთქვა:

— ის დაიღუპა!

საბრალო დედამ ერთი დაიწვილა; მარკო კი დიდ ხანს მისჩერებოდა გლახას, თითქოს მისი სახის ყოველი ნაკვთიერების დახსომება უნდოდა.

— დიად, — განაგრძო გლახამ დაღონებულის ხმით: — ტანო დაიღუპა... ეს მოხდა კორკოტობა დღეს. ჩვენმა ჯარმა ოსმალების ერთი სოფელი აიკლო, მცხოვრებნი გაიფანტნენ; რაც ოთხფეხი იყო, მთებისაკენ გავრეკეთ. დაღამებისას დიდი ცეცხლი გაეჩაღეთ, დავკალით ცხვარი და შევწვიეთ, რომ შობა მხიარულად გაგვეტარებია. ჩვენმა უფროსმა ერთი ჰერცოგოვინელი და შენი ტანო ჩუმ სადარაჯოზედ დააყენა...

— ჩუმ სადარაჯოზედ! — ჩუმად განიბეორა მარკომ.

— შუა ღამისას რაოდენიმე თოფის ხმა მოისმა.

— მაშინ დაიღუპა? — სწრაფად ჰკითხა მარკომ.

— დიად!... დაიღუპა! — უბასუხა გლახამ: — შემდეგ ბრძოლაში მე ფეხში დამჭრეს; დაჭრილი ფეხი ნოვში მომკვეთეს.

გლახა გაჩუმდა, გამოვიდა ლაკოვიჩის სახლიდან და მალე სოფლიდანაც წავიდა.

ბიძია მარკოს კი ეჩვენებოდა, რომ გლახა ისევ იმის წინ იდგა, ჯობზედ დაყრდნობილი, და ასე ეგონა, ვითომც მის შიმშილისაგან მოქანცულ სახეს, დაფლეთილ ტანისამოსს და საოცარ ქალამანს ათვალიერებდა.

— დაიღუპა! — წარმოსთქვა მან ბოლოს ხრინწიანის ხმით: — ჩუმ სადარაჯოზედ დაიღუპა... შენ მითხარი ეს? რას გაჩერებულხარ აქ, შე მეხეცო! გასწი, დაიკარგე, გასწი, შე უნამუსო მატყუარა!... დაიკარგე, უსინდისო გლახაკო!... ერთი უყურეთ, თუ ღმერთი გწამსთ, რა თავხედი რამე ყოფილა! მეტი ჯანი არ არის, ჩემი სახლიდან ძაღლების შემწეობით უნდა ვავაგდო!

მარკომ მართლაც ძაღლები მიუსია მათხოვარს, რომელიც, კაი ხანია, იქ აღარ იყო. მარკოს შესაზარმა შეხედულებამ ძაღლები შეაშინა; მათ ჯერ ყეფა მორთეს, შემდეგ კუდი ამოიძუეს და წკმუტუნით თავის ბინისაკენ გაიქცნენ.

— მადლობა ღმერთს, წავიდა! — კმაყოფილებით სთქვა მარკომ. ცოტა ხნის შემდეგ მარკო თავშიშველი გარედ გამოვარდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვირილი მორთო:

— ეი, ძმობილო, ძმობილო, გლახავ! მოიცადე: უეჭველია, გეცოდინება, რა ალაგას დაიღუპა. ცოტა მოიცადე, გამოგყვები, უნდა დავმარხო...

გლობა, კაი ხანია, სოფელს გასცილდა, მაგრამ მარკო სახლში მობრუნდა, დაავლო ბარ-ნიჩაბს ხელი და თავის წარმოდგენის მოჩვენებას უკან დაედევნა.

ამის შემდეგ გლეხები ლაპარაკობდნენ, მარკო ამ დილას ვნახეთო; ბარ-ნიჩაბით მიდიოდა, მაგრამ, საღ მიდიოდა, არ ვიცით და ვერც გავბედეთ, გვეკითხაო.

ამის შემდეგ მარკო აღარავის უნახავს და არც აღარაფერი გაგონილა იმის შესახებ.

გაიარა რამდენმამე თვემ. მაქსიმეს მამა ტასოს დედასთან მივიდა, რომ თავის შვილისათვის მისი ქალიშვილი გაერიგებია. მაგრამ ტასომ უარი განუცხადა. მაქსიმეს იმედი მაინც არ დაუკარგავს, რაც უნდა ქნას, ბოლოს მაინც მე დამჩრჩებო, ანუ გეშობდა თავს. დარწმუნებული იყო, რომ დრო თავისას იზამდა; დრო ტასოს თავის მწუხარებას დაავწყებსო, ჰფაქრობდა ის, მაგრამ მწარედ მოტყუვდა, მაქსიმეს თავის სილამაზისა და სიმდიდრის იმედი ჰქონდა, ტასო კი არც ერთს და არც მეორეს ყურადღებას არ აქცევდა. საბრალო მახუცმა დედამ მონდომა, ქალი გათხოვებაზედ დაეყაბულებია, მაგრამ ტასოს ამის შესახებ ერთი სიტყვის მოსმენაც კი არ უნდოდა.

— მაპატიე, დედილო! რა ვქნა, გათხოვება არც მინდა, არც შემიძლია და არც შემიუერის! — ეუბნებოდა საბრალო ქალი დედას. ამ გვარ ლაპარაკის შემდეგ ორივე ერთმანერთს მოეხვეოდნენ ხოლმე და მწარედ და უნუკეშოდ ტირილს მორთავდნენ.

ხანდახან დედა ეხვეწებოდა ტასოს, ფერხულში გარეულიყო; საბრალო დედას იმედი ჰქონდა, რომ ტასო საერთო სიხარულში მაინც გაერთობოდა, თავის მწუხარებას მოიქარებდა და დაივიწყებდა, მაგრამ დედის ამგვარ თხოვნაზედ ტასო უბასუხებდა ხოლმე:

— მერე, ჩემი ტანო რომ აღარ არის, დედილო!

ხანდახან დედა დატუქსავდა რაზედმე: მაშინ ტასო თვალ-ცრემლიანი ეტყოდა.

— დედილო, მალე მომიგონებ სინანულითაო!

ტასო სახლიდან ძვირად გამოდიოდა; მხოლოდ ხანდახან ტანოს დედასთან თუ შევიდოდა; ორივე ერთმანერთს გადაეხვეოდნენ და გულგასაგმირავ მოთქმას დაიწყებდნენ ხოლმე...

— აკი კიდევ ვნახე სიზმარში!—ეტყოდა მოხუცი მარო:—თავი გაჩეხილი ჰქონდა და გულიდან სისხლი მდინარესავით ამოჩუხჩუხებდა...

საბრალოს კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ცრემლები და გულიდან აღმონახეთქი ოხვრა სულს უხუთავდა.

— მეც ვნახე სიზმარში!—ეტყოდა ხოლმე ტასო:—გაბრიელის წისქვილთან მომეხვია და წყნარად მითხრა: „ხომ მომიციდი, ჩემო ტასოო!“ მეც ვუთხარი: „უკანასანელს წუთამდე უენი ეიქნები, ჩემო ტანო-მეთქი!...“

ა. გოძარტელი.



*
* * *

(ჩუშინიანი)

შოტლანდის ძენო, დროშა გაშალეთ!
მტერზე თვით ბრუსი მიგიძღვით სარდალად,
ან გამარჯვება ბრწყინვალე გელით,
ანუ სიკვდილი ველზე გმირულად.

დღე გაგვითენდა. იტყუა ბრძოლამ,
ელვასებრ ბრწყინავს ეღვარდის ხმლები,
თან მოაქვს ჩვენდა დასამტირებლად
ტანჯვას, მონობას და ბოროტლები.

ვისაც მონობით სავსე აქვს გული,
შესძლებს ცხოვრებას ღანრულს, უენოს...
ის ჩვენ გაგვშორდეს—შენგენებული
და მტერს ურცხვადა ზურგი უჩვენოს.

და ვინც გაგლიჯა ჯაჭვი მონობის,
მისწინდა ცრემლი და მოთმინება;
ვის თავისუფლად უნდა სიკვდილი,
მე მხარში მიმეყვს, თუ აქვს შეძლება...

ამხედრდით, ძმანო! დროა ვისარათ,
შემოვიგლიჯათ ჯაჭვი-ბოროტლი,

თავს ნუ დაზოგავთ, სისხლი დაგდვარათ...
 ან გამარჯვება, ანუ სიკვდილი.

სიკვდილი მტრებსა! აბა თამამად
 მამუევით, ძმანო, გმირულად დახვდეთ,
 წაგლეკათ სისხლით ეგ ჯალათები,
 ან გაემარჯვოთ, ან სულ მთლად გაგწედეთ.

ს.



გ ლ მ ს ი - კ ა ხ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო ტ ხ ე

მ ა მ უ ლ ი ს უ ვ ი ლ ი ბ ო ნ ა კ ა რ ტ ი

IX *)

1796 — 97 წლის ზამთარმა საკმარისად მშვიდობიანად გაიარა.

ქურდანი დამარცხდა ვურცბურგში და მაშინადვე გადააყენეს. მის ალაგას მხედართ მთავრობა გენერალს ბერნონვილს უბოძეს, რომელმაც დაითხოვა, ვინც კი ჯარში საექვო კაცი ეგულებოდა, გადააყენა რესპუბლიკის მოწინააღმდეგე კომისრები, დახვრიტა ქურდები და ერთობ რიგიანად მოაწყო ჯარის საქმე. მაგრამ ქურდანსაც მრავალი მომხრე ჰყავდა ჯარში და ყველა მის მომხრე აფიცრებმა ერთად დაანებეს სამსახურს თავი; ჯარის-კაცების გაპარვა ხომ ვერაფრით შეეყენებინათ.

ავსტრიელები რეინს გამოვიდნენ, მაგრამ იქვე ჩვენს ახლო დამარცხდნენ. იმავე დროს ზავი ჩამოვარდა და შესწყდა ბრძოლა. ნოემბრის დამდეგი იყო.

ზავის ჩამოვარდნამდე კი ძალიან საქმე დავმართეთ ავსტრიელებს: გენერალ მოროს რეინს გაღმა მცირეოდენი ჯარი დაეტოვებინა, დეზეს წინამძღოლობით და ძალიანაც გაემაგრებინა. ავსტრიელები გარს შემოერთყნენ ციხეს და ოცდა ათი ათასამდე კაცი ანაცვალეს მის აღებას. აღებით კი მიინც ვერ აიღეს და ძალიან კმაყოფილნი დაგვრჩნენ, როდესაც ზავი

*) „მოამბე“ № VIII, 1898 წ.



ჩამოვარდა და მუქის ტოლი ჩვენი გამარჯვებული ჯარი რეინს გამოვიდა და დაუბრუნეწილი დროშების ფრიალით და მარსელურის სიმღერით ჩვენს უმთავრეს ჯარებს შეუერთდა.

გენერალი ოში ირლინდიის ასაღებად ამხედრებულიყო, მაგრამ აღელვებულ ზღვას ისე დაეფანტა მისი ხომალდები, რომ უკან დაბრუნება ერჩივნა. ბევრს ლაპარაკობდნენ აგრეთვე ბონაპარტის ტიროლში გადასვლაზე და ბერნადოტის წინამძღოლობით ჩვენი ჯარების გამგზავრებაზედ რეინს გაღმა, გერმანიისკენ.

ხალხი აღტაცებული იყო ჩვენი ჯარების გამარჯვებით, მაგრამ შოველი კი ამას ყურადღებასაც არ აქცევდა და სულით და გულით მისცემოდა არჩევნებს, რომლითაც საერო კრების მესამედი უნდა განახლებულიყო დაწმუნებული იყო, რომ, თუ საიმედო კაცებს აირჩევდა ხალხი, მტერი ვერას დააკლვბდა.

— რესპუბლიკას უცხოელთაგან შიში აღარა აქვს,— იძახდა შოველი, — რადგან უთითქმის ყველანი დაამარცხეს ჩვენმა ჯარებმა; კიდევ შეგვეხვეწებიან მორიგებას, თუ კი მოვისურვებთ და მოლაპარაკება დავუწყებთ. ოლონდ პირობანი მორიგებისა საერო კრების, ესე იგი, ხალხის წარმომადგენლებმა უნდა დაადგინონ, და არა რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებმა, რომელნიც ჩვენი გამარჯვებით ჩვენს მტერს ასარგებლებენ. უნდა ვეცადნეთ, ღირსეული კაცები ავირჩიოთ დეპუტატებად, რადგან ამ არჩევნებზედ არის დამოკიდებული მთელი ჩვენი მომავალი.

ყველგან საარჩევნო კრებები იმართებოდა და შოველიც ძველებურად სიარულს მოჰყვა. ხან სარბურგში იყო საწყალი მოხუცი, ხან დრულინგენში, ხან სავერნში. გათენდებოდა, და ისიც ფეხზედ იყო. ხუთ საათზე ფეხაკრებით ჩამოვიდოდა სამზარეულოში, კიდობნიდან ერთ პურს ამოიღებდა და გასწევდა! საცა კი კრება იღვა, ისიც იქით მიემურებოდა, ხშირად რამდენიმე საათის სავალზედ. პატრიოტებს აერთებდა და ამხნევებდა, რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებს აშხელდა. კიდევ კარგი, რომ მამა ქრისტეფორე და ორი მისი ძმა თან დასდევდნენ, თორემ მოასწრებდნენ სადმე არისტოკრატები და ჩააქვა-

ვებდნენ. ტყუილად კი არ მათრთხილებდნენ ნათლია-ჩემი, კო-
 ლენი, ლეტუმიე და ყველა ჩვენი მეგობრები:

— ღვთის გულისთვის, მიხო, შეიმაგრე როგორმე შენი
 სიმაპრი, თორემ ცოდოს დაატრიალებენ მეფის მომხრენი. ხომ
 იცი, რა მძლავრი არიან ჩვენი მოწინააღმდეგენი დაგსბურგის
 მაზრაში, — გაუწათლებელ, გულუბრყვილო მთიულთ ღმერთივი-
 თა სწამთ მეფე და შენი სიმაპრიც სწორედ იმათ მორჯუ-
 ლებასა ცდილობს. მარტო ხალხი იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ
 ხალხს ისეთი დამრიგებლები ჰყავს, რომ კეთილს არ დააყრიან.
 ჟანდარმებიც კი ვერა ბედავენ დაგსბურგის ვიწრო ხეობებში
 შესვლას, იციან, რომ იქაური მთიულები ჭკუით კი არა, ხანჯ-
 ლითა სჯიან საქმეს. გაათრთხილე, შეიმაგრე, თორემ მკედარს
 ან დასახიჩრებულს მოგაყენებენ კარზედ.

მეც კარგად ვიცოდი, რომ სრულიად მართალს მეუბნე-
 ბოდნენ, მაგრამ რა მექნა? ერთ დილას მითხრეს, დღეს მთაში
 კრებას აპირობენ და მთიულებს უთქვამთ, თუ გაბედა ვინმე
 რესპუბლიკის მომხრემ და ჩვენში წარმოსდგა, ცოცხალი აღარ
 გადაგვრჩებაო. ეს მუქარა მაშინვე ვაცნობე შოველს და თანაც
 ვთხოვე, ნუ წაბრძანდები, რადგან სრულიად უსარგებლოდ ჩა-
 ივლის შენი ცდა-მეთქი.

უნდა გენახათ, როგორ გამიწყრა! მომყო პირი და იმდე-
 ნი მლანძღა, მეც და ჩემსავით კუჭმამღარნიცა... რომელნიც
 გუშინ შიმშილით კვდებოდნენ! წარმოიდგინეთ, როგორ მე-
 წყინებოდა! მაგრამ მოვითმინე, ავიტანე ყველაფერი და გარედ
 გავედი. მარგალიტა უკან გამომყვა. მინდოდა თავი დამენე-
 ბებინა ყველაფრისთვის და შინისკენ წავსულიყავ, მაგრამ მარ-
 გალიტას ცრემლებმა შემაყენეს. ჩემი სიმაპრიც გზას გაუდგა.
 მაგრამ იმავე დღეს სადილს უკან ოთხ საათზედ ხმა გავარდა,
 ლუტცვლებურგში რესპუბლიკელებს და მეფის მომხრეებს ჩხუ-
 ბი მოსვლიათ და მრავალი ხალხი დაჭრილა და დახოცილაო.
 გაჯავრებული ვიყავ შოველზედ, მაგრამ ამ ამბავმა სრულიად
 გამიწვია გული; მომაგონდა მისი მამა-შვილური დარიგება და
 სიყვარული, მომაგონდა, რაოდენი სიკეთე ექნა ჩემთვის და ში-

შით გული გადამიბრუნდა. სირბილით გავწიე ლუტცელბურ-გისკენ, ბინდისას მიველ; უკვე ბნელოდა და კრების ველი მაშხალეებით იყო გაჩაღებული. ჯობნით პატრიოტებს ეჯობნათ, მაგრამ მამა ქრისტეფორე, მისი ძმა ენრიხი და მათთან ერთად ბევრნი სხვანი კი ძალიან ნაცემნი იყვნენ; საბედნიეროდ შოველი საღ-სალამათად გადარჩენილიყო.

აუარებელი ხალხი ეხვია,—გარშემო სოფლებიდან მოგროვილი ქალი და კაცი—და თუმცა იქვე წისქვილის წყალი ხუოდა, იმისთანადა კრიალებდა ჩემი სიამამრის ხმა, რომ ზარი გეგონებოდათ:

—ერი ჩვენა ვართ, მამულიშვილნო, ჩვენა! ჭეშმარიტი მბრძანებელი მარტოდ მარტო ჩვენა ვართ—გლებკაცები, ხელოსნები და მუშები. ერი ჩვენა ვართ—ხალხი და მართებლობაც ხალხისა უნდა იყოს, რადგან მშრომელიც ხალხია, ხარჯის გამღებიც ხალხია და მთელი ქვეყნის მკვებავი და მაცხოვრებელიც იგივე ხალხია! სულით ხორცამდე დავიღუპებით, თუ გაგვიწყრა ღმერთი და ერის წარმომადგენლად ის მუქთა-ხორა გაიძვერები ავირჩიეთ, რომელთაც თავის სამშობლოს ავსტრიელები, პრუსიელები და ინგლისელები შემოაუსიეს და მიუხედავად მტრის ჯარებისა მაინც დამარცხებულ იქმნენ, თუნდა ასჯერ ზედიზედ! დიად, სულით ხორცამდე დავიღუპებით, თუ გაგვიწყრა ღმერთი და ისინი ავირჩიეთ ჩვენს წარმომადგენლებად: ჩვენი გამგენი, ჩვენი მსაჯულნი, ერთობ ყველა ჩვენი მოხელენი ჩვენი მტრები და მოლალატენი იქნებიან, რადგან ჩვენს მტერთაგან იქნებიან დანიშნულნი, არა ჩვენთვის, არამედ ჩვენდა საწინააღმდეგოდ; არა ჩვენდა სასარგებლოდ, არამედ ჩვენდა სავნებლად! მოგვდგებიან და არც კრეკას დაგვაკლებენ და არც პარსვას. იმისთანა უღელში შეგვაბმენ, რომ ძველი გვენატრებოდეს. ჰო და გაფთხილდით! თქვენს წარმომადგენლად რომ კაცებს აირჩევთ, იმათზედ იქნება დამოკიდებული თქვენი და თქვენი ცოლშვილის კეთილდღეობა. კენჭი რომ აიღოთ ხელში, თქვენი ცოლშვილი მოიგონეთ. იცოდეთ, ნელ-ნელა მოიწევს მტერი, ფთხილად, ჩუმად, ისე ჩუმად, რომ მო-

ყვარე გეგონებათ. არ მოგეპაროთ იუდა ვინმე! თქვენს წარმომადგენლად იმისთანა კაცები აირჩიეთ, რომ საღვთვცად გლეხკაცობა გაეხადნოს.

დიდი ხანი ილაპარაკა შოველმა. ხალხს ძალიან მოსწონდა მისი სიტყვა და გულმოდგინედ უსმენდა.

მას შემდეგ მამა ქრისტეფორემ ილაპარაკა, მერე სხვებმა. ცხრა საათზე ჟანდარმები მოვიდნენ და ხალხიც მაშინვე დაიშალა, ისე რომ ჟანდარმებს ხმაც არ ამოვალვინეთ. მე და შოველი ერთად წამოვედით. დილანდელისა აღარაფერი ახსოვდა და ისე დამელაპარაკა, თითქო ჩვენს შორის თავის დღეში არა მომხდარიყოს-რა:

— ხომ ხედავ, მიხო, რომ ჯერ კარგად მიდის ჩვენი საქმე! ჩემი ამხანაგებიც რომ ასევე ეცადნენ—კონვენტის წევრებზე მოგახსენებ—და ყველამ რომ თავის მაზრაში გააფთხილოს და გაამაგროს ხალხი, გარწმუნებ, საერო კრებაში უმრავლესობა ისევ ჩვენი იქნება. ისეთი უვარგისი არ არის ჩვენი გამგეობა, როგორც ამბობენ! უნდა გავამხნევოთ, ძალა გამოვაჩინოთ, რომ იმისიც ისევე ეშინოდეთ, როგორც ქვეყნის მფარველი კომიტეტისა ეშინოდათ. თუ ხალხი კარგად მოიქცა და უმრავლესობა რესპუბლიკელებს დაგვრჩა, გამგეობაც ჩვენი იქნება. იცი რამ შემოგვძღვნა ჩვენ ამოდენი არეულობა, ყაჩაღობა, ხალხის თითქმის სასოწარკვეთილებამდე დაცემა და ჩვენი მტრების თავხედური გათამამება? უკანასკნელმა არჩევნებმა! როდესაც ხალხს უფლება არა აქვს თავისი წარმომადგენლების არჩევისა; როდესაც კაცს აღამიანობისდა კვალად კი არა, გარდასახადის კვლობაზედ სცემენ პატივს და ანიჭებენ მოქალაქებრივ უფლებებს, მაშინ ერის წინამძღოლობა თავხედთ და გაიძვერებსა რჩებათ და, რასაკვირველია, ისე მოაგვარებენ ყველაფერს, რომ თავიანთი ჯიბეები დაიტენონ და თავიანთი საქმეები გაარიგონ. იმათი ღმერთი ფულია და სულს გაჰყიდნიან, არამც თუ სამშობლოს.

როგორ არ დავთანხმებოდი, როდესაც კარგადა ვხედავდი, რომ ყოველი ჩვენი უბედურება, შოველისა არ იყოს, იმ ეი-



რონდელეების ბრალი იყო, რომელთა საცოდაობით ერთ დროს გული გვეწოდა დიდსა და პატარას. ბევრი მათგანი, როგორც შემდეგში გამოირკვა, მეფე ლუი XVIII ჩუმი მსახურნი ყოფილიყვნენ; ენაზედ რესპუბლიკა ეკერათ და გულში კი რესპუბლიკის მტრობის მეტი არაფერი ჰქონდათ; რესპუბლიკით სარგებლობდნენ, რომ ერთიანად ამოეხოცათ რესპუბლიკელნი; ყველაფერს კადრულობდნენ, რომ თავიანთ ფარულ წაღილს მისწოდნენ როგორმე და ერთი უბედური შეშლილის შეთქმულობითაც კი ისარგებლეს, რომ ბრალი დაედოთ რამდენიმე ასი რესპუბლიკელისთვის და გილიოტინით დაეხოცათ; მაშ რა იყო ბაბეჭის*) საქმე, რომელსაც მამულების გაყოფა უნდოდა, თუ არ შეშლილის შეთქმულობა? სულ უბრალოზედ—ასობით რესპუბლიკელს ხოცდნენ და იმავე დროს ავალს არიდებდნენ მეფის მომხრეთაგან რესპუბლიკელების ჟლეტას და ქვეყნის არევას. თვალს არიდებდნენ გახიზნულების და ბერების დაბრუნებას და ქადაგებას—საფრანგეთი მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც მეფე ეყოლებოა. იმდენად გამძლავრებული იყო მტერი, რომ გამგეობაც კი ვერა ბედავდა მის წინააღმდეგობას. ერს სათავეში მოღალატენი დასდგამოდნენ და როგორც ნებადათ, ისე განაგებდნენ. თვით რესპუბლიკელნიც გრძობდნენ, რომ ჩვენი ხსნა ჯარს-ლაშქრით და ამიტომ გაფაციცებით დაეძებდნენ იმისთანა გენერალს, რომ მეფის მომხრენი აელაგმა. ჩვენი უბედურება ის იყო, რომ, ვინც ძმობას გვეუბნებოდა, ჩვენც ძმად მიგვაჩნდა და ის კი ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს ფარისეველი იმ თავითვე ჩვე-

*) ბაბეჭი, რედაქტორი იყო გაზეთისა „ხალხის ტრიბუნა“, მაშინდელ მწერლობაში „კაიუს გრაქუსად“ ცნობილი. ბაბეჭი ამტკიცებდა, რაც შეუძლებელი მიუწებია და საზოგადო მამულები, დარიბებს უნდა მიეცეთო. მისმა ქადაგებამ ძალიან გაიტაცა დარიბი მუშა-ხალხი, მეტადრე პარიზული გარე-უბნელები. ამ ქადაგებისთვის რამდენჯერმე იჯდა ციხეში; ბოლოს მას შესწამეს მართებლობის წინააღმდეგ შეთქმულობა და მასთან ერთად დაიჭირეს დართე, ბუონაროტის, ანტონელი, როსსინიოლი, ვადეი, ამორი, შოდიო და კარკინი. სამი თვის შემდეგ ბაბეჭს და დართეს გალუწყვიტეს გილიოტინით თავის მოკრა; იმათ ხანჯლით თავის მოკვლა განიზრახეს, მაგრამ დროზედ მიახსრეს დარაჯებმა და გილიოტინაზედ სრულიად დასისხლიანებულნი წაიყვანეს.

ნი მოსისხლე მტრები იყვნენ და ჩუმად, ფარულად, გველდობით გვეტრობდნენ და ორმოს უთხრიდნენ ყოველ ჩვენ დაწყებულელებას ხან ძალიათ, ხან ვერაგობით, ხან ღალატით. ხალხი დაღალეს, დაგვიღალეს საუკეთესო, მართლა და დაუღალავი, მამულისშვილნი! ჩვენი უბედურება ის იყო, რომ რესპუბლიკის დასალუბად შეთქმულთ კარგად იცოდნენ, რაც უნდოდათ—ხალხის დამონაგება და ბატონყმობის ჩამოგდება—და ჩვენ კი ერთმანეთის ჯიბრით გატაცებულნი მტერს ვერ ვხედავდით და ერთმანეთს ვხოცდით.

1897 წლის მარტის და აპრილის განმავლობაში ერთს კრებას არ დაჰკლებია შოველი. მაგრამ არჩევნების გარდა სხვაც ბევრი რამ იყო მაშინ საინტერესო: გენერალი მორო რენის გაღმა გასასვლელად ეშადებოდა; ბერნუნვილის მავივრად მხედართ-მთავრობა ოშს უბოძეს; სამამასახლისოების და კლუბების კარებზე გაკრული იყო ბონაპარტის პროკლამაცია, რომელიც ის-იყო ამხედრებას ეშადებოდა: აი თვით პროკლამაციაც:

იტალიაში მყოფის ჯარის მხედართმთავარი ბონაპარტი

თავის ერთგულ და მამაც ჯარის-კაცთ.

ბასონის უმთავრესი ბანაკი 10 მარტ 1797.

ქ. მანტუას ალებით დამთავრდა წარსული ჩვენი ომიანობა, რომლითაც უკუნითი-უკუნისამდე დაუფიწყარი დიდება შესძღვენით თქვენ თქვენს სამშობლოს. წარსულ ომიანობაში თოთხმეტ დიდ ბრძოლაში დარჩით თქვენ გამარჯვებულნი და სამოც და ათ მცირე შეტაკებაში; ასიათასი კაცი ტყვე იშოვეთ, ხუთასი ზარბაზანი წაართვით მტერს, ორიათასი ყუთი ყუმბარა; თქვენგან დამორჩილებულ ქვეყნებში გაწერილმა და აღებულმა ხარაჯამ ასაზრდოვა ომიანობის დროს მთელი ჩვენი ჯარი და გარდა ამისა სახელმწიფო ხაზინაშიც გაგზავნეთ 30 მილიონი, რათა შეძლებისადა გვარად დახმარებოდით გა-



ქირებულ სამშობლოს. თქვენ შეამკეთ პარიზის მუზეუმის სახე-
ზედ მეტი ხელოვნური ნივთით, იტალიის წარჩინებულ ხელო-
ვანთა ნაწარმოებით, რომლის შექმნას სამიათასი წელი მოან-
დომა ამ ძლიერმა ერმა. თქვენ შესძინეთ რესპუბლიკას უმშვე-
ნიერესი ქვეყნები ევროპისა; რესპუბლიკები ლომბარდისა და
ცისპადანისა თქვენი წყალობით არიან დღეს თავისუფალნი; სა-
ფრანგეთის დროშა თავისუფლად ფრიალებს ადრიატის ზღვის
პირად, ოც და ოთხი საათის სავალზედ, ძველ მაკედონიამდე,
მეფენი სარდინიისა და ნეპოლისა, პაპი და თავადი პარმისა
ჩამოეკალნენ ჩვენს მტრებს, და ჩვენთან მეგობრობა ირჩიეს;
თქვენვე განდევნეთ ლივორნოდან, გენუიდან და კორსიდან ინგ-
ლისელები;... მაგრამ ჯერ დამთავრებული არ არის სამშობ-
ლოსადმი თქვენი ღვაწლი; დღეის იქით ერთი-ათასად მეტი დი-
დება მოგელით თქვენ, რადგან თქვენი იმედი-ლა აქვს დღეს-
სამშობლოს თავისი დიადი დანიშნულების აღსასრულებლად.
და თქვენც ეცდებით, ღირსეულად აასრულოთ თქვენი ვალ-
დებულება. რესპუბლიკის დაარსებისათნავე შეითქვენ ყველა
მეფენი და ხელმწიფენი მის დასამზობად, მაგრამ ყველანი სძლია
რესპუბლიკამ, გარდა იმპერატორისა, რომელიც თავისდა სა-
მარცხვინოდ ინგლისელი ვაჭრების ყურმოჭრილ ყმად გამხდა-
რა და აღარც ნება აქვს საკუთარი, აღარც პოლიტიკა და იმას
სჩადის, რასაც ჩასძახებენ მას ბრიტანიელები, რომელნიც არიან
დამშვიდებულნი თავიანთ კუნძულზედ და ევროპიელთა ომების
სეირით სტკებებიან.

პროკლამაციის აზრით, იტალიაში მყოფი ჩვენი ჯარი უნ-
და გადასულიყო ავსტრიაში და გაეუქმებინა ავსტრიის სახელ-
მწიფო, „რომელიც“ უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში
ყოველი ომის შემდეგ ჰკარგავდა რომელსამე თავის მხარეს.
მართებლობამ ყოველი უფლება წაართვა ავსტრიაში მცხოვრებ
სხვა-და-სხვა ერებს, დაამცირა ივინი, ყოველი ღირსება აპყარა
და ამ მხრივაც დასამზობია ეს სახელმწიფოა“.

ცხადი იყო, ომი ხელახლად იწყებოდა და ბელგიიდან
მოყოლებული იტალიამდე ყველგან ბრძოლა ატყდებოდა. მარ-

თალია, ისე ცუდად აღარ იყო ჩვენი საქმე, როგორაც 92 და 93-ში, რადგან მაშინდელივით შინ კი აღარა გვყავდა მტერი, ეხლა ჩვენ თითონ ვაპირობდით ტიროლის მთების გადავლას და უცხოეთში შესვლას. ავსტრიის ხელმწიფის მემკვიდრე კარლი უკვე ამზადებდა თავის ჯარებს ბონაპარტის დასახვედრად. დილით საღამომდე ჯარები სდიოდნენ ჩვენს მხარეში და ბოლო არსად უჩანდათ.

ჯარების მოძრაობამ ძალიან გააცხოველა ვაჭრობა მთელს ჩვენს სამძღვარზედ; იმოდენი მუშტარი შემოდიოდა, რომ ვეღარ ავდიოდით. მაგრამ შოველი ყურადღებასაც არ აქცევდა ჩვენს გაჭირებას და საზოგადო საქმეების გარდა არასა ზრუნავდა. საცა კი კრება იყო რამე არჩევნების შესახებ, ისიც იქ უნდა ყოფილიყო; მეფის მომხრენი ძალიან ავი თვალით უყურებდნენ და ყველა გზებზედ კაცები ეყენათ, იქნება მოვასწროთ საღმე და ჩავაღძოთო. მარგალიტას მოსვენება აღარა ჰქონდა; მართალია, მე არას მეუბნეოდა, მაგრამ ცხადად ეტყობოდა შიშიც და მწუხარებაც. საღამო ხანს გაშეშებულივით იდგა ხოლმე კარში და სულ გზას გასცქეროდა. დაინახავდა შორიდან მომავალს თავის მამას და იმისთანა ხმით შესძახებდა — აგერა, მოდისო! თითქო ცოცხალი აღარ ეგულებოდა.

წინ გაეგებებოდა, ბავშვს მიაგებებდა. ისიც გადაჰკოცნიდა ბავშვს, წყნარი ნაბიჯით შემოვიდოდა შინ, ჰურს მოიტეხდა, ღვინოს დალევდა და აღელვებული ხმით გვიამბობდა იმ დღის ამბებს და ბრძოლას. და მართლა რომ ბრძოლა იყო ყოველი კრება, ბრძოლა საფრანგეთში დაბრუნებულ განზიხულთა და რესპუბლიკელთა შორის.

რომ მომავონდებოდა, რა თავგანწირვით იბრძოდა ის დალოცვილი მოხუცი თავისუფლებისთვის და რა გატაცებით უნდოდა რესპუბლიკის გამარჯვება, დღესაც აღტაცებით ვიგონებ მის სახელს და, ღმერთო შეგცოდე, თუ წმინდანი ადამიანთაგანნი იყვნენ, შოველიც წმინდანი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მაშინ კი სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა თავში: წარმოიდგინეთ ეგოიზში იმ კაცისა, რომელსაც გუშინ განხრე-

ტილი გროში ენატრებოდა და ღღეს კი ათასობითა სთვლის; წარმოიდგინეთ ეგოიზმი ამ კაცისა, მეტადრე თუ ხედავს, რომ მის სარჩო-საბადებელს დღითი-ღღე ემატებოდა და ემატება; რომ ამასთან ერთად მისი ოჯახიც მატულობს, მარგალიტა ისევ ორსულად იყო; წარმოიდგინეთ ამ კაცის ეგოიზმი და აღვილად დამეთანხმებით, რომ იმისთვის სულ ერთი უნდა ყოფილიყო, როგორი მართებლობა იქნებოდა საფრანგეთში—რესპუბლიკა თუ მეფე—ოღონდ მის ღუქანს მუშტარი არ დაჰკლებოდა და მის დახლს ფული.

— სწორედ გიჟა ჩემი სიმამრი!..—ვიძახდი ჩემს გუნებაში.— ქვეყანა ასე ტრიალებს და მაგან უნდა გამოსცვალოს ჩვენი ცხოვრება? რას დაგვაყვედრებს სამშობლო? განა პირნათლად არ ავასრულეთ ჩვენი მოვალეობა? განა არა კმარა, რაც, აგერ ექვსი წელიწადია, ტანჯვა-წვალება გამოვიართე? აბა ახლა სხვებმა გასწირონ სამშობლოსთვის თავი, როგორც აქამდინ ჩვენ ვიყავით თავგანწირულნი? ჩვენ ჩვენი გავათავეთ, ახლა სხვების რიგია! სად არის სამართალი? სულ ხომ ჩვენ არ უნდა ვზიდოთ ქვეყნის ტვირთი?

და სხვანი და სხვანი...

შოველისა ისა მწყინდა, რომ ბაზრობა ღღეს, როდესაც ღუქანი სავსე იყო მუშტარით, ის თავს გვანებებდა და თავის კრებებისკენ მიეშურებოდა. ეგ კიდევ არაფერი; უბედურება ის იყო, რომ კრებებზედ ყველას დაურიდებლივ პირში ეუბნებოდა, რაც სათქმელი ჰქონდა და ბევრი კარგი მუშტარი დაგვიკარგა თავისი ენით. ისე იყო გატაცებული არჩევნებით, რომ ჩვენი ვაჭრობა აღარც კი აგონდებოდა. თუნდა დავიფიცავ, ჩვენთან იმიტომ რჩებოდა ბინად, რომ პატრიოტული გაზეთები და წიგნაკები გაესაღებინა, თორემ, ეს რომ არა ყოფილიყო, ძველებურად სიარულს დაიწყებდა მთელს აღზასს-ლორენში.

მაგრამ სრულიად ამაოდ ჩაუარა იმდენმა ცდამ შოველსაც და მასთან ერთად ბევრს სხვა იაკობელსაც. რევოლუციისაშინელი სისასტიკით გადაახდევინებს ხოლმე ყველას თავ-

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

თავის შეცდომას და შეცოდებას. რობესპიერის, სენ-ჟუსტის და კუთონის-მიერ განწირულნი რესპუბლიკელები რომ ცოცხალნი ყოფილიყვნენ, არჩევნები სულ სხვაფრივ გათავდებოდა, მაგრამ გვიან-ღა იყო! ჩვენ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას მოვუნდით და დაღალული, იმედ-მიხდილი ჭ ცხვარივით უვიცი ხალხი კი მგლებს ჩაუფლდეთ ხელში.

ახალი არჩევნები უფრო ცუდად გათავდა, ვიდრე წინანდელი; და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ხალხში, ვისაც გადაჭრილი შეძლება არა ჰქონდა, არც ხმა ჰქონდა და აღარც მონაწილეობას იღებდა არჩევნებში. რესპუბლიკელების მაგივრად არჩეულ იქმნა ორას ორმოც და ათი მეფის-მომხრე. უმრავლესობა, რასაკვირველია, იმათ დარჩებოდათ და თავმჯდომარედ საერო კრებისა პიშეგრუ ამოირჩიეს. ეს იმასა ნიშნავდა, რომ კონსტიტუციას და ადამიანის უფლებებს მასხარად იგდებდა საერო კრება და ყველაფერი მზად მიაჩნდათ მეფის ლუი მე-XVIII მოსაწოდებლად.

გამგეობა ხელს უშლიდა, რადგან „ღვთისაგან კურთხეულის მეფის“ ალაგი თითონ ეჭირა. ხელს უშლიდა გამგეობა და, მაშასადამე, მის გაუქმებას უნდა ცდილიყვნენ. შეუდგნენ კიდევ საქმეს: გამგეობის წევრად ბართელემი დანიშნეს, მეფის მომხრე. მერე გაააუქმეს კანონი, რომლითაც გახიზნულთა ნათესაეთ აკრძალული ჰქონდათ ყოველივე თანამდებობის აღსრულება სახელმწიფო სამსახურში; გააუქმეს კონვენტის დადგენილება, რომელიც სჯიდა ტულონში ინგლისელების შემყვან მოღალატეებს; შარი მოუდეს გამგეობას, უფლება არა გქონდა, იტალიაში მტერს მორიგებოდი ჩვენდა დაუკითხავადაო... ეს პირდაპირ ნაპოლეონს ხედებოდა საყვედურად... ამასთან, არამც თუ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მეფის მომხრეთაგან რესპუბლიკელების ხოცვას, პირიქით, აქვებდნენ გათამამებულ თავად-აზნაურობას. ძველი მონასტრების განახლებას და ბერების გამრავლებას ცდილობდნენ—ჩვენი ქვეყანა სარწმუნოების წყალობით იყო და არის ძლიერიო! თითქო მარტო ბერების სიმრავლეზედ ყოფილიყოს დამყარებული სარწმუნოების სიწმინდე.



ორი თუ სამი იაკობელი-ლა ბედავდა ხმის ამოღებას! კიდევ კარგი, რომ პარიზელი ხალხი ავი თვალით უყურებდა საერო კრებას, თორემ იქნება მაშინვე გაეუქმებანათ რესპუბლიკა და მეფე აებრძანებინათ ტახტზედ. ყოველი უბედურება და ნაკლი, თვით ასისიგნაციების დაცემა და სახელმწიფო ხაზინის დაცარიელებაც კი, გამგეობას დააბრალებს. და იმავე დროს არაფრის გაკეთების ნებას არ აძლევდნენ. ქვეყანას თუ იხსნის ამ გაჭირებიდან, „ერის მცველი რაზმი“ იხსნისო, ბრძანებდნენ, მაგრამ ერის მცველ რაზმში მარტო „შემძლებელთ“ მიანიჭეს უფლება სამსახურისა, ისე რომ პარიზში ყველა შემძლებელს — ბურჟუას იარაღი უნდა ჰქონოდა და მუშას და ხელოსანს კი არა! ამაზედ მეტი რაღა გნებავთ? რიღას ან ვიღას შიში უნდა ჰქონოდათ მეფე ლუი XVIII-ეს გახიზნულ დიდებულთ და ეპისკოპოსებს, თუ კი პარიზელ ხალხს იარაღი აღარ ექნებოდა? ეიღას მოერიდებოდნენ? არხეინად მობრძანდებოდნენ, თავიანთ მამულს მიეპატრონებოდნენ და კვლავ დაიჭერდნენ იმ ალაგს, რომელიც მათ რევოლუციამ წაართვა!

მაგრამ ხალხისთვის თვალი არ უნდა აებათ რითიმე? მთელი სამი თვე აწვალეს ბაბეჭი და ბუქსა და ნალარას სცემდნენ, — ქვეყანა ჩვენ გადავარჩინეთ, თორემ ბაბეჭი შთანთქმას უპირობდაო! სწორედ ასე იციან იარმუკაზედ ჯიბგირებმა; ორნი ჩხუბს ასტეხენ, ხალხს შემოიგროვებენ და მესამე კი ჯიბეებს უცარიელებს სეარის მაყურებელ დოყლაპიებს.

ბევრგან გაიმარჯვეს ჩვენმა ჯარებმა, თითქმის მთელი ევროპა გადავლეს, მაგრამ ამით მაინც ვერ მოტყუვდნენ პატრიოტები და კარგად ხედავდნენ, რომ მეფის მომხრენი ვერაგობითა ლუბავდნენ რესპუბლიკას: ერის შემძლებელი ნაწილის მიმხრობას ცდილობდნენ, რომ წინააღმდეგი დაობლებული ხალხის მეტი აღარავინ ჰყოლოდათ. და აღარცა მალავდნენ თავიანთ განზრახვას! აღზას-ლორენი სავსე იყო გახიზნულებით და ბერებით. უმრავლესობა საფრანგეთის ქალაქებისა უკვე „ქუაზედ მოდიოდა“, ესე იგი ქედს მოიხრიდა, ხელსაც არ გაძრევდა, მეფეც რომ შემობრძანებულყო. ეკლესიებში ხმა-



მალღივი ღელადი გაისმოდა, — ღმერთო შენ დაგვიბრუნე გახიზნულ
ლებიო! ეკლესიებში რევოლუციის მოწინააღმდეგე მღვდლები
სწირავდნენ... ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ მართებლობის
მოხელეებმა, მაგრამ თვალს არიდებდნენ.

შოველიც ძალიან დაღონებული იყო. იჯდა, დუქანში ქა-
ლადის პარკებს აკეთებდა და ამბობდა:

— არა, ისე როგორ წავხდით, რომ ერთი უბრალო გე-
ნერალი, ვილაცა ბონაპარტი ბედავს და მთელი ერის წარმო-
მადგენელთ განადგურებას უქადის, როგორ თუ საყვედურს
მიბედავთო? სირცხვილი არ არის, რომ ერის წარმომადგე-
ნელნი, რომელთაც ხალხმა მიანდო რესპუბლიკის დამყარება,
ძირს უთხრიან ამ რესპუბლიკას და ხალხი კი ხედავს ამას და
ყურსაც არ იბერტყს! ერთი ჩახველების მეტი კი არა უნდა-
რა ხალხს, რომ მიწასთან გაასწოროს ის ქვემძრომნი, რო-
მელნიც მღვვის დამონაგვებას ცდილობენ? რას იზამთ, რომ
საღათას ძილითა სძინავს ამ მღვვს?

ორს ამერიკელს ჩხუბი მოუვიდათ, გვიამბობდა შოველი,
და ძაან-ძაანაც წაუთაქეს ერთმანეთს. იქვე ზანგი იდგა, სიცი-
ლით კვდებოდა და ჰყვიროდა: ჰა, ყოჩაღ!... მაგრე აი! მუშტი
მაგისთანა უნდა!... ვაცხოხნე მამაშენი!.. რას იცინი, შე საწყა-
ლო შენა? ჰკითხა ვილამაც. იცი რისთვის ჩხუბობენ ეგ კაცები?
შენთვის, შე უბედურო! ვინც აჯობებს, ის მოგიჭერს თოქს, და
გასაყიდად გაგირეკავთ შენა და შენს ცოლ-შვილს. ვირივით
გამუშავებთ, ციხეებს ავაშენებინებს, რომ შენვე ჩაგამწყვდი-
ოს შიგ; იარაღს გაგაკეთებინებს, რომ შენვე გაწამოს და გვე-
ლივით აგიჭრელებს ტყავს მათრახის ცემით...“ მას შემდეგ აღარ
გაუცინია იმ ზანგს, მაგრამ ჩვენი ხალხი კი დღესაც იცინის.

შოველი რომ თავისას გააბამდა, მე ბრაზი მერეოდა და
ძლივს-ღა ვიკავებდი თავს:

— მე რა, მე რომ მეუბნები მაგას? — ვიძახდი ჩემს გუნებაში.
მერე რა კარგი ვაჭრობა გვქონდა! დახლი სავსე იყო
ფულით, ბედელი პურიით, მარანი ღვინით და არაყით, დუქანი
საქონლით. დულდა და გადმოდიოდა ჩემი ოჯახი და, თითქო



რალმაც შემშალაო, ჩემი პირადი კეთილდღეობის იქით მე აღარა მწამდა-რა. განა მარტო მე? სხვანი უარსნი იყვნენ; ქვეყანა მდიდრებისად გვეგონა და ჩვენც გამდიდრება გვენატრებოდა. არა ვმაღავ ჩემს შეცოდებას, რადგან ძალიან ძვირად დამიჯდა იგი.

თანაც, თითქო გულში საიდუმლო რაღაც გრძნობა დევისო, სულ აღამიანის უფლებანი და მამულისშვილის მოქალაქებრივი ვალდებულებანი მაგონდებოდა... ბოლოს დავრწმუნდი, რომ შოველი სრულიად მართალი იყო, რომ გვირჩევედა, — გაფრთხილდით, მოუარეთ საზოგადო საქმეს, თორემ მაგასაც დაჰკარგავთ, რაც შეგიძენიათო.

გაზეთებში დიდი ქება იყო ვიღაც ჭრანკონისა, რომელიც პარიზში განთქმულ მოჯირითედ ითვლებოდა. ბაბეფის საქმისა და ბონაპარტის მრავალ გამარჯვებათა შემდეგ გაზეთებს ამ კაცის განსაცვიფრებელი მხედრობა-და გაეხადნათ სალაპარაკოდ. მკათათვის დამღვეს, ფალსბურგში რომ ბაზრობა იყო, ის ჭრანკონიც იქ გაჩნდა. შამპანზედ გამოველო, ლორენს შემოაპყლოდა და ჩვენში კი მობრძანდა თავის ამხანაგებით. უშველელი ფიცრული ააგო მოედანზე და განცხადება ყველგან, გააკრა, — ვისაც გნებავთ საკვირველის მოჯირითეების ნახვა, მობრძანდით და დასტკბითო. თან მთელს ქალაქში თავის ცხენებს ატარებდა, მოედანზე საყვირს უკრავდა და ბუკსა სცემდა. დიდძალი ხალხი დადიოდა მის სანახავად. მეც მიწოდდა მარგალიტასთვის მეჩვენებინა პარიზული ჯირითი, მაგრამ დუქანში ბუზივით ირევოდა მუშტარი და თავის დანებება შეუძლებელი იყო.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ჩვენებურები რომ არ მოსულიყვნენ და არ შეეტყობინებინათ, შენი ძმა ნიკოლოზი ჭრანკონის მოჯირითეებში არისო. მე კარგად ვიცოდი, რომ ნიკო ვერ გაბედავდა საფრანგეთში ფეხის შემოდგმას, რადგან ჯარიდან გაიქცა, მტერს მიუდგა, თავისი იარაღი სამშობლოს წინააღმდეგ იხმარა და, მაშასადამე, დაიჭერდნენ თუ არა, მაშინვე ჩამოახრჩობდნენ. ეს ვიცოდი და ყველას ვეფიცებოდი, ნიკო

არ იქნება, ნიკომ რამდენი ხანია თქვენი ქირი წაიღო და ნონიერი მოწმობაც მოგვივიდა იმის სიკვდილისა-მეთქი; მაგრამ ჩემი არავის სჯეროდა. ერთს საღამოს, როდესაც სწორედ ამ ლაპარაკში ვიყავით, ერთი უზარმაზარი კაცი მოადგა ჩვენს დუქანს. ტანთ მშვენიერი, ბუზმენტით ნაკერი, ტანისამოსი ეცვა, ძვირფასი ქუდი ეხურა და უძვირფასესს იარაღში იჯდა თავით-ფეხამდე.

შემოვიდა მათრახის თამაშით და დამიყვირა:

— მე ვარ, მიხო, მე!.. შენ არ ინებე ჩემთან მოსვლა და რა გაეწყობოდა, აი მე თითონ გიახლები შენ სანახავად.

ნიკოლოზი გახლდათ! დუქანი საგვ იყო ხალხით და ყველანი იმას უყურებდნენ. შემეშინდა, მაგრამ ვიფიქრე, — თუ კი თითონ არ იმაღავს თავს, მე რად უნდა ვმაღავდე-მეთქი? და გადავებვიე და ძმურად გადავკოცნე. სტეფანემაც კოცნა დაუწყო. ნიკოს არყის სუნი ამოსდიოდა. შოველი სამკითხველოში იჯდა და იქიდან გამოიციქრებოდა. მარგალიტა თრთოდა, რადგან კარვად იცოდა, რა სასტიკად სჯიდა რესპუბლიკა თვის მოლაღატებს. მაგრამ რაღა გვეთქმოდა, უნდა მიგველო! და მეც სამკითხველოსკენ წავიყვანე, რადგან იმ დროს იქ უცხო არავინ იყო.

— ვახშმად შენთანა ვარ, მიხო! ღვინო კარგი გაქვს? სამწვადესაც ხომ კარგს იშოვნი? ეხლავე გეუბნები, პირის პატივი ვიცი და თუ არ საგანგებო რამ, არას დავეკარები, ბიჭო!... რა კარგი გოგნუცაა, ეს გასაგლეჯი ესა!

— ჩემი მეუღლეა, ნიკო.

— ჰოო! შოველის ქალი... მარგალიტა! მეწვრილმანე შოველის ასული... ვიცი, ვიცი!...

მარგალიტა ცეცხლივით აენტო. ხალხმა სიცილი დაიწყო. როგორც იყო, შევიყვანე სამკითხველოში.

— ოჰო! ბებერი შოველიც აქ ბრძანდება!... რა უყავ შენი საწვრილმანო, ბებერო?

— განა ეხლა კი მეწვრილმანე არა ვარ? უპასუხა შოველმა და თან ბურნუთი მოსწია. რაცა კაცსა ბედმან მისცესო,



ხომ გაგიგონია. ყველანი ხომ შენსავით ჭრანკონის მეჯინებდ არ გახდებიან?

ნიკოს ძალიან ეწყინა ეს სიტყვები და მრისხანედ გაღუბლვირა ჩემს სიამამს, მაგრამ აღარა უთხრა-რა. იქნება თავიდან მოვიშორო-მეთქი, ვუჩურობდი: ღეთის გულისთვის, ნიკო! ქვეყანა გიცნობს! თუ გაიგეს შენი აქ ყოფნა... ხომ იცი რა სასტიკად სჯიან გახიზნულებს...

მაგრამ არც კი გამათავებინა. სკამზედ დაეშვა, ფეხები გაშხლართა და ყვირილი დაიწყო:

— გახიზნულებსაო! ჰო და რა? მეც გახიზნული ვარ! პატროსანი ყველა გაიხიზნა! რეგენი, ველური ხალხი-ლა და რჩა გაუხიზნავი! მიცნონ რა. მეც ეგ მინდა! ყურზედ ხახვი არ დამაჭრან თქვენმა რესპუბლიკელებმა! მარტოდ მარტო კი არ გეგონო! ჩვენი მფარველნი სულ ბრწყინვალე გვარიშვილები ბრძანდებიან და კარსაც ისინი გვიღებენ და დარიგებაც ისინი გვაძლევენ!... თქვენ ეი! იცით ეს რა არის? თქვენს ასსიგნაციებს კი არა გავს! აი თქვენი რესპუბლიკის გასაღები!

ჯიბეში ხელი ჩაიყო, ათიოდე ოქრო ამოიღო და შეათამაშა ხელში; თან საზარლად ხარხარებდა.

უბედურება არ არის, კაცს ამისთანა ტყის ნადირი ძმა ჰყავდეს? ლოთი, იუდასავით მოლალატე და სამშობლოს გამყიდავი!

შოველი კარგად ხედავდა ჩემს გაჭირებას და შერცხვენას. მე რომ ხმა ვეღარ ამოვიღე, იმანა სთქვა:

— კარგ დროს მოვიდა ჩვენი ნიკოლოზი. მოდი, მიხო, სუფრა გავშალოთ, ცოტა შეენაყრდეთ და რესპუბლიკის სადღეგრძელოც დავლიოთ.

სუფრა გაშლილი იყო, *) მარგალიტას საქმელი მოჰქონდა სამზარეულოდან, სტეფანე ღვინის ამოსატანად მიეშურებოდა. ერთი ხელი დანა-ჩანგალიც ნიკოსთვის, და სხვა აღარა აკლდა-რა.

*) საფრანგეთში სადილს შეადლისას სქამენ, ვახშამს სადამოს 7 საათზედ,

ნიკო გვერდ-გვერდ გამოიციქობოდა: ეტყობოდა, არ მო-
ეწონა შოველის სიტყვები.

— ლობიოს შექამადი, განა, და შინაური, ძმარივით მთავე
ღვინო! არა, ძმავ, ისევ სასტუმროში წავალ!

წამოდგა და ჩემს სიმაშრს მიუბრუნდა:

— შენ ეი, ქოფაკო! შენ კი ველარსად წავგინვალ! რეს-
პუბლიკის სადღეგრძელო უნდა დამაღვინო, რაღა?!—და თან
მედიდურად აავლებდა და ჩამოავლებდა თვალს.—მე, ნიკო-
ლოზ ბასტიენმა, მეფის ერთგულმა ჯარის-კაცმა, რესპუბლიკის
სადღეგრძელო დავლიო?! დამაცადე შენა! ეს უღვაში მომჭე-
რი, აი ეს უღვაში მომჭერი, თუ ჩემი ხელით არ ჩამოგახრჩო,
შე...

შოველი არც კი დაძრულა თავის სკამიდან, იმისთანა ზი-
ზლით და დაცინვით გადმოსცქეროდა მეფის ერთგულ ჯარის-
კაცს. ან რა ექნა? მოხუცი იყო და უძლური; ერთი რომ შე-
მოეკრა ნიკოს, სულს გაანთხევინებდა.

თავში ამივარდა სისხლი, ბრაზმა ენა დამიბა და სხვა რომ
ველარა მოეახერხე-რა, ეს ვუთხარი:

— ფრთხილად, ნიკო!... ფრთხილად! შოველი მამა-ჩემია!..

— გაჩუმიდი, შე... შენ რომ კაცი ყოფილიყავ, ურჯულოს,
მეფის მკვლელის ქალს კი არ შეირთავდი!.. თითქო არ ვიცო-
დეთ, რა წმინდა წყლისა ბრძანდებოდა შენი მარგ...

მაგრამ ველარ დაამთავრა თავისი სიტყვები: ავიტაცე, გა-
ვიყვანე დუქანში, მთელი დუქანი გავატარე და,—კარიც ღია
იყო,—ათ ნაბიჯზედ მაინც გადავტყორცნე! კიდევ კარგი, რომ
97-ში ქუჩები მოუკირწყლავი იყო, თორემ შემომაკვდებოდა ის
წუბაკი! ქვეყანა შესძრა იმისმა ყვირილმა და გინებამ. ჩემს უკან
სტეფანე და მარგალიტა გაჰკიოდნენ. მთელი მოედანი ჩვენ
გვიყურებდა. მკვდარივით ფერმიხდილი წამოდგა ნიკო და კბი-
ლების ღრქენით წამოვიდა ჩემკენ. მეც ველოდი. მაგრამ ვე-
ლარ მოვიდა: აღზად, იგრძნო, რომ ვაჯობებდი და აღარც და-
ვინდობდი. შორიხლო გაჩერდა და დამიყვირა:



— შენ ჯარის-კაცად იყავი, ვიცი... ჰო-და არსენალის უკან გელი.

— ძალიან კარგი, მეჯინიბევე! ჯერ არ დაჩლუნგებულა მგონი ჩემი ხმალი. მოწმები იზრუნე; ოცი წუთის შემდეგ იქა ვარ. აბა ვნახოთ, დამჭრი თუ არა მარჯვენა ძუძუს თავში!

სტეფანე ცხარი ცრემლითა ტიროდა. დუქანი დავკეტე და შინ შევედი. მარგალიტა ფერმიხდილი მომვარდა და შემომძახა:

— არა, შენ შენს ძმას არ შეებრძოლები!

— ვინც ჩემს ცოლს შეურაცყოფს, ის ძმა კი არა, მტერია ჩემი. და შეურაცყოფას მარტო სისხლით ჩამოიბანს კაცი!

შოველიც ცდილობდა, შევემაგრებინე:— პატიოსანი კაცი მოღალატეს არ შეებრძოლებო! მაგრამ მე ყურიც არ ვათხზოვე, ხმალი შემოვიკარ და წავედი. მინდოდა ლორანი და პეტრე ჰილდებრანდი წამეყვანა მოწმეებად. ბინდებოდა. თვალი მოვკარ, რომ შოველი უკან გამომყვა და სამამასახლისოსაკენ გაეშურა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და ჩემს გზას გავეშურე. ცოტა ხანს უკან მე და ჩემი მოწმეები არსენალისკენ მივდიოდით. იმათაც წამოვლოთ ხმლები:— კაცნი ვართ, ვინ იცის, რა მოხდესო? მაგრამ გავედით თუ არა არსენალთან, შორიდანვე ყვირილი შემოგვესმა:

— გაჩერდით! გაჩერდით!... დაიჭირეთ, არ გაუშვათ!

ამავე დროს ნიკოც გამოჩნდა: მშვენიერ ცხენზე იჯდა და ისე მოაჭენებდა, რომ იქვე მდგომმა დარაჯმა ხიშტის ამართვაც ვერ მოასწრო; უკან ჯარის კაცნი მოსდევდნენ საშინელი ყვირილით: დაიჭირეთ! არ გაუშვათო!

დავბრუნდით, რალა გაეწყობოდა? შოველი კარებში შელოდა და მითხრა:

— მამასახლისთან ვიყავ. მინდოდა შემეტყობინებინა ნიკოლოზის აქ ყოფნა და დამეტყობინებინა; მაგრამ ტყუილად გავისარჯე; შენი პატიოსანი ძმა სრულიადაც არა ჰფარავდა თავის ვინაობას, ყველგან თურმე ოქროებს ათამაშებდა და ბლამონიდანვე დასდევნებოდნენ დასაჭერად. ეს არის ეს-ლაც ჭრანკონისთვის საუკეთესო ცხენი მოუპარავს და იმითი

გაქცეულა. ეტყობა, დაინახა თუ არა ჟანდარმები, მაშინვე მიხედა, რომ იმის დასაჭერად იყვნენ მისულნი და თავს უშველა. ჭრანკონი იძახის, მე ეგ კაცი სულ ორი კვირა არ არის, რაც გავიცანიო. წარმოიდგინე, გახიზნულებისაგან გამოგზავნილი ჯაშუში ყოფილა შენი ძმა.

ამ ამბავმა უფრო მომიკლა გული. ჩემი ძმა საჯაშუშოდ შემოსულიყო თავის სამშობლოში!

ეახშმად დავსხედით, მარგალიტა ძალიან კმაყოფილი იყო. ჩემი სიმამრი წამდაუწუმ მოსწევდა ბურნუთს და დაიძახებდა:

— ვაჟკაცი ამისთანა უნდა, აი! ისე წამოიტაცა იმოდენი მთა-კაცი, რომ სხვა ბაღდაც ვერ აიყვანდა. რამდენ შაქრის თავს წაჰკრა ცხვირი იმ უბედურმა, დუქანში რომ მიაქროლებდი.

უნდა მოგახსენოთ, რომ დუქანში ჭერში გვეკიდა შაქრის თავები. და მართლაც ძალიან ძალა უნდა დასდგომოდა საწყალ ნიკოს ცხვირს. ყველანი იცინოდნენ.

ამით არ გათავდა ეს სამწუხარო ამბავი. მეორე დღეს დილით დედა-ჩემი შემოვიარდა დუქანში. კალათი დახლზე დაახეთქა, და ცოფიანივით მომვარდა. სწორედ ცოფიანივით, რადგან თმა გასწეწოდა, თვალები სისხლით ავსებოდა და პირიდან ღორბლი სდიოდა. მომდგა და ღმერთიც კი არ შემარჩინა უხსენებელი! მარგალიტას ხელში ეჭირა ჩვენი ბიჭი და ისიც კი დაგვიწყევლა! კანინი ხარო, იუდაო! მეფის ჯარები შემოვლენ და ყველას ჩამოგახრჩობენ, დიდსაც და პატარასაც, რომ თქვენი თესლი არსად დარჩესო. დახლზედ გადმოეყუდა და მუშტს მიღერებდა. მე გაჩუმებული ვისმენდი იმოდენ წყევლას და უწმაწურ ლანძღვა-გინებას, მაგრამ დუქანში მყოფმა ხალხმა ველარ მოითმინა და აქეთ იქიდან შეუტრეს:

— კარგი, გაჩუმდი!... ღმერთი არა გაქვს?!... ე როგორ უნდა გაიმეტოს დედაკაცმა თავისი ღვიძლი შვილი!... სირცხვილი არ არის?!... კარგი მოგივა, კარგი დედა შენა ყოფილხარ!...

და მე რომ ვერა დამაკლორა—დახლს უკან ვიყავ—მივარდა და იმით დაუწყო ცემა. იმათაც, რასაკვირველია, არ



მოუთმინეს და წაჰკრეს. მაშინვე გადავბტი და შუაში ჩავუდექი. მაგრამ ამაზედ უფრო ცეცხლი მოიკიდა და შემომიტია:

— შორს ჩემგან, იუდავ! მე შენი წამოსარჩლება არ მინდა! შენი ძმა ხომ დააბეზღე! წადი და ახლა მე დამაბეზღე!— იმისთანა ხმითა კივოდა, რომ მთელი ქალაქი თავს დაგვახვია. ამ არეულობაში ჟანდარმებიც შემოვიდნენ. ისინი რომ დაინახა, ენა ჩაუვარდა. მაშინვე გავვარდი და ხვეწნა დავუწყე:— მოხუცებულია და შეიბრაღეთ, ნუ დაიჭერთ-მეთქი, მაგრამ ვერა გავაგონე-რა. კიდევ კარგი, რომ 'მოველს უკანიდან გაეპარებინა დედა-ჩემი, თორემ შერცხვებოდა სიბერის დროს. დედა-ჩემმა თავი დაახწია, მაგრამ ჟანდარმები თავისას არ იშლიდნენ და უთუოდ უნდოდათ დაეჭირათ ვინმე. მთელი ნახევარ საათი ვებვეწეთ:— რაც მოხდა, მოხდა, ვითომც არაფერი გაგიგონიათო... ბოლოს ერთი ხელადა ღვინო გამოცალეს და თავი დაგვანებეს.

ისე შემაწუხა ამ ამბებმა, რომ ქვეყნად ჩემისთანა უბედური სხვა არავინ მეგონა. მართალია, კაცი მარტო თავის საქციელის პასუხის-მგებელია და სხვის, თუნდა მშობელი დედის, საქციელისთვის არ უნდა იძრახებოდეს; მაგრამ მე რომ დავემწყვდიეთ ციხეში ის მერჩივნა, ვიდრე მოხუცებული დედა-ჩემი ციხეში დაჭერილი მენახა, თუნდა ძალიან ღირსიცა ყოფილიყო ამ სასჯელისა. სირცხვილით ვიწოდო! ჩემდა სანუგეშოდ მას დღეს აქეთ ამ ამბავზედ ხმა არავის ამოუღია ჩემთან, არც ჩემ ცოლს, არც სიმამრს. ან რა უნდა ეთქვათ, რომ გულის წყლულში არ მომხვედროდა? ყთველი სიტყვა? განუკურნავ ჭირს ყვირილით ვერ შეიმსუბუქებს კაცი.

ეს პირველი და უკანასკნელი მოსვლა იყო დედა-ჩემისა. ღვთის მადლით, მას შემდეგ აღარც მოსულა და აღარც ის ლაფი დაუსხავს ჩემთვის.

აქედან ცხადად დაინახავთ, რა გაბედვით და უშიშრად იქცეოდნენ მეფის-მომხრენი; ეგონათ, გათენდება და რესპუბლიკასაც დავმარხავთო. მაგრამ ბედმა უმუხბოდა და ისე ჩასცხო, რომ თავი მაღლა ვეღარ აიღეს.

საერო კრება და მასთან ერთად უმფროსთა კრება დად უსაყვედურებდა გამგეობას, იტალიაში მორიგება ერის წარმომადგენელთა დაუკითხავად რად მოახდინეთო. ბონაპარტის ძალიან სწყენოდა ეს საყვედური და გაცოფებულს შემდეგი წერილი მიეწერა პარიზში: „საფრანგეთზე ამხედრებული მტერი გაენადგურე. ხუთი მეფე დავიმორჩილე და საფრანგეთს მივუმხრე... და ნუ თუ ჯილდოდ ამოდენი სამსახურისა დამშვიდებულ, მყუდრო ცხოვრებასაც დაიშურებს ჩემთვის ჩემი ქვეყანა? ჩემი სახელი სამშობლოს ეკუთვნის და ჩემს შეურაცყოფას არავის მოვუთმენ, მეტადრე როდესაც ამას ინგლისისაგან შესყიდული კაცები ცდილობენ. იცოდეთ, დიდი ხანია ვაპქრა ის დრო, როდესაც ჯარის-კაცის სიცოცხლე მხდალი ვექილების და უბედური ყბედების ხელთ იყო და გილიოტინით თავსა ჰკვეთდნენ გამოჩენილ მხედართმთავრებს. აგრე ნუ იქნება, თორემ იტალიაში მყოფი ჯარი თავისი გენერლით ძალიან მალე მოადგება პარიზის კარებს...“ ეს წერილი გაზეთ „დარაჯში“ იყო დაბეჭდილი. შოველმა რომ წაიკითხა, წითელი ხაზით შემოფარგლა, ზედ მიაწერა სიტყვები: „რას იტყვით ამისას, მამულის-შვილო?“ და ვინც კი ქალაქში გამოჩენილი პატრიოტი იყო, ყველას გაუგზავნა.

იმავე დღესვე შეიკრიბნენ ყველა ჩვენი მეგობრები ჩვენს სამკითხველოში და დაადგინეს შემდეგი საკითხი: „რა სჯობს: საუკუნოდ მთა-მადნებში სამუშაოდ გაგზავნილ ვიქმნეთ საერო კრებისაგან, რომელშიაც უმრავლესობას მეფის მომხრენი შეადგენენ და, მაშასადამე, მეფეს დასმენ და ძველებურ ბატონყმობას შემოიღებენ?... თუ ამ უბედურობისაგან ბონაპარტის და მის ჯარის წყალობით ვიხსნათ თავი და მერე, თუნდა უარესს დღეშიაც ჩავარდეთ?“

ძნელი იყო ამის გადაწყვეტა და დიდი კამათიც გამოიწვია.

შოველი ამტკიცებდა, ამის გადაწყვეტა დღეს შეუძლებელი არისო:—რესპუბლიკის სიცოცხლე ერთს გარემოებაზე არის დამოკიდებული: თუ ამ წერილმა, გონებაზე მოიყვანა სა-



ერო და უმფროსთა კრების წევრები, ისინი პირდაპირ გამოაცხადებენ,—მეფის მოწინააღმდეგენი ვართ და ვთხოვთ ხალხს, მხარი მოგვცეს და თავისუფლება დაგვამყარებინოსო; ამ შემთხვევაში ხალხი, რა ნახავს რომ წინამძღოლები ჰყავს, იარაღს აიღებს; მაშინ გამგეობა იძულებული შეიქნება, სრული ანგარიში წარმოადგინოს თავის მოქმედებისა, და ბონაპარტები იძულებულნი შეიქნებიან ქედი მოიხარონ და კილო შეიცვალონ. მაგრამ თუ საერო და უმფროსთა კრება თავისას არ დაიშლის და რესპუბლიკის გაუქმებას ეცდება, ხალხს უკვე გადაგდებული მეფის და გამარჯვებული მხედართმთავარის შუა მოუხდება არჩევანი და რასაკვირველია ყველანი ბონაპარტისკენ იქნებიან.

ვინც კი იქ იყვნენ, ყველანი გამგეობას ემდურებოდნენ. ქვეყანასა სძარცვავს, ჰქურდავს, უსირცხოოდ და გაუძაღრად ისაკუთრებს მილიონებს და ლაჩრად ქედს უბრის ვილაცა გენერლის თავხედ მუქარასაო. მაგრამ ამას ამბობდნენ, რომ თუმცა ჩირადაც არა ღირს, მაინც გაცილებითა სჯობიან საერო და უმფროსთა კრებას, რომელთა წევრნი თითქმის საერთოდ მეფის ტახტის აღდგენას ცდილობენ და, მაშასადამე, თუ გამგეობის და ორი კრების შორის რაიმე შეტაკება მოხდა, ყველა კეთილი პატრიოტი გამგეობას უნდა დაეხმაროსო.

ქალაქის კარები დიდი ხნის დაკეტილი იყო,—როდესაც დაიშალა ჩვენი პატარა კრება. ნეტაეი უფრო ადრე დაშლილიყო, გულს დავიმშვიდებდი; ერთ წამს არ მომისვენია და რაც ხანი ისინი პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ: მე სულ პოლიციის მოხელე მელანდებოდა თავის კაცებით... ცხადლივ მესმოდა კარის რაკუნის და ბრძანება:

—კანონის ძალით, გაგვიღეთ კარი!

ჩემდა საბედნიეროდ ამგვარი არა მოხდა—რა და პირველ საათზე სრულიად მშვიდობიანად დაიშალა ჩვენი კრება. ეს იყო 1797 წლის მკათათვეში. რამდენიმე დღის შემდეგ გახეთქება ამბავი მოგვიტანეს, გენერალი ოში მთელი თავისი ჯარით პარიზზედ მიდის საშინელი სიჩქარითაო. ორივე კრება აღ-

ფოთებულო იყო, ოშის პარიზზედ წამოსვლას გამგეობას რალებდნენ და ვინ იცის რამდენ ლანძღვას და მუქარას სწერდნენ გამგეობის და თავიანთ ურჩი გენერლების წინააღმდეგ! ოშის ჯარის მიახლოვებით შეშინებულმა საერო კრებამ კანონი გამოაცხადა, რომლითაც მართებლობის მოწინააღმდეგედ და სიკვდილით დასასჯელად აღიარა ყოველი მხედართმთავარი, რომელიც ნება-დაურთველად პარიზიდან ცხრა ვერსის მანძილს გამოაცილებდა თავის ჯარებს. ბრძანება გასცა, რომ ყველა გზებზე პარიზიდან ცხრა ვერსის მანძილზე ბოძები იქმნას დადგმული და ზედ წარწერა იქმნას გაკრული, რომლითაც სცნას ყველა მხედართმთავარმა და მთელმა ჯარმა, რომ ამ სამძღვრის გადმოთელვა სიკვდილს უქადის დამნაშავეს.

ეტყობა, შეაფიქრიანა გამგეობა ამ კანონმა და გაზეთებში მუქარამ, რომ ოშს ბრძანება მისცეს, უკან გაბრუნდით. ისიც გაბრუნდა, მაგრამ ეს კი ყველასთვის უეჭველად დამტკიცდა, რომ გამბედავ მხედართმთავარს ადვილად შეეძლო ხელთ ეგდო მართებლობა. დღეს ოში იყო მხედართმთავარი, პატიოსნებით აღსავსე კაცი, რომელსაც თავის სახელის უძვირფასესი არა გააჩნდა-რა ამ ქვეყნად; გარდა ამისა, გამგეობაც სუსტი იყო, ვერ გაბედა განეხორციელებინა თავისი წადილი, და ამიტომ ჩაიარა ასე მშვიდობიანად ამ ცდამ. ცოტა ხნით კიდევ შეურყევლად დარჩა ყველაფერი, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით. იმავე დროს, 14 მკათათვის დღესასწაულის გამო, იტალიელმა ჯარმა საშინელი მუქარა გამოუცხადა მეფის მომხრეებს. ყველაზედ მრისხანედ გენერალი ოყერო იმუქრებოდა, პარიზელი წმინდა ანტონის უბნელი ხალხის შვილი; იმან პირდაპირ გამოაცხადა, მე გამგეობის მომხრე ვარ, და ორივე კრების წინააღმდეგეო. გამგეობამ ოყერო პარიზში მდგომი ჯარის მხედართმთავრად დანიშნა. მკათათვის გასულს ოყერო უკვე პარიზს მივიდა და მიიღო თავისი ჯარი. გაზეთები სავსე იყო იმისი ტანისამოსის აღწერით: — თავით-ფეხამდე ოქროში ზის და ლილები აღმასისა უკერიაო... ტყუილად კი არა მწერდა ჩემი სიძე-ბატონი, ჩავიქეციოთ ამოდენი თვალ-მარგალიტითაო!



პიშეგრუ, საერო კრების ერთგული გენერალი, ლარბ-ლატაკი კაცი იყო ოქეროსთან შედარებით, რომელსაც ბევრნი თვით ბონაპარტზედ უკეთესად სთვლიდნენ.

ამგვარად განვლო მკათათვემ და მარიამობისთვემ. ჰურის მოსავალი კარგი იყო იმ წელს; ყურძენი შეთვალეზული იყო და სართვლოდ ვემზადებოდით. დამშვიდებული გვეგონა ყველაფერი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მთელს ქალაქს პროკლამაციები მოჰფინეს ცხენოსანმა შიკრიკებმა, ყველანი იღებდნენ და შინისკენ მიეშურებოდნენ წასაკითხად. ჩვენსაც გიჟივით ყვირილით შემოვარდა ელოფ კოლენი პროკლამაციით ხელში:

— რესპუბლიკას გაუზარჯოს! მეფის მომხრეთ თქვენი ქირი წაუღიათ!

იქვე დუქანში დაიწყო ხმა-მალლა პროკლამაციის კითხვა; ყველანი გაკვირვებულნი ვუსმენდით. მაგრამ სადღა იყო რევოლუციის პირველი წლის აღტაცება? ბევრი რამ იცვალა მას შემდეგ და ისე მოგვიჩლოუნგა ყოველი გრძნობა, რომ ჩვენთვის გასაკვირველი აღარა იყო-რა. არ მოველოდით კი, ღვთის წინაშე, ამ ამბავს. ღიმილით ვეკითხებოდით ერთმანეთს: ნუ თუ ეს მართალიაო? შოველი კი იჯდა თავისთვის კუთხეში, ბურნუთს შეექცევოდა და პირს ღიმი მოსდიოდა, თითქო გვეკითხება:—რალას კითხულობთ, მე უმაგისოდაც ვიცი, რომ საერო კრებას ჯარსა აჯობაო!

ის პროკლამაცია გუშინ ვიპოვნე ჩემს ქალაქლებში. მინდოდა მთლად გადმომეწერა, მაგრამ ამოდენი პროკლამაციებით თავი შეგაწყინეთ მგონი, და გარდა მაგისა, ცოტა არ იყოს, სულ ერთმანეთსა ჰგვანან ეს პროკლამაციები და ერთი-ორიცა კმარა წასაკითხად.

მეფის მომხრეებმა ერთხელ კიდევ სცადეს რესპუბლიკის დაღუპვა, ეწერა ამ პროკლამაციაში. ერთი წელიწადია ძირს უთხრიან და ბოლოს, აღბად საკმარისად მისუსტებულად ეჩვენათ იგი, რომ ყოველი მხრიდან გახიზნულები დაიბარეს, ვანდედან და ლიონიდან თავიანთი მომხრენი, და გამგეობის გაუ-

ქმება მოინდომეს. მაგრამ ვერას გახდნენ. გამგეობა ამით დაწერილობით, უტყუარი საბუთებით, დამტკიცებულს მათ განზრახვას აცნობებს ერს, რომ იცოდეს ხალხმა, რას უპირებენ მეფის მომხრენი რესპუბლიკას და მასთან ერთად ყოველი მამულიშვილის თავისუფლებას, მოქალაქებრივ უფლებას და საკუთრებას, რათა ამით ერთხელ კიდევ განამტკიცოს ის აზრი, რომ ადამიანს ადამიანურად ცხოვრებას მარტო კონსტიტუცია ანიჭებს.

ეს პროკლამაცია და მასთან ერთად მეფის მომხრეთა შეთქმულობის დაწვრილობითი აღწერა მრავლად დაურთგდა ხალხს ქალაქშიც და სოფლებშიაც.

მეორე დღეს გავიგეთ, და მეფის მომხრენი არც კი მალავდნენ, რომ გამგეობის გასაუქმებლად თურმე ემზადებოდნენ. რალა დავაცადოთ, მანამ საკმარისს ძალას მოიკრებენ, ჩვენვე დავასწროთ და შევემუსროთო, — გამგეობას გენერალი ოყეროსთვის მიენდო შეთქმულების დასჯა. ოყერო თორმეტი ათასი კაცით დარეოდა პარიზს და დაეკირა ყველა შეთქმულნი და აგრეთვე ბევრი საერო და უფროსთა კრების წევრი. მეორე დღეს უმთავრესს დასჯილთათვის, ორმოც და ცამეტი კაცისთვის კალედონიაში გაგზავნა გადაეწყვიტათ და ზედ მეფის მომხრე გაზეთების რედაქტორები და გამომცემლებიც მიეყოლებინათ.

კალედონიაში გაგზავნილთა შორის ბევრი ცნობილი მოღვაწე იყო, მაგალითად ბუასის დანგლა, პიშვერუ, ობრი აი როგორ აღმოჩენილიყო ეს შეთქმულობა: ბონაპარტს რომ ვენეცია აეღო, უწინარეს ყოვლისა ინგლისის კონსულის დაქერა და ერთიც ფრანგის — მეფე ლუი XVIII ერთგულად ცნობილის მსახურის ანტრეგის დაქერა ებრძანებინა. ამ ანტრეგთან ეპოვნათ მისივე ხელით ნაწერი ქალაქდები, რომელშიაც აწერილი თურმე იყო, როგორ დაიყოლია გენერალი პიშვერუ მეფის მოხელემ, თავადმა მონგაიარმა. თავადმა კონდემ იცოდა, რომ მონგაიარს საფრანგეთში დიდი ნათესავობა ჰყავდა და 1795 წ. შვეიცარიაში დაიბადა და სთხოვა: — უნდა მოახერხოთ როგორმე და პიშვერუ მოგვისყიდოთო. მეტად ძნელი იყო ამ ბრძანების ასრულება, რადგან პიშვერუს

ოთხი კომისარი ჰყავდა საერო კრებისაგან და დღე და ღამე თვალს არ არიდებდნენ.

მიუხედავად ამისა მონგაიარმა ექვსასი ბაჯალლო ოქრო ჩაიჩხრიხლა ჯიბეში და შეუდგა საქმეს. შვეიცარიაში ნეჭშატელში ერთი მესტამბე ფოშბორელი შეიამხანავა და ერთიც იქაურივე ვილაც კურანი, რომელთაგანი პირველი ღმერთსავით ლოცულობდა საფრანგეთის მეფის გვარს და მეორე კიდევ ფულისთვის სატანას არ დაუქერდა თავის სულს. მონგაიარმა იმათ საქირო დარიგება მისცა, პასპორტები უშოვნა და საფრანგეთში შეგზავნა, როგორადაც უცხოელი სოფედაგრები. თითონ კი ბაზელში დარჩა.

ახლა კი სიტყვა-სიტყვით გადმოვიწერ იმ ქალაქს, რადგან ამ საბუთებს თვით მეფის მომხრენიც არ უარობენ და, გარდა ამისა, კარგი იქნება ნახოთ, როგორა სჯიან თავის თავს მოლაღატენი:

„13 აგვისტოს 1795 წ.,—ამბობს მონგაიარი,—ფოშბორელი და კურანი პიშეგრუს ბანაკისკენ გაემგზავრნენ; რვა დღე იყვნენ იქ, ყოველ დღე ხედავდნენ გენერალს, მაგრამ მას ყოველთვის კომისრები და აფიცრები ჰყვანდნენ თან და ლაპარაკი შეუძლებელი იყო. პიშეგრუმ კი შეამჩნია იგინი, მეტადრე ფოშბორელი. და რადგან თავის გზაზე ყოველგან იმასა ხედავდა, მიხვდა, ჩემთან სალაპარაკოდ არის მოსულიო, და ერთხელ მარტოდ მიმავალმა ანიშნა, უნინგში მივდივარო. ფოშბორელიც იქით გაეშურა. პიშეგრუს ოთხივე კომისარი თანა ჰყავდა. მინც მოახელა ერთ წამს მარტოდ დარჩენა და, თუმცა კოკისპირულადა წვიმდა, უთხრა, სადილად ქალბატონ სალომონთანა ვარო. ქალბატონი სალომონი პიშეგრუს საყვარელი გახლავთ და ქალაქ გარეთა დგას ერთი საათის სავალზედ. ფოშბორელი მაშინვე გზას გაუდგა. დანიშნულ ალაგს სადილს უკან მივიდა და პირდაპირ გენერალი პიშეგრუ იკითხა. გენერალმა მარტო მიიღო, თან ყავას მიირთმევდა. მესტამბემ მოახსენა, ჟანჟაკ რუსსოს ხელნაწერი მაქვს, და თუ ნებას მიბოძებთ, მინდა თქვენ გიძღვნათო.—„ძალიან

კარგი, — უბასუხა პიშეგრუმ, — ოღონდ ჯერ ხელნაწერს, წავი-
კითხავ რადგან რუსსოს იმისთანა აზრები აქვს თავისუფლების
შესახებ, რომელთაც მე ვერ ვეთანხმები და, მაშასადამე, არ
მინდა, რომ იგინი ჩემი სახელით გავრცელდნენ.“

— შაგის გარდა სხვაც მინდა მოგახსენოთ რამე. — უთხრა
ფოშბორელი.

— რა და ვისგან?

— უგანათლებულეს თავად კონდესგან.

— გაჩუმდით!

ერთ მიყრუებულ ოთახში გაიყვანა და იქ დაუწყო ლაპა-
რაკი:

— ამიხსენით თქვენი სიტყვები. რას მიბრძანებს უგანათ-
ლებულესი თავადი კონდე?

ფოშმა უცბად ვერ მოახერხა პასუხი და შემკრთალი ბუტ-
ბუტს მოჰყვა.

პიშეგრუმ უთხრა:

— დამშვიდდით. მე იმავე აზრებისა ვარ, რა აზრებისაც
უგანათლებულესი თავადი კონდე ბრძანდება. მითხარით, რას
მიბრძანებს?

ფოშბორელიც დამშვიდდა და უთხრა:

— უგანათლებულეს თავადს ნებავეს, თქვენ მოგენდოთ...
თქვენი იმედი აქვს... თქვენთან შეერთება სურს.

— ეგ სიტყვებია, ცარიელი, უსარგებლო სიტყვები, — უთ-
ხრა პიშეგრუმ. — სიტყვა ქარია და ქარივით ჰქრება. წადით,
სთხოვეთ, ხელნაწერი ბრძანება მოგცენ და სამ დღეზედ ისევ
დაბრუნდით ჩემს სანახავად. სალამოს ექვს საათზე მარტო ექი-
ნები.

„ფოში მაშინვე ბაზელში მოვიდა და გახარებულმა მიამბო ეს
ამბავი. მთელი ის ღამე წიგნის წერას მოვუნდი, რომელიც პიშეგ-
რუსთან უნდა გამეგზავნა; უგანათლებულესმა თავადმა, რომელ-
საც მეფე ლუი XVIII-ისაგან მინიჭებული ჰქონდა ყოველივე უფ-
ლება, თავის ხელმოწერილი ბრძანებით მე მომანიჭა მრავალი თა-
ვისი უფლებანი და, სხვათა შორის, უფლება მიბოძა, გენერალ პი-

შეგრუს გამოვლაპარაკებოდი და, თუ შეიძლებოდა, დამეყოლია კიდევ. მე ამ უფლების ძალით შეეუდექ მასთან წიგნის წერას. ჯერ დიდი ქება შევძღვენ, რომ გული მომეგო და აღმეძრა მასში სიამაყე, რომელიც განაგებს დიდსულოვანთა ყოველს მოქმედებას; ავუწერე, რა სიკეთეს უზამს იგი სამშობლოს, თუ ჩვენ მოგვიდგა და მამა-პაპეული ტახტის შოვნა უშველა ჩვენს მეფეს. აღვნიშნე აგრეთვე, რა მადლიერი იქნება მისი მეფე და რა სამაგალითოდ დააჯილდოვებს მის სამსახურს; მივწერე: — მის უდიდებულესობას ნებაგს, მარშლობა მოგცეთ და ამასთანავე აღზასის მოურავობა, რადგან აღზასს ვერაფერს მოუფლის ისე კარგად, როგორადაც ის, ვინც იგი მტერთაგან დაიცვა-მეთქი; რომ გარდა მოურავობისა მეფე უწყალობებს მას შამბოლის ციხეს თავისი მამულებით, თორმეტი ზარბაზნით, ერთ მილიონს ვერცხლის ფულად, ორას ათასს წლიურს შემოსავალს საშვილიშვილოდ და სასახლეს პარიზში; ყველა ამას ისიც დაეძინე, რომ მეფის ბრძანებით ქალაქი არბუა, სადაც პიშეგრუ დაიბადა, პიშეგრუდ იწოდება და თხუთმეტი წლის განმავლობაში განთავისუფლებული იქნება ყოველი გარდასახადისაგან; რომ მის ცოლს ორასი ათასი და მის შვილებს და შვილის შვილებს თითოს ორმოც და ათი ათასი ექნებათ პენსიად ვიდრე არ ამოწყდება მისი შთამომავლობა.

ეს შევაძლიე პიშეგრუს. რაც შეეხება მის ჯარს, აი რას შევპირდი მეფის სახელით: ყოველი რაზმის უმფროსი დამტკიცებული იქნება თავის ხარისხში; ყოველი რაზმის უმფროსი ან ჯარის კაცი, რომელსაც კი პიშეგრუ დაგვისახელებს, წარჩინებული იქნება; წარჩინებული იქნება აგრეთვე ყოველი ჯარის უმფროსი, რომელიც რაიმე ციხეს დაგვანებებს. განთავისუფლებულ იქნება ყოველი ხარჯიდან ყოველი ქალაქი, რომელიც დაგვანებდება. ხალხს ერთიანად მივუტევებთ ყოველს მეფისადმი შეცოდებას და არავის დავსჯით.

ბოლოს დაეუმატე უბრწყინვალესი თავადი კონტეს სურვილიც: თავადსა სურს, რომ თქვენ თქვენს პანაკში ლუი XVIII აღიაროთ მეფედ, ქალაქი ჰუნინგი ჩვენ დაგვითმოთ, შემოავი-

ერთდეთ თქვენი ჯარი და ჩვენთან ერთად პარიზის ასაღებად წამოხვიდეთ.

„პიშეგრუმ გულმოდგინედ წაიკითხა ჩემი წერილი და ჰკითხა ფოშბორელს:

— ძალიან კარგი, მაგრამ ვინა ბრძანდება ეს მონგაიარი, რომ ამ უფლებებით აღქურვილსა ჰხადის თავის თავს? მე არც თითონ იმას ვიცნობ, არც იმის ხელწერილს. ეს იმის ნაწერია?

— დიაღ, ბატონო.

— ჰო და უწინარეს ჩემი პასუხისა, მე მსურს დავრწმუნდე, რომ უბრწყინვალესმა თავადმა კონდემ თავისი ხელით შეამოწმა, ყოველი პირობა, რომელსაც მე მონგაიარი მიდებს. მე კარგად მახსოვს თავადის ხელნაწერი. მაშ დაბრუნდით მონგაიართან და სთხოვეთ, შეატყობინოს უბრწყინვალეს თავად კონტეს ჩემი პასუხი.

„ფოში მაშინვე ჩემკენ გამოემშურა, პიშეგრუსთან კურანი დასტოვა. ბაზელში საღამოს ცხრა საათზე მოვიდა და ყოველივე მაცნობა. მაშინვე თ. კონდეს ბანაკისკენ გავეწიეთ და პირველის ნახევარზედ მივედით, როდესაც თავადს უკვე ეძინა. გავაღვიძებინე და ლოგინში მწოლარემ მინახულა. თავის ლოგინზე დამსვა და დავიწყეთ სჯა. შევატყობინე მის უბრწყინვალესობას საქმის ვითარება და ვთხოვე, წიგნი მისწერეთ პიშეგრუსს, რათა დარწმუნდეს, რომ ყოველივე რაც მე თქვენი მონდობილობით და სახელით მივწერე, სრული ჭეშმარიტება გახლავთ, რომელსაც თქვენ თქვენი ხელის მოწერით ამტკიცებთ-მეთქი. ამ უბრალო და ამასთან საქირო თხოვნის განსჯას, რომლის წინააღმდეგ ვერავითარ შენიშვნას ვერ იპოვნის კაცი, მთელი ღამე მოვანდომეთ. თ. კონდე საკვირველი გულადი ფაქაცია, ღირსეული შვილი ღირსეული მამა-პაპისა, მაგრამ როცა საქმე სხვას რასმე შეეხება, საკვირველი გაუბედავი კაცია, უხასიათოა, უვიცი, გარს იმისთანა ვერაფი და საკუთარი ინტერესებით გატაცებული კაცები ახვევია, რომ...

მონგაიარი დაწვრილებით ასწერს მეფის მხლებელთა სულმდაბლობას, ლაჩრობას და უპატიოსნობას. მერე განაგრძობს:



„მთელი ცხრა საათი ვეწეალე, ვიდრე გავაბედდინებდი და პიშეგრუსთან ცხრა სტრიქონს დავაწერინებდი. ხან იძახდა, ჩემი ხელით არ დავეწერო; ხან იძახდა, თარიღს არ დავუსვამო; ხან იძახდა ჩემს ბეჭედს არ დავასვამო; ბოლოს, როგორც იყო დავიყოლიე და მისწერა, სრული ნდობა გქონდეს მონგაიარის წინადადებისა, რომელიც ჩემი მონდობილობით და ჩემი სახელით მოქმედებსო. ეს გავათავეთ, მაგრამ ახლა სხვა ქირი აგვიტყდა: ჩემი წერილი უკანვე დამიბრუნოსო. მე ჩემი დამემართა, მანამ დავარწმუნებდი, რომ თუ წერილის უკანვე მიღება უნდა, ეს პიშეგრუს არ უნდა აგრძნობინოს; რომ წერილს წავაკითხებთ და რაკი ვნახავთ, რომ საქმე გარიგდა, უკანვე გამოვცინცლავთ.

ინათლა და ბაზელისკენ გავწიეთ. ჭოშბორელი იმ დილითვე გავისტუმრე პიშეგრუს ბანაკისკენ. ერთი კი გადაეკითხა გენერალს თ. კონდეს წერილი და მაშინვე უკან მოეცა: მე ვიცნობ მის უბრწყინვალესობას და ჩემთვის ესეცა კმარა. მისი სიტყვა სრულიად საკმარისი უნდა იყოს ყოველი ფრანგისთვის და საცა მისი სიტყვაა, იქ საბუთი მეტია. აი, ისევ თავადს მიართვით ეს წერილი.

მაშინ ჭოშბორელმა აუხსნა, რას სთხოვდა მას მეფის მინდობილობით თ. კონდე: 1) პიშეგრუსი ლუი XVIII-ს მეფედ გამოაცხადებს თვის ჯარში და თეთრ დროშას ამართავს; 2) ქ. ჰუნინგს თავად კონდეს დაანებებს.

„პიშეგრუსი ამაზედ უარი განაცხადა: მე ყველაფერი დასრულებული მიყვარს და ნაწილით ვერ დავკმაყოფილდები; მე სრულიადაც არ მინდა ლათაიეტის და დიუმურიესავით დავაბოლოოვო ჩემი ცხოვრება: მე კარგად ვიცი ჩემი ძალა და საშუალებანი; თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიღია ეს ძალა; მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული არა მარტო ჩემს ჯარში, არამედ პარიზში, თვით კონვენტში, მთელს საფრანგეთში სხვა ჯარებში, რომელთა მხედართმთავარნი ჩემის აზრისანი არიან... დრო არის ბოლო მოვუღოთ! საფრანგეთი რესპუბლიკად ვერ დარჩება! საფრანგეთს მეფე უნდა,

ლუი XVIII. მაგრამ რევოლუციის გაუქმება მაშინ უნდა ვიწყოთ, როდესაც დაქვემდებარებით გვეცოდინება, რომ უცბად და უთუოდ მივახწევთ ჩვენს მიზანს. თავადის გეგმა გროშად არა ღირს, რადგან ოთხ დღესაც ვერ გამაგრდება ის ჰუნინგში და არ გავა ორი კვირა, რომ მეც დავიღუპები. ჩემს ჯარში ყოჩაღი ბიჭიც ბევრია ზე საძაგელიც; საჭიროა მათი განშორება; საჭიროა იმგვარ გარემოებათა შექმნა, რომ ძალაუნებურად უკან გამოიყვინნ ჩემი ბიჭები და გრძნობდნენ, რომ ხსნა მარტო ჩემს გამარჯვებაში-ლა აქვთ. ამის ასასრულებლად მე რეინს გამოვალ. პირობას გაძლევთ, რომ დანიშნულ ალაგს და დანიშნულ დროს თქვენგანვე დანიშნული ჯარის ნაწილებით გამოვალ რეინს. მაგრამ თქვენკენ გამოსვლამდე ყველა ციხე-სიმაგრეში ჯარის უმფროსად ჩემს ერთგულს და თანამოაზრე უმფროსებს დავაყენებ ერთგული ჯარებით. იმ საძაგლებს კი, რომელნიც ჩემს ჯარშიც ბევრნი არიან, მე იმისთანა ალაგებში გავგზავნი, რომ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიონ ჩვენს განზრახვას და ვერც შეერთდნენ. ამის შემდეგ, რაკი გაღმა გამოვალ, მეფედ აღვიარებ ლუი XVIII-ს, და ავმართავ თეთრ დროშას; თ. კონდეს ჯარები და აგრეთვე პრუსიელები შემოგვიერთდებიან და ერთად შევალთ საფრანგეთში. ციხეები თავისთავად დაგვენდებიან და პირდაპირ პარიზისკენ გაწვევთ. ორ კვირაზედ პარიზს მივადგებით. მაგრამ ეს კი არ დაგავიწყდეთ, რომ ჯარის-კაცს ის უყვარს, ვინც ხახას გაუსვლელს. რომ დაიძახებს, მეფეს გაუმარჯოსო! ერთი ჯამი ღვინო უნდა გადააკრევინოთ და ერთი ოქრო ჩაუღოთ ხელში. პირველ ხანებში მას არა უნდა აკლდეს-რა და მთელს ჩემს ჯარს თავსაყრელი უნდა ჰქონდეს ყველაფერი... მიბრძანდით, მიართვით მის უბრწყინვალესობას ჩემი პასუხი, ჩემი წერილი და პასუხი მომიტანეთ“.

აქ კი შევჩერდები! იმ მოღალატისათვის ესეც კმარა. ჩემი საწყალი მოხუცებული სომი პიშეგრუსაგან „საძაგლებად“ წოდებულთა რიცხვში იყო და მართლა ისეთ ალაგებში გაფანტა იგინი მოღალატე მხედართმთავარმა, რომ ათიათასი კა-



ცი დაღუბა! როგორ გაბრაზდებოდა სომი, ეს წერილი რომ წაეკითხა, როგორ შეაღრქიალებდა კბილებს! განა არა, სულ იმას იძახდა საწყალი, გენერალი გვლალატობსო! მაგრამ ვინ იყო გამგონი? რა მწარე უნდა ყოფილიყო უბედურისთვის გრძნობა, რომ მახეში გააბა ისა და იმისი ამხანაგები მტრისაგან შესყიდულმა მის მხედართმთავარმა!

ქვეყანა შესძრა ამ ამბავმა. და განა მარტო ამან? ამას ზედ ერთოდა დიუვერნის, ბროტტიეს და სხვების შეთქმულობა, რომელნიც გამგეობამ გამოაქვეყნა. მათი წერილები ცხადად ამტკიცებდნენ, რომ შეთქმულნი სამზღვარ გარეთ კი არა, საფრანგეთშიც ბევრი ბრძანდებოდნენ და უმთავრესნი შიგ საერო კრებაში იყვნენ ვითომდა ერის წარმომადგენლებად.

ბარბამ, რეგელმა და ლარევეიერმა „რესპუბლიკის მხსენლის“ სახელი მოიხვეჭეს. მრავალი დამნაშავე გაგზავნეს მაშინ კალედონიაში; გახიზნულების წინააღმდეგ სასტიკი კანონები გამოაცხადეს; გახიზნულთა ნათესავებს ყოველივე სახელმწიფო სამსახური აუკრძალეს; მოსპეს თავისუფლება მწერლობისა და თავისუფლება ერის მცველი ჯარისა... და ჩვენდა სამწუხაროდ, იმისთანა ყოფაში იყო ჩვენი მომავალი, რომ მწერლობის თავისუფლების მოსპობაც კი აუცილებელ საქიროებას წარმოადგენდა. დიუვერნიეს ლალატმა რეინზე მყოფი ჯარის მხედართმთავარი გენერალი მოროც ჩაითრია და მის ალაგს გენერალი ოში იქმნა დანიშნული.

მეფის მომხრეებმა, რომელთაც ათასობით ხოცეს პატრიოტები და ათი ათასობით გაგზავნეს კალედონიაში, როცა ძალა ხელთა ჰქონდათ, ეხლაც ქვეყანა აიკლეს გოდებით:—რესპუბლიკა უღმერთოდ გვეკიდება და იმისთანა საშინელ ქვეყანაში გვგზავნის, რომ იქაურ სიცხეებს და ციებ-ციხელებას ხორციელი ადამიანი ვერ გაუძლებსო! მართალია, კალედონია ცუდი, დამცდელი ქვეყანაა, მაგრამ რად ეგონათ, რომ ჩვენ კი ავიტანდით? ნუ თუ ისინი ჩვენზედ ნაზის აგებულობისა ბრძანდებიან? ნუ თუ არ იციან, რომ კალედონიაში რომ სისხლის მსმელი დიდრონი ბუზებია, ისინი ღმერთმა მარტო რეს-



პუბლიკელებისთვის კი არა, მეფის მომხრეთათვისაც გააჩნდა? ძალია ხელთა ჰქონდათ... რატომ არ გააუქმეს ეს საშინელი სასჯელი? ეხლა ხომ იმათაც აღარაფერ დასჯიდა კალედონის სიცხეებით? რატომ არ იცოდნენ, რომ ჰქვიანი კაცი სხვას არ უზამს იმას, რაც არ უნდა, რომ თითონ უყონ.

რესპუბლიკამ გაიმარჯვა. კარნოს და ბართოლემის მაგივრად გამგეობის წევრებად დანიშნულ იქმნენ მერლენი და ტრანსუა. იაკობელებს ეგონათ, ახლა კი დამშვიდდა ყველაფერიო, მაგრამ ცოტახანს უკან კვლავ ასტყდა ბრძოლა კლუბებში და ახლა იაკობელები და გამგეობის მომხრენი შეიბნენ.

მართალია, დიდი ღვაწლი ედო გამგეობას მეფის მომხრეთა განადგურებაში, მაგრამ ნამდვილი რესპუბლიკელები მაინც არ ემხრობოდნენ მას: გამგეობა გაძლიერდა, საერო კრების და უმფროსთა კრების დაშლას აპირობდა და ქვეყნის სრულ დამშვიდებამდე თითონ უნდოდა სრული ბატონობა და ბრძანებლობა. ხმას ვერაფერ იღებდა, რადგან ყველგან ძალიან აწვდიდა გამგეობა თავის გრძელ ხელს. თვით შოველიც კი ფთხილად იყო; ბევრსა კითხულობდა და ჩუმად იყო. მეგონა, ჰქუაზედ მოვიდამეთქი და ძალიანაც მიხაროდა. მაგრამ ძალიან თურმე ვცდებოდი, რადგან შოველს ყოველგვარ მართებლობაზე მეტად გამგეობა თურმე სძულდა, რადგან მან დაისაკუთრა უფლება, რომლითაც თავის ნებად აყენებდა და სცვლიდა მსაჯულებს, მამასახლისებს და ერთობ ყველა მოხელეებს მთელს საფრანგეთში; გამგეობა თავის ნებად სპობდა გაზეთებს, ჰქეტაედა კლუბებს, აგვიანებდა ერის მცველი ჯარის მოგროვებას და სხვ. და სხვ.

ერთ საღამოს ველარ მოითმინა შოველმა და სთქვა:

— რაღა ვართ ჩვენ ამ გვარი მართებლობის ხელში? სადღაა ერის უფლებანი? ეგენი კი არა, ხუთივე გამგე რომ სულ დანტონები იყვნენ, დანტონისავით შორს გამქვრეტნი და სამშობლოს ერთგულნი, მაინც საზიზღარ მტარვალებად მეჩვენებიან, თუ კი ამოდენი განუსაზღვრელი უფლებებით იქნებიან აღჭურვილნი. ესენი გამგენი კი არა, ძველი ქვეყნების მტარვალნი არიან; კიდევ კარგი, რომ ასეთი სულელნი და მხდალნი არიან, თო-



რემ ამერიკელ მონებსავით გვაწვალებდნენ თავისუფალ მამული შვილებს. ძალიან გაიკვირვე! მოვა ვინმე ერთი მამაცი გენერალი, გამგეობის ხუთი წევრის ალაგას მარტო თითონ გამოიქიმება და, თუ არ გინდა, ნუ უწოდებ მას მეფედ, შენ მაინც მონა იქნები. ჯერ ეხლაც პირს კლიტე გვადევს, რადგან კედლებსაც კი უფრები შეასხა გამგეობამ და კრინტი რომ დავძრათ, დავგიქერენ, ხელშეკრულს წაგვათრევენ და საუკუნოდ გამოგვასალ მებენ სამშობლო ქვეყანას. სადღაა ერი! სად არის ჩვენი თავისუფლება? სად არის ჩვენი უფლებანი? აღარსად! გამგეობს, განაგებს ყოველსავე თავისნება! და საერო კრებას და უფროსთა კრებას, თუ არ დაგიშლიათ, ნება აქვს გამოსთქვან თავის სურვილი, მარტო გამოსაქვან, ინატრონ! და ცარიელ ნატვრას რა თაბაუთი აქვს!

საერო კრების თითქმის გაუქმებაზედ არა ნაკლებ აღშფოთებდა შოველს გამგეობის შეშინება გენერალი ბონაპარტისაგან. ბონაპარტი სრულიად თავისუფლად დაიარებოდა იტალიაში, და საერო კრების დაუკითხავად ეომებოდა იტალიელ სამეფოებს, ხარკს ადებდა, ისევ ურიგდებოდა და გამგეობას ვერც მისი გადაყენება გაეებდნა, ვერც პარიზს დაბარება ანგარიშის საკითხავად. საერო კრება სიცოცხლის ნიშანს აღარ იძლეოდა. გამგეობა რაღასაც ელოდა და მთელი საფრანგეთის ყურადღება სიცოცხლით სავსე ბრწყინვალე გენერალზედ იყო მიზყრობილი. გაზეთებში ნაპოლეონის მეტს ვეღარას ნახავდით: პროკლამაცია „იტალიაში მყოფი ჯარების მხედართ-მთავრის ნაპოლეონ ბონაპარტისა“; „ნაპოლეონ ბონაპარტის მობრძანება პასერიანოში“; წმ. პაპისაგან იოსებ ბონაპარტის, საფრანგეთის ელჩის მიღება“; გენერალი ბონაპარტისაგან ციხალპინის რესპუბლიკისთვის წესწყობილების შექმნა... ერთი სიტყვით, გენერალი ბონაპარტის ამბებით სავსე იყო გაზეთები! ნაპოლეონი იქ მიბრძანდა, ნაპოლეონმა ეს ბრძანა და სხვ. და სხვ.

იტყოდით, ნაპოლეონი საფრანგეთიაო. გენერალი ოშის მიცვალება, ოქეროს დანიშვნა მის ალაგას, ინგლისთან მორიგებაზე მოლაპარაკება—ეს ყველაფერი შეუშინეველად რჩებოდა

ჩვენი ერისთვის და ყველას ყურადღება ნაპოლეონს
 ტაცა. ნაპოლეონს შეეძლო ეთქვა, რომ ძალიან კარგად იცო-
 და გაზეთების მნიშვნელობა! ჩვენი გაზეთები მარტოდ-მარტო
 ნაპოლეონზე და მის იტალიაში ბრძოლაზე უფრო მეტსა სწერ-
 დნენ, ვიდრე ყველა ჩვენ მხედართ-მთავრებზედ და სხვა ბრძო-
 ლებზედ ერთად.

ნაპოლეონს მორიგებას ეხვეწებოდნენ იტალიელი სამე-
 ფონი და იმოდენი ბრძოლების და გაქირების შემდეგ ყველას
 გვინდოდა ომის გათავება, რომ ცოტაც არის დავმშვიდებული-
 ყავით და მიგვეხედნა ჩვენი ცოლ-შვილისთვის და მამულ-
 დედულისათვის. ყველას მორიგება გვენატრებოდა და ხალხებ-
 ზედ რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ომი თავის დღეში არ
 ატყდებოდა.

ბოლოს მორიგებაც მოხდა. რენის მარცხენა მხარის შე-
 სარჩენად, რომელიც ჩვენ ნაპოლეონის წინააღმდეგ ავიღეთ და უკვე
 გვეჭირა, გენერალმა ბონაპარტმა ავსტრიის იმპერატორს და-
 უთმო იტალია, დალმაცია და ვენეცია; დაუთმო, თუმცა ჩვე-
 ნი არ იყვნენ. დაუთმო, რადგან დამარცხებულთ არასა ჰკით-
 ხავენ. გარდა ამისა, ავსტრიის ხელმწიფე საფრანგეთს უთმობდა
 იონიის კუნძულებს, რომელნიც უიმისოდაც ჩვენ გვეჭირა.

არა, მართლა ბრმა უნდა იყოს ხალხი, რომ ამისთანა
 თვალთმაქცობაც კი ვერ გაუგოს კაცს! როგორც ვეჭილები
 მოდავეთა სისულელეზედ ამყარებენ თავიანთ კეთილდღეობას,
 ისე მხედართმთავრები ხალხის უვიცობაზედ აშენებენ თავიანთ
 დიდებას და ძლიერებას. ხომ არაფერი შესძინა საფრანგეთს ამ
 მორიგებამ, მაგრამ ხალხს თვალეზი აუბეს, დაარწმუნეს,—დიდი
 ღვაწლი დასდო საფრანგეთს ნაპოლეონმა ამ მორიგებითაო,—
 და სწორედ აქედან იწყება ბონაპარტის უცნაური ამალღება
 და გაძლიერება.

მაშინაც ბევრი გაიძახდნენ ამას, მაგრამ ხალხი, უვიცი
 და შეუგნებელი ხალხი კი, აღტაცებული იყო თავის ერთ-
 გული და დიდებული გენერლის მოღვაწეობით. განა ახსოვ-
 და ვისმე, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სხვებმაც



მრავალჯერ დაამარცხეს ავსტრიელები... ვილას ახსოვდა გუშინდელი, როცა ასე კარგად ჰგვიდა ახალი ცოცხი:

ახლა განვაგრძოთ, რადგან საქმე დასასრულია.

ბონაპარტისას ისევე დაწერილებითა სწორდნენ ყველაფერს, თითქო უდიდესი ხელმწიფე ყოფილიყოს: „მილანი, 4 ნოემბერს. გენერალი ბონაპარტი გუშინ დილით რაშტადს გამგზავრა.“ „მანტუა, 6 ნოემბერს. გენერალი ბონაპარტი სასახლეში იქმნა მიღებული. მამასახლისი და ყველა მოხელენი მოსაკითხად ეახლნენ.“ ან კიდევ: „შვეიცარიაში მგზავრობის დროს გენერალმა ბონაპარტმა სრულიად დაამშვიდა იქაურნი, რომელთაც დიდი ხანია ეშინიანთ ჩვენი ჯარების შესევისა.“ „ბონაპარტი 21 ნოემბერს ენევეში ბრძანდებოდა და საფრანგეთის ელჩთან ისადილა. დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას ხალხი...“ „გენერალ ბონაპარტს აენაშის ახლო ეტლი გაუტყდა; მშვიდობით გადარჩა და თავისი ამალით ფეხით მობრძანდა ქალაქში. ხალხი წინ გაეგება. ერთი უზარმაზარი კაცი იდგა ხალხში; რომ დაინახა ნაპოლეონი, სთქვა: რა პატარა კაცი ყოფილა ეს დიდებული გმირიო! გენერალს აღტაცებით უხვდება მთელი შვეიცარია. ლოზანი ჩირაღდნებით განათებული დაუხვდა; ბაზელში ზარბაზნების სროლით მიეგება მამასახლისი“ და სხვ. და სხვ.

პარიზში უარესი იყო. ყველა აღტაცებით მიელოდა გამარჯვებული მხედართმთავრის მისვლას, რომელმაც „ასეთი სასარგებლო“ პირობებით მოგვარივა ავსტრიის ხელმწიფეს. საერო კრებაში ბევრი მომხრე ჰყავდა და ისინიც სულ იმის ქება-დიდებაში იყვნენ: ახლა კი დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, კვლავ შრომას და მრეწველობას შეუდგება და აყვავდება! ახლა კი შეგვეძლება ამოდენი ომებისაგან გაღატაკებული ხალხის შველა, ქვრივ-ობოლთა შემწეობა, ვაჭრობის და მრეწველობის დახმარება და სახელმწიფო ვალების გადახდაო!!

სხვა რაღა მოგახსენოთ? ხალხი ფეხქვეშ უვარდებოდა ამ სალდათის ცხენს; ფეხქვეშ ეგებოდნენ და დიდ ბედნიერებად

სთვლიდნენ ბონაპარტის ფეხის მტვერის ლოკვას. აღმატებულ
ლად ისინი ირიცხებოდნენ, ვის ზურგსაც ბონაპარტი გააბედ-
ნიერებდა თავისი ფეხის შეხებით... გასაკვირველი რამ ყოფილა
ადამიანის სულმდაბლობა! და თუ იმისთანა გმირს, როგორიც
ბონაპარტი იყო, ხალხი ცხვრის ფარად მიაჩნია, ეს თვით ხალ-
ხის ბრალია და მართო ხალხისა: ვინც თავის თავის პატივისცე-
მა არ იცის, არც სხვის პატივისცემის ღირსია.

ეტყობა თვით ბონაპარტს მოსწყინდა იმოდენი სიმდაბ-
ლით აღსავსე თაყვანისცემა, რომ თავი აარიდა შევიცარას და
აღზასს და პირდაპირ პარიზისკენ გაეშურა. მერე როგორ
ვემზადებოდით, რომ იცოდეთ? უკვე თოვლი იდო, მაგრამ მთე-
ლი გზა, რომელზედაც ნაპოლეონს უნდა გამოეგლო, ფიქვის
და ნაძვის მწვანე ტოტებით იყო ორივე მხრივ შეღობილი.
რომ გენახათ, რა გულჩათუთქული დაიშალა ხალხი, როდესაც
გაიგეს, ნაპოლეონს გაუფლია კიდეცაო.

ნათლიაჩემი, ლეტუმიე და მამაჩემი ჩვენსა შემოვიდნენ
გასათბობად. სამღურავის თქმასაც კი ვერა ბედავდნენ; პირ-
იქით უკან რომ დაბრუნდება, აქეთ გამოივლის და მაშინ გა-
მოგვადგება დღევანდელი სამზადისიო.

მარგალიტამ მაშინვე ერთი ხელადა ღვინო ამოუტანა
შეცივნულებს. ის იყო დავასხით, რომ ელოფ კოლენი, რაფი-
ელ მანკი და დენის თევენო შემოვიდნენ. ყველანი ძალიან
ნაწყენნი იყვნენ, მეტადრე ელოფი, რომელსაც დიდი, მკვერ-
მეტყველებით აღსავსე სიტყვა მოემზადებინა მამულისშვილ ბო-
ნაპარტისთვის. შოველი გაჩუმებული უსმენდა, მაგრამ უცბად
იმისთანა სიცილი წასკდა, რომ ყველანი საღტად დავრჩით.

— რას იცინი, შოველ? ჰკითხა ნათლია ჩემმა.

— იმას ვიცი, ჩემო ივანე, რომ ჩვენისთანა კერპთთაყვანის
მცემელი ხალხი სხვა არსად შეიძლება. ჩვენ კერპი გვინდა, რომ
თაყვანი ვცეთ და ოღონდ კი იყოს, სულ ერთია, ვინც უნდა
იყოს! ზის ეხლა ლამაზად ჩათბუნებული თავის ეტლში ნაპო-
ლეონი, ბურნუთს შეექცევა და ფიქრობს—:ძაან კარგად არის
საქმე!... იაკობელებიც ჩემკენ არიან, მეფის მომხრენიც და ყვე-



ლა სხვა პარტიება! ან რა პარტიები, რის პარტიები? უტვინოთა, რომელთაც ორი სამი კაცი ათამაშებს თავის გუნებაზედ! ვინ იტყოდა ამ სამი წლის წინად, როდესაც ყოველ დილით რობესპიერს სანახავად ვეახლებოდი ხოლმე და ადამიანის უფლებათა დამყარების ერთგულებას ვიჩემებდი, რომ დღეს ფეხქვეშ გამეგებოდა საფრანგეთი? შარშან არ იყო, მოწყალებისათვის ვთხოვდი მამულისშვილ ბარროს, — თქვენი ნახვის ნება მიბოძეთ-მეთქი! ისიც, თუ კარგი სადილი მიერთმია, კარგად მიმიღებდა, თუ არა და!.. მოსამსახუნენიც კი მასხარად მიგდებდნენ: რაკი ნახავდნენ, რომ მათი ბატონი ცუდად დამიხვდა, თვალს უშვებოდნენ ერთმანეთს: ჰეე, მოხვდა თუ არაო! მაგრამ რა გაეწყობოდა, თავს ვიმაგრებდი, ვითმენდი, ვიცოდი, რომ ვისაც ამალღება უნდა, ძლიერთა წინაშე ქედის მოღრეკაც უნდა იცოდეს; ვიცოდი, რომ ვისაც დიდება უნდა, შეურაცხყოფის ატანაც უნდა იცოდეს... ვერ მიმიძღვის წინ შიკრიკი! ვერ მახლავს თან მეფური ამაღა! იაკობელებიც და მეფის მომხრენიც ჩემს ქებას გაიძახიან და ხოტბას მასხამენ! ყველას თავისი ვგონივარ და ჩუქან მკვლავან ზოგნი თავისუფლებას, ზოგნი მეფეს და ზოგნი კონსტიტუციას!...

და უფრო მწარედ ჩაიციხა.

ელოფ კოლენი ამტკიცებდა, ნაპოლეონი ნამდვილი იაკობელია, ამას იმისი პროკლამაციებიცა მოწმობენ და კარგი არ არის, უსაბუთოდ გაამტყუვნოთ კაციო!... შოველი გაბრაზდა, თვალეზი აენტო და აღელვებით წარმოსთქვა:

— საბუთი გნებავთ?! მოიგონეთ შარშანდელი თავმდაბლობა ამ კაცისა და ახლა ეს თავხედური სიამაყე! იტალიაში გამარჯვების შემდეგ — და იქნება თქვენც დამეთანხმოთ, რომ უფრო ხშირად სამარცხვინოდ გაზვიადებულს ამბებს აწერინებდა გაზეთებში, — ისე ექცევოდა საერო კრებას და გამგეობას, თითქო ბატონი თავის ყმებსაო! სულ უბრალო, უმცირესი შენიშვნა რომ ეთქვათ, ის მაშინვე ყალბზედ დგებოდა და სამსახურიდან გასვლას აპირობდა; თან თავისი ჯარით აშინებდა და ემუქრებოდა: — ქვიანად, თორემ პარიზშიც მალე მოვალო!

თუ რამე კეთილი გვქირს, ჩემი წყალობითაო, იძახის, და იმავე დროს თავისავე შეცდომას და მარცხს სხვებს აბრალებს ყოვლად უსაბუთოდ. გამგეობის წევრთა ყოველი ბიწიერება მისხლობითა აქვს აწონილი და სამარცხვინოდ პირმოთნეობს და ხელის გულს ულოკავს, რომ მათი წყალობით ამალღებული პირველად იმათვე გადაუდგეს. იცით, რითი მოიგო გამგეობის გული? პირმოთნეობით, გველადუობით და ფუღლებით. დიად, ფუღლებით! ისე მოხსენება არ მოუწერია მართებლობისთვის, რომ თან ფულიც არ გამოგვზავნა. ერთ მოხსენებას ვერ ნახავთ მისას, რომ პირდაპირ ურცხვად არ ეწეროს შიგ: ხვალ აქა და აქ მივდივარ და ამდენს მილიონს მოვკრებო. განა იმიტომ ანთხევს რესპუბლიკა თავის საუკეთესო შვილთა სისხლს, რომ ფული შეიძინოს?! განა ნაპოლეონამდე შეეძლო ვისმე ასე შებღალვა რევოლუციისა?! განა კუსტენს თავი არ გავაგდებინეთ, — დამარცხებულთ ხარაჯი რად გადაახდევინეო?! განა რისთვის იბრძვის რესპუბლიკა? იმისთვის, რომ დამარცხებულთ ფულიც წაართვას, საქონელიც, ავეჯიც, ერთი სიტყვით, სულ ყველა, რაც ახადიათ და რაც დაკარგული თავისუფლების სახსოვრად უნდათ იქონიონ? ამაზე უკეთესი საბუთი განა-ლა შეიძლება?! ქრისტე-ღმერთი ჭკუით იცნესო, ნათქვამია: ბონაპარტიც თავისი საქციელით არ უნდა ვიცნათ? განა სხვა იქნებოდა ვინმე, რომ თავის ჯარისთვის აეკლებინებინა იმისთანა გაკეთებული და განათლებული ქალაქები, როგორც პავი და ვერონი? უკუნითი უკუნისამდე ჩირქად შერჩება საფრანგეთს საქციელი. ან რას უნდა გამოველოდეთ იმ გენერლისაგან, რომელიც ურცხვად ეუბნება თავის ჯარს: მე იმისთანა ქვეყანაში ჩაგიყვანთ, რომ დიდებაც შეიძინოთ, სახელიც და სამადაღრეცხა! განა ნაპოლეონის ჯარისთვის ეხლა წმინდა და ხელშეუხებელი არსებობს რამე აღარაფერი! აღამიანი, ოჯახი, სამშობლო, ცარიელი სიტყვები-ლაა მის ჯარისთვის, რომელიც მარტო იმისთვის იბრძვის, რომ დაამარცხოს და დაარბიოს, აიკლოს, გასძარცოს!... არა, თავდაპირველად სულ სხვა სახით ეჩვენა კაცობრიობას რესპუბლიკა. რესპუბლიკას უნდოდა

სოლომონ II, მეფე იმერთა

(საისტორიო მისალი)

ქვემოთკვეთილ ამის ვებეჭდავთ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის წერილს, რომელიც ჩვენ სრულებით შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში. წერილი მოწერილია ქ. ახალციხიდან ზემო-იმერლებთან (აწინდელის შორაზნის მაცრის მცხოვრებლები), ანუ, როგორც თვით სოლომონი სწერს, ზემოურბეთან. რათა შეითხველმა უფრო ადვილად გაითვალისწინოს ამ წერილში აღნიშნული ფაქტები, საჭიროდა ვრაცხო, განმარტებასავით, რამდენიმე ისტორიული და სოლომონ II თანამედროვე გარემოება აღნიშნოთ.

1784 წელს, 23 აპრილს კარდაიჭვალა დიდად სახელგანთი იმერეთის მეფე სოლომონ დიდი და მის წილ იმავე წელს, კაცია დადიანის დახმარებით, გამეფდა დავით, ძმისწული სოლომონ დიდისა. მაგრამ კაცია დადიანის სიკუდილის უმალ (+ 6 დეკემბერს 1788 წ.) იმერეთის მეფემ მობინდომა სამეგრელოს დახურობა. რადგან კაციას შვილი, დადიანი გრიგოლ, მაშინ მცირეწლოვანი იყო (17 წლისა), იმერეთის მეფე შევიდა ჯარით სამეგრელოში, მოსტუყუნა ქვეუნა, მაგრამ მცირეწლოვანი დადიანი ხელში ვერ ჩაიკლო. მაშინ მეგრელთა მოუწოდეს არჩილის ძეს დავითს, სოლომონ დიდის თექვსმეტის წლის ძმისწულს, შერთეს მას გრიგოლ დადიანის და მარამ (1789 წ. 6 თებერვალს) და გამოაცხადეს იმერეთის მეფედ; სახელიც გამოუცხადეს და დაარქვეს სოლომონ მეორე. დავით მეფე დიდადის იმერთა და ლეკის ჯარით სოფ. მათხონჯს ახლო დახანაკდა, ცხენის-წელის ზირზე. შეერთებულნი

«ორნი ერმანი», სოლომონ მეფე და დადიანი გრიგოლ, დავით უგრძელ დაესხნენ 10 ივლისს 1789 წელს, ხანგრძლივის ომის შემდეგ, გააქციეს და მისდიეს ქუთაისში. აქვე ვერ გამაგრდა დავით მეფე და მეორე დღეს, 11 ივლისს, ქუთაისიც აიღეს, სოლომონ გამეფეს და მთელი იმერეთი მას დაუმოხეს. დავით მეფე გადავარდა ხსლციხეს, ოსმალეთში. იქიდან ჩამოიყვანა ოსმალთა ჯარი და მათის შემწეობით აიღო ქუთაისი და ხელახლა გამეფდა იმერეთს 1790 წელს. მაგრამ გრიგოლ დადიანის და ერეკლე ქართლის მეფის შემწეობით (რომელიც იყო ზაზა სოლომონ მეფის) დავით მეფე ხელახლა გადაგდეს და ქუთაისი აიღეს (1791 წელს).

მიუხედავად ამდენი ერთგულებისა მეფის დახლოებულ ზირთა (წერეთელ-წულუკიძეთა) შური და მტრობა ჩამოაგდეს მეფის და დადიანს შუა. ამ შურმა სრულიად დასცა სამეგრელოს სამთავრო და იმერეთის სამეფოცა. მიზეზად განხეთქილებისა რომელიმე ასახელებენ დადიანის გრიგოლისაგან ერეკლე მეფის შვილის-შვილის ნინო დედოფლის შერთვას (1790 წელს), რასაც გამო დადიანი, ქართლის მეფეთა შემწეობით, ვითომ საშიში ჰხედობდა იმერთა მეფისათვის. მაგრამ ნამდვილი მიზეზი იყო სოლომონ მეფის განზრახვა, რომ ლეჩხუმი წაერთმია დადიანისთვის და შემოეერთებინა იმერთა სამეფოსათვის. ამ განზრახვით სოლომონ მეფემ მიიმხრო ლეჩხუმის უფროსი კაცები და გრიგოლ დადიანი გადაგდეს (1792 წ.); დადიანობა მისცეს მისს ძმას მანუჩარს, რომელიც ხელჩვევითი გახდა იმერთა მეფისა.

მაშინ გრიგოლ დადიანმა მოიყვანა აბხაზ-სამურზუყანოს ჯარი და შეება მეფეს მარხილის მინდორზე (სენაკის მაზრაში, მდ. აბაშის ზირას, სოფ. ბანძის ახლო), მაგრამ დამარცხდა (1793 წ.). შემდეგ 1794 წელს გრიგოლმა ისევ იიხთვა შემწეობა აბხაზეთის მთავრის ქელიშ ანტიპოგისაგან და სასულიეროდ დაუთმო მას ქალაქი ანაკლია (შავის ზღვის ზირას). დიდძალი ჯარი ათვისთა შემოვიდა სამეგრელოში და დადგა სოფ. ხაბუჯას (ზუგდიდის მაზრა). მეორეს მხრით მეფე სოლომონს აუშალა მეფე-ეფთვილი დავით, რომელიც იმერეთისა და ლეკის ჯარით დადგა მათხნჯს. სოლომონს საქმე უჭირდა, მაგრამ ქართლის მეფის ერეკლეს შემ-



წიგნით (რომელიც გამოუცხვენა არტილერია და ჯარი თფისის შვილის ალექსანდრეს მხედრობით-მთავრობით) აფხაზნი დამარცხდნენ და მეფე-ყოფილი დავითიც, შემდეგ სასტიკის ბრძოლისა (24 ოქტომბერს 1794 წ.), ვერ დადგა და გაიქცა ფოთს (რომელიც მაშინ ოსმალთა ეჭირათ) და იქიდან ახალციხეს, სადაც მოკვდა უკავილითა 1795 წელს. გრიგოლ დადიანი კი ფოთიდან ისევ სამეგრელოში შემოვიდა; თუშცა სცადა, დადიანობა ვერ იშოვა. მაგრამ ვერც სოლომონ მეფემ მოახერხა მისი განდევნა, რადგან ძლიერი შეგობრები ჰყვანდა სამეგრელოში (1794—1798 წ.)

რაკი სოლომონმა ვერ განდევნა გრიგოლ დადიანი სამეგრელოდან და ეს ქვეყანა შოფთში იყო, ქართლის მეფის ერეკლეს შუამდგომლობით, მეფე შეურიგდა გრიგოლს 1799 წელს: მას დაუბრუნა დადიანობა, ხოლო მანუხარს მისცა ლიპარიანობა.

თუშცა გრიგოლ დადიანს ამ შერიგებით ლეჩხუმის მარცხს დაუბრუნდა, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. ნამდვილად კი ლეჩხუმის განაკებად სოლომონ მეფის მომხრე მძღვარი თავადი ქაიხოსრო გელაფანი. ბევრი ითმინა დადიანმა, ბევრი დონე იხმარა, რომ ლეჩხუმში გაბატონებულიყო არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, მაგრამ გელაფანმა მეფის ქვეგანზრახულობით არ მიუშვა. ამის გამო დადიანმა მოაკვლევინა ქაიხოსრო გელაფანი 1799 წელს. ამ გარემოებამ ისევ შური ჩამოკვდა მეფისა და დადიანს შუა ლეჩხუმის გამო. ხელახლა ატედა მათს შორის ბრძოლა, რომელიც გათავდა იმით, რომ 1802 წლის დამწვებს მეფემ ხელმეორედ გადააგდო გრიგოლ და დადიანობა ისევ მანუხარს უბოძა, მაგრამ სამეგრელოდან გრიგოლის განდევნა ვერ შესძლო. იყო მუდამი რომი და კირთება იმათს შუა. სამეგრელოს ხალხი მეტად შეაწუხა მეფე-დადიანის განუწყვეტელმა ბრძოლამ. რაკი ვერა გააწყო-რა, მეფემ არჩია ისევ შერიგება გრიგოლთან და შესარიგებლად მარტო ჭყვიშის ციხეს დასჯერდა (1802 წლის დამწვებს). ეს ციხე აშენებულია ლეჩხუმ-რაჭა-იმერეთს შუა და ითვლებოდა კლიტედ რაჭა-ლეჩხუმისა. თუ იმ ციხეს მეფე დაიჭერდა, დადიანს გზა ესპობოდა რაჭაში და უოველი დონისძიებაცა რაჭვედ ერისთავთან შეერთებულ მოქმედებისა მეფის საწინააღმდეგოდ; ხოლო მეფეს, ჭყვიშის ციხის

მქონებულს, მუდმივს შიშში ეჭირა რაჭაცა და ლეჩხუმიცა. ამის გამო გრიგოლ დადიანმა თუმცა გარეგნობის შერიგებისათვის ჭევიში დაუთმო მეფეს, მაგრამ, შემდეგ შერიგებისა და დადიანად გახდომისა, სხვა-და-სხვა მიზეზიანობით, ჭევიშის გადაცემა დაავიანა და, ბოლოს, სულ უარი შემოუთვალა. დადიან-ყოფილი თვისი ძმაცა მანუჩარი შინაურულად შეირიგა, საღიზარტოანოს დაჯერა და მეფის საწინააღმდეგოდ აძღრა (ივლის 1802 წელს).

სოლომონ მეფე განრისხდა და ასტუესა ომი დადიანთან. დიდძალის ჯარით და არტილერიით გაილაშქრა ლეჩხუმში და ჭევიში, ეს ლეჩხუმის კარი, მოისუიდა მეცნივნეთაგან (სექტემბერს 1802 წ.) და, ლეჩხუმში შესულმა, უმეტესი ნაწილი ციხე-სიმაგრეებისა აიღო. უკანასკნელ, სოფელ უსახლოში სრულიად დამარცხა დადიანი გრიგოლ, გააქცია, ლეჩხუმი მთლათ დაიჭირა (18—25 ოქტომბერს), შევიდა სამეგრელოში, გრიგოლ და მანუჩარ განდევნა და გადადიანა ოტია კაცის ძე. გამარჯვებული ქუთაისს დაბრუნდა. ხოლო გრიგოლ, დადიან-ყოფილმა, აფხაზებს მიჰმართა, აფხაზეთის გამგეს მიქვლად მისცა თვისი შვილი ლეონ, და 20,000 მხედრობა აფხაზთა სამის ზარბაზნით სამეგრელოში შემოვიდა და აბქათს დაბანაკდა (ნოემბერს 1802 წ.). მაგრამ აქაც ბუღმა უმტყუნა გრიგოლს: სოლომონ მეფემ და ოტია დადიანმა აფხაზის ჯარი შეისუიდეს და შეიჯერეს. აფხაზები უომრად წავიდნენ თავისს ქვეყანაში (ნოემბრის დამლევს).

მაშინ გრიგოლ დადიანმა, უფველ ღონეს მოკლებულმა, რუსის მხედრობა მოაწვია თავისის ქვისლის, დავით ბატონიშვილის, შემოწმებით (1802 წ.), მიიღო ოქმი სამეგრელოს რუსთმფარველობის შესვლისა (23 მაისს 1803 წ.) და შემდეგ გაგზავნა ციციანოვთან ცალკე ელჩები, რომელნიც (რადგან ეველა გზები ტფილისისკენ სოლომონ მეფეს ეჭირა) გადავიდნენ სვანეთის გზით კავკასიის უღელ-ტეხილს (ივლისს 1803 წ.), მოზდოკში ჩავიდნენ და იქიდან ტფილისს (24 ოქტომბერს 1803 წ.), ითხოვა რუსთაგან ჯარი და თანაც დასძენდა, რომ თუ რუსები არ შემეწევიან, იძულებული ვიქნები ოსმალის ჯარი მოვიწვიაო. მთავარმართებელმა ციციანოვმა სიხარულით მიიღო წინადადება გრიგოლისი, გამოუგზავნა მას საჩუქრები და აღექსანდრე ნეველის ჯვარი. ამასთან, მთავარ-

მართებულმა გამოგზავნა რუსის მხედრობა ზოგჯერაგის მახლობლის მხედრობითაჲრებით. ეს ჯარი, ტფილისიდან 3 ნაგებურს გამოსული, წამოვიდა ახალციხის გზით ფოთს, აქედან ჭალადიდს 1 დეკემბერს გრიგოლ დადიანს შეეკრა; 4 დეკემბერს ფიცი მიიღო დადიანმა და მისმა ჯარმა რუსების ერთგულობისა და ქვეშევრდომობისა.

მაშინ ლენსუმი თავად-აზნაურნი გრიგოლის მხარეს კადმოვიდნენ და ლენსუმი გააბატონეს (2 აპრილს 1804 წ.). ცოტახნის შემდეგ სამეგრელოში შემოვიდა დიდად ხელფანებული დიმიტრი დიტიანოვი და ერთი რაზმი რუსის ჯარი. ეს ჯარი გრიგოლ დადიანს დიდის აბით და ზატივისტყმით უუღვეში გამოიყვანა და სოფლს დააბანაკა (18 მაისს). აქედან ეს ჯარი ქუთაისს შევიდა უომრად და იქ დაბინავდა მეფე სოფლომონის ნებართვით მისს სასახლეში (4 ივლისს). იმავე დროს მთავარმართებლის ციციანოვის ტკბილის ენით სოფლომონმა, იმერეთის სამხედვართან ციციანოვთან შეერიდმა, ფიცი მიიღო რუსთ ერთგულობაზე 24 აპრილს, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსებს დაებრუნებინათ მისთვის ლენსუმი. ციციანოვიც ფიცი მისცა. ეს პირობა მთავარმართებულმა ვერ შეუსრულა, და სოფლომონ მეფემაც მიტეხული ფიცი უარტყო.

ამასობაში, გრიგოლ დადიანი ავად კახდა და 23 ოქტომბერს მოკვდა. ბუერნი იტყოდნენ სოფლომონ მეფის შეჩენით გრიგოლის საწამლაგით სიკვდილსა (დადიანს ეჭიმობდა სოფლომონ მეფისკან გამოგზავნილი კათოლიკე მღვდელი ნიკოლა პატრი). მაშინ რუსებმა დადიანად გამოაცხადეს მისი შვილი, მცირე-წლოვანი ლეონ, რომელიც აფხაზთაგან გამოისუიდას, ხოლო რეკენტად—მისი დედა, დედოფალი ნინო დანიშნეს.

რამდენისამე თვის შემდეგ (დეკემბერს 1804 წ.) უუღვეში ზღვიდან გამოვიდა ახალი ჯარი რუსებისა დიდად ხელფანის რიგოფის მხედრობითაჲრობის ქვეშე და დაებანაკა ხონს და ხუნწს. ამან აფხაზებს ანაკლია წაართვა და გამოისუიდა მათგან მცირეწლოვანი ლეონ გრიგოლისძე, რომელიც ოფიციალურად გადადადიანს 2 აპრილს 1805 წლისს. მერე რიგოფი ქუთაისს შევიდა და იქ დაბინავდა. სოფლომონ მეფე რუსთა მორიდებით, თუ შიშით წინა-



ადმდეგობას არ უწევდა მას, მაგრამ თვითონ არ ეკარებოდა მხედრობას მთავარს. მეფე სრულიად გაეცა ქუთაისს და სცხორებდა ზაფხულბოთი ოკრიბს, ზამთრბოთი კი ვარციხეს. მიზეზი სოლომონის ესრეთის ქვევისა ის იყო, რომ მეფემ შეატო, დალატით დაჭერას მიზირბოენ, და ოსმალბებისკენ ჰქონდა თვადი.

მართლაც, ხერბით დაჭერა სოლომონის მთავრობას გადაწვეტილი ჰქონდა 1806 წლიდან.¹⁾ 1807 წელს ეს მიძიე საქმე მიანდგეს ზურაბ წერეთელს, რომელიც უნდა გაბატონებინათ მის მაგიერ იმერეთში. ხოლო ცხადად გალაშქრება მეფის წინააღმდეგ ვერ გაბედეს, რადგან ეშინოდათ, მეფემ ოსმალს ჯარი არ შემოიყვანოს სხალციხით, ფოთით (რომელიც ოსმალთა ეჭირათ) და აფხაზეთით და გურიით, რადგან ეს ქვეყნები მამინ თაღისუფალნი იყენენ და რუსის ბრძანებას არ ემორჩილებოდნენ.

მაგრამ მალე დრო გამოიცვალა. აფხაზეთის მთავარი ქეღვიშიბეგ (შარვაშიძე) მისმა შვილმა ასლანბეგმა მოჰქვას და თვით გაბატონდა (2 მაისს 1808 წ.). ამას შეუდგა დაუცხრომელი არეულობა აფხაზეთში. ამით ისარკებდეს რუსებმა და, მეგრელების შემწეობით, დაამკვიდრეს აფხაზეთში რუსეთის მომხრე მთავარი სოფარბები, რომელმაც რუსეთის მთარველობა მიიღო (1808 წ. 14 ივლისს); რუსის მხედრობა გაძლიერდა სხალის ჯარით (შვიდი რაზმი), რომელიც მდვიით გამოცავნეს შიდა-რუსეთიდან. დარჩა ფოთი და გურია დაუმხებელი. მეგრელებ-რუსის ჯარმა დ. ორბელიანის მხედრობით მთავრობით ფოთი (გარდა ციხისა) აიღო 1809 წელს, 12—25 აგვისტოს; ხოლო შემდეგ სსრციკის ბრძოლისა მდლთაყვას და გრიგოლეთის შუა ოსმალს სერაქსირ შერიფ-ფაშასთან ოსმალთა მხედრობა გურიელის მამიას დახმარებით, რომელმაც უეცრად უდალატა ოსმალებს, სრულიად შემუსრვილი იქმნა (ოქტომბრის დამლევს), და ამის შემდეგ ფოთის ციხე გადმოსცა რუსებს ქუჩუკბები შარვაშიძემ, ფოთის კომენდანტმა (შუა ნოემბერს). ამის შემდეგ თვით მამია გურიელმაც მიიღო რუსეთის მთარველობა.

რაკი, ამნარად, რუსეთის მთარველობამ ფენი მოიკიდა გურია-სამეგრელო-აფხაზეთში და ფოთის იმდროინდელი ძლიერი ციხე

¹⁾ იბ. ამის შესახებ „მოამბე“ 1896 წ., № IV, „მეფე სოლომონ მეორის დროის წერილები“.

რუსთ მხედრობას ჩაუყარდა ხელში, ჯერი მიდგა სოლომონ მეფეს
 ახლა სოლომონი ახალციხის მეტეხ სხვა მოკავშირეს ვერ იშოვიდა.
 ამის გამო მთავრობამ გადასწვიტა სოლომონის წინააღმდეგ გალა-
 შქრება და მისი ხელთ ჩაგდება. საჭირო იყო მხოლოდ ყოველი
 დონე ელახათ, რომ მეფე ოსმალეთში არ გადაეშვათ. 1810 წელს
 მეგრელი ჯარი 4,500 კაცი და რუს-გურულთა მხედრობა შევიდნენ
 იმერეთში და წინდაწინვე მასაზრებულის მოქმედების გეგმით ისე
 მოაწიეს საქმე, რომ მეფე ხანის ხეობაში შეამწვიდიეს და ახალ-
 ციხეს გადასვალი გზა თითქმის მთლად მოუწვიტეს. ქუთათელისა
 და გენათელ ეპისკოპოსის და ზურაბ სახლხუცის შიროთ რუსებმა
 დაარწმუნეს მეფე, რომ თუ რუსთა დაჰმორჩილდებოდა, მისს მეფე-
 ბას და ზატოვს არა დააკლდებოდა-რა. ამაში მეფე დაჰჯერეს რუსთა
 წარმომადგენელთ ფიცის მიღებით. მაშინ მეფე დაჰნებდა მხედრო-
 ბას და 28 მარტს 1810 წლისას მთავარმართებულთან გაემგზავრა
 თვისის ამალით; 1-ს აზრილს ტფილისში შებრძანდა. ორს კვირას
 დიდს ზატოვში ჰჴუანდათ, მაგრამ რადგან სოლომონს სამეფოზე
 ხელს არ იღებდა და წინადადება რუსეთში წასვლაზე უარ ჰჴეა,
 ამის გამო ის დაატყვევეს და უარული დაუყენეს; მეფეს მსლებლე-
 ბიც მოატილეს, გარდა ხელის-მისხურთა. ამ უკანასკნელთა რიცხვში
 ყოფილა ვინმე გლეხი სარალიძე. უკანასკნელმა თავი განწირა მე-
 ფისათვის და ურჩია მეფეს მისის ტანისამოსით განარულიყო.
 მისის 10-ს მეფე კავიდა სარალიძის ტანისამოსით, მტველებისა-
 გან შეუმჩნეველი; ხოლო სარალიძე მეფის ტანისამოსში სასხლემში
 დარჩა. როდესაც სარალიძეს ესრეთი მტბიერობა შეატყვეს და ტყვეით
 გახვრეტა მოუნდომეს, მაშინ მეფე სოლომონ მისის ამალით უკვე
 შორს იყო ტფილისიდან ახალციხის გზაზე. დანარჩენს კარმობას
 მეფე თვითვე კვიამობს ქვემო დაბეჭდილს თვისს წერილში, რომ-
 მელიც გაუგზავნია მას ზემო-იმერლებისათვის. ტომსაცოთან და-
 სასჯელად წარდგენილმა სარალიძემ აღიარა რა თავისი ბრალი,
 მოახსენა მთავარმართებულს: «მე თქვენი უმობა ჯერ არ მიმიდია,
 ხოლო როდესაც მივიღებ, თქვენი ერთგულობაც ისეთივე მექნება,
 როგორც დღეს ჩემის ბუნებობის მეფისა მაქვს. ნუ თუ რუსთა
 განთქმული სამართლიანობა ჰსჯის ვმათა თვისის ბატონის ერთგუ-



ღობისათვის!... მთავარმართებელმა არა თუ არ დასჯა, არამედ აზნაურობით დააჯილდოვა მეფისათვის თავდადებული ვაჟი.

აი თვით წერილიცა:

«ქ: ჩვენგან ნიანდაგ ზატოვით, სიამედოდ და სიერტოვოდ სსხსოვართ და ძმურად საყვარელთ ერთობით ზემოურებს.»¹⁾

მეფე სრულიად იმერთა სოლომონ ძმების სიყვარულით მოკიკითხავთ. მერეთ, როდესაც გული დაგვაჯერე, რომ რუსეთს მისტუმრებენ, თქვენის მოშორებებისა და იმერეთის საუკუნოდ დატოვების (ეცხლი ჩემს გულს მოკვზნა. ცისქვეშეთს დიდებს თქვენთან უფინა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვიზი... ათს ამ თვეს, დამის ორ საათს გასულს, ქალაქიდან²⁾ გამოვიღ. ოთხნივ წერეთლები³⁾, ორნი ძმანი ერისთვები⁴⁾ დაბუაშვილი თავეთის კაცებით ოცდა სამი ცხენოსნები აქ, ახალციხეს, მოვიდით. თქვენის ერთგულობისა და სიყვარულისაგან ამას მოვიღი, რომ ერთობით ჩვენს ერთგულობაზე თავი დასდვით და ყოველი თქვენი მოკიდებული ოჯახები და მეზობლებიც დააჯეროთ, რომ საქართველოდან არ დაიდუხნეთ, რომელნიც ამით ხელში სულიერად დიდს ზანასკვეს ხორცსა სჯამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულდებიან. ზირველად ისინიც ფიცითა და ოქროთი და ტბილის სიტყვებით მოატყუეს და დღეს მკვდარხედაც სამი მანეთი ხარჯა დაუდვით და ართმევენ; სახლისა და ცოლ-შვილის უზატოები-სათვის შწარედ ოხვრენ და კვნესიან და დღე-და-ღღე უმწარესს დღეს მოკლან. თუ თქვენს დამონებაზე გულ დასმულნი შეიქმნენ, ეველ-ზე უმწარესი დღე თქვენ მოკადგებათ, იცოდეთ. და რომელნიც დღეს ოქროს იძლევიან, ხვალ თქვენის სახლის საცხორებელსაც წაგართმევენ; დღეს რომ ზატოვით გეპურობიან, ხვალ ყოვლის ქვეყნისაგან უფრო იმერეთში წმინდად შენახულს ცოლ-შვილის ნამუსსა და ზატოსნებსა უზატოდ გასდიან. მე თუ სხვა სამსახური რამ

¹⁾ ზემოთურებს იმერეთში ზემო-იმერეთის (შორაპნის მაზრის) მცხოვრებთ უწოდებენ. ექვს გარეშეა, ამნაირი მოწოდების წერილი ქვემო-იმერლებსა და რაჭველებსაც ექმნებოდათ.

²⁾ ტფილისიდან.

³⁾ ქაიხოსრო, როსტომ, სვიმონ ზურაბისშვილი და სვიმონ გიორგისშვილი.

⁴⁾ ძმები დავით და გრიგოლ.

საქართველოს
ისტორიის
მუზეუმი

დამიკლია თქვენთვის, ეს კი უველამ იცით, რომ თქვენთვის ვისა და სიუვარულისაგან ჩემი გული არ გამძღარა. ეს არის დღე თქვენგან ჩვენის ერთგულობისა და სიუვარულისა, რომ, როგორც მოგვიწერია, ისე ჰქნათ. და თუ თქვენ მირჩეუთ და დამაჯერებთ, სხვას უხტოს ჯარებს⁵⁾ აღარ დავუძებ. მე თქვენთან მოვალ, როგორც თქვენი მასუხი მომიყა, ისე ვიქ. ამასუღაც გული დამაჯერეთ: იმერეთის გულისათვის ჩემი სინტონსლე უნდა დავასრულო. მასის იზ (17) წელთა ჩეი (1810)

საქართველოს
ისტორიის
მუზეუმი

ეს წერილი დაწერილია სქელს ლურჯ ქაღალდზე, რომელსაც სიგრძე აქვს ათი გოჯი და სიგანე ხუთი გოჯი. გარედან შემდეგი წარწერა აქვს: «ქ: მათ კეთილშობილებას ერთობით ზემოურებს მიერთვას».

იმერეთში სოლჲმონ მეფეს ამ წერილის შემდეგ კარი გაუღეს. გარდა რამდენთამე გაუღენიან ზირთა, მთელი იმერეთი მეფეს მიუდგა. მაგრამ მაინც ვერ დაუდგა რუსთა და გურულ-მეგრელთა ჯარის წინააღმდეგ და იძულებულ იქმნა ისევ ოსმალეთში გადასულიყო 18 ნოემბერს 1810 წელს. აქ ოსმალთა ჯარი უნდა ეშოვნა. 1811 წელს ოსმალთა მხედრობა მზად იყო შესულიყო იმერეთში, მაგრამ ამ დროს უში შეიქმნა და ჭირი 1811—1812 წლებში, რომელმაც მოსწუვიდა ორი წილი მთელის იმერეთისა. სრულიად იმედ-დაკარგული მეფე ოსმალეთში დაბრუნდა, სადაც კარდაიცვალა 1815 წელს და დამარხულია ტრაპიზონში.

სოლჲ იმერეთში 1815 წლიდან დამკვიდრდა რუსთ მმართველობა.

დასასრულ, აქვე დავსძენთ ქრთნიკას ვინმე ჩხეიძისაგან საკუთარის ხელით დაწერილს, რომელიც შუქსა ჭევენს ზემოდაწერილს ამბებს.

ჩეი (1810) წელსა. რუსეთის მხედრობამ ჩამოართვეს მეფეს არჩილის ძეს მეუობა და შევიდა მეფე (სოლჲმონ) მთაშიდ, რათამცა

⁵⁾ აშკარია, ოსმალთს ჯარების შესახებ ამბობს.



გარდასრულიყო ახალციხედ და შუამდგომლობითა გენათელ მისტრ-
 ზოლიტის ეფთიჳმის, გურიის ერისთჳს შჯლისთა, დარწმუნებულ
 იქმნა და ჩამოვიდა მთიანე მეფე და შეეყარა დენერალს სჳმონ-
 ვინის ფერსათს სალხინო საუდარზე მარტო და შეფიცა დენერალმა
 მეფესა, რათამცა ქალაქს წაბრძანდეს მთავარმართებულს დენერალ
 ლეინტინატ ტომარსოვთან და იმის ნახჳს შემდგომად ისევე დაშთე-
 ბოდა მეფედ, როგორც შირველ. რომლის რწმუნებული მეფე წა-
 ბრძანდა ტფილისს თაჳს თავადებით და იახლა გენათელი ეფთჳმი
 და ნიკოლაოს წმიდელი წულუკიძე სოფრან. და მეფე დაჭერილი
 იქმნა ტფილისს უარყელის დაეენებით. და დაშთა იმერეთის მმარ-
 თველად დენერალი სჳმონოვინი. და ამავე წელს შაისის თვეში
 გამომხარა მეფე თფილისიდან და ჩავიდა ახალციხეს და გარდაეჳა
 თაჳს თავადი წერეთელი ქაინოსრო და ძმა მისი როსტომ, წერეთელი
 სვიმონ გიორგის შვილი, ერისთავი დავით და გრიგოლ და სხვანი
 რომელიმე. და მეორე თვეს ივნისის ჩამოვიდა მეფე რადენისმე
 ჯარით ბერძენების მითთ, რომელიც ახალციხეს ცნოვრებდა ამჳმად
 ფაშათ ათაბაგი სახელით შირიფ. და მივიდა მეფე ტყაჩირას აგია-
 შვილის სასახლეშიდ. და შეკრბა იმერეთი და აღიძრა შოთთი რუსსა
 და მეფე შუა. და იყო ჩხუბი. სვიმონოვინი იყო ქუთაისს, შაირო
 უშაკოვი ერთის ბატალიონის ჯარით და თოფხანით. და ამას ახლდნენ
 იმერელნი სახუცესი წერეთელი ზურაბ, წულუკიძე ოტია და სეხნია,
 დადიანი ლევან თავის სამთელბოქლოს ჯარით და აფხაზით, და გურიელი
 შამია თავის ჯარით. და ივენენ დამონავებულ ქვეყანას ქვემო მხრისას
 ადგილ-ადგილ. და იძლია მეფე და განდევნილ იქმნა ისევე ახალციხეს.
 და იმავე წელს ნოემბრის თვეშიდ ჩავიდა ახალციხეს მთავარმართე-
 ბელი ტომარსოვი რომელიც ათასის კაცით თელი ქართველი ჯარი და
 კახელი და კვალად თათრის. იმერელი სრულიად, დადიანი თავის ჯარ-
 ით და გურიელი, რომელთაც არა რაის დამკლები უკანვე დაბრუნებუ-
 ლი იქმნენ თავის ნებით. ზემონსენებულნი ჯარნი თავთავის ადგილზე
 ამავე წელს იფლისის შუას (ორის სიტყვის ალაგი განკებ ამომკრა-
 ლია). — იქ დღეს ხუთშაბათს შუადამისსა.

„ვეფხისტყაოსნის“ ყალბი აღმწიგნობი

LXI

ფატმანმა რომ ავთანდილს თავისი «განცა» ჩანჩაგირი მოაკვლევინა, თავის ახალ საუკარლით ხალკათად დაჯდა და ნესტან-დარეჯანის ამბის მობა დაუწყო. ამ შკენიერს ამბავს ეველა რუსთველისეულის მოთხრობის ღირსება აჩნევია და ზოგან ტარიელის ნამბობსაც აღემატება. საუცხოვოა მეტადრე მოთხრობის კილო — ცოცხალი, მკვირცხლი და გულისთადი. ნესტან-დარეჯანის ამბავს საგანგებო ბედი ჰქვდა: ჩვილსა და ღმობიერს ქალის გულში დანერგულმა, გამოსათქმელად ენა-წყლიანი მოლაპარაკე ჰზოვა. მაგრამ რაც უნდა ბედი ჰქონოდა, ყალბის-მქნელთ ხელ-უხლებელი მანც კერ წაუვიდოდა, რადგან მეტად საინტერესო და ფათურაკიანი ამბავია, რომ მწიგნობარნი განსაცდელში არ შეუევანა და ესენი არა ცდილიყვნენ მოთხრობა თავისებურად შეემკოთ. ამიტომ ნესტან-დარეჯანის ამბავიც პოემის სხვა ადგილებსაკვით ყალბის ხანებით შერყენილია. ამბის დასაწყისშივე კემთხვევით ასკოს ხანებს. მიუდიოთ ფატმანის მოთხრობას.

ფატმანმა მოაკვლევინა ორი ზანგი, რომელთაც მოიყვანეს ნესტან-დარეჯან და ფატმანის სახლის ახლო, ზღვის პირს, ნავიდან გადმოსკეს. განთავისუფლებულს ქალს ვაჭრის-ცოლი მაშინვე ჩაეგება და მისი კინაობის გამოკითხვა დაუწყო, მაგრამ ამან არა უთხრა-რა. ფატმან მისკდა, რომ მისი კითხვა უდროო იყო, ქალი თან წამოიყვანა და თავისს სახლში დამალა. ამ კვიზოდს ტექსტი ასე მოგვითხრობს (გვ. 256 — 257):

1136. ვთქვი, უემოდ არ წესია მოყვანა და მზისა ხმობა,
მომყვანელი გაშმაგდების და წაუუა ერთობ ცნობა;

*) იხ. „მოამბე“ № XI. 1898 წ.

ხმოზა უნდა ჟამიერად, სააჯროს ყოვლსა თხროზა;
 რად არ ვიცი არა მზისა საუბრისა უჟამოზა!

1137. ავიყვანე იგი პირ-მზე, ნაქები და ვერ ვთქვი უქი,
 სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავმალი მზისა შუქი,
 ჩამოვბურე მრავალ-კეცი სტავრა მძიმე, არ სუბუქი;
 ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს წამწამთაგან მოჭქრის ბუქი.

1138. მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალვით,
 მოვუკაზმე სახლი ერთი, შიგან დავსვი მეტად მალვით,
 არვის ვუთხარ სულიერსა, შევინახე ფარვით, კრძალვით,
 ერთი ზანგი ვამსახურე, მე შევიდი, ვნახი ხალვით.

1139. ვით გიამბო საკვირველი მე გლახ მისი ყოფა-ქცევა,
 დღე და ღამე გაუწყვეტლად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა!
 შევეხვეწი: «დასდუმდიო», წამ ერთ ჰქონდის ჩემი თნევა;
 აწ უმისოდ ვით ცოცხალ-ვარ, ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე ვა!

1140. შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
 შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები,
 მელნისა ტბათათ იღვრების სავეს სათისა რუბები,
 შუა ძოწსა და აციყსა სტვირს მარგალიტი ტყუბები.

მკითხველისათვის ადვილი შესამჩნევია, რომ ნესტან-დარეჯანის
 ფაქტმანისას მიუყვანება და დაბინაგება აქ ორჯერად არის ნაამბობი:
 მე-1137 და მე-1138 ხანაში. ხოლო ამ ორს ამბავში ნამდვილი,
 რუსთაველას ნათქვამი მაშინვე აღმოჩნდება ხანების შედარებით.
 მე-1138 ხანის მოთხრობა თუმცა მარტივია, მაგრამ უფრო სრუ-
 ლი და შინაარსიანია, ვინემც მე-1137 ხანისა. ფაქტმანის ნაამბობი
 ფაქტები ბუნებითა, დასაჯერებელი; მისი წვრილმანი ზრუნვა უც-
 ხო სტუმრის მოთავსებისათვის გვიანტაკს, სხვათა შორის, კაჭ-
 რის-ცოლის კარგს მასშინძლობას და კეთილს გუფსა: ფაქტმან სახ-
 ლი მოუძინადა, მოსამოსხურე მიუჩენა, ძალაჲდა, სანახავად მიდიოდა.
 მე-1137 ხანა კი იმას გვიამბობს მხოლოდ, ვითამც ფაქტმან ცდი-
 ლობდა ნესტან-დარეჯანის ელვარება არ გამოეჩინა და ამისთვის
 «სტავრა მძიმე» ჩამოჭბურა... მაგრამ დაახლოებულნი განხილვა უკეთ
 დაგვიანსებებს ამ ფაქტის სიცრუეს:

«ავიყვანე იგი პირ-მზე, ნაქები და ვერ ვთქვი უქიო», — რა
 თქმა უნდა, რომ ეს მე-1138 ხანის პირველის ლექსის მიბამკაა.

მაგრამ დააკვირდით, რა დიდი განსხვავებაა ამ განუსაზღვრელს «ვი-
ყვანესა»-ს და ნათელსა და გარკვეულს «მოვიყვანე შინა ჩემსა» შუა;
მერე, ეს ტლანქი და უშნო ქება! ფატმან ნესტან-დარეჯანს პირ-
ველად ხედავს და «ნაქებსა» ეძახის. ვისგან გაიგონა მისი ქება, ან
საიდან შეიტყო, რომ უცხო ქალი «ქეთა არ იყო?» რამდენად უფ-
რო დასაჯერებელია რუსთაველის ლექსი: ფატმან გვიამბობს სად
მივიყვანა ნესტან-დარეჯან და აქებს ისეთს თვისებას, რომელიც თავა
წინ ედგა—პირ-მშეობას და ტანადობას.

ყალბის-მქნელიც ცდილობს ქალის შვენების გამოსახვაში რუს-
თაველს არ ჩამორჩეს და ფატმანს ათქმევინებს: «ძლივ დაკმალი
მზისა შუქი, ჩამოებურე მრავალ-კერი სტავრა მძიმე, არ სუბუქი»,
და რადგანაც ეს ცხადი სინტაქსი, ავთანდილის დასარწმუნებლად
ფატმანს აფიცებს: «სურვილმან და მშემან მისმანთა» (ნესტან-დარე-
ჯანისმან). ავთანდილმაც უნდა დაიჯეროს, ვითამც ფატმან ისე მ-
ლაგდა თავის სტუმარს, რომ სახლშიაც შეიყვანა და თავსედაც
«მრავალ-კერი სტავრა» გადააფარა, რასაკვირველია, იმისთვის რომ
მისი შუქი ფანჯრით ან კარით არ გასულიყო და ქალაქის მცხოვ-
რებთ დამალულ მზისათვის არ მიეგნოთ... განა არ სჯობდა ის
«მძიმე და არ სუბუქი სტავრა» ფანჯარაზე ჩამოეთარა და ქალი კი
არ დაეხრჩია?—მაგრამ რა ბეკრი მხილება უნდა ამ სინტაქსს, რა-
დესაც თითონვე ფატმან უარ ჭეოფს ყალბის-მქნელის მოგონილს
ჭერსა. ამას წინ ფატმანმა სთქვა, რომ ნესტან-დარეჯან იყო «თავსა
რდიითა შავითა» (ს. 1125, გვ. 254); და შემდეგ: «არად უნდის
საბურავი, არცა წოლა საკებლითა, მიწვივ იყვის რდიითა და მით
ერთითა ყბახითა» (ს. 1142, გვ. 257). თუ ქალს თავისი რიფე
ესურს, არ იშორებდა და არც სხვას ეპარებდა,—რომელი ღა სტავ-
რები «ჩამოჭურა» ფატმანმა?

მრავალ-კერის სტავრით ჩამობურული ნესტან-დარეჯან «ცრემლსა
სეტყვს და კარდსა აზრობს, წამწამთაგან მოჭქრის ბუქსა»... საურ-
ხოვო სანახავი იქნებოდა, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, საიდან დაი-
ნახავდა ფატმან იმ ცრემლის სეტყვას, დამხრალს კარდსა და წამ-
წამთაგან მონაქროლს ბუქსა მძიმე სტავრის ქვეშ?—ხანდახან თუ
ახლიდა და შეიხედავდა... თუმცა ფატმანს ამასეად ავთანდილისათვის



არა უთქვამს-რა, მაგრამ ჭკუასთან ახლდა, მით უმეტეს, თი ჯიბაობა მტირალს ქალსაც გაართობდა. არც იმას ეუბნება ფატ-მან თავისს საყვარელს, თუ რა იყო მიზეზი ნესტან-დარეჯანის ტირილისა, და რადგან სხვა საჩინო მიზეზი ავთანდილს სასეში არა ექნებოდა-რა, აუცილებლად უნდა ეფიქრნა, რომ ქალი იმიტომ წერემლსა სეტყვდა, რომ ფატმანმა მძიმე სტავრა ჩამოჭოჭრა და ამით შეაწუხა.

მკითხველი, რასაკვირველია, ავთანდილსავით არ შესცდება, რად-გან წერემლის სეტყვისა და ვარდის ზრობისა მიზეზი დიდი ხანია იცის. არა ერთხელ უნახავს ეს ყალბის-მქნელის უაღრესი ხერხი,—ხანის დასასრულელად მასალა თუ შემაკლდა, უთუოდ ან გვირის შევებებს აქებს, ან აატირებს. ახლაც, ერთი საცოდავი აზრი ჭბოვა და ცდილობს ერთს ხანაში გააწყალოს: პირველს ლექსში ზღეონაზში იხმარა,—«ნაქები და კერ ვთქვი უქია; მეორეში ფიცი გამოსტემა,—«სურვილმან და მიზეზმან მისმანო»; მესამე ლექსში კიდევ ზღეონაზში,—«სტავრა მძიმე, არ სუბუქია»... და ხანა მანც კერ აავსო. დარჩა ერთი ღონე: წერემლის სეტყვა, ვარდის ზრობა და წამწამთაგან ბუქი,—ერთს ლექსში სამი მეტაფორა, რომელიც ტირილსა ნიშნავს.

*

რაც ყალბის-მქნელთ ტყუილი ტირილი მოგონეს და უდროოდ და უმიზეზოდ ზოემის ტექსტს ჩაუმატეს,—საკვირველიც არ არის თუ «ვეფხისტყაოსანის» გაითქვა თავისის გადამეტყუელის წერემლის ღვრით, რომელიც, ღვთის წინაშე, მკითხველის მახეზრებელია. ეს იყო ვიღაც მელექსემ, ხანის დასასრულელად, ნესტან-დარეჯანს ტყუილ-უბრალოდ ატირა. ახლა, რა ფატმან ნესტან-დარეჯანის საკვირველს უოფა-ქტევასა და «დედო და ღამე გაუწვევტლად ტირილსა და წერემლთა ფრქვევას» ავთანდილს უამბობს, სხვა გასაჯლისებული მელექსე მთელს მე-1140 ხანას ქალის ტირილის აღწერას მთანდომებს, და აჯობებს კიდევ იმ პირველს მელექსეს როგორც მრავალ სიტყვაობის, ისე სტილის უკვანობითა და სიტლანჭით. შინა შევიდი, მას წინა კდგის წერემლისა გუბებია, მოგვითხრობს ყალბის-მქნელი. აქამდის გაგონილა წერემლის გუბე, რომელიც ბერს ტირილსა

ნიშნავდა, მაგრამ მწიგნობრის გონებაში «გუბე» სუსტი რამ გამოჩნ-
ს: ტყეა, ქალი თუ მართლა ბეკისა ტირის «ცრემლის გუბები»
უნდა ედგას.

«შიგან მეღნისა მორეკსა ევარის გიშრის შუბები».— შავს
თვალებს, ჩვეულებრივ, მეღნის ტბას ადარებენ და შავს წამწამსა—
გიშრის ისარს, მაგრამ ასეთი სუსტი და მკრთალი სატი ნესტან-
დარეკვანის საკვირველ სიტუორფის გამოსახვაში რადი ივარგებს,
ასეთი უნდა იყოს, რომ მსმენელს ელღასავით ეცეს და ტანში
ჟრუნტულმა გაუაროს, ამიტომაც ინდოთ მეფის ასულს თვალები
მეღნის მორეკს უგაკს და წამწამი— შუბებს. კთქვით, ზოგის გე-
მოკნებისაძებრ, ასეთი დასახვა უფრო გულ-გასაგმირადია, მაგრამ
რად ჭყრანს გიშრის შუბები შიგან მეღნისა მორეკსა? რას ნიშ-
ნავს ეს მეტაფორა, — თვალებში წამწამი ჩაუცვივდაო, თუ წამწამი
ცრემლით ჭჭინდა დასკელებულიო? შირველი აზრი, რასაკვირველია,
დიდი სისულელე იქნებოდა; და თუ მეორეა, მაშინ «მეღნის მორე-
კი», შავი თვალები კი არა, შავი ცრემლი უნდა იყოს. სისხლის
ცრემლს, დიდი ხანია, შეგვჩვიეს ზოგებმა, მეღნის ცრემლი კი,
ოდნანდაც, მწიგნობრულია.

«მეღნისა ტბათთ იღვრების საკსე სათისა რუბები», განაგრ-
ძობს მედექსე. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ ხნირებულის გამოცანის
ახსნას თეიმურაზ ბატონისშვილის განმარტებაში ვპოვებთ. «მეღ-
ნის ტბად, — ბრძანებს კომენტატორი, — სასვენ მშენიერსა თვალებ-
სა მესტინენი. იღვრების საკსე სათისა რუბები: სათი — შავი გი-
შერი არის; რუბი — გრკვალის სასმელი თასსავითა, რომელიცა თვალ-
თა ჭურჭელსა მიამიგავსა. სათისა რუბი, საიდგანაც ცრემლი იღვ-
რება, ესე იგი ჭურჭლისა მისგან გრკვალისა, რომელიცა არს გიშ-
რისა, ესე იგი რუბი — მას ამსგავსნა თვალნი.» თუ არა ვცდები, ამ
განმარტებიდან ის გამოდის, რომ მეღნისა ტბათთ (შავს თვალებ-
ბიდან) იღვრების საკსე სათისა რუბები (შავი თვალები), ან კიდევ —
შავს თვალებში რადაც შავი თვალთა ჭურჭელია, საიდანაც რადაც
იღვრება, და ყველა ეს ბოდავ კითომც ტირილსა ნიშნავს. რუსთა-
ველს მრავალი ხელაგნურ და ზოგი ნამალადკვი მეტაფორა მოუ-
გონია ტირილის გამომსახველი; შორს რომ არ წავიდეთ, აი რძი



ასეთი ნიმუში ფატმანის ნაშრობიდან: «ბროლ-ლასს ღვინო ნარ-
გისთა მოსდის გიშრისა ღარითა» (ხანა 1134, გვ. 256) და «მჩქე-
ფრად სისხლისა ნაკადი მოსდის აფვისა ხისაგან» (ხანა 1141, გვ.
257). დასტურ, უნაური დასახვა ტირილისა, ესდანდელს საზოგ-
ჯიო ენაში ღარ იხმარება, გადაჩვეული ვართ და ამიტომაც გვეუ-
ცხვება. მაგრამ თუ ვინც, რომ ბროლ-ლასი ჰიროსახვა, ნარგი-
სი—თვალეობი, გიშრის ღარი—წამწამი, სისხლის ნაკადი—მღუღარე
რეტრემლი და აფვის ხე—მჭკერი ტანი, რაც უნდა ზანტი ფანტაზია
გვეჩვენოს, ადვილად მივხვდებით, რომ აქ ტირილია გამოხატული.
ხატისა და სასახავს საგანს შუა შორი თუ ახლა მსგავსება მანც
არის. უფლის მქნელის მოგონილი მეტაფორა კი ვერას სახავს, რად-
გან უგუნური და შეუძლებელი.

უგანსკელს ლექსში—«შუა ძოწსა და აფისა სჭვირს მარგა-
ლიტი ტუუბები»—ძოწი და აფი წითელს ტუუბებსა ნიშნავს, მარ-
გალიტი ტუუბები კი—გბილებსა. მამსადაც მელექსეს უნდა ეთქვას,
რომ ნესტან-დარეჯანს ტუუბებს შუა გბილები უნდაო. რუსთაველის
ენაზე კვ მეტაფორა დიმილსა ან ლაშარაკს ნიშნავს (ნახე ამ წიგნი-
ლის მე-LI თავი), მაგრამ რას ლაშარაკობდა ნესტან-დარეჯან, თუ
ფატმან მუდამ იმას ჩივის და სწუხს, ვერა ვათქვენიო? ან რადს
იღიებოდა, თუ ტირიდა? თუ ძოწსა და აფის შუა მარგალიტის
გამოჭვირვა არც დიმილსა და არც ლაშარაკს ნიშნავს და მხოლოდ
ქალის შუენიერის ბაგე-გბილის საჭებრად არის მოყვანილი,—რს
დროს ამის ხსენება იყო? საქმეც ის არის, რომ უფლის-მქნელი
წერაში აზრს როდი მისდევს: ერთს რსამეს დაიწყებს და ვინ იცის
რითი გაათავებს? მისი სიტყვა აზრზე კი არა, რითმაზე ჭკიდა.

LXII

როდესაც ფატმანმა ხანა, რომ თავისს უნდა სტუმარს კვლარ
დამალავს და მარტო ვერას უშველის, თავისი საიდუმლო ქმარს
გაუზიარა. მაგრამ, რადგან მისი უბედობისა ეშინოდა, დააფიცა,
რასაც ეტყოდა, არავისთვის გაენდო. უსენმა «ფიცო ჭფიცო საშინე-
ლი», მაშინ ცოლმა წაიყვანა და ნესტან-დარეჯანს უჩვენა. ცოლ-ქმარ-



მა ჭკითხეს ქაღს მიზეზი მისის მწუხარებისა და ღონე მისისა შუკ-
ლისა, მაგრამ ზასუხი ვერ ათქმევინეს. მაშინ, —ამბობს ფატმან (გვ.
250),

1154. დავსხედით და მისთანავე ვიტირეთ და ცრემლი ვლამეთ,
რაცა გვეთქვა, შევიწინეთ, სხვამცა რალა შევიწამეთ!
ძლივ ვიპაჯეთ დაღუმება, დავადუმეთ, დავაამეთ;
ჩვენ მივართვით ხილი რამე, მაგრა ვერა ვერ ვაჭამეთ.

1155. უსენ იტყვის: „ბევრ ათასნი ჰირნი ამან ამიხოცნეს;
ესე ლაწენი მზისად კმარან, კაცთაგანმცა ვით იკოცნეს!
უმართლეთ, ვერ მტვერეტელმა თუ პატიჟნი იასოცნეს;
მე თუ შვილნი მირჩევნიან, ღმერთმან იგი დამიხოცნეს!“

1156. მას ვუჭვრიტეთ დიდი ხანი, წამოვედით სულ-თქმა ახით,
შეყრა გვიჩნდა სიხარულად, გაყრა დიდად ვივავლახით;
ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით,
გული ჩვენი გაუშვებლად დაეტყვევენეს მისით მახით.

ადამიანის მწუხარებას ის საუცხოო თვისება აქვს, რომ გა-
რეშე კაცთა ჰატივისტემას დაიმსახურებს. მის წინაშე ყველას თავს
იხრის, ყბედი სდუმდება, მოღიზღარი რცხვება, თვით გულგრილი
ჭლონდება. დასეთ, რა კრძალვითა და მოწიწებით ეპყრობიან ფატმან
და უსენ უცხო ქაღს, ვის მწუხარებას ვერ მიმსგადარან. რა «შეკ-
ლეს კარნი სრისანია» და რა უსენმა დაინახა ნესტან-დარეჯანის შუკ-
ნება, ცოლ-ქმარნი შედგნენ და თავიანთ შთაბეჭდილებას ერთმა-
ნეთს გაუზიარებენ და ითაბიარებენ, როგორც გამოჭკითხონ ქაღს
მისი ამბავი (ხ. 1149 და 1150); მერე მივლენ და საკითხავს კრძალ-
ვით «ჭკადრებენ» (ხანა 1151); რა ნახეს, რომ ქაღს კითხვით აწ-
ყენინეს, ცოლ-ქმარნი ატირდებიან, «რაცა გვეთქვა, შევიწინეთ; სხვამ-
ცა რალა შევიწამეთ», ესე იგი სხვას რალას ვკადრებდითო; «ძლივ
ვიპაჯეთ დაღუმება», ესე იგი ძლივ ვაპაჯეთ შესვეწნა, რომ დანუშე-
ბულიყო და გაეშვა ესოდენი ტირილიო; და ხოლოც, დავადუმეთ,
დავაამეთო».

წარმოდგინეთ ახლად, ამ მწუხარე მდგომარეობაში, სადაც ყვე-
ლაფერი თითქმის კმუნების ნისლით მოსილია და ჭკარც სუკდით
შეზაკებულია, წამომკვდარა უსენ და რალაც უშუკრსა და უშნო



კომპლიმენტებს «იტყვი!» ამაზე უარესი სიბრკევე და სიბრკევე ხანუღა? ნაწყნი და ძმქუთვრად ცრემლისა მდენელია ქალი ძლივს დახუშეს, და ეს ვიღაც მსუტი მოჭყოლა: ამან ჭირი ამისოცა, ლოყები მწეს უგავსო და კანი როგორ ავოცებსო! უმართლეს, თუ მისი ვერ-მჭვრეტელი შესწუხდესო; შვილები დამხრცოს, თუ შვილებს არ მიჩვენებინო... სუ თუ ჭკონია ასეთის ქების შესმით «კეთხი-ავანა ზირ-ქეშად» მჯდომი «დაამოს?» ასეთი ქება მით უფრო უადგილოა და მოუხერხებელი, რომ უსენ იქვე ნესტან-დარეჯანთანა წის და მამასადმე ქაღს უნდა ესმოდეს ვაჭრის კომპლიმენტები, თუ ისე არ წარმოადგენთ, ვითამც უსენ ნესტან-დარეჯანის ქებას თავის ცოლს ყურში ჩასწურს ულებს, ან კიდევ—თავის გულში «იტყვი.» სუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ფატმან ნესტან-დარეჯანის ამბავს ავთანდილს უამბობს, ამიტომ მის მოთხრობაში ისეთი ფაქტები უნდა იყოს, რომელიც უნდა მოყმისათვის საინტერესოა. ავთანდილს კი რა ენაღლება, აუხრცნა ბეკრათასნი ჭირნი ნესტან-დარეჯანმა, თუ არ აუხრცნა მის საყვარლის ქმარსა, ან რა აზრისა იყო «ვაჭართ უხუცესი» ქალის ლოყებზე. რა დასდევს ავთანდილს, უჩვენია თუ არა თავის შვილებს ნესტან-დარეჯან უსენს, რომელსაც ახლად მოსული ავთანდილ არ იცნობს და თვალთაც არ უნახავს.

იტყვიან, ვითომც უსენის სიტყვა, მე-1155 ხანაში მოყვანილი, იმისთვის არის საჭირო, რომ შემდეგში მისი ფლიდობა უკეთ გამოჩნდესო: ასეთი მშვენიერი, მისივე მოწონებელი ქალი, რომელიც თავის შვილებსაც უჩვენებოდა, დასე, მერე როგორ გასცა და უმუხთლათ!—მაგრამ ასეთი აზრი შემცდარი იქნება, ვერ იმიტომ რომ, მე-1155 ხანაც რომ არ იყოს, უსენის გაკვირება ნესტან-დარეჯანის სიტუაციისაგან საკმაოდა სჩანს მის სიტყვიდან, ქალი რომ პირველად დაინახა და ფატმანს უთხრა: «რა მიჩვენე, რა ენახე, რანია, ნეტარ რისანი? თუ ხორციელი არიმცა, თვალნიმცა მრისხვენ ღვთისანი!» (ხანა 1149, გვ. 259), და მისი გულ-შემატვიკრობა უნდა ქალისათვის თვალსაჩინოდ ცხადდება შემდეგს ამბავში, თუ როგორც კრძალვითა და რადით თავს ეკლებოდა, ხანამ მასთან იყო. მერმე, უსენის ფლიდობა ის კი არ არის, რომ მეფეს

მოასხენს ნესტან-დარეჯანის ყოფნა... «ვაჭარო უხუცესი» სხვა უფრო
თეს ბედს რომელს შეჭყრიდა უცხოასა და «ღარიბს» ქალს, თუ თა-
ვის ჰატრონის სასძლოდ არ გასდიდა?!... მისი ფედილობა ცოლის
წინაშეა, მონღობილი საიდუმლო რომ გაამყდუნა და «გასტყვა ფი-
ცი, სიმტკიცე სჭუელისა.»

ასე რომ, რომელ მხრითაც გინდა გასინჯო, მე-1155 ხანა
ყველაფერი უვარგისია: არც უსენის საქციელს ეშვება, არც
მთხრობელის (ფატმანის) აზრს ეთანხმება და არც მსმენელის (აე-
თანდილის) საუფრადლებოა. სოლო სტილის მხრით ხანას ჩვეულებ-
რივი სიყაღბის ნიშანი აჩნევა—გაპრტყელებული, ფუჭი ფრანგები
და გაზვიადება: ნესტან-დარეჯანის მჭკრეტელი ჭირს ახორცებს, ვერ
მჭკრეტელმა კი ჭირი უნდა გაიმჩაუღლოს, და ბოლოს ფიცი—თუ
შვილებს არ მიჩქენია, შვილები დამეხორცოს; თუ ჭირია—«ბეკრ
ათასნი», თუ ჰატიყნი—«ას ოცი», თუ ღაწვიან—«ვაცთაგანმცა ვით
იკორცეს!»

LXIII

რამდენს ესვეწებოდა ფატმან თავის ქმარს, დაბზანს რომ მი-
სკალ «მა ქალისა ამბავსა» ეკრძალო; უსენმაც კვლავ შეჭვივცა, არ
ვიტყვიო, მაგრამ—ნახეთ «მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწოელი, მსწრო-
მელი!»—მეფის ქებით მის ძველნისათვის გატყუებული, კაკხანა და-
იწყო, ნესტან-დარეჯანის ჰოენა მეფეს უამბო და სასძლოდ უძღვ-
ნა. ხელმწიფემ მასწივე ქალის მოსაყვანად მონანი გაგზავნა და რა
მისი მოყვანა (გვ. 263—264).

1172 ...სენო მეფემან, მოეგება, ჰკრეს ტაბლასა, გაჰხდა ზარი;
იგი მივა თავ-მოდრეკით წყნარი, არას მოუბარი.

1173. ზედა მოატყდა მკვრეტელი, გაჰხდა ზათქი და ზარები:
ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ სიწყნარები;
იგი რა ჰნახა მეფემან, საროსა მზგავსი ნარები,
გაკრთომით უთხრა: „ჰე, მზეო, აქა ვით მოიგვარები?“

1174. ვით მზემან, მისნი მკვრეტელნი შეჰქმნა თვალისა მფახველად;
მეფემან ბრძანა: „გამზადა ნახული მე უნახავად;

ღვთისაგან კიდე ვინმე იყო კაცი ამისად მსახველად!
 ჰმართებს ამისა მიჯნურსა, ხელი თუ რბოდეს ახ ველად!“

1175. გვერდსა დაისვა, ეუბნა ტკბილითა საუბარითა:
 „მიტხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსული ვისთა გვარითა?“
 მან არა გასცა პასუხი პირითა მზისა დართთა,
 თავ-მოდრეკილი დარღვევით ქვე ზის ცნობითა წყნარითა.

წარმოადგინეთ, როგორ უნდა მომხდარიყო ნესტან-დარეჯანის
 დაბრუნება მოყვანის სტენა, ამ ეპიზოდში აღწერილი. მეფე მოგვებს
 ქალსა და, მისის მშვენიერებისაგან გაკვირვებული, გვგვართმით უთხ-
 რა: „ქე, მზეო, აქა ვით მოიგვარები?“ მერე, მისი ქება ბრძანა და
 ბოლოს, გვერდსა დაისვა და მისის ვინაობის გამოკითხვა დაუწყო.
 როგორა გგონიათ, უფრო დასაჯერებელი და ბუნებითი არ იქნებო-
 და, მეფეს რომ მიგვებების შეძგე ქალი მამინვე თავის საჯდომი-
 საკენ წამოეყვანა, გვერდთ მოესვა და ეუბნა ტკბილითა საუბარითა?
 რასაკვირვებია, მეფე ისწრაფის უნდა ქალი შეითვისოს და მისი
 ვინაობა და მოსვდის ამბავი შეიტყოს. ის კი არა, — მეფე შეძგე-
 რა და საზნდარსავით ქალის სჯებრად რაღაც მუნამბაზს ამბობს,
 მუტრებითა და მოქვრელთ საქმეს ჩემულობს! მერე ვის სასამენლად
 ბრძანებს მეფე ქალის სოტბას? — დაბრუნის ერს უნდა შეატყობი-
 ნოს, სასძლო მომეწონა?... არ შეშვენის ხელმწიფეს ასეთი უბე-
 დობა და არც მის სულის მდგომარეობას ეშვსამება. მეფე ისე გა-
 ცრებულა ნესტან-დარეჯანის სიტურფისაგან, რომ ვერ დაუჯერე-
 ბია, რომ ასეთი ციური მშვენიერება ამ ქვეყნად შესაძლებელი იყოს,
 და გვართმით კითხავს: „მზეო, აქა ვით მოიგვარები?“ ამ მდგო-
 მარეობაში კაცი როდი იმჭკვრმეტყველებს და იმის სჯაში როდი
 მოსტდება, უნახავს თუ არა ასეთი სიტურფე, კაცისა თუ ღვთის
 დასახედა, კმარებებს თუ არა მის მიჯნურს ველად რბენა, — არა-
 მდ ისწრაფის შეიტყოს, ვინ არის, ვისია, „მოსული ვისთა გვ-
 რითა?“

მე-1174 ხანაში მოყვანილი ქება ისეთივე ფუჭი და უკარგი-
 სია, როგორც ქება უსენისაგან მე-1155 ხანაში თქმული. ორივე
 უდროა, არც მიზანი აქვს, არც შედეგი, ქება მხოლოდ ქებისა-
 თვის ითქვა. შედარეთ მეფის ქებას მისივე სიტყვას მე-1177—1179

ხანებში მოყვანილი. ნესტან-დარეჯანისაგან ზასუხი რომ ვერ მიიღო (ტკ. 264—265),

1177. მეფე ჰბრძანებს: „რა შევიგნათ, გული ჩვენი რით იხსნების? ამა ორთა კიდევანთა აზრი არა არ იქმნების: ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ვგონების, მისგან კიდე არ ვისად სცალს, ვედარცა ვის ეუბნების.

1178. ანუ არის ბრძენი ვინმე, მალალი და მალლად მხედი, არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედან-ზედი, ვით ზღაპარი ასე ესმის უბედობა, თუნდა ბედი, სხვაგან არის, სხვაგან ჰფრინავს, გონება უძს, ვითა ტრედი.

1179. ღმერთმან ჰქნას, შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული, მე დავაზვედრო ისი მზე და მისთვის დამზადებული; მან ათქმევინოს ნუ თუ რა, ჩვენცა ვცნოთ გაცხადებული, მუნამდის მთვარე შეჟ-კრთომით ჯდეს, მზისა მოშორებული.

ამის თქმით მეფეს ის განზრახვა კი არ ჰქონდა, რომ ქალი ექო, არამედ თავისი მარცხი დაქმალა, თავისი უღონობა გაქმართლებინა, რადგან ქალმა მისი ცდა და თხოვნა არაფრად მიიჩნია, მისი საგულგებელი ცნობა არა გამოუცხადა-რა. მეფე გამოსთქვამს ქალის დუმილის საგონებულს მიზეზებს და თავის იმედს, რომ თითონ თუ ვერას გახდა, მისი შვილი მოვა და ის ათქმევინებს დამალულს; დასასრულ, მეფე გამოაცხადებს თავის განაჩენს, რომ ქალი სამეფო დარბაზში დარჩება. უკვლავ ეს მეფეს თითქო ქალის საქებრად არ უთქვამსო, მაგრამ რამდენად აღმატება ასეთი თქმა იმ ცერცეტს ქებას, რომელსაც კითხვებზე ბრძანებს მეფე მე-1174 ხანაში. რამდენად უკეთ გამოისახავს მეფის სიყვარული და თავყანისცემს უნსო ქალისათვის, — ვით საუნჯეს დასტრფეალებს და თავს ეკლება; შიშით ხელი ვერ უხლია, რომ სიზმარსაკით არ გაჭქრეს და ხელიდან გაშვებაც არ უნდა; ქალის გულის საიდუმლო სწადიან შეიგნოს და მის წყენსაც კრიდება. განა ასეთი საქციელი ქალის შესახებ მისთვის უფრო სასიამოვნო და გულის-მომგები არ არის, ვინემც მისას შეკრების პირში ქება? დაფარული, ფრთხილი და თავაზიანი ქება, რომელსაც მეფის სიტყვაში გზოკვებთ, ყაღბის-მქნელს



არ ესმის, თუ უსაზომო კაბიტეტები და გაზვიადებული მეტაფორები არ არის, ჭება ჭებად არ მიანნია.

იმ საერთო მოსაზრებას გარდა, რომ მე-1174 ხანის ჭება არ ეთანხმება მის მთქმელის სულის მდგომარეობასა და სტენის ბუნებითს წარმოებას ეწინააღმდეგება, ხანის სტილიც გვიმტვირთებს მის სიყალბეს. პირველი ლექსი—«ვით მოემან, მისნი მჭკრეტელნი შე-
ჭქნა თვალისა მივსველად»—იმავე გაზვიადებულს შეკების გამო-
სახვას ჭლამის, რაც მე-1137 ხანში ვახუშტი, ფატმან რომ ამზის
შუქს» მრავალ-გერ სტაურის ჭეემ ჭმაღავდა. აქაც ნესტან-დარეჯან
ვითომც მზესავით ბრწყინავს და მის მჭკრეტელთ თვალი ვერ გა-
უსწორებიათ. მეორე და მესამე ლექსი—«გამხადა ნახული მე უნა-
სავად; დვთისაგან კიდე ვინმე იყო კაცი ამისად მსახველად!»—ვეე-
ლას შეკნეურ ქალის საქებრად ითქმის, საკუთრივ ნესტან-დარეჯან-
ის სიტუაციას არაფრით შეესება და მის თავისებურს თვისებას
არ გვიხატავს, ამიტომაც ფუჭი ფრაზაა, რიტორიული შემკობა. და-
სასრულ, მეოთხე ლექსი—«ჭმართებს ამისა მიჯნურსა, სელი თუ
როდეს ას ველად!»—დაიდ, ნესტან-დარეჯანს შეესება, რადგან ტა-
რიელ მისთვის სელი დას ველად(!) დაბნის, მაგრამ გულანშარას
მეოთხე ეს გარემოება არ იცის და, მაშასადამე, ვერც იტყუდა ასეთს
ჭებას.

LXIV

გულანშარას მეოთხე ნესტან-დარეჯანისათვის საწოლი ოთახი
ძეგაგზმინა, იქ ქალი ტასტზე დასვა და ცხრა ხადუმი კარის მტვე-
ლად მიუყენა. მაგრამ ტარიელის საყვარელი ამ ტყუილობიდან თავს
ასე იხსნის (გვ. 266—267):

1186. ხადუმნი უხმნა, უბრძანა: „ისმინეთ, მოლით ცნობასა!
მოლორებულხართ, დამცდარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა,
დამცდარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ ჰლამის სძლობასა,
ჩემთვის ბუკსა და ტაბლასა ცუდად გლახ იცემს ნობასა.

1187. არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდევანია,
მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე სარო ტანია!

სხვასა რას მნუკავთ საქმესა, ჩემი საქმენი სხვანია,
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია!

1188. უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგზოვთ თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა;
ესე სჯობს, მოგცეთ საქურტლე, მძიმე მარტყია ტანასა,
მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარე დაიწყებთ ნანასა.“

1189. შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი,
მოიხადა გვირგვინიკა გამჰვირვალის, ერთობ ლალი,
მისცა, უთხრა: „გამომიღეთ, გიაჯები გულ-მხურვალის,
მე გამიშვით, ღმერთსა თქვენსა მიავალეთ დიდი ვალი.“

1190. მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საქურტლისა ძვირისა,
დავიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა,—
ჰნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი უშმაკთა ძირისა.

ნესტან-დარეჯანის სატყუის კილო, პირველს ორს სანაში ამა-
ყი და შეურაცხ-მოყოფელი, მე-1188 სანაში უცრად იცვლება და
ყინიან ბაჰშის მუქარად ხდება. აქამდის მეფის სასძლო თავის მცველთ-
სადუმთ დაცინვით და ზიზღით შეგონება: ჩემსა და თქვენს შო-
რის საერთო არა არის-რია, და თქვენი არც ავი, არც კეთილი
მინდაო, ესლა კი ემუქრება, თუ არ გამაპარებთ, თავს მოვიკლავ და
ამისთვის თქვენი პატრონი არ დაგარჩენსთო. ემსწილეური მუქარა
მეტქი, იმიტომ რომ მოუთქრებელია და წინდაუხედავი. ქალი რომ
დედას ემუქრებოდეს, იმ კაცს თუ მიმათხოვებ, თავს მოვიკლავო,—
დიაღამც გუფს გაუხეთქს და ელდას დასცემს, რადგან დედისთვის
შვიდის საკვდილის სურნებას საზარელია. მაგრამ იმ ცხრა სადუმთ
რა,—«გუფსა დაიცემს დანასა», თუ არა მათს ხელში ახლად ჩაბ-
რებული ვიდაც უცხო ქალი?

თუ სადუმნი მოუქრთამაენი არიან, ნესტან-დარეჯანის მუქარა
ვერ შეაშინებს და იმისთვის, რომ ქალმა თავი არ მოიკლას, როდი
გააპარებენ, არამედ მეფეს შესამენენ: თქვენი სასძლო თავის მოკვ-
ლას ლამის, იცოდეთ, თუ მოხდა რამე უბედურება, ჩვენი ბრალი
არ იქნებაო. ადგება მეფე და კერძს სასძლოს იმას უზამს, რაც
ქაჯებმა უყვეს: სანამ საქრმო მოვა, ქალს ციხეში დაამწყვდეეს და



დარჯჯას მიუყენებს. ხადუმებს კი შესმენისათვის მეფე, არა მარტო არ დაჰხრცს, დაუმაღლებს კიდევ... გაცუდა მამინ ნესტან-დარეჯანის მიუჭარა: კერც გაიზარება და კვლავ თავს მოიკლავს, განთავისუფლების წილ უარესს ტყვეობაში ჩაკარდება! სოლო თუ მეფის სასმლოს მტკეფნი კერცხლის-მოყვარენი არიან, მამინ მათი სათავის-რებელი ქალის გაზარება, და ნესტან-დარეჯანმა მათის გამბედაობის და შველის მოსასყიდლად, თავის შველელობაზე კი არა, ქრთამის რადენობაზედ უნდა ილაზარკოს, თვარს «გულსა დაიცემ დანასა» — ტყუილი უბედობა იქნება, მარტო მის თავის სიმრთელის გულსათვის ხადუმი მანც არ გაზარებენ, რადგან თუ გაზარეს, მეფე აუცილებლად გადახდევინებს. ნამდვილ ესრედაც უნდა მომხდარიყო: ხადუმებმა ნესტან-დარეჯანს რომ გაუშვეს, თითონაც «გარდისკეწნეს, გაიზარნეს მასვე თანა» (ხანა 1193, გვ. 268), რასაკვირველია, მეფის რისხვის შიშით.

ასე რომ ორსავე შემთხვევაში ნესტან-დარეჯანის მიუჭარა ამოცანა და მის საქმეში გამოუყენებელი. რამდენად უფრო დასაკვირვებელი და ბუნებითი იქნება ტარიელის საყვარლის გაზარვის ამბავი, თუ ტექსტს მე-1188 ხანა გამოავლეთ. მეფის სასმლო რომ თავის შუთვასებლობას ხადუმთ შუგონებს, მოხდაის ძვირფას გვირგვინსა და მოხსნის ფატმანის მოცემულს თვალ-მარცალიტსა, რომელიც «თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ევასებოდა» (ხანა 1171, გვ. 263), და შეხვეწება: წაიღეთ ესენი და გამოიშეთო, ესე იგი, თუ გაიზარებთ ეს საუნჯე თქვენია, თუ არა და — მე სომ დავრჩები, მაგრამ თქვენც არა გერგებათო. ამაზე ცხადი წინადადება რომელია იქნება? — აშკარა აღებ-მიცემობაა, თუ ღირს ეს თვალ-მარცალიტი იმ შიშად, რომელიც ხადუმთ მეფისაგან მოელის, გაიზარებენ, თუ არა და — კერც გაბედვენ. აღბად ღირდა და აღმატებოდა კიდევ, თუ ხადუმთ დავაიწუდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზარისა, სასმლო გაიზარეს და თითონაც «გარდისკეწნეს»... რის მაქნისია ასეთ საქმეში ტყუილი მიუჭარა, თავს მოკავალაო ან მეფე თქვენ დაგხრცთო?

მეტი ღაზარაკი არც ნესტან-დარეჯანის მდგომარეობას ეშვასება. მისი ყოფა-ქცევა გულანშაროს ყოფნის დროს იმითა შესანიშნავი, რომ თავის უბედურებას არავის გაუზარებს, თვით ფატ-

მანს, გულ-ღმობიერს, მისთვის თავ-დადებულსა, ლედასა და დედნის უმჯობესსა, არას ეტყვის თავის ამბისას; მუდამ ტირის და ხმას ვი არ იღებს, ასე რომ, რაც გულანძარას მოვიდა, ერთხელაც არ წარმოუთქვამს ისეთი გრძელი სიტყვა, რაც ხადუმთ უთხრა. თუ სიტყვა ასე ძვირად უზის, რად იტყვის მეტსა და საქმისთვის გამოუყენებელსა? ამაყი და მიუგარბელი, თვითნება და უფლებას დაჩუქული დიდის ხელმწიფის ასული ვით იკადრებს და თავს ვით დაიმდაბლებს, რომ მსკვლავს თავი შეახრახოს, სისუსტე დაიხილოს და შეაგნებინოს, ვითამც ისე მისტირდა, რომ თავს მოიკლავს, თუ არ უშველეს. უცხო მონებისაგან გრძნობიერება და დიდ-სულჯანობა მოსალოდნელი არ არის და გაჭირებაში ჩაკარდნელი მეფის სისძულე მათს ღმობიერებას და გულის-უხეობას არ მოესწრებოდა, თუ შირ-ფერებითა ან მუქარით ელახარანა. აქ საქმე მოსუიდეით უკეთ და უფრო ჩქარა გარბობდა. ნესტან-დარეჯანიც ამ აზრისაა, რომ დესაც ხადუმთ ეუბნება, საჭურჭლე «გამომიღეთ» და გამიშვითო, და ამავე აზრისა იყო შემდეგშიც, ფატმანს რომ უთხრა: «თავი ვიუიდე მოცემულითა შენითა» (ხანა 1194, გვ. 268), და არა სვეწითა და მუქარითა.

ამას გარდა მე-1188 ხანა შემდეგის მოთხრობის ვითარებასაც ეწინააღმდეგება, რადგან, თვით მოსუიდეას ვი არა,—მხოლოდ ნესტან-დარეჯანის განზრახვას და დაპირებას მოსუიდეისას გვიამბობს. თითქო ქალს ვერ გაუბედაო მოსამსახურენი შირდაპირ დაქრთამას და ვერ უჩივს: «ესე სჯობს, მოგცეთ საჭურჭლე, მძიმე მარტვი ტანასა», მაგრამ თვით საჭურჭლეს ვი არ უჩვენებს, და თითქო ელასო,—აცა, რას იტყვიან ამაზეო: თუ დამთანსმდნენ, მივცემ, თუ არა და—ჩემთვის შევინახავო. რუსთაველი ვი საქმეს ისე გვიამბობს, რაკარადან ნამდვილ უნდა მომხდარიყო: ხადუმნი ნესტან-დარეჯანის მოსუიდეის დაპირებაში ვი არ შეცდინა, არამედ თვით ქრთამის დანახვამ. ქალმა რომ ქრთამი ხელში მისცა, მაშინ «მონათა მიჭხვდა სინარბე მის საჭურჭლისა ძვირისა.»

ეს საბუთებიც რომ არ იყოს, მე-1188 ხანის სიყალების სამხილებლად, გეონია, მისი მწიგნობრული სტილიც გმარა,—სტილი გაწყალებული და ზღვონაზმებით შეზავებული. «უცალოდ თავსა მო-



ვიკლავო, — ამბობს ნესტან-დარეჯანს, და თითქო გადაწვეტილია —
 ტყავა არისო, მაგრამ მანინ უმატებს: «გუელსა დავიციე დაწასაო»,
 რაინა კვლავ თავის-მკვლელობას ნიშნავს. რისთვის აუწყებს ხა-
 დუშებს მეფის სასიძლო, თუ რაკვარად ჭლამის თავი მოიკლას?
 თუ ხადუშების შეშინება უნდა, თავის-მკვლელობის დამუქრება ვი-
 თომც ვერ შეაშინებს, გუელში დანის დაცემა ვი ელდასა ჭერავს?
 თქვენ დაგხრტოთ თქვენი ჰატრონია — ესეც თითქო საშინელი რამ
 არისო. მას რისთვის-ღა დაერთვის ესოფელს ვერ დაჭყეოთ
 ხანსა?» დახრტვა სიკვდილია, სოფელს ვერ უფოფნა ხანისა —
 იგიც სიკვდილია; ხადუშთათვის ამ ორში რომელი ერთი უფრო
 საშიში უნდა იყოს? ესე სჯობს, მოგცეთ საჭურჭლე, — და-
 დამც კარგი დაშარება... «მძიმეო» — ეგ ხომ უგეტესი! მხრტყია
 ტანასა — მაგას ვი რა ფასი აქვს? ჯიბეში უდევს, ტანს არტყია,
 თუ სხვაგან — საჭურჭლეს მაგთ რა ღირსება ემატება? «მე გამა-
 შარეთ, გამიშვიო» — ძლიავს მიაღწია იმდენ უბედობის შემდეგ თავის
 სათქმელს, მაგრამ მანინ უდროო სიტყვაა, მაგ თხოვნას ძალა მა-
 შინ ექნება, როდესაც ქალი თვალ-მარგალიტს შემოიხსნის, გვირ-
 გინს მოიხდის და ხადუშთ ეტყვის: «გამომიღეთო. ამის შემდეგ
 ქალის თხოვნა — «გიაჯები გუელ-მსურვადი, მე გამიშვიოთ, ღმერთსა
 თქვენსა მიაკლეთ დიდი ვალი» — დაიღამც ადვილად გასტრის. ასე
 ამოქმედებს და ალაშარავებს ნესტან-დარეჯანს რუსთაველი, ფაღბის-
 მქნელი ვი ამის მაგიერ ვიდეკ ათქმევენებს მექარას: «თვარე დაწ-
 ვებთ ნანასაო... ორჯულ თავის-მკვლელობას ემუქრება, ორჯულ მე-
 ფისაცან სიკვდილით დასჯას და ეს «ნანა» მესუთე დამუქრებას.

მე-1188 ხანის უგანო სტილს საუცხოოდ ეთანხმება დამ-
 ხინჯებულნი ენა: «ხანასა და ტანასა» ისეთი ღრმა ქართულია, რა-
 მელსაც რუსთაველიც ვერ მისწვდება.

*

თუმცა ნესტან-დარეჯანის გაშარვა ფატმანისთვის სასიამო-
 ნო იყო, მაგრამ იმ ამბავმა, რომ მეფის მხევალთ ორგულობა გა-
 მოიხინეს და «ძვირისა საჭურჭლისათვის» დაივიწყეს «შიში მეფი-
 სა, ვითა ერთისა გზირისა», ვატრის ცოლი ისე შეაძრწუნა, რომ

გულ-ნაკლული წამოიძახებს: «ჭნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!...»

ეს მოსაზრება ერთს მწიგნობარს ისე მოეწონება და ისე გასახლავს, რომ კერძნლის-მოყვარებაზე თავისებურს შეგონებას შესთხზავს და უძღვნის ავთანდილს, ვითამც და ფატიმანის ნათქვამს, ზემოყვანილის ლექსის შესაკვებლად და განსამარტებლად (გვ. 267):

1161. რა ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრტენასა,
შესდის და ვასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლავ აქა სულსა დააბამს, დაუშლის აღმაფრენასა.

თეიმურაზ ბატონის შვილის კომენტარში ამ ხანის შესახებ არაფერს ვხვდებით, ერთის სიტყვის ახსნის გარდა: «ეტლთა რბენა— დროჲსა მიმდინარეობისა, სვისა და ბედის ჩარხი არისო.» ვასტანგ მეფე კი ასე ბრძნებს: «ეს დიად სამღვთოთ დაუწერია, მართალს მოგახსენებო.» მაშასადამე, მე-1191 ხანის ზნეობით-სწავლაში დაფარული სიბრძნე არა ყოფილა—რას და მისი აზრი შირდაშირ უნდა გვესმოდეს.

თუმცა,—ჩემის აზრით,—ხანის ორი შირველი ლექსი ვრამბ-ტიულად შეერთებული არ არის, მაგრამ, საგონებელია, მელექსეს ის აზრი უნდა გამოეთქვას, რომ სიმდიდრე კაცს ვერ გააბედნიერებსო, იმიტომ რომ სახარბე არ მოასვენებსო. ეს აზრი ორი ლექსისათვის ცალკა და მელექსეც ცდილობს ვაგრძელებულის და დახლართულის ფრასებით გაადიდოს: «აროდეს მისცემს ლხენას» და «შეაქნევს კბილთა ღრტენასა», რომელიც მწიგნობრული სიტყვის საქვეყია და არა რუსთველისეული აღნიჭესი; «დღედ სიკვდილამდის»—მეტო სიტყვაა, რადგან ამას წინ «აროდეს» იყო.

მესამე ლექსი იმავე შინაარსისაა, რაც მეორე, რადგან «შესდის და ვასდის(?)»,—აკლია, გაუმაძღრობას ნიშნავს, ესე იგი იმავე «სიხარბესა»; ხოლო «ემდურვის ეტლთა რბენასა»—უკმაყოფილებას ან ვებლთა ღრტენა.

უკანასკნელი ლექსი—«კვლავ აქა სულსა დააბამს, დაუშლის აღმაფრენასა»—ასე მესმის: «ოქროს მოყვასო» ნივთაერების კერძი



გასდება და მადლათ აზრთა და გრძნობათა კერ მისწვდება. აზრ-
ნი თითქო ახალაო, მაგრამ თუ დაკავკირდით, იგივე გამოდგება,
რაც ამას წინ იყო გამოთქმული, რადგან—რამ მნიშვნელობა აქვს
ამ შემთხვევაში «აქა სულისა დაბმას» თუ არ «ებილთა ღრტენა, ეტლ-
თა რბენის მღურვა და სიხარბე», რომელიც «ადმაფრანისა» ანუ «ლხე-
ნისა» საპირისპიროდ არის გამოყვანილი? ასე რომ მოელს ხანაში
ერთადერთი საცოდავი აზრი ლაულაყებს, ისა რომ «ოქრო მისთა
მოყვასთა აროდეს მისცემს ღებნასა», დანარჩენი ფრასები კი ამაო
ყუბდობაა, ნათქვამის გამოერება და სსვაფრივ თქმა.

მაგრამ ვთქვათ, ოქრო კაცს კერ გაბედნიერებს—მერე ეგ უცი-
ლობელი ჭეშმარიტება აწინდელს შემთხვევაში რა მოსაყვანი იყო?
მეფის მონები საჭურჭლეს დახარბდნენ, თავიანთ ზატროხს უღალა-
ტეს და მისი სასძლო გააზარეს,—რამ დამოკიდებულება აქვს ამ ამ-
ბაკთან ფატმანის ბრძნობას სიხარბის გნების შესასებ? გადახდათ
ვიდაც ცხრა ხადუმის მათი სიხარბე თუ არა, ავთანდილს რა ენაღ-
ლებს? ეს კი შეატუობინა ფატმანმა, რომ ნესტან-დარეჯანთან «მო-
ნანინა გარდისგვეწესს», მერმე კი ვინ დასდებს მათს ბედს: მისცემს
მათ ოდესმე ნესტან-დარეჯანის ნახუქი საჭურჭლე «ლხენასა», თუ
«შეაქნეს კბილთა ღრტენასა?» ხადუმების ღალატს მცირე და შემ-
თხვევითი მნიშვნელობა აქვს ნესტან-დარეჯანის ამბავში. საქმე აქ
ჭაღის გაზარება. ხოლო რაგვარად მოხდა—თითონ გააზარა თუ
სსვამ უშეკლა—ეგ მოთხრობისათვის სულ ერთია. ნესტან-დარეჯან-
ის გაზარების გარდა ხადუმებს არავითარი მონაწილეობა არა აქვთ
მის ბედში და არც სსვა ზოემის ამბავში, ამით თავდება მათი უმ-
ნიშვნელო და არსაჩინო როლი, ამიტომაც მათის ღალატით გამო-
წვეული ფატმანის შენიშვნა—«ჴნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერ-
თნი ეშმაკთა ძირისა»—სავსებით კმარა ფატმანს დასახსნისათებლად
და მეტის სსვისა და ბრძნობის ღირსი არა არის. მე-1191 ხანის
მიმართებით კი ხადუმების ღალატის ამბავი გასვინადებული ხდება,
თითქო მათს ორგულობას, ნესტან-დარეჯანის გაზარვის გარდა, სსვა
რადაც უადრესი შედეგი უნდა ჴქონდესო, ამის გამო წერილმანი
ფატმა ამბავში შეუფერებელს ადგილს იჭერს და მოთხრობის ნა-
წილთა ურთიერთობა ირევა, ხოლო მკითხველის ყურადღება ტყუი-

ლად სცდება, რადგან ფატმანის ბრძნობა ვერცხლის მოყვარულის შესახებ შემდგომს ამბავში არ გამართლდება და უნაყოფოდ დარჩება.

ესრედ, მე-1191 ხანა, ვითომც-და ფატმანის აზრის შესახებ-ლად მიმატებული, ნამდვილ სულ სხვა მიმართულებას აძლევს მისს აზრს. ვაჭრის ცოლი რომ ამბობს, «ქნასეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა»,—ეს იმას ნიშნავს, რომ იგი განცვიფრებულია ოქროს ძლიერებისაგან, რომელიც მონას მეფის შიშსაც დაავიწყებს; მე-1191 ხანაში კი ფატმან იმას უბნობს, თუ რადღენ მკვებელია ოქროს-მოყვარეობა კაცის სულისათვის.

რისთვის-ღა ათქმევენებენ ფატმანს ვერცხლის-მოყვარეობაზედ მწიგნობრულს შეგონებას, თუ მის სენტენციებს არაკითარი კავშირი არა აქვს მისგან ნაამბობს შემთხვევასთან? ნუ თუ ფატმანმა ავთანდილს თავისი სიბრძნე უნდა უჩვენოს: ხედავ, თუ რაები მცოდნია!?... ან იქნება თავისი საყვარელს ზნეობა უნდა ასწავლავს? ყალბის-მქნელებმა ბევრი რამ უგვიანო ცილი შესწამეს ფატმანს, მაგრამ ეს კი წრეს გასული სისუფელეა,—ვითომც რუსთაველი ვაჭრის ცოლს ზნეობის მოძღვრად გვიასხვადეს და ავთანდილს—მის მოწაფედ! რა მისის ხასიათის შესაფერია ასეთი ბრძნობა? თქვენ წარმოადგინეთ, ფატმან ხათუნ—დარდიმანდი, მოარმოეე ქალი, კოპწია, მეთურბთა და მოძღვრალთა მოყვარული, ღვინის-მსმელია, თავის საყვარელთან ხალვათ ზის, უცხო ამბავს უამბობს და ამასობაში, ორს გოცნას შუა, სწორთვის და უნაგრობას უქადაგებს!... ან რა ოქროს სიძულილის გულ-წორფელი მოძღვარი უნდა იყოს ფატმან—«ვაჭართა-ურუცისა» ცოლი, მდიდარი, მედიდურობის მოყვარული, ვაჭრობის საქმის განკუთვანი, მწარმოებელი და სიძლიდრის მოძიებუ-ჭელი?!

იმას კი როდი მოგახსენებ, ვითამც ფატმანს არ შეეძლოს ზოგი ერთის მოკლენების შესახებ აზრის დასკვნა, ზირიქით—ვაჭრის ცოლი ბრძნობას არ კრიდება და, თუ შემთხვევას, თავის მოსაზრებასაც დასძენს, მაგრამ მისი ფილასოფია თავისებურია. «არ ყმაწვილია, გამოცდილი, ვაცთა მხსავი მრავალთა, მოსადგურე და მოყვარე მეზავრთა, ყოველგნით მკვალთა, ფატმან ცხოვრების და ჭეუნიერების ცნობისა და ზრექტიკულს სიბრძნეს დიად შეიძენდა,



მაგრამ მისი ფილოსოფია მდარეა და აღმაფრენას მოკლებულია. ფატმანის პრაქტიკული, საყოველთაო სიბრძნის ნიმუშები მისს საუბარში აქ-იქ გაფანტულია მოკლე აფორიზმებით, თითო ლექსში მოჭრილი, და საუცხოვოდ გვიხატავს მისს ჭკუის გამჭრიახობას და განმტკიცებას. აი, მაგალითად, მისნი აზრნი: კაცისაგან თავის შეკლასე—*«მას მკურნაღმან როგორ ჭკურნოს, თუ არ უთხრას რაც სჭირდეს»* (ხანა 1077, გვ. 240); იმაზედ, ვინც უგუნურობით თავის თავს ავებს—*«მკურნაღმანცა კერა ჭკურნოს თავისისა სისწლის მსურეტსა»* (ხანა 1100, გვ. 247); თავის ქმარს უსენსე—*«აწ ჭნასო მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწყელი, მსწრომელი»* (ხანა 1159, გვ. 261) და—*«მართლა თქმულა: არა ჭმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი»* (ხანა 1160); მოქრთამებაზე—*«ჭნასეთ თუ აქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა»* (ხანა 1190, გვ. 267) და კაცისა და ქალის პატაროსებაზე—*«კაცსა დაჭსკრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაღია»* (ხანა 1198, გვ. 269).

თუ ამ ლექსებს მე-1191 ხანა შეადარეთ, ადვილად სცნობთ, რომ ფატმანის აფორიზმები არც აზრის მიმართულებითა და არც სტილით არა ჭკვანან იმ ამაო და გაბუროდს ბრძნობას, რომელსაც ვიღაც შწიგნობარი ვაჭრის ცოლს მიაჩემებს.

LXV

ვიდრე ფატმან მის მოვარისა სადაობას აკთანდილს უამბობდეს, უწინ შეატყობინებს, რას ეუჭრებოდა *«ისი კაცი ჩანჩაგირია და რად მოაკვლევინა ახალს არ შეიყოს თავისი ძველი საყვარელი»* (გვ. 269—270):

1200. ესე ამბავი მასთანა ვთქვი დიაკურად, ხელურად:
ჩემსავე მოსვლა მის მზისა და გაპარება მელურად;
გამელანებდასა მექადდა არ მოყვარულად, მტერულად;
აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, თავი ვიხსენ მე რულად!

1201. დამეკადღის, რაზომჯერცა წავიკიდნით თავის წინა;
ოდეს მეხმე, არ მეგონა მე იმისი ყოფა შინა;
მოსრულ-იყო, მოსვლა ეთქვა, შენცა მოხველ, შემეშინა,
ამად გვადრე: „ნუ მოხვალო“, მოგაგებე მონა წინა.

1202. აღარ დაბრუნდით, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩვენთვის არენით, შეიყარენით ორნივე, ჩემზედა დაიჯარენით, ამად შევშინდი, ღონენი ვეღარა მოვიგვარენით; იმას გლახ ჩემი სიკვდილი გულითა სწაღდა, არ ენით.

1203. თუმცა ისი არ მოგველა, მისულიყო დარბაზს მითა, შემასმენდა ჯავრიანი, გული ედგა ცეცხლებრ წვითა; მეფე მწყრალი გარდასწმენდა სახლსა ჩემსა გარდაგვითა, შეილთა, ღმერთო, დამაჰმევედა, დამქოლვიდა მერმე ქვითა!

გეგსომებათ, ფატმანმა რომ ავთანდილ თავისთან მიიწვია და მოემე რომ წავიდა, ქალმა გზაში მონა დახსკედრა ამ შენათვალთ: ღამას ღამე ნუ მოხვალა, გერა მხრეგებ შენთვის მოხასა (ხანა 1091, გვ. 245). ავთანდილს ეწეინა, არ დაბრუნდა, სთქვა თუ: ჰგავსო ეგე რასა!... მართლა და, უცნაური საქციელი იყო ფატმანისა: ძლიერს ეღიროს ავთანდილის სიყვარულსა და როდესაც გულის წადილი უნდა აუსრულდეს, — ისტუმრებს. რა მიზნია? — ქალმა არა უთხრა-რა და არც მოემე ჰკითხა, თუმცა მისგლისთანავე წეუნა შეატყო. მერმე, არმიეებმა გოცნა, ლაღობა წეფიანა რომ დანიწყეს, შემოდგა ვიღაც კაცი, აგინა და ათრია ფატმან და სამაგიეროს გადახდას ემუქრებოდა. ქალმა შეჰქმნა თავსა ცემა, ტირილი და ვაება, და თუმცა ავთანდილ ჰკითხავდა ამ ამბის მიზნეს, ფატმანმა არც ახლა შეატეობინა-რა გარკვევით. ეს ერთი კი გადაწევეტილი უთხრა: ან ესლავ მომიშორდი და შენის ქარანით გადავარგო, ან ის კაცი მოჰკალ და მისინ ეგელას გიამბობო. ავთანდილმა მერმე თხოვნა აუსრულა, ფატმანისა უამბო ნესტან-დარეჯანის ზოვნისა და გავარების ამბავი და ახლა მისი მდგომარეობა იმდენად გამოირკვია, რომ იმ ამოცანების ახსნაც შეიძლება, ახლა ავთანდილ ორიოდუ სიტყვით ადვილად მიხელება, რად დაბრუნა ფატმანმა გზაში, ან რას უქადადა ვაჭრის ცოლს ისი კაცი.

რა უნდა ეთქვა ამ შემთხვევაში ფატმანს: უცნობი მიზნია ამბისა, ავთანდილისაგან ნახულისა და მის თავზედ გარდახდილისა, თუ თვით ის ამბავი, რომელიც მოემე უკვე იცის? — უცნაური საქითხავია, — იტყვით. რა თქმა უნდა, რომ იმას შეატეობინებდა, რაც ავთანდილმა არ იცოდა, თორემ ცნობილი საქმე რაღა სათქმე-



ლიაო?! დასტურ, ასე უნდა ყოფილიყო და რუსთაველიც ასრულებდა, — ფატმანს იმას ათქმევინებს, რაც ავთანდილის გასაკვირველი და გამოსარკვევი იყო. მაგრამ ზოეტის საუბარში ვიღაც მელექსე ჩაურკვია და, თითქო განგებო, ქალს სწორედ იმას ათქმევინებს, რაც ავთანდილმა უკვე იცის და, მასმასდამე, სათქმელიც არ იყო. მაგრამ, — უადგილო უბედობას ვინ ჩივის? — უბედურობა ის არის, რომ ფატმან ავთანდილს მისსაკუ ნახულსა და თავგადასავალს ისრე აცნობებს, რომ ნახეკარს ტყუილს ეუბნება. მელექსემ იმდენი ჭკუა და მოხერხებაც ვერ მოიხმარა, რომ რუსთაველისაგან ნამბობი ფატქები სისწოროთა და შეუცვლელად გადმოეცა.

როდესაც ფატმან ავთანდილს თავის საქციელს აუხსნის, — გზაში იმიტომ დაგაბრუნე, რომ ჩემი საყვარელი უნდა მოსულიყო, — უაღბის-მქნელი მე-1202 ხანაში განაგრძობს: «აღარ დაბრუნდით, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩვენთვის არენითო», ე. ი. იმას ამბობს, რაც ზოეტმა ერთის სიტყვით გამოთქვა: «შენცა მოხველ» (ხანა 1201). ტყუილი მრავალსიტყვობის გარდა, ლექსი იმითა საყურადღებოა, რომ ცხადად გვიჩვენებს ფატმანის მდგომარეობის გაუგებლობას: უაღბის-მქნელი ვერ მიმხვდარა, რომ თავაწიანისა და განბერილის კომპლიმენტების დრო არმყოფათვის უკვე წავიდა. «შუქნი თქვენ ჩვენთვის არენითო» — ასეთი ქების შესხმა მაშინ იყო საჭირო, როდესაც ვაჭრის ცოლს ეჭვი ქმნდა, მიჭყვება თუ არა ავთანდილ მის არმყოფას, ესლა გი, რა ფატმანს საყვარელი თანაჭყვას და ხელში ჩაიგდო, სხვაგვარის ალერსის დროა. ეს ცვლილება ცხადად გამოჩნდება, თუ ფატმანის საუბრის კილოსა და სტილს ავთანდილის საარმყოფად მოსვლის წინ და მას შემდეგ, ერთმანეთს შეკადრეთ. ხანამ ავთანდილს საარმყოფად დაიყოლიებდა, ვაჭრის ცოლის საუბრის კილო ვედრებითი იყო, თავდამდაბლებული და შირ-ფურობითი, სტილიც აღუკავებელი და მოკასმული; ესლა გი, რა საყვარელი გვერდთ უზის და ამ ღამეს მანც არსად წაუვა, მისი საუბარის სტილი მარტივი და ლაღია, კილო გი — გულითადად, მხურვალე და წრფელი. ამიტომაც «შუქნი თქვენ ჩვენთვის არენითო» — დისონანსად ისმის. ამას გარდა, რა დროს კომპლიმენტობა, როდესაც ფატმან ისწრაფის ავთანდილს შეატყობინოს, რის გულისათვის ჩაადენინა კაცის-მკვლელობა!



«შეიყარებით ორნივე, ჩემსუდან დაიფარებით»: ამ ლექსის დასაწყისებში უნდა ვინახავთ მნიშვნელობას სიტყვის «დაიფარებით». ჯარჯა, საზოგადოდ, ერთად შეერასა და საღვთის მოგონებებს ნიშნავს; სოლო თეიმურაზ ბატონისშვილის თქმით, «დაიფარა—დაჩაბებდა, ე. ი. ერთმანეთსედ საბრძოლველად მომზადება და ბრძოლის მიმართ მახლობა.» ამ ორის მნიშვნელობისდა გარდა, თუ ვინ ველს მიუყვებით, ლექსში უშინა ზღოვანაზმის მეტა არა იქნება-რა; სოლო თუ ბატონისშვილის გამენტარა სათნოდ მივიღოთ, მაშინ ცხადი სიტყუე გამოვა, რადგან ავთანდილ და ჩანჩაგირი, ფატმანისას რომ შეიყარნენ, ერთმანეთსედ საბრძოლველად არ მომზადებულან და ერთი სიტყუეც ერთმანეთისათვის არ უთქვამთ; არამედ, ჩანჩაგირი გულ-ჯარჯიანი რომ წავიდა, ფატმანმა თავისი ახალი მთარბიუე მის მოსაკლელად მიუგზავნა, ისიც—მალვითა და მიზრვით. ქალი ვი ისე უაზობს, თითქო მოემენი მის გულისათვის შურით და მეტოქობით ღამის ერთმანეთს გვეტონენ და ესეც შეშინდა და არ იცოდა რა ექნა.

«ამად შეეშინდი, დონენი ველარა მოვიგვარებით»—ქალ ფატმან ამას აცნობებს, რაც ავთანდილმა უკვე იცის, და ქალმაც ეს იყო მოაგონა: «შეშინდა» (სახა 1201); დანარჩენი ფრაზა ვი ტყუილია. კატრის ცოლს თუმცა შეეშინდა, მაგრამ გონება არ დაეფარა და გაჭირებულს მდგომარეობაში უღონო რადი დარჩენილა, ვირიქით, —«დონება» იმ წამსვე, სწრაფად და გადაჭრილად «მოაგვარა», რადგან ავთანდილს ასეთი ცხადი არჩევანი წინ დაუდო: ან შენ მომშორდი, ან ის კაცი თავიდან მომშორეო. ასეთს გადაწყვეტილებაზე როგორ ითქმის, ვითამც «დონენი ველარ მოვიგვარებით?»

«იმას ვლახ ჩემა საკვდილი გულვითა სწადდა, არ ენით»—ესეც ავთანდილმა კარვად იცის: თითონ გაიგო როგორ ემუქრებოდა ფატმანს «ისი კაცი» დადუშვასა, და თუ ჩანჩაგირის ქალი-საც არ შესწერდა, ადვილად მიხვდებოდა ავთანდილ, რომ ფატმანის საკვდილი იმას დაიდ გულვით უნდოდა, მით რომ ქალმა ისეთის სისწრაფით დაასწრო და სანამ გაუთენდებოდა, ავთანდილს მოაკვლევინა.

ესრედ, მე-1202 სახა არსებითად ფატმანის სასაუბრო საგანს არ ემსახურება, აწიებს ავთანდილს ისეთს ფატმანს, რომელიც

მოყმისათვის საინტერესო არ არის. მაგრამ ამ პეტობისა და უკარ-
 გისობის გარდა, ხანა ისეთას სტილით არის დაწერილი, რომ სრუ-
 ლებით არ ეთანხმება ფატმანის საუბარის კიდეას. ფატმან, ეს-იყო,
 საშინელს განსაცდელს თავი დააღწია და ესლა, რა აგონდება ის
 სიფათი, ხან სიძულელითა და ხან სიხარულით თრთის. მის სი-
 ტუქაში ისმის ცალ-კერძ მენი და შურისგება მტრისათვის, ვისის
 სისხლის ხვრეტას ნატრულაბს; და ცალ-კერძ—თავდავიწყებული
 სიხარული, რომ მისი მტერი მკვდარია, თითონ კი მოწხა მშვი-
 დობით ამა გველისა მხერასა. ამ რთულის გრძნობით შეზაგებუ-
 ლია ფატმანის საუბარი და მის სულის მდგომარეობას საუცხო-
 ვოდ გვიხატავს მისის სიტყვის სტილი აჩქარებული, ფაცხელი,
 მიფეთქავი. დააკვირდით, რა სწრაფად და გარკვევით უსხნის ქალი
 ათანდილს საქმის არსსა:

1201 . . . ოდეს მეხმე, არ მეგონა მე იმისი ყოფა შინა;
 მოსრულ-იყო, მოსვლა ეთქვა, შენცა მოხველ, შემეშინა,
 ამად გაადრე „ნუ მოხვალა“, მოგაგებე მონა წინა.

ამ ლექსებში რამდენიც სიტყვას, იმდენივე ფაქტია, არა და
 მოქმედება. შეადარეთ ამ გასწრაფებულს სიტყვას მე-1202 ხანის
 სტილი: რა ზანტად მიიზღაზნება ყაღბის-მქნელის ლექსები, ჰლე-
 ნაზმებით გაჭიმული, უფერულის და განუსაზღვრელის ფრაზებით
 გაწყალებული.

აღ. ს.—შვილი.

საქართველოს ისტორია და ბ-ნი ეგვიპტი

Г. А. Эзовъ. Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ народомъ. С.-П.-Б. 1898 г.

ყოველს რუსულის წერა-კითხვის მცოდნე ქართველს ვურჩევთ წაიკითხოს გულდასმით ეს ფრიად საყურადღებო უშველებელი ტანის წიგნი. შინაარსი მისი მეტის-მეტად საინტერესოა ჩვენთვის. ამ წიგნიდან ქართველი მკითხველი ნათლად გაიგებს, თუ როგორ და რა თვალთ უცქერიან ზოგიერთნი ვითომც მეცნიერნი ჩვენს სამშობლოს და მის წარსულს.

წიგნის შინაარსი მოუხსენებია ავტორს მეცნიერების საიმპერატორო აკადემიის საისტორიო და საფილოლოგიო განყოფილებისათვის 8 იანვარს 1897 წ. ეტყობა აკადემიას საფუძვლიანად უცვნია წიგნში შეკრებილი ცნობანი და ამისათვის განკარგულება მოუხდენია მისი დაბეჭდვისათვის სტამბაში და ალბად თვისისავე ხარჯით. აკადემიის ნებართვა აღნიშნულია წიგნის პირველსავე გვერდზე, რასაცაჰმოწმობს აკადემიის უსათუო მდივნის, აკადემიკი ნ. დუბროვინის ხელის მოწერა. ამ უკანასკნელს გარემოებას განზრახ ვასახელებთ. ერთს წუთსაც არ უნდა დავიფიწყოთ, რომ ავტორი წიგნისა, ბ-ნი გ. ა. ეზოვი უბრალო ვინმე კი არ არის, არამედ მეცნიერია, აღჭურვილი სამეცნიერო იარაღით, მაშასადამე მის ნაშრომ-ნაღვაწს უნდა ეტყობოდეს მეცნიერების ბეჭედი, სამეცნიერო მიუდგომლობა. უკეთუ ავტორმა იმედი არ გაგვიმართლა, უკეთუ მის წიგნში მეცნიერების



ძიება-კვლევის და ხალხის ჭეშმარიტების მავიერ ცრუ-პენტე-
ლაობა ეიპოვეთ და წინდაწინვე ამოჩემებული აზრი, მაშინ
სრული საბუთი გვექნება ვიფიქროთ, რომ ბ-ნი ეზოვი ნამდვი-
ლი მეცნიერი კი არა, ცრუ მეცნიერია, რომ მისი დიდის ხნის
ნაშრომი ნამდვილი სამეცნიერო გამოკვლევა კი არ არის,
არამედ ფალსიფიკაციაა მეცნიერებისა, ანუ მოწამლულ-მოხაშ-
მული მეცნიერება. სასმელ-საქმლის და საზოგადოდ სანოვანის
მოწამლვას ანუ ფალსიფიკაციას, დიდი ხანია მისდევენ დაბალი
ხარისხის ვაჭარნი. ასეთი ხელობა ცოტად თუ ბევრად შეწყნა-
რებული აღებ-მიცემობასა და ვაჭრობაში, ყოვლად შეუწყნა-
რებელია და გასაკიცხი მეცნიერებაში. სიკვდილით სასჯელიც
რომ მოელოდეს, ამას არ იკადრებს ნამდვილი მეცნიერი, მხო-
ლოდ ზნე-დაცემული კაცი იკადრებს და გაჰბედავს წასცხოს
ჩირქი მეცნიერებას, რათა დააჯეროს ქვეყანა, რომ შავი თეთ-
რია და თეთრი შავიო. მართალია, გამარჯვება იქნება წუ-
თიერი, მაგრამ მაინც გამარჯვება და არა დამარცხება. ასე
ანგარიშობს ცრუ მეცნიერი. ხვალისას ვინ დაგიდევს, ოლონ-
დაც გამარჯვების ბაირალი მალლა ააფრილო და ხვალინდელ-
მა დღემ რაც უნდა სთქვას. ბევრჯელ ისიც მოხდება ხოლმე,
რომ ხვალინდელი დღე თავს ეერა მართლულობს სხვა-და-სხვა
გარემოებათა გამო და ცრუ მეცნიერის ანგარიში მართლდება.

საკვირველია და თან სამწუხარო კიდევ ერთი განსაკუთ-
რებული გარემოება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბ-ნ ეზოვის
წიგნი დაბეჭდილია სამეცნიერო აკადემიის განკარგულებით,
ამას ჰმოწმობს უსათუო მდივნის აკადემიკის ნ. დუბროვინის ხე-
ლის მოწერა. ნ. დუბროვინი ფრიად დამსახურებული მეცნიე-
რია, დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის სამშობლო ისტო-
რიოგრაფიის წინაშე. სხვათა შორის, მის კალამს ეკუთვნის ისე-
თი საფუძვლიანი თხზულებანი, როგორიც არის „Закавказье“
და „Исторія войны и владычества Русскихъ на Кавказѣ“. ამ
წიგნების ავტორმა მშვენიერად უწყის, რომ არსებობდა საქარ-
თველო, იყო აქ სამეფო, რომლის უკანასკნელ მეფეთ თვისი
ქვეყნის მართვა-გამგეობა, მოვლა-პატრონობა, თვისის სურვი-

ლით გადასცეს რუსეთის იმპერატორთა. დიად, ეს ყველაფერი კარგად იცის ნ. დუბროვინმა, სამეცნიერო აკადემიის მდივანმა და, როგორ მოხდა, რომ ამ მცოდნე კაცმა მოაწერა ხელი ისეთს წიგნსა, რომლის ავტორი უკადრისობს, განგებთვალთ იხუჭავს და საქართველოს მეფეთ მეფეებს კი არ ეძახის, არა, იხსენიებს ხანებად, ვითომდა მეფობის ნასახიც არ იყოვო; საქართველოს გამგებელნი ყიზილბაშთა ყურმოჭრილი ყმანი იყვნენო და, მაშასადამე, თვით ყმანი და მონანი, სხვა ტომის ბატონობას და მფარველობას როგორ-ღა შესძლებდნენო? აი დედა-აზრი ბ. ეზოვის წიგნისა. როგორც ხედავთ, აქ უღმობელი ბრძოლაა ისტორიის აჩრდილთან. ასეთი შეუძლებელი და შეუწყნარებელი დამხალი, შეკაზმულ-შეზავებული მეცნიერებით, მიართვა ბ. ეზოვმა სამეცნიერო აკადემიას და ამაინაც აკურთხა თვისის უმაღლესის ავტორიტეტითა. სხვამ თუ არ იცოდა, ნ. დუბროვინმა ხომ იცოდა, რაშიაც იყო საქმე, როგორ ინება და ვახდა მოზიარე ბ. ეზოვის ცრუ დედა-აზრისა, ვითომც საქართველო სამეფოს არ წარმოადგენდა, ვითომც აქ მეფენი არა მსხდარიყვნენ, ვითომც მეფე ერეკლე და აი თუნდ დაღესტნის ლეკთა ბელადი კობჯა თითქმის ერთი და იგივე ღირსებისანი იყვნენ! თუ ბ-ნი ეზოვი ძველს ანგარიშებში გვისწორდება, ბ-ნს დუბროვინს რა აქვს ჩვენთან, ან ჩვენს წარსულთან გასაყოფი და გასასწორებელი? — ვერ მივხვედრილვართ.

—

მას შემდეგ, რაც ფასი დავკარგეთ, ბრალიანმა და უბრალომ, წიხლების ზელა დაგვიწყო. ეზოვის წიგნი ახალი წიხლებია ჩვენსკენ გამოსროლილი. ყუმბარები პირველად განსვენებულმა პროფესორმა პატკანოვმა დაგვიშინა — თქვენ ქართველებს ისტორია არა გქონდათო, ერთი რაღაც მატთანე რომ მოგეპოვებათ, მეფე ვახტანგმა შეთითხნა მეთვრამეტე საუკუნეში და თვით ან-ბანი სომხის ბერმა მესროპმა შეგიდგინათო. პატკანოვის შემდეგ მისმა შეგირდმა ნ. მარმა გამოინაგარდა — კულტურა, თუ რამე ამის ნასახი მოიპოვება საქართველოშიო, სომხებმა გიწყალობესო. საქართველოს ძველს ისტორიას რომ



ასე უწყალოდ აუგო ანდერძი ორმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბრძოლის ველზე გამოვიდა სამხედრო კაცი, გენერალი ქიშმიშევი, რომელმაც ნამდვილი სამხედრო იერიში მიიტანა ჩვენზე და ერთის კალმის მოსმით ზურგზე ბოლი აგვადინა. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ბრძანებს გენერალი ქიშმიშევი, საქართველო ემგზავებოდა გარიყულს ხომალდსა, საიდანაც ვისაც კი ძალ-ლონე შესწევდა და მუშტი უჭრიდა, იღებდა, რაც უნდოდაო. მშვიერ-მწყურვალ ბატონიშვილებს და თავადიშვილებს ასაზღოებდნენ ქალაქის ბაყლები და მხილველები*).

პროფესორებმა მეცნიერების შემწეობით, გენერალმა იერიშის მოტანით უწყალოდ დაამსხვრიეს საქართველოს წარსული. ეხლა რაკი გზა გაიკაფა, სიარული აღარავის უჭირდება. ამისათვის არც პროფესორობაა საჭირო და არც გენერლობა. ჩვენ არ ვიცით, რა ხელობის კაცია გ. ა. ეზოვი, პროფესორია, სამხედრო, თუ შტატსკი გენერალი, ეს კი ცხადია, რომ ვაკაფულს გზაზე თამამად დანავარდობს.

რას გვიამბობს ბ-ნი გ. ა. ეზოვი თავის წიგნში? საყურადღებო ბევრი რამაა მოთავსებული ამ ვითომ და სამეცნიერო გამოკვლევაში. უპირველესად ყოვლისა საყურადღებო და თან მეტის-მეტად გასაოცარი ის არის ამ წიგნში, რომ მეცნიერს აეტორს შეუკრებია ყველა, რაც კი რამ საძაგლოა უთქვამთ ქართველობაზე უცხო მწერალთა, შეუკონია მათი ნათქვამი ერთ თაიგულად და ამ სახით მიუძღვნის რუსეთის საზოგადოებას. ამ საკვირველის თაიგულის არომატი ბევრს, ბ. ეზოვის თანამოზიარეს, სიამოვნებით დაჰზნდავს, ქართველს კი, ვისაც კიღევ შერჩენია ქართველური გრძნობა, გულს ატრევს. როცა ასე კეთილშობილურად ამკობს ქართველობას ბ-ნი ეზოვი, ერთის სიტყვითაც არ აღნიშნავს უცხო მწერალთა ცუდს აზრს სომხობაზედ. ეზოვის აზრით, სომხობა კეთილიცაა, გონიერიც, მამაციც, სამშობლოს და სარწმუნოების მოყვარულიც, მხნე, გუ-

*) იხ. Последніе годы Грузинскаго царства, — Генераль-Лейтенанта С. I. Кишмишева. стр. 112—113.

ლადი და ქირსა შიგან გაუტენელიც, შეუმწიკვლელი ზნე-ზისათისა და სხვა და სხვა. აი ამას ჰქვიან პირუთენელი მეცნიერული კვლევა-ძიება ქეშმარიტებისა.

ბ. ეზოვი საშინლად გულაძვირობს და ძუნწობს, როცა საქართველოზე ლაპარაკობს, ხოლო მეტის-მეტად გულუხვობს და ხელგაშლილია, როცა სომხეთზე საუბრობს. დალოცვილს უშეფლებელი წიგნი დაუწერია, მრავალთაგან მრავალი საისტორიო წიგნი და მასალა წაუკითხავს, სადაც ათიათასჯერ არის მოხსენებული საქართველო, როგორც სამეფო, მისი გამგენი, როგორც მეფენი და მაინც ერთხელაც არ გვადირსა ეს სახელწოდება, ერთგანაც არ წამოსცდენია, რომ საქართველო სამეფო იყო და რომ მის გამგეთ მეფეები ერქვათო. ამის მაგიერ საქართველოს იხსენიებს სახანოდ და მის გამგებელთ ხანებად. ავტორის ცუდლუტობას და მის დაფარულს აზრს მკითხველი მაშინ მიხვდება, როცა გაიხსენებს, რომ ყიზილბაშები ხანობით იხსენიებენ ათას ვიგინდარას. ერთი ოციოდე სოფელი რომ გქონოდა, კაი ფეშქაში მიგერთმია შაჰისათვის, მორჩა და გათავდა—ხანობას გამოიკრავდი. სპარსეთში ხანობის ღირსება ჭადივითა ცხვებოდა. იმ ქართველსაც, რომელმაც აბას I-ის ბრძანებით გაჰფანტა 60,000 კომლი სომეხი, დამკვიდრებულნი ერევანსა, თავრიზსა, ნახიჩევანსა და ოსმალეთის სამზღვარს შორის, ეწოდებოდა ხანი—ამირ გიუნა-ხანი. მაშ ეს რენეგატი და საქართველოს მეფენი ერთის ღირსებისანი ყოფილან, რაღა? ეხლა დასკვნა ცხადია. საქართველო სამეფო, სახელმწიფო, პოლიტიკური სხეული კი არ იყოვო, არა, მცირედი რაღაც სახანო, რომლის ხანები სპარსეთის ყურმოჭრილი ყმები იყვნენო. ცხადია, რომ ასე სუსტი და დაცემული ხანები სხვას (იგულისხმეთ სომხები) მფარველობას ვერ გაუწევდნენ. აი აქ იხსნება კვანძი ეზოვის-მიერ გამოჩასკული ძაფისა. ქართველები თავის-თავად სუსტნი, უძლურნი სხვებს როგორ მიიზიდავდნენ, როგორ უპატრონებდნენო?—უნდა სთქვას ბ. ეზოვმა. კარგი და პატიოსანი. ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. მაშ თუ ასეთი



ულონონი იყვნენ ქართველები, რომ სომხების დაფარვა ეძღოთ მტერთაგან, რაღად მოდიოდნენ ათასობით ჩვენს ქვეყანაში? ტფილისი, გორი, სურამი, ცხინვალი, თელავი, სიღნაღი და მრავალი სოფელი შუაგულ ქართლსა და კახეთსა ვინ გაავსო, თუ არ სომხობამ? განა სუსტი და დაჩაგრული, ბედისკან დევნილი მიეტანება თავისსავით სუსტსა? ეს, ბატონო ეზოვო, ლოლიკის და ისტორიის წინააღმდეგია.

ქართველები ხომ დააყენა ჩრდილში, ახლა უყურეთ, რა კილოთი და ტონით ლაპარაკობს ბ-ნი ეზოვი სომხობაზე! სიტყვანი: სომხეთის ხალხი, სომეხთა ერი, სომეხთა ნაცია სწორედ თვალს გიჭრელებს. *) სომეხთა მელიქნი, უწმინდესი კათალიკოსი შეიკრიბნენ განზასარის მონასტერსა და ჰქონდათ ბჭობაო, თუ როგორ გავანთავისუფლოთ ჩვენი ერიო და სხვა ამისთანანი. ბაქიობა, ტრაბახი იზრიალა ორბასა, ვარდაპეტა მინასასი და სხვათა წრეს გადასულია. პეტრე დიდს მოახსენებენ, რომ ოღონდ თქვენის ჯარით გამოცხადდით ამიერ-კავკასიაში და მთელი სომხეთი (ტერიტორიას არ ასახელებენ) ფეხზე აღსდგებაო. 80000 (მეორე ალაგას 100,000, მესამე ალაგას 116,000) შეიარაღებული მეომარი მზადაა თქვენს უდიდებულობას ფერხთა ქვეშე დაეგოსო. სურსათი, საშხედრო იარაღი ხომ რამდენიცა გნებავთო.

ვინც არ იცის საქართველოს ისტორია, ეზოვის წიგნს რომ წაიკითხავს, უეჭველად ასე იფიქრებს: ამიერ-კავკასიაში თავის დღეში არა ყოფილა სამეფო საქართველოსი, ყოფილა რაღაც მთიული ხალხი, რომელიც ქრისტეს სჯულს აღიარებდა და რომელსაც სპარსეთი უნიშნავდა ხანებს. ეს გურჯი-ხანები ემსახურებოდნენ სპარსეთს და აძლევდნენ ხარჯს, ერთის

*) ჯერ მართა სათაური გასინჯეთ წიგნისა: Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ народомъ... მკითხველი ნუ დაივიწყებს, რომ სომხეთი, როგორც სამეფო, მოისპო მეხუთე საუკუნეს; მას შემდეგ არსებობდნენ თვითუღი სამთავრონი მე-XII საუკუნემდე, შემდეგ კი ესენიც აღარ არსებობდნენ. მე-XVII და XVIII საუკუნეებში სომხეთის ტერიტორიაზე გაჩნდნენ სხვა და სხვა ყიზილბაშთა და ოსმალთა სახანოები და ფაშალიკები, ყიზილბაშ-ოსმალურ მართვა-გამეგობით. დამოუკიდებელ სომეხთა სამთავროს ნასახიც მაშინ არსად მოიპოვებოდა.

სიტყვით პოლიტიკური არსებობა საქართველოსი უარყოფილია. ამის მაგიერ, თუმცა პირდაპირ ნათქვამი არსად არის, მაგრამ შთაბეჭდილებას ისეთს მიიღებს მკითხველი, რომ სომხეთი არსებობდა და თავის საბოლოოდ განსათავისუფლებლად სპარსეთისა და ოსმალეთის ხელიდან შრომისა და მეცადინეობას არ აკლებდაო. თუმცა ყარაბაღის სახანოები სპარსელების ხელში იყვნენ, მართვა-გამგეობა სპარსული იყო, მაგრამ საისტორიო მასალა და ფაქტები ისეა დაწყობილი, რომ ყარაბაღი სომხეთის სამეფოს მოგაგონებს.

—

ახლა ფეხ და ფეხ მივყვით ბ. ეზოვს და აღვნიშნოთ რამდენიმე კერძო ფაქტი, რომელიც დაგვანახვებს, რა სამართლიანობითაა აღჭურვილი ავტორი და ვეცადოთ გამოვაშკარავოთ მისი დაფარული აზრი.

სპარსეთში არავითარი წესი და რიგი არა სუფევდა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებშიო, გვიამბობს ბ. ეზოვი. რადგან ტახტის გამგებელნი ძალას იყვნენ მოკლებულნი, ოლქების უფროსნი (ხანები), გარემოება ხელს შეუწყობდა თუ არა, თავიანთ თავს დამოუკიდებლად გამოაცხადებდნენ ხოლმე, ან ოსმალეთის მფარველობას იღებდნენ. ამისთანა სახანოს ეკუთვნოდაო ქრისტეანობის აღმსარებელი საქართველო, რომელსაც განაგებდა გურჯი-ხანი; „въ ханствахъ же въ предѣлахъ древней Арменіи (Азербайджанскомъ, Эриванскомъ, Нахичеванскомъ, Карабахскомъ и Хойскомъ) въ значительномъ количествѣ проживали Армяне!“ *) აი როგორაა დალაგებული ისტორიული ფაქტები. ერთის მხრივ ქრისტეანობის აღმსარებელი სახანო საქართველოსი და მეორეს მხრივ ხუთი სახანო, სადაც უმრავლესობა სომხობაა, მერე ისიც სადა? ძველი სომხეთის საზღვრებში. მოდი და ნუ იფიქრებ, რომ სომხეთი დიდია, ძლიერი და საქართველო კი მცირედი რამაა. ეს პირველი მათრახია, რომელიც გადმოგვიშხუილა ეზოვმა. დალოც-

*) Г. А. Эзовъ. Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ народомъ. Историческій Обзоръ. гл. III.

ვილს ის მაინც ეთქვა, რომ ერევნის ხანი ირაკლი ხანს ხარკს აძლევდა. ამითი ქეშმარიტებას არა დააკლდებოდა-რა და ჩვენს გულს კი მოიგებდა. შაჰ აბასმა დიდმა მტრები დაამარცხა და ისევ დაიჭირა სპარსეთის მგელა ტერიტორიაო (1602—1617 წ.),—ბრძანებს ეზოვი და ჩამოსთვლის კიდევ სახელებს ხელმეორედ შეძენილ ქვეყნებისას. აი ეს ქვეყნები: თავრიზი, ნახიჩევანი, ერევანი, განჯა, საქართველო (Грузія), ლორი და შირვანი (გვ. IV). მაშ, ეტყობა, რომ საქართველო მუდამ ყიზილბაშების სამკვიდრო ყოფილა, მაშ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა მიჭი ყოფილა ეზოვის აზრით?

ერთს ალაგას ბ. ეზოვი ჩამოსთვლის იმ წყაროებს, რომლითაც უსარგებლია, როცა ამ შესანიშნავს წიგნსა სწერდა (გვ. CXLVII—CXLIX). აქაა მოხსენებული: არხეოგრაფიული აქტები, მიწერ-მოწერა საქართველოს მეფეებისა რუსეთის ხელმწიფეებთან, გრამოტები და სხვა დოკუმენტნი, გამოქვეყნებულნი პროფ. ცაგარლის-მიერ, ბუტკოვის, დუბროვინის, სოლოვიოვის და ბოგდანოვიჩის ისტორიანი, ქართლის ცხოვრება ფრანგულად ნათარგმნი მ. ბროსსეს-მიერ, მაგზაურობანი: პიეტრო დელავალესი, შარდენისა, ტავერნიესი და ტურნეფორისა. ყველა ეს ამოდენა წიგნები წაუკითხავს ბ. ეზოვს და მაინც ვერსად ვერ უპოვნია, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და არა სპარსეთის მგელა სამკვიდრო; თუ საქართველოს ქედი მოუხრია სპარსეთის ძლიერების წინაშე როდისმე, ეს იმას არა ნიშნავს, რომ საქართველო პოლიტიკურად არასოდეს არ არსებობდა. ასე განძრახ დაბრმავება, ასე წერა ისტორიისა, მისი შებლაღვა. ასეთს შრომას სრულის გაბედულობით შეგვიძლიან ვუწოდოთ ისტორიის ფაბრიკაცია და ფალსიფიკაცია, ანუ მეცნიერების მოწამლვა და ავტორს მეცნიერების ფალსიფიკატორი.

ისტორიკოსი არაქელა თავრიზელი დიდის მწუხარებით მოგვითხრობს, რა გაჭირვება და უბედურება გამოიარა სომხობამ გადასახლების დროს მეჩვიდმეტე საუკუნეში. ნახევარზედ

მეტი გზაში გაწყდა. ვინც დარჩა სამშობლოში, ისიც შიმშილით იხოცებოდა. ამის გამო, ვინც კი ცოცხალი გადარჩა, სამშობლოდან გაიქცა, ზოგი სად წაეიდა, ზოგი სადა. რუმელია, მოლდავია, პოლონეთი, ყირიმში, თავრიზი, არდებილი და შავი ზღვის ნაპირები გაივსო გაქცეული სომხობით. ასე დაიფანტა და დაიბნა სომხეთის ერიო,—ამბობს არაქელი (გვ. V). ისტორიკოსის მოთხრობის ეს ალაგი მწუხარების მეტს არას გამოიწვევს ადამიანის გულში, საკვირველი აქ ისაა, რომ ბევრმა გამოქცეულმა სომეხმა ამ დროს შეაფარა თავი ჩვენს ქვეყანას. სწორედ ამ დროს მოვიდნენ სომხები გორსა, სიღნაღსა და თელავს და რაღა ჰმაღავს ამ ფაქტს ბ-ნი ეზოვი? ალბად, იმისთვის, რომ სომეხი, რაც უნდა გაჭირვებული იყვეს, ქართველს როგორა სთხოვდა მფარველობას? ეს ხომ შეურაცხყოფა იქნება ეროვნულის თავმოყვარეობისა? ჩვენ კი გვგონია, რომ მაშინდელი სომხობა ამას არა ფიქრობდა, ასე შეუძლიან იფიქროს მხოლოდ ეზოვის დასწრელებულმა და ყალბმა თავმოყვარეობამ.

ქართველების დასამცირებლად ბ. ეზოვს მოჰყავს აზრი შარდენისა, პიეტრო დელავალესი, ტავერნიესი და ტურნეფორისა. მათის აზრით, ქართველობაში ძრიალა ყოფილა გავრცელებული მაჰმადიანობა. დედ-მამანი თითონა ჰყიდდნენ თურმე თავიანთ ექესი-შვილის წლის ქალებსა ისპაჰანში, ან ოსმალეთში. შარდენის სიტყვით, ქართველები არიან ბიწიერნი, ლოთნი, გარყენილნი, უნამუსონი, სიტყვის გამტეხელნი, უპირულნი, მოღალატენი, გაიძვერანი (fripon). ლოთობაში და გარყენილობაში ერის კაცს სასულიერონიც არ ჩამოუვარდებიანო. სრულიადაც არ მიაჩნიათ სირცხვილად სასულიერო პირთ, რომ ლამაზი შონები ჰყავთ ხასებადო. (გვ. VIII-IX) ეს ყველაფერი შესაძლებელია, ამისი უარყოფა შეუძლებელია. უბედური, მოღალატე, ლოთი და გარყენილი ადამიანი ყოველს ერში მოიპოვება, მაგრამ ეზოვმა სხვა აზრით მოიყვანა შარდენის სიტყვები: ქართველები სულ ასეთნი იყვნენო, აი რის თქმა უნდა. ტავერნიე ამბობსო, რომ 10—12 ათასმა ქართველთა ოჯახობამ

მიიღო მაჰმადის სარწმუნოება, ეს ხომ თითქმის 100,000 სული გაჰმადიანებული ქართველი გამოვა. შაჰბახმა გადასახლა კახეთიდან 80,000 ოჯახობა, ამათაც მაჰმადიანობა მიიღეს. ესენიც შეადგენენ თითქმის 800,000 სულს, რადგან მაშინდელი ოჯახი 10 სულზე ნაკლები არ იქნებოდა. *) ერთის სიტყვით, მთელს ერთ მილიონ ქართველობას უარი უთქვამს ქრისტიანობაზე, სჯულის სიმტკიცე ვერ გამოუჩენია, ქრისტესთვის არავინ წამებულა, სისხლი არ დაუღვრია და მამა-პაპის სარწმუნოება ისე ადვილად დაუტოვებია, როგორც გაცვეთილი ტანსამოსი.

ასე სასტიკად რად მოისურვა ჩვენი გაწილება ბ. ეზოვმა, ნუ თუ სჯერა, რომ ქართველ კაცს არ ძალუძს ქრისტესთვის სისხლი დასთხოვოს, მისთვის ეწამოს? განა ამავე დროს არ აწამეს ქეთევან დედოფალი, ეს ხომ ქართლის ცხოვრებაში სწერია, და მაშასადამე ეზოვიც წაიკითხავდა. საქართველო, როგორც მოგვხსენებათ, განთქმულია ვაჟკაცურის, გმირულის და რაინდულის დაცვით ქრისტიანობისა. ამას მოანდომა ქართველობამ თვისი ძალ-ღონე და კადეც გაითქვა სახელი მთელს ხმელეთზე. საქართველოს ისტორია განუწყვეტელი წამებააო ქრისტეს სჯულისათვის, ამბობენ ზოგიერთნი ისტორიკოსნი (сплошной мартирологъ). ეზოვს, რასაკვირველია, ეს არ მოსწონს. როგორ შეიძლება, რომ ქართველმა რითიმე თავი ისახელოს, მერე ესიც ქრისტიანობის ქომაგობით. ეს რა ქართველის საქმეა, ეს სომხობის საქმეა. არა გჯერათ? მოიხმინეთ. შემდეგ ქართველობის აღწერისა სომხობაზე გამართავს ბაასს და იქნის ამბობს: „Другою христіанскою страною, входившею въ составъ Персіи, была, Арменія... Она, со времени принятія христіанства въ началѣ IV в., была *передовою* христіанскою страною.“ **)

„Давно утративъ свою политическую самостоятельность, чуждые какихъ либо честолюбивыхъ стремленій, Армяне остава-

*) მოსკე ჯანაშვილის ანგარიშით 240,000 სული მოაკლდა საქართველოს შაჰ-აბასის დროს.

**) აქაც და ქვემოდაც კურსივები ჩვენია.

ლისь непоколебимо преданными христовой церкви, и все приносили въ жертву, покидали даже родину. лишь бы остаться въ вѣрѣ своихъ отцовъ.—Мученичество за вѣру составляетъ отличительную черту общественной жизни Армянъ съ первыхъ временъ христіанства до настоящаго времени.“ (გვ. X)

აქ ამოწერილს ალავს უკომენტარიოდ ვტოვებთ, მკითხველი თითონაც ადვილად მიხვდება, რა უმჯავს იარაღსა ხმარობს ბ. ეზოვი მეზობლის გასაწბილებლად. ეზოვი მდაბლად ვილასაც თავს უკანტურებს, შემოგვხედეთ ჩვენ, რანი ვართო, ჩვენ მარტო სარწმუნოება, ეს წმინდა რელიგიური გრძნობა, გვამოქმედებს, სხვა არაფერიო; პოლიტიკურს ოცნებას მოკლებულნი ვართ, თუ სთქვას ვინმემ რამე ჩვენზედ, ნუ დაუჯერებთ; სხვა ტომისა კი, აი თუნდ იმათი, რომელზედაც ცოტა ზემოდ ილაპარაკა, რა მოგახსენოთო. სამეცნიერო თხზულებაში ასეთს თავის კანტურს ალავი არ უნდა ჰქონდეს. ბ. ეზოვს მარტო სიმართლე რომ აინტერესებდეს, მაშინ იმავე შარდენიდან ცოტა რამეს ჩვენს სანუგეშოსაც ამოსწერდა. მაგალითად, შარდენივე ამბობს, რომ ქართველები თავაზიანები არიან, მოსიყვარულე გულისანი, თავმომწონენი, თავდაქერილნი, რომ ქართველები სომხებზე ძლიერნი, ზვაენი და მედიდურნი არიან, რომ ქართველები გაუტყებელი და მამაცი ხალხია, რომელიც თავგანწირულად იბრძვის თავის თავისუფლებისათვის. იგივე შარდენი ამბობს, რომ ქართველებს ძლიერ სძულთ სომხები და თითქმის ისე უყურებენ, როგორც ევროპაში ურიებს. ეს სიძულვილი, ალბად, იმითი თუ აიხსნება, რომ ქართველები რაინდული ხალხი იყო, საქართველოს შემოხიზნული სომხობა კი უფრო ვაჭრობას და აღებ-მიცემობას მისდევდა. მაშინდელი ვაჭრობა, თითქმის ეხლანდელიც, ტყუილზე იყო დაფუძნებული. მაშ რა საკვირველია, რომ მამაცს ერს კრუპენტელა და მატყუარა ერი სძულდეს?

ზემოდაც მოვიხსენეთ და კიდევ შევხვდებით ბევრს მაგალითს იმისას, თუ რანაირად აზვიადებს ბ. ეზოვი ფაქტებს შესახებ სომხებისა. ერთს ალავას (გვ. XVII) ეზოვი ამბობს, რომ ერევნის ახლო მდებარეობს ეჩმიადინის მონასტერი, სამყოფელი



მთლად სომხების კათალიკოსისა, რომლის იურისდიქციას ემორჩილება მთელი ქვეყნის სომხობაო. კათალიკოსის იურისდიქცია შეეხება მხოლოდ სარწმუნოებას და სხვას არაფერს. პოლიტიკურად, კანონმდებლობის მხრივ სომხები ექვემდებარებიან იმ ქვეყნის წესსა და რიგსა, საცა ბინადრობენ. მაშ რას ნიშნავს ასე ბუნდად ლაპარაკი? განა ეზოვმა არ იცის, რა არის იურისდიქცია კათალიკოსისა, ან რაში მდგომარეობს იგი? იცის, მაგრამ თვალის ასახვევად სწერს ასე.

თვალის ასახვევად ბევრს რასმესა სწერს ბ-ნი ეზოვი, მაგრამ ყველას ვერ გამოვუღლებით. ასეთი შრომა შორს წაგვიყვანს. ვინც კი ქართული ისტორია, ცოტათიც არის, იცის, ეხსომება, რომ მეფე გიორგი XI-მ დიდი სახელი მოუხვეჭა ქართველობას სპარსეთში. როგორც არწივნი, ისე დაჰქრადნენ სპარსეთის სამფლობელოში გიორგი, მისი ძმა ლევანი და წმისწული ბატონიშვილი ალექსანდრე. გიორგიმ შემუსრა ყოველნი მტერნი სპარსეთის შაჰისა და მხნედ განაგებდა სპარსეთის სამს საუკეთესო პროვინციას. გიორგი მეფეს სპარსელებმა გურგენხანი უწოდეს, ეზოვი კი ამასაც გურჯი ხანად იხსენიებს (გვ. XLIV). ვერ გავგივია, რას ნიშნავს ესა? მასხარად აგდებაა, თუ უცოდინარობა. თვით ეზოვი გვიამბობს, რომ სპარსეთის მეფენი დიდს პატივსა სცემდნენ ქართველებსაო, უმთავრეს თანამდებობას მათ აძლევდნენო და მაშასადამე ხანობასაც უწყალობებდნენ ხოლმე. ეს ყველა კარგი, მაგრამ როგორ მივხედეთ, ვინ რომელია, უკეთეს ყველას გურჯი-ხანს უწოდებთ, ესე იგი ქართველს-ხანს. დალოცვილმა ნომრები მაინც დაუსვას, თორემ აბა რას ეგვანება, რომ საქართველოს ყველა მეფენი გურჯი-ხანებად დანათლოს. მეცნიერნი ხშირად ცხარედ ბაასობენ და კამათობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწეროს რომელიმე სახელწოდება, ეზოვი კი ყველა ქართველ მეფეს და წარჩინებულს კაცს გურჯი-ხანს ეძახის. მორჩა და გათავდა. ნამდვილი მეცნიერებაც ეს არის.

პეტრე დიდის აზრი იყო სრულიად აღმოეფხვრა გავლენა სპარსეთისა და ოსმალეთისა ამიერ-კავკასიაში და თუ შე-

საძლებელი იქნებოდა, სამუდამოდ დაეპყრო ეს მხარე. თვის ქართველებს და სომხებს უთვლიდა, მოვიდეს თუ არა, მზად იყავით, შევებრძოლოთ ქრისტიანობის მტერსა და შეერთებულის ძალით დავმარცხოთო. პირობა იყო განჯასთან უნდა შეკრებილიყო რუს-ქართველთა ჯარი. ვახტანგ VI 30000 კაცით გაემგზავრა განჯისაკენ, უცადა, უცადა პეტრეს და რაკი არ გამოცხადდა რუსეთის იმპერატორი, უკან დაბრუნდა. ვახტანგმა თვისი სიტყვა შეასრულა, პეტრეს კი გარემოებამ შეუშალა ხელი. ამ ისტორიულს ეპიზოდს სომხების პატრიარქი ისაია ასე ავგიწერს: ვახტანგის ჯარი მიესია სომხების სოფლებს და სულ ნაცარ-ტუტა აადინაო. ჯარი რომ მიუახლოვდებოდა ქრისტიანების სოფელს, სამღვდელოება გამოეგებებოდა ხოლმე შემოსილი, ჯვრით, ანთებული სანთლებით და ზარის რეკითაო, მაგრამ ქართველები მიესევოდნენ და სძარცვავდნენ სამღვდელოებას, შესამოსელს, ავეჯს, ერთის სიტყვით ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ამნაირადო, ბრძანებს პატრიარქი ისაია, რაც გადარჩათ ლეკებს, გაანადგურა ხარბმა, გაუმადლარმა და დაუნდობელმა ქართველმა ერმა. თუმცა თვითონ ვახტანგი იყო კაცი კეთილი, ღვთის მოსაყვი და ქრისტეს მოყვარე, მაგრამ ქართველები არ ემორჩილებოდნენ მას, ვინაიდან არიან ხეპრე და აბეზარის ზნისანიო.*) ასე ახასიათებს პატრიარქი ისაია ქართველებს; თვით ვახტანგზე ამბობს, რომ სომხები უფრო უყვარდა და ენდობოდა, ვიდრე ფლიდ და გაუჭანელ ქართველებსაო. (გვ. LV). ამ ნაირად გვაძკობს პატრიარქი ისაია და ჩვენც რა გვეთქმის იმის მეტი, რომ კაცია და გუნება... პატრიარქის დასახასიათებლად სრულიად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ალაგი: როცა ვახტანგი თვისის ჯარით მდ. ხრამზედ მივიდა, უბძანა პატრიარქს ისაიას, გასწი ყარაბაღს და შეავროვე ჯარიო. მეო, ბძანებს პატრიარქი ისაია, მოველი თუ არა ყარაბაღს, შევაგროვე 10,000 ჯარი მშვე-

*) „Жадная, не насытная, безжалостная нация грузинская.. Грузины, по свойственному имъ грубому и буйному нраву, ему не повиновались“. გვ. LIII.



ნივრად შეიარაღებული და განწყობილი და გავწიე განჯისა-
კენ, სადაც იყო დაბანაკებული ვახტანგიო. მიუყახლოვდით
თუ არა მის ბანაკსაო, ვახტანგმა გამოგზავნა თვისი ჯარი ჩვენს
მოსაგებებლად და საღმის მოსაცემად. „При встрѣчѣ войска,
наши храбрые удалцы на своихъ лихихъ коняхъ джигитовали
предъ строемъ войска Вахтанга, дрожала вся окрестность отъ
грохота ихъ выстрѣловъ, дымъ и пыль, смѣшавшись вмѣстѣ,
густымъ облакомъ заслоняли солнечные лучи и мѣшали отли-
чать другъ друга“. მკითხველისთვის მიგვინდვია გამოიცნოს,
რამდენად შეჰფერის ასეთი ბაქიობა სულიერს მამას. ქართვე-
ლები მხეცებად და მგლებად დახატა და სომხები კი საარაკო
დევე-გმირებად. მაგრამ ეტყობა, როცა საქმე ქართველის დამცი-
რებას შეეხება და სომხის განდიდებას, სულიერი მამა, თუნდ
პატრიარქიც იყვეს, ისევე სუსტობს, როგორც საერო კაცი—
ეზოვი.

ერთი ესეც ვიკითხოთ, თუ პატრიარქ ისაიას ასეთი ვაჟკა-
ცები ახლდა, ამდენივე ხომ უეჭველია ეჩმიადინის კათოლიკოს-
საც მოეპოვებოდა და ამ 20,000 ლომებრ გმირებით განა გა-
უძნელდებოდათ ყიზილბაშნი ამოეჟლიტათ და სამშობლო გაენ-
თავისუფლებინათ? მეფე ერეკლეს, ქიშმიშევის სიტყვით, (გვ. 94)
სულ 2500 მეოპარი ჰყავდა, როცა ალა-მაჰომედ-ხანი შემოე-
სია ტფილისს და კინალამ ამ მცირე გუნდით არ დაამარცხა
მტერი, ლალატს რომ არ ეჩინა თავი თვით ქალაქში. ეტყობა,
ქართველებს რაღაც თილისში სცოდნიათ, თორემ როგორ ჰბე-
დავდნენ მცირე რაზმებით მტერთან ბჭძოლას, როდესაც 10,000
„храбрыхъ удалцовъ“ ვერას არიგებდნენ. პატრიარქმა აღბად
მოაქორა ეს 10,000 დევ-გმირი, თორემ ნამდვილად რომ ყო-
ფილიყვენენ, მაშინ ყარაბაღის ბედი სხვაფრივ დატრიალდებოდა.

ეკატერინე დიდმა რომ ომი გამოუცხადა ოსმალეთს, წე-
რილები მისწერა იმერეთის და ქართლ-კახეთის მეფეთ სოლო-
მონს და ირაკლის—თქვენც შეებრძოლეთ ქრისტიანობის მტერ-
საო. მეფეებმა სიხარულით მიიღეს ასეთი მოწოდება ეკატერი-
ნისი. ირაკლიმ, თუმცა მეგობრული კავშირი ჰქონდა ხვანთ-
ქაროან, მაინც დაარღვია კავშირი და იარაღი აისხა. ასევე

მოიქცა სოლომონიც. საქართველოში გამოგზავნილი იყო ამ საქმის გასაწყობად განსაკუთრებული რწმუნებული კაცი ნადვორნი სოვეტნიკი თ. მოურავოვი. ეკატერინე დიდმა საშველად მეფეებს მცირედი ჯარიც გამოუგზავნა გრაფი ტოტლებენის უფროსობით. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ტოტლებენმა ურცხვად უღალატა მეფე ერეკლეს ასპინძის ბრძოლის დაწყების წინ და გამოტრიალდა უკან. ტოტლებენმა დააბეზლა ყველა ქართველი აფიცრები ხელმოწერის წინაშე (გვ. LXXXVIII). მოღალატობა დასწამა თვით თ. მოურავოვს და ბოლოს განიძრახა ირაკლისთვის ტახტი წაერთმია და დატყვევებული მეფე რუსეთს გაეგზავნა, საქართველო კი რუსეთისთვის დაემორჩილებინა (გვ. LXXXIX). ამას ტოტლებენს არავინა სთხოვდა; იგი გამოგზავნეს დასახმარებლად, შველის მაგიერ კი ინტრიგების ქსელი გააბა და საშინლად აურდაურია საქმე. რასაკვირველია ასეთს სარდალს რუსეთი დიდ ხანს ვერ გააჩერებდა საქართველოში და უკან გაიწვიეს.

გრაფი ტოტლებენი მშვენივრად არის დასურათებული პროფ. ცაგარლის მიერ დაბეჭდილ დოკუმენტებში. იქიდანა სჩანს, რომ ტოტლებენი იყო გაიძვერა, ლირფი, უნამუსო, თავზე ხელ აღებული კაცი, ერთი იმ ბედის მაძიებელთაგანი (ავანტიურისტი), რომლებითაც სავესე იყო მეთვრამეტე საუკუნე. ტოტლებენი ბოლოს სამართალს მისცეს ავკაცობისთვის, სიკვდილით სასჯელი მიუსაჯეს, მაგრამ დედოფალმა შეიბრალა, სასჯელი აპატია და რუსეთიდან განაძევა. ვიმეორებთ ეს ყველაფერი სჩანს გრამოტებიდან, სჩანს აგრეთვე, რომ თ. მოურავოვმა თავი იმართლა, მაგრამ ბ-ნმა ეზოვმა მაინც ამ ავანტიურისტს დაუჯერა და გმირს მეფე ერეკლეს კი არა. აბა რა უნდა უყოთ იმისთანა ისტორიკოსს, როგორიც არის ბ-ნი ეზოვი? ყველაფერს იჯერებს, რაც კი ჩირქსა სცხებს ქართველობას და გასამართლებელ საბუთებს კი ყურადღებას არ აქცევს. იმის მეტი რა დაგვრჩენია, რომ გამოვაქვეყნოთ ცრუ ისტორიკოსთა საქციელი. ვინ მოსთვლის, რამდენი უბედურობა გამოიარა საქართველომ იმის წყალო-



ბით, რომ ირაკლიმ შეისმინა ეკატერინე დიდის მოწოდება, დაარღვია მეგობრული კავშირი და ომი გამოუცხადა სულთანს რუსების მიერ დაიმედებულმა! რუსის მხედრობის სარდალმა კი მხარი არ მისცა მეფეს, მარტოდ-მარტო დასტოვა აუარებელის მტრის პირისპირ. ნუ თუ ეს უბედურება მაინც საკმარისი არ არის, რომ რაინდი მეფე დაცულ იქმნას ავის ენისაგან? ეზოვისთანა ისტორიკოსის თვალში საკმარისი არ არის. ის მაინც სიამოვნებით მოიყვანს თავის წიგნში შემდეგს ხელის ხელ საგოგმანებელ სიტყვებს გრაფ ტოტლებენისას: *Грузины пронырливы, корыстолюбивы, въ пороки погружены и ниже понятія о добродѣтеляхъ имѣють* "... ,,не можно, кажется, отъ Грузинцовъ, самымъ ихъ поработченіемъ малодушными учинившихся, требовать храбрости и послушанія". დიად, სწორედ დიდი შრომა გასწია ბ. ეზოვმა, რომ თავის უშველებელ, მრავალ კაბადოვანს წიგნში ისე მუყაითად შეაგროვა ყველა ის საძაგლობა, რაც კი ეისმეს უთქვამს ჩვენს შესახებ, თუნდა ეს მთქმელი თვით გრაფი ტოტლებენი იყოს. (გვ. XC).

1782 წ. ირაკლიმ გაგზავნა პეტერბურგს ელჩები და ითხოვა, რომ რუსეთს მიეღო საქართველო თვის მფარველობაში იმ პირობით, რომ დაემტკიცებინათ მისთვის შთამომავლობით მეფობა, დარჩენილიყო კათოლიკოსი სამღვდელოების გამკედ, გამოეგზავნათ 4 ათასი მხედრობა სამეფოს სამზღვრების დასაცველად და იმ პროვინციების დასაბრუნებლად, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდნენ და მოეცათ ფული ჯარის შესანახად. ამ სახით გადმოგვცემს ბ-ნი ეზოვი ირაკლის თხოვნის შინაარსს (გვ. XCI). დავიჯეროთ, რომ მეფე ამას თხოულობდა და თავის მხრივ არას ჰპირდებოდა რუსეთს. ეზოვი ამ თხოვნის გამო აი რასა სწერს: „Такимъ образомъ, Ираклій предлагалъ Русскому двору то, что по праву, принадлежало не ему, а Персін, предлагалъ верховую власть надъ Грузіей, которую de facto онъ не былъ въ силахъ удержать за собою, и за это просилъ царское достоинство, котораго не имѣлъ въ Персін, войска и денегъ для защиты и даже расширенія предѣловъ своей страны.“ (გვ. XCI).

ეგები მკითხველს გაუკვირდეს და გაოცებით გვკითხოს, აქ რა ეწეინა ეზოვს, რომ სიმართლეს დალატობს და მეფე ერეკლეს მეფობის ღირსება ჩამოართვა? გამჭრიახი მკითხველი მალე მიხვდება, სადაცა მარხია ძალის თავი; რუსებს რომ დაეჯერებინათ და გამოეგზავნათ საქმარისი ჯარი და ფული და არა ორი ბატალიონი, მაშინ ირაკლი დაიბრუნებდა „отпадшія провинціи“-ებს, ესე იგი ერევნის და განჯის სახანოებს, რომელნიც მას ხარკს აძლევდნენ. ამ პროვინციებში ნახევრად სომხები სცხოვრობდნენ დღესაც და აბა ეს გარემოება რა სასიამოვნო იქნებოდა ეზოვისთვის.

ბ. ეზოვი დიდის ნდობით ეკიდება სომხების სიტყვას და მოწმობას. რაც უნდა დაუჯერებელი ამბავი ამოიკითხოს სომხის ნაწერში, მაშინვე დაიჯერებს, კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაატარებს მის ნათქვამს. იმ დროს, როცა საქართველო სამუდამოდ უერთდებოდა რუსეთს, სცხოვრობდა იქ არქაეპისკოპოსი თ. იოსებ არღუთაშვილი, კაცი ცბიერი, გაქნილი, ორპირი და ვერცხლის მოყვარე. რუსეთს სულ იმას ჩაჰკაკანებდა, რომ თქვენი უერთგულები მოსამსახურე ვართ. იმათაც სჯეროდათ. აბა საიდან მიხვდებოდნენ ორთავ პოტიომკინები, გუდოვიჩი, კნორრინგი და სხვანი, რა კაცთაა ჰქონდათ საქმე? თავადის ჩამომავლობისა იყო, საქართველოს ბატონიშვილებისაგან წერილები მოსდიოდა და მაშ რაღა დაუშლიდა, რომ თავი უფრო მალა აეწია და დაეჯერებინა რუსის სახელმწიფო კაცნი, რომ მე ვარ, რაცა ვარ, საქართველოშიო. დასამტკიცებლად არქიეპისკოპოსის ლირფობისა დავასახელებთ შემდეგს. კნორრინგსა სწერს: „Ссоры, возмущенія и сборы войскъ, что между свѣтлѣйшими царевичами было, *всѣ по совѣту моему* разрушились и находитесь между ими миръ, князья нѣкоторые по письму моему уже пришли, а нѣкоторые тоже намѣрены прійти. შემდეგ: *Всѣ будутъ успокоены и учинятся покорными подданными*“ (33. СХ—СХІ და Акты, т. I, № 530).

ამაზე მეტი თავხედობა, ლირფობა და კადნიერება შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა? მთელის თვისის საშხედრო ნი-



ქით და რუსეთის მხედრობის ძლიერებით ებრძოდა თ. შავთელის ციციშვილი ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებს, ისე გარდაიცვალა თავზარ-დამცემი მხედართ-მთავარი, რომ ვერ დაიმორჩილა ბატონიშვილი აღექსანდრე, რომელიც მთელი სიცოცხლე ებრძოდა რუსეთს მამა-პაპეულ ტახტისათვის და იოსებ არღუთაშვილმა კი ერთის წერილით დაამშვიდა ყველა, დააწყნარა და მორჩილ ქვეშევრდომებად გადააქცია ბატონიშვილები და მემამოხე თავადიშვილები. არქივისკოპოსი არღუთაშვილი ის არღუთაშვილია, რომელმაც, როცა პეტერბურგს ინტრიგების წყალობით ეჩმიაძინის კათალიკოსობა გამოიკრა, გააკეთებინა ოქროს გვირგვინი და თან წამოიღო საქართველოში. არღუთაშვილსა ჰსურდა აღედგინა სომხების სამეფო და მეფედ დაესვა თვისი ძმისწული თ. სოლომონ არღუთაშვილი, რომელმაც გაძარცვა ეჩმიაძინის მონასტერი (იხ. БУТК. II, გვ. 456 და Зап. Д—на, გვ. 117—123). ვერ გაუგეს არღუთაშვილს ეს ხრიკები და ეხლა იმის ბაქიაობა-ტრაბახს ბ-ნი ეზოვი ისტორიულ საბუთად გვიჩვენებს.

ბუტკოვისავე მოწმობით, მთავარ-ეპისკოპოსი იოსები მეტის-მეტი პატივის მოყვარე ყოფილა. ჯერ კათალიკოზად არ ეკუთხებინათ, რომ უბრძანა, გადაეღოთ მისი სურათი პატრიარქის შესამოსელით. იმავე ზემოდ დასახელებულს წერილში (№ 530) უკვე კათალიკოსად დამტკიცებული არღუთაშვილი სწერს კნორრინგს ტფილისიდან: „იმედი მაქვს გავემგზავრო ეჩმიაძინს 1-ს მარტს (1801 წ.), მათი ბრწყინვალეობა, საქართველოს ბურჯი, ფელდმარშალი იოანე ორბელიანი და მასთან ერთად წარჩინებული თავადები და ჯარი მზადა არიან გამაცილონ ეჩმიაძინამდე.“ აი სულ ასეა, ბატონებო, როცა უნდა გააზვიადონ თავიანთი თავი, მაშინ საქართველოში ყველაფერი მოიპოვება: ჯარიც, უწარჩინებულესი თავადნიც, ფელდმარშალიც და, ასე გასინჯეთ, ბურჯიც საქართველოსი. რუსულად ეს ბურჯი ასეა მოხსენებული: столпъ Грузин. საკვირველი მხოლოდ აქ ისაა, თუ საქართველოს, ეზოვის აზრით, არც მეფე ჰყავდა, არც სამეფო გააჩნდა, არც საკუთარი მართვა-



გამგეობა, ეს ბურჯი ვილა ეშმაკს ბურჯობდა, ეს ფელდმარ-შალი ბელურებს ხომ არ ფელდმარშლობდა?

ეხლა უნდა მოგახსენოთ ის ამბავი, რომელიც სისრულით გამოაჩენს ბ-ნ ეზოვის სამეცნიერო სიყალბეს და ხრიკებს. 1801 წ. თებერვალში ტფილისში საქვეყნოდ გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ რუსეთთან. ამ ფრიად საყურადღებო ამბავს ასე აგვიწერს გენერალ-მაიორი ლაზარევი: 16 თებერვალს აქაურს სობოროში—საონში წირვა გადაიხადა პირველ ხარისხოვანმა მიტროპოლიტმა არსენიმ. წირვის შემდეგ, თანადასწრებით ბატონიშვილის დავითისა, დანარჩენ ბატონიშვილთა, მეფეების შკალთა, აქ მყოფ თავადი-შვილთა და ხალხისათა წაკითხულ იქმნა მანიფესტი რუსულად და ქართულად. ყველა დამსწრეთ მოისმინეს მანიფესტი წესიერის ღმობიერებით და მადლობით. ამას შემდეგ საქართველოს პატრიარქმა ანტონიმ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის და მთელი უავგუსტოესის სახლობის კეთილდღეობისთვის. მეორე დღეს, 17 თებერვალს, რადგან ტფილისში სომხის სარწმუნოების მკვიდრნი მომეტებულს ნაწილს ხალხისას შეადგენდნენ, გამოცხადებულ იქმნა მანიფესტი ეკლესიაში, რომელსაც უწოდებენ ვანქს. რა ცერემონიით მოხდა ეს პუბლიკაცია, ამის აღწერას, რომელიც გამომიგზავნა მათმა უუწმინდესობამ, პატრიარქმა იოსებმა, ამასთანავე წარმოგიდგენო, სწერს ლაზარევი კნორრინგს.*) ამას შემდეგ კაპიტანმა ტაგანოვმა წაასხა 24 ყაზახი და შემოიარა მთელი ტფილისი და ყველგან კითხულობდა მანიფესტს: რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად. (იხ. АКТЫ, т. 1, გვ. 416, № 528). ასეა მოხსენებული ოფიციალურად ეს ამბავი. აქტების იმავე ტომში, 417 გვ., მოთავსებულია უკვე დასახელებული წერილი მთავარ-ეპისკოპოსის იოსებისა, მიწერილი კნორ-

*) აქტში სიტყვას „წარმოგიდგენო“ Представить честь имѣю—უზის კითხვითი ნიშანი. ეს ნიშანი იმას მოასწავებს, რომ იოსებ არღუთაშვილის ცერემონიალი აქტების რედაქტორებს ხელთ არა ჰქონიათ, არქივში ვერ უპოვნიათ და თვალით არ უნახავთ.



რინგთან, რომელსაც უზის № 530. ეს წერილი ზემოდან მოყვანილს ამბავს მხოლოდ შემდეგს ცნობას უმატებს: მანიფესტის გამოცხადებისათვის, მოვალეობად მივიჩნევ წირვა გადამეხადა ტფილისის უპირველესს ეკლესიაში, (არ ასახელებს ეკლესიას) სადაც შეიკრიბა ქართველი და სომხების სამღვდლოება, სამეფო გვარი, თავადნი, აზნაურნი, ეაქარნი და ყველა ტფილისში მცხოვრებნი მამრნი და მდედრნი. თუ რა ცერემონიით მოხდა მანიფესტის გამოცხადება, ამის ამბავს დაწვრილებით გენერალი ლაზარევი მოგახსენებს წერილითო.

ამას მეტს, თუნდა სანთლით, მთელი საუკუნო ეძებოთ, ვერას იპოვით აქტებში. პატრიარქ იოსების წერილი ჩვენ მეტიჩრობად და მატრაკვეცობად მიგვაჩნია. კანონიერმა მთავრობამ წესისა და რიგისა მეტრ გამოაცხადა მანიფესტი და შესაფერი მოხსენება გაგზავნა, ვისთანაც ჯერ არს. კერძო წერილი პატრიარქისა—აი მანიფესტი წავიკითხეთო, რაღა საჭიროა, ვის რად უნდოდა, ან რას უმატებს საქმეს? უმატებს კი არა, ბინდს ჰყენს, რადგან სწერია: უპირველესს ტფილისის ეკლესიაში გამოცხადდა მანიფესტიო. რომელში? სიონში, თუ ვანქში? თუ ვანქში, რა მონაწილეობა მიიღო მართლ-მადიდებელ სამღვდლოებამ, სწირა იმანაც სომხის სამღვდლოებასთან ერთად, რაც შეუძლებელია, თუ მართო ლოცვას ისმენდა. სრულიად მეტია ეს წერილი და გვამცნევს პატრიარქის სურვილს, გაიგეთ, რომ ჩვენ ცალკე ერი ვართ და სხვებთან ნუ აგვრევთო! განკერძოობის და გარეგანობის სურვილია, სხვა არაფერი.

ასეა თუ ისე, პატრიარქის ბაქიაობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საინტერესო ისაა, როგორ იყენებს ბ-ნი ეზოვი ამ საისტორიო მასალას თავის წიგნში. ეზოვი მოგვითხრობს ამ ამბავს მე-CXI გვერდზე და თანაც უჩვენებს წყაროდ აქტების ზემოდან დასახელებულს № 530, ესე იგი, პატრიარქ იოსების წერილს. ამ წყაროს გარდა, სხვა წყაროს არ უჩვენებს ბ-ნი ეზოვი, მაგრამ აბა შეხედეთ, რანაირად შორთო და მოქარვა პატრიარქის წერილი ცრუ ისტორიკოსმა? „16 თებერვალს მანიფესტი გამოცხადებულ იქნაო ქართველების ეკლესიაში (აქ-

ტების სიონი ეკლესიად გადაიქცა), ხოლო 17-ს სომხებმა სობოროში (აქტების ეკლესია, წოდებული ვანქად, გადაიქცა სობოროდ). უუწმინდესმა იოსებმა (სიტყვა პატრიარქი გამოტოვებულია) დაადგინა მანიფესტის ცერემონიალი (აქტებში არ არის მოყვანილი, ეზოვი კი არ იხსენიებს, სადა ნახა ეს ცერემონიალი). ამ ცერემონიალის მიხედვით ასე მოხდა გამოცხადება: ციხის სომხის ეკლესიიდან, სადაც იწახებოდა სურათი ხელმწიფისა და უმაღლესი მანიფესტი, წამოვიდა სამღვდელოება სომხების საკათედრო ტაძარში (ვანქში); ორს სომხის საზოგადოების უპირველეს გვამს მოჰქონდა ხელმწიფის სურათი, შემოსილს არქიმანდრიტს მოჰქონდა თავზე ვერცხლის ხონჩაზე დადებული უმაღლესი მანიფესტი, ხონჩას გადაფარებული ჰქონდა წითელი ხავერდი. პროცესიაში მიიღო მონაწილეობა ბატონიშვილმა და ვითმა ძმებითურთ, გენერლებმა: ლაზარევმა, გულიაკოვმა, შტაბ და ობერ აფიცრობამ და სუყველა თავადებმა და აზნაურებმა. როდესაც პროცესია მიუახლოვდა სობოროს, გამოეგება პატრიარქი, შესაფერად შემოსილი, თან ახლდა ოთხი მთავარ-ეპისკოპოსი და არქიმანდრიტი. ოდეს მიუახლოვდა მათს იმპერატორებისას სურათს, პატრიარქმა გადასცა ჯვარი და კვერთხი მის ახლო მდგომს მთავარ-ეპისკოპოსთ, აიღო საცეცხლური და უკმია სურათსა, შემდეგ თავყვანი სცა (ПОКЛОНИЛСЯ ВЪ ЗЕМЛЮ), ემთხვია (ОБЛОБЫЗАЛЪ) და რა აიღო ხელში, მალლა ასწია ხალხის საჩვენებლად და საეროდ (ВСЕГЛАСНО) წარმოსთქვა: გაუმარჯოს დიდსა და უავგუსტოესს მონარქს მთელის თვისის უმაღლესის გვაროვნობითო! ხალხმა ერთხმად შესძახა: აგრე იყვეს, აგრე იყვეს, ამინ! გადასცა რა მომტანთ სურათი, მიუახლოვდა არქიმანდრიტს, რომელსაც მანიფესტი ეჭირა, ჩამოართვა იგი, ასწია მალლა და წარმოსთქვა: „ზეციერო შემოქმედო, აღამაღლე და განამტკიცე სამეფო დიდის პავლესი, ვითარცა მზე და მთვარე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ხალხმა ხელახლად იგრიანა: ამინ, ამინ. შემდეგ პატრიარქმა სურათი და მანიფესტი შეიტანა ეკლესიაში (რალა თქმა უნდა, ვანქში) და დაა-

ლაგა წინაღვე მომზადებულს ოქროს ფარჩით მობურვილს სტოლზედ, საკურთხეველის წინაშე. შემდეგ პატრიარქმა სწირა, უქადაგა ხალხს და გრძნობით სავე სიტყვაში აუხსნა მნიშვნელობა ამ სასიხარულო მოვლენისა. წაკითხულ იქმნა მანიფესტი რუსულად, სომხურად და ქართულად (ხედავთ, აქტების ჯერ ქართულად და მერე სომხურად, როგორ შეიცვალა ბ. ეზოვის ისტორიაში?) და გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. ეკლესიაში იყვნენ დედოფალი დარია, უფლისწულებით და ამალით, ბატონიშვილები, ქართველთა კათალიკოსი ანტონი უმაღლესის სამღვდლოებით, სომხის და ქართველთა თავადნი, აგრეთვე გენერალნი ლაზარევი და გულიაკოვი და ყველა ეროვნობის ხალხი“.

ასე სთხზავს ბ-ნი ეზოვი სომხეთის ისტორიას. ვინც კი წაიკითხავს ამ ალღას, უეჭველია იფიქრებს, რომ მანიფესტი გამოუცხადებიათ საქართველოს სატახტო ქალაქს ტფილისში კი არა, სომხეთში. აქტების მცირე ამბავი ეზოვმა სულ სხვაფრივ მოგვითხრო და წყაროდ კი ისევ ის აქტები გვიჩვენა. განა ეს ფალსიფიკაცია არ არის ისტორიისა, მაშ რა ჯანდაბაა? ეს სომხების წინ დასკუბება რაღაა, თუ არ მტკნარი ბავშვობა! საიდან გამოძებნა ეზოვმა საქართველოში სომხეთის თავადნი (Армянские князья). საქართველოში რა უნდოდა სომხეთის „კნიაზებს“? განა არლუთაშვილი, ბებუთაშვილები, თუმანიშვილები, ბეგთაბეგიშვილნი ქართველი თავადიშვილები არ არიან? ვინ მისცათ ამათ ტიტული სომხეთის თავადობისა? სხვა არა იყვეს-რა, იმათ გვარტომობის წიგნში, ან უბრალო მოხელეობის ფორმულიარში მაინც ჩაიხედე, ბ-ნი ეზოვო, და იქა ჰნახავუ, რომ ასე სწერია: ИЗЪ ГРУЗИНСКИХЪ КНЯЗЕЙ. სურათი წამოიღეს სომხის ციხის ეკლესიიდანო, ბძანებს ეზოვი. რომელია ეს ეკლესია, ნუ თუ მეტეხი და თუ მეტეხი არ არის და მართლა სომხის ეკლესიაში მიიღეს სურათი იმპერატორი პავლესი და უმაღლესი მანიფესტი, როგორ მოხდა, რომ ამისთანა მაღალ მნიშვნელოვანნი ნივთნი უბრალო სომხის ეკლესიაში შეიტანეს? რაო, მართლმადიდებელთ ეკლესია აღარ მოეპოვებოდათ, რომ



მართლმადიდებელი იმპერატორის სურათი სომხის ეკკლესიაში არ დაესვენებინათ? ბ-ნ ეზოვის სიწერილმანე იქამდისინ მივიდა, რომ სიონს სიონად არ იხსენიებს და ამითი სურს დაამციროს დადებული ტაძარი რუსის საზოგადოების თვალში.

წერილი მეტის-მეტად ვრცელი გამოდის, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან, რომ ერთი დიდი, ყველაზე გადამეტებული სიყალბე ბ-ნი ეზოვისა არ აღენიშნათ კიდევ. ეზოვი ბძანებს: თუ ბატონიშვილები და მრავალი თავადნი და აზნაურთაგანი უკმაყოფილონი იყვნენ, რომ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომი შეიქმნა, უბრალო ხალხი, განსაკუთრებით სამხრეთს, სიხარულით აღტაცებული იყოვო, პატრიარქი იოსები ამათი გრძობის გამომხატველი არისო. (გვ. CXI—CXII) იმპერატორ პავლეს ჰსურდა დაეჯილდოვებინა ახალი თავის ქვეშევრდომნი ბარონობის და გრაფობის ღირსებით, ახალგაზდანი გაემწესებინა კამერგერებად, ზოგისთვის კიდევ უნდოდა ებოდებინა ჩინები და ორდენები. ამის გამო შეეკიათხა კნორრინგს, ვინ უფრო ღირსია ჯაღდოსი, სია წარმომიდგინეო. კნორრინგმაც აილო და შემდეგი სია გაუგზავნა: 1, პირველი მდივანი განსვენებულის მეფე გიორგისა, თ. ეგნატე თუმანიშვილი; 2, ტფილისის მამასახლისი, მელიქი თ. დარჩო ბებუთაშვილი; 3, მინბაში თ. სოლომონ არღუთაშვილი; 4, მირი შიქარ-ბაში თ. იოსებ ბებუთაშვილი; 5, თ. სოლომონ ავალიშვილი 6, სურამის მოურავი თ. ევგენი აბაშიძე; 7, თ. გიორგი ამილახვარი; 8, სარდარი თ. ივანე ორბელიანი; 9, სარდარი თ. გიორგი ციციშვილი; 10, სახლთხუცესი და მარიამ დედოფლის ეშკააბაში ალექსანდრე მაყაშვილი; 11, მდივანბეგი ზაქარია ბარათაშვილი; 12, მდივანი სულხან თუმანიშვილი; 13, შანშე ერისთავი; 14, ეშკააბაში თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე; 15, ნინოწმინდელი, მიტროპოლიტი მიხაილი; 16, ბოდბელი, მიტროპოლიტი იოანნე; 17, არქიმანდრიტი ექეთიმე. კიდევ ბევრნი არიანო ღირსნი საჩუქრისა, სწერს კნორრინგი, მაგრამ ყველაზე მეტი სამსახური და ერთგულება რუსეთისა ამათ გამოიჩინესო. (იხ. АБТШ. Т. I, გვ. 417—418, № 532.)

აბა ახლა ვნახოთ, როგორ ისარგებლა ამ ისტორიული მასალით ბ-ნმა ეზოვმა და რა საკვირველი და უცნაური კუდი გამოაბა მასა. გენერალმა ლაზარევმაო, ბრძანებს ეზოვი, ასეთი პასუხი გაუგზავნა კნორრინგსაო. „რაც შეეხება ჯვრებით დასაჩუქრებას, ჩემის აზრითო, ამ ჯილდოსი ყველაზე ღირსნი არიან: ეგნატე თუმანიშვილი, დარჩო ბებუთაშვილი და სოლომონ არღუთაშვილიო. აქაური აზნაურნი არაფრით განიჩევიან ჩვენი ცალკე მეკომურებისაგან (ОДНОДВОРЦЫ); ვის უნდა უწყალობოთ გრაფობა და ბარონობაო? ამას ისიც უნდა მიუმატოთ, რომ თითო ოჯახში ერთი ძმა თუ ჩვენი ერთგულია, მეორე ძმა შეამბოხება. უმაღლეს კარზე სამსახური არავის იმათგანს არ შეუძლიან, რადგან სუსყველანი გაუნათლებენი არიან. ძნელად გაარჩევს კაცი აქაურს ბატონიშვილს უბირი გლეხისაგანაო“ (МУЖИКЪ).

კნორრინგმა და ლაზარევმა ჯილდოს ღირსად სულ ცოტა ჩვიდმეტი კაცი აღნიშნეს, ეზოვმა კი ეს ჩვიდმეტი სამად გადააქცია. ღირსეულ კაცებად საქართველოში, მხოლოდ სამი სომეხი იპოვნა, (ნეტა იოსებ ბებუთაშვილმა რაღა დაუშავა ეზოვს?) ბატონიშვილები კი მუჟიკებს დაადარა. აი ამასა ჰქვიან მეცნიერული კვლევა-ძიება ისტორიისა! ნუ თუ ამას შემდეგ კანდიერებად უნდა ჩავგითვალოს ვინმემ, რომ ეზოვისთანა ისტორიკოსს ისტორიის ფაბრიკანტი და ფალსიფიკატორი ეუწოდოთ? სითამამე და აღვირ-ახსნილობა ეზოვისა იმდენად დიდა, რომ გვეუბნება ეს ცნობები ამოვკრიფე აქტებიდან და იხილე ესა და ეს ნომრებიო, სახელდობრ: 529, 530, 531 და 532. გადავშალეთ პირველი ტომი, ათჯერ წავიკითხეთ ეს ნომრები და ვერაფერი მიმგზავსებული ეზოვის ნაწერისა ვერავპოვეთ. 529 ნომერში ბძანებაა იმპერატორი პავლესი — სია წარმომიდგინეთო; 530 ნომერი პატრიარქი იოსების წერილია, რომლის შინაარსიც ზემოდ გავიცანით; 531 ნომერი პეტრე ობოლიანინოვის უმნიშვნელო წერილია კნორრინგთან და 532 ნომერი უკვე მოხსენებული სია ქართველ წარჩინებულ პირთა, რომელნიც ღირსად უცენიათ ჯილდოსი. საიდან მოჩ-

მახა ეზოვმა, რომ მხოლოდ მარტო სამი სომეხი იცნეს სად ჯილდოსი და ბატონიშვილები მუთიკებსა ჰგვანანო? ზღაპარს მაშინ გამოიცნობთ, როცა გაიხსენებთ ეზოვის დაფარულს აზრს: საქართველო საქართველო კა აზ აზის, ძველი სომხეთიაო. ეს მაცთური და წყეული სურვილი გზას უბნევს ბ-ნს ეზოვს და სისულელეს არაშინებს მეცნიერების სახელით.

კიდევ ბევრი რამაა საყურადღებო ეზოვის ისტორიაში, მაგრამ ვიკმაროთ. დასასრულ შევნიშნავთ, რომ ბ. ეზოვი მკაცრად იხსენიებს თ. ჰავლე დიმიტრის ძე ციციშვილს, იმ ციციშვილს, რომელმაც ოთხის წლის განმავლობაში მთელი ამიერკავკასია შესძინა რუსეთს, დასთრგუნა მემამბოხენი საქართველოში და ჩაჰყარა მკვიდრი საძირკველი რუსეთის მფლობელობისა ჩვენს ქვეყანაში. მისი დიადი ღვაწლი მშვენივრად და მკაფიოდ აქვს აწონილი აკადემიის ეხლანდელს საუთაოო მდივანს ნ. დუბროვინს, რომლის ხელიც აწერია თვით ბ. ეზოვის წიგნს. აბა გადაიკითხეთ მისი თხზულების უკანასკნელი ფურცელი და (Зак. стр. 479—480) მაშინ დაინახავთ, რა დიდებული კაცი დაჰკარგა რუსეთმა. თვით იმპერატორი ალექსანდრე I კურთხეული ისეთის ნდობით უცქეროდა თ. ციციშვილს, რომ მეორე მაგალითს ვერ დავასახელებთ ჩვენის ისტორიიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა.

მაშ რად ინება ბ. ეზოვმა და ასეთი მხნე გენერალი მოიხსენია ცუდად? ადვილი მისახვედრია. თ. ციციშვილს სძაგდა სომხები, ვაჟაკობა არა სწამდა მათი, სომეხთა გაქნილი ხასიათი სძულდა რაინდ გენერალს და ხშირად ადარებდა მათ ურიებს (называлъ ихъ трусливыми и сравнивалъ съ жидами). ერთხელ სომხებმა სთხოვეს თ. ციციშვილს—ნება გვიბოძეთ ჩვენი მიცვალებულნი დავასაფლავოთ, როგორც ჩვენი სარწმუნოება მოითხოვსო. „ცოცხლებიცა მძულხართ, უპასუხნია თ. ჰავლე დიმიტრის ძეს, და მკვდრებისთვის რა თავს გავიხეთქაეო. (რუსულად ასეა: „Я и объ живыхъ объ васъ не брегу (не забочусь),—стану-ли возиться съ вашими мертвецами.“)



ასეთია სომეხთა ისტორიკოსის სამეცნიერო გამოკვლევა.
ჩვენ, ქართველებისათვის, კიდევ ბევრი საყურადღებო ცნობებია
მოთავსებული ამ საკვირველს წიგნში, მაგრამ ვიკმაროთ ამ ხანად
ისიც, რაზედაც მივაქციეთ მკითხველის ყურადღება.

ბიბლიოგრაფია

I

„სიტყვიერების თეორია, სალიტერატურო ნიმუშების დამატებით.“ — შედგ. არხიმ. კირიონისა და გრ. ყიფ-შიძის-მიერ. ტფილისი 1898 წ.

კარგა სანია ჩვენი სკოლები და საზოგადოებაც მოელოდა ამ წიგნის დაბეჭდვას. ლოდინი აღკვეთილად და ესლას წიგნი წინ გვიდგეს, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია წარმოეთქვათ, შეძლებისდაგვარად, ჩვენი აზრი მის ღირსების შესახებ.

ყველა ჩვენთაგანი, ცხადია, სინაზრულით უნდა მიეგებოს ისეთი დარგის წიგნის გამოცემას, როგორც ღირსია ჩვენი ასალიტერატურა. სიტყვიერების თეორიის შედგენა და გამოცემა ქრისტიანობის ზედ დართვით, როგორც გინით, პირველი მაგალითია ჩვენში და ამიტომ ჩვენც დიდი სინაზრულით მიეგებეთ ასეთის საჭირო წიგნის დაბეჭდვას. რაც უნდა იყოს, იგი ცოტად მაინც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებასა და საჭიროებას. ამიტომ კმაყოფილი უნდა ვიყოთ მოხსენებულ «სიტყვიერების თეორიით» და მადლობაც უნდა განუთქვანდეთ შრომისთვის მის შემდგენლებს, მით უმეტეს, რომ ისინი თვითონ გთხოვენ ნაკლებუკანების ჩვენებას და გვპირდებიან მომავალში მის გაუმჯობესებას.

«სიტყვიერების თეორია», როგორც ზედ-წარწერა გვიჩვენებს, არის «სახელმძღვანელო წიგნი, შედგენილი სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საქალებო სკოლებისათვის.» ეს ყოველთვის სასეში უნდა ვიქონიოთ ამ წიგნზე მსჯელობის დროს.



წიგნის განხილვას ჩვენ თვით მის შემდგენლების წინაშე
 ობიდან დავიწყებთ.

«ამ უმად უგვე სჯირობა, — ბრძანებენ ისინი, — აჩუბობდეს
 ისეთი სახელმძღვანელო, რომლის შემწეობით შეიძლება შესწა-
 ვლას ქართულის ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიისა. ამ
 აზრით, ჩვენ შევადგინეთ ჟურ-ჟურობით ეს მოკლე სახელმძღვანელო
 სიტყვიერების თეორიისა და ზედ დაუერთეთ ცალკე დამატება სა-
 ქრისტომატიო ნაწილიცა, ანუ კრებული იმისთანა სალიტერატურო
 ნიმუშებისა, რომელთა განხილვა და შესწავლა სჯირობა თეორიის
 შესათვისებლად».

როგორცა სხანს მოყვანილი სიტყვებიდან, განსახილველი
 წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოთავსებულია
 სიტყვიერების მოკლე თეორია, სოლო მეორე ნაწილს შეადგენს
 კრებული სალიტერატურო ნიმუშებისა.

ჩვენი შენიშვნები შეეხებიან მხოლოდ პირველ ნაწილს, ესე
 იგი, სიტყვიერების თეორიის, რადგანაც მეორე ნაწილი წარმოადგენს
 მხოლოდ კრებულს სალიტერატურო ნიმუშებისა და აქ შემდგენელებს
 შრომა მარტო იმაში გამოიხატება, რომ მათ შეუკრებიან და
 გადმოუბეჭდიან ისეთი ნიმუშები ჩვენის ძველის და ახლის სიტყვი-
 ერების ნაწარმოებიდან, რომლებიც სჯირობად დაუნახავთ თეორიის
 განმარტებლად. ამას გარდა აქ ჩვენ უნდა შევნიშნათ, რომ მო-
 სვენებულ ორ ნაწილთა შორის არავითარ არსებითი კავშირი არ
 არსებობს, ასე რომ თქვენ შეგიძლიანთ ერთი ნაწილი მეორეს
 მოაშორათ, ცალ-ცალკე შეკანში და ერთი წიგნის ნაცვლად
 დაგრჩებათ ხელში ორი წიგნი.

მართლაც, ერთიცა და მეორეც მიუცილებლად სჯირობა სიტყვი-
 ერების თეორიის შესასწავლად, მხოლოდ ისიც უმტკილია, რომ
 ამისთვის სჯირობა მათ შორის რამე კავშირი არსებობდეს. ამ
 კავშირის სჯირობას თვით წიგნის შემდგენლები ვაჩვენებენ, როცა
 ბრძანებენ: «სალიტერატურო ნიმუშების განხილვა და შესწავლა
 სჯირობა თეორიის შეთვისებისათვის». სრული თანხმად ვართ,
 მხოლოდ უნდა ვკითხვით წიგნის შემდგენლებს: როგორ სჯობს,
 ნიმუშების განხილვას და შესწავლას უნდა იყოს დამყარებული

სიტყვიერების თეორიის შესწავლა და შეთვისება, თუ ჯერ სიტყვიერების მოკლე და დოქტრინული თეორია და მერე ბოლოში სალიტერატურო ნიმუშების მოქცევა?

ყველა უკეთესი ახალ სახელმძღვანელოებს დამწერნი და სიტყვიერების საუკეთესო მასწავლებლებნიც პირველ გზას ადგანან და ჩვენც ასე ვთვლილობთ. მაგრამ ჩვენი «სიტყვიერების თეორიის» შემდგენლებს მეორესათვის მიუხედავად უზიარებლობა. უწინ რუსეთშია და იმ გზას ადგენენ სიტყვიერების თეორიის შემდგენლები, მაგრამ დღეს მათი სახელმძღვანელოები წეს-აკებულნი არიან და სასწავლებლების არსიში განისვენებენ ხელ-წილებლად.

ჩვენის სიტყვიერების თეორიის შემდგენლებს მიუხედავად, როგორც თვითონ ამბობენ წინა-საიტყუაობაში, რუსის მწერლებსათვის, როგორც მაგ. ბელარუსისათვის, სლუბკისათვის, სმირონისათვის და სხვ., მაგრამ მათგან მარტო სიტყვიერების თეორია უსესნიათ და გადმოუთარგმნიათ, ის ვი, რაც უფრო სწორი იყო, უფურადღებოდ გაუშეათ. სლუბკის, მაგალითად, თავისი სიტყვიერების თეორიები სალიტერატურო ნიმუშების გარჩევისა და განხილვისგან გამომჯავს, როგორც შედეგი მათის დანასათვისა. ასე იქცევა საუკეთესო რუსულ სახელმძღვანელო შემდგენელი ბატ. გოდოლოვსკი და სხვ. ყველანი იმ გზას ადგანან, რომ ჯერეთ ნიმუში მოიყვანონ, გააჩინონ და მისგან გამოიყვანონ თეორია. ჩვენი სიტყვიერების თეორიის შემდგენლებს ვი არც ერთი სალიტერატურო ნიმუში არა აქვთ მოყვანილი და გარჩეული წინდაწინ. ისინი პირიქით ჯერ თეორიას განმარტებენ დოქტრინულად და მერეთ უთითებენ დამარტებაში მოქცეულ ნიმუშებს. სოლო მათი განხილვა და გარჩევა თვით მოწაფეებსათვის მიუხედავად.

მართლაც, ჩვენის სახელმძღვანელოს შემდგენელებისთვის ძნელი იქნებოდა ყველა თეორიების ნიმუშების მონახვა, არჩევა, განხილვა და მათგან თეორიების გამონახვა, რადგანაც ეს უფრო დიდ შრომას, დროსა და ცოდნასაც მოითხოვდა. მაგრამ სამაგალითოდ სოლო ერთი ნიმუში მანც უნდა გაეჩინათ და დანარჩენნი, უკეთე უმიხილობა არ შეიძლებოდა, მოწაფეებისათვის და მათი მასწავლებლებისთვის მიენდოთ.



ერთადერთი ადგილი, სადაც ისე მოქცეულან, როგორ საჭიროა იყო, ის ადგილია, სადაც ივინი ზოგისას და ზოგისას ადარებენ ერთმანეთს და მათ განსხვავებას გვიჩვენებენ. აქ მათ ჯერ გადმოუბეჭდათ სახიმუშოდ ჩვენი მატანუდან ერთი ადგილი მეუას დიმიტრი თავდადებულის შესახებ და ადარებენ ი. ჭავჭავაძის ზოგისას «დიმიტრი თავდადებულს». მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც დაზარდათ, ანუ იქნება საჭიროდ არ დაინახეს, იქვე დაუბეჭდათ თვით ზოგის ანუ რადენიმე კარი მაინც. უკეთუ ეს ზოგის მოზრდილია და იმიტომ ვერ დაუბეჭდეს, შეიძლება სხვა უფრო მოკლე ნიმუშები დაუბეჭდათ. მათ კი, ნაცლად ამისა, დაუბეჭდათ მოხსენებულ ზოგის შინაარსი და ისე ადარებენ მატანუსაგან მოყვანილ ადგილს. ამ შედარებიდან გამოქვათ, რა განსხვავებაა ზოგისას და ზოგისას შორის. შეიძლება ეს შედგამა კიდევ ვაშტიოთ ჩვენის სიტყვიერების თეორიის შედგენლებს, რადგანაც ი. ჭავჭავაძის ზოგის «დიმიტრი თავდადებულს» ჩართული აქვს დამატებაში და უფიქრიათ, აქ წაიკითხვენ შეგირდებია. მაგრამ სხვაგან კი ისე მოქცეულან ივინი, რომ კერასთვით ვერ გავამართლებთ.

ზოგიერთ შემთხვევაში ივინი, მაგ., ნიმუშებისთვის, «კრებულის», «ივერიის» და «ჟეჟილის» საძებნელად ჯგჯავნიან მოწათუებს. მაგალითად, როცა საკმირთ თქმულებათა განმარტავენ, ნიმუშის შესახებ აი რას სწერენ: «იხილეთ «კრებულს» აკაკის; «ივერია» 1888 წ.» ზღაპრების ნიმუშების შესახებაც ასე ბრძანებენ: «იხილეთ «ჟეჟილი» 1898 წ., № IV და 1890 წ. № I. იხილეთ აკაკის «კრებულს» 1898 წ. IV და სხვ.— ეს კი, სწორედ მოგანსენოთ, სასკლმძვანელში სრულიად შეუსაბამოა და, კვანებით, ზოგელი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანაზე!

გვაკვირს: უკეთუ თვით სიტყვიერების თეორიის შემდგენლები ვერ მიხედნენ ამ იშვიათ ნაკლულეკანებას, რატომ ქართული ენის იმ მასწავლებლებმა მაინც არ მიაქციეს ამას მათი ყურადღება, რომელთაც თავიდან ბოლომდის მოუსმენიათ სასკლმძვანელ და რომელთაც შემდგენლები მადლობას უძღვნიან წინასიტყვაობაში!

როცა 17 გვერდზე სიტყვის შეწყვეტა ანუ შეკვეთა არის აღსანილი, საბუთად თავიანთ განმარტებისა, ნიმუშების მოყვანის

ბიბლიოგრაფია

I

„საქართველომ.მ.ს მკვლელ დროის თავგადასავალი,
დექსად დაწერილი“. — გამოცემა დეკ. დავ. ლამბაშიძისა.
ფასი ორი აბაზი.

აღნიშნულ წიგნის გასინჯვა და განხილვა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი უოფილა კარგი მგოსანი და, რაიც უფრო ძვირფასია ჩვენთვის, პირუთენელი ისტორიკოსი. ჩინებულ ავტორს, რომელიც, სამწუხაროდ, არ იხსენიებს არც თავისს სახელსა და არც გვარს, წინ წაუძღვარება სიმართლე და ჭეშმარიტების ძიებას აუსხამს ისტორიული ამბები, მოთხრობილი ქართლის-ცხორებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს შრომა არის იგივე საქართველოს ისტორია, მარტივის ენით და დექსად გამოთქმული მამულის მოყვარე მწერლისაგან.

იწყება წიგნი გურამ ბაგრატიონის ისტორიის მოთხრობით და თავდება დიმიტრი თავდადებულის ამით. ამ წიგნში ავტორი დექსავს მხალად იმ დროის ისტორიას, როდესაც მეფობდნენ ბაგრატიონთა გვარის მეფეები, თუმცა-ღა იგი გეზირდება, რომ თავგამოსიანთა და ნებრთიანთ მეფეების ისტორიასაც მოგოთხრობთა, ამათი ამბავიც:

„ს ზ ვ ი შ ა მ ს ა თვისსა მოგვთხროსთ,
არ დაშთთ მიუწდომელი“ (გვ. 7).

გარნა არა სჩანს, ავტორს შეუსრულებათ თუ არა ესეკითარი თვისი დახილება. სამწუხაროდ არც ისა სჩანს, სახელდობრ, რომელ საუკუნეში უცხოვრია ჩვენს ავტორს, დიმიტრი თავდადებულის



თავდება მისი მოთხრობა, თუ კიდევ ამის შემდეგი დროის ისტორიაც გაუღუქსავს. წიგნის დამწერი იმ დროის მწერალია, როდესაც საქართველოში უკვე იმძარბოდა თეთვი; ეს სჩანს იქიდან, რომ იგი იხსენიებს ამ იარაღს (იხ. გვ. 193). ამიტომაც ვუიჭრობთ, რომ ამ შრომის გაგრძელება კიდევ უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს თვით გამომცემლის სიტყვებიც: «ბოლო (წიგნისა), როგორც სჩანს, აკლია, და წიგნი ისეა აკინძული, რომ უკანასკნელ ფურცელს გადატანის ნიშნები აქვს».

თვით ეს წიგნი, როგორც ამბობს გამომცემელი, უფოილა კუთვნილება ივანე ბატონიშვილისა და მას თავისს სხვა წიგნებთან ერთად მიუყიდა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოტეკისათვის. მთელი წიგნი (სელნაწერი) შესდგება ორ ნაწილისაგან. მორე ნაწილი გამომცემელს უკვე დაუბეჭდა და პირველის დაბეჭდვასაც ამბობს. ამ პირველ ნაწილში გაღუქსილია ძველი აღთქმა — ქვეყნის შექმნიდან დაკით-სოლომანამდე და ამის შემდეგ მოთხრობილია ცნობები საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, გამომცემელი არ ამბობს, თუ პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავისგან ვინ გადმოწერა ეს საუფრადღებო წიგნი და რაოდენის სიმართლით.

და ასე, ჩვენ-მიერ გასინჯული წიგნი არის ნამდვილი მატანე და სამართლიანად მას უნდა ეწოდოს «გალექსილი ქართლის ცხერება».

ეს გაღუქსილი «ქართლის ცხოვრება» ზოგაერთგან შეავსებს უკვე დაბეჭდილ «ქართლის ცხოვრებას». სჩანს, აქსონს თვისი შრომის წერის დროს სელში ჭქონია ან უკეთესი ვარაიანტი «ქართლის ცხოვრებისა» და ან სხვა წყაროებიტაც უსელმძვანელნია.

დაბეჭდილი «ქართლის ცხოვრება» ბუნდოვანად გადმოგვცემს ბაგრატიონების შემოსკლას საქართველოში, სოლო გაღუქსილი «ქართლის ცხოვრება» უფრო სრულად მოგვითხრობს იმავე ბაგრატიონების წინაპართა ისტორიას. შეიღმა ძმამ, რომელტაც თანა ჭუვანდათ ყმანი და ყმთა შვილები,

„განდიდებულის ბანიკით ვლეს სხვი-და-სხვი ადგილები,

მათ მოვლეს ფილისტიმიტგან მრეიონი ქვეყნის კიდენი,

ქვეყანათა განიცდიდეს, უძღოდრიან თანა-მყოლსა,
მითათა სკურეტდენ ველოკინთა, უმზერდიან ყვაივილ-მოლსა;
ერთგან შემვდენ ქვეყანასა, არ უდრიან სხვისა ტოლსა,—
კერძო იყო აზიისა, თანა შერთვიოთ ანატოლსა.“

ამ ანატოლით გამოვიდნენ და

„ჰაოსის და ქართლოსისა წილხდომილი მოვლეს წვრილად,
ქართლოსის ხეედრს ედემისა მსგავსად სკურეტდეს შემოკბილიად,
უსაზომოდ შეუყვარდათ, იყვნენ დგომის მონდომილად“.

მოკლეს რა ეგელებს ქვეყნები და მოკწონათ რა საქართველო და
სომხეთი, მოვიდნენ რასილ დედოფლისას და მოინათლნენ. ამათგან
ბაგრატო შეესიმა რასილ დედოფალს, ხოლო დანაშთენ ძმათგან
არნი ისიმა სომხეთსა მეუბე და რთსნი კი საქართველოში შემო-
ვიდნენ (508 წელს). ამით შორის იყო გურამი, რომელმაც შეიერთა
კასტანგ გორგასლას ასული (იხ. გვ. 3—5).

ქართლის ცხოვრებით» რაქაელი იყო დედოფალი კელეტს
(ანატოლიაში), მასთან მივიდნენ მუშელ, ბაგრატ, აბგაგარ, გურამ,
საჭაგ, ასამ და ვარსაგარდ. ბაგრატმა შეიერთა რაქაელის ასული,
მუშელ და აბგაგარ სომხეთში დასახლდნენ, გურამი შეიქმნა სიძე
კასტანგისა და შემდეგ გამოეფდა, ხოლო მისი დანაშთენი ძმები
გამთავრდნენ კასეთის მხარეს.

ამ გვარი საყურადღებო ცნობებით საგსუა მთელი წიგნი. აქსონნი
დიდის სიტრფიადით ლექსავს დაკით აღმაშენებლისა და თამარ
მეფის ისტორიას. აქსონის აზრით:

„სამნი არიან ქართლისა დირსი ხსოვნისა მეფენი,
რომელნი იყვნენ სასტიკად მტერთა სისხლისა მჩქეფენი,
ვის დროთა ქართლი ჰყვოდა, იყვნენ სახელის მკრეფენი“.

ამათგანი ერთი კასტანგ გორგასლადი, მერე დაკით აღმაშენე-
ბელი და შესამე თამარ დედოფალი.

ქართლის ცხოვრებაშია რომ მოთხრობილია გლოკა თამარ
დედოფლისა, იგი დიდის ხელოვნებით და ცოტა ვრცლად გალუ-
ქსილია ჩვენის აქსონის-მიერ. გლოკობენ რიგ-რიგად და მოთქმით
ჟერ ქართლენი, მერე იმერელ-მეგრელ-გურულ-აფხაზნი, შემდეგ
სამცხე-საათაბაგოელნი, მერე კასელნი და ბოლოს თუშ-თუშაკ-ხეკსურ-
მთიულნი. საკვირველი ის არის, რომ ამ უგანასკნელთა გლოკა



ძლიერა ჭკავს მათ მიერვე მოთქმით ტირილს ერეკლე II-ის გუნას წინაშე.

ამოდენი თავისებურება აქვს ამ თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ თამარის დატირებას, რომ არ შემოდინან აქვე არ ამოვწერო მისა ნაწუგატი.

მოდგენ თუშ-ფშავ-ხევსურნი მეფისა სახლსა ჩვეულნი.

„გვიჩვენეთ ჩვენი პატრონი?“

„შეუძღვენენ, სრასა შევიდნენ ვით მტერზედ გამარჯვებულნი.

როს განიცადეს კუბო და ოჭროსა ტახტსა დებული,

„რა არსო ესე, რა არსო?“ შეიქმნენ განცვიფრებული.

„იქმნება მეფე ძილად წევს! იყავით დაწყყარებული,

ნურკინ ყაყანებთ, დაჩუმდით, ვიყვნეთო გაჩუმებული!“

„რად არ ასდგები, ბატონო, შენ არ ხარ ჩვეულ ძილისა, ამ სიგარძელ შენი ტახტს წოლა ჩვენ არ გვახსოვსო გმირისა, მოვსულვართ შენნი ერთგულნი, არ მხსოვნნი შენგნით ტირისა, ვა-თუ ჩვენ მიერ გწყენოდეს, გვუო მოხსენებად ძიირისა!“

მოიხადეს თავსა ქუდი, იარადი შემოიხსნეს,

იწყეს მოთქმა საშინელი, არდავისა დაეკითხნეს..

მოსთქმიან ხმისა მთიულნი, ფანტურით საწყლათ ტირიან:

„ვაჲ, ჩვენო ძმანო თუშ-ფშავნო!“ —უბატონობას ჩივიან,—

„ხევსურნო ციხის ამღებნო!“ —ხმა მადლა ამას ყვირიან,—

„აწ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობა! —ყვირიან.

„ვაჲ, მთის ხალხნო, ბატონი გვიწყურების, გვიწყურების გულითა,

არც ჩვენი ესმის სიტყვის თქმა, გაგვრიდა შორად სულითა,

ხომ ჰხედავთ, ჩვენო მოძმენო, მეფე არს ჩვენზე ღულითა!

ვიციო, შენს უკან არ ვარგ ვართ, ვიქმნენით ყოვლნი კრულითა!“

„მშვიდობით, დიდო მეფეო, მშვიდობით გმირად მბრძოლო და, მშვიდობით, ერთგულთ მოწყალევე, მშვიდობით, ობოლთ მზრდელი და, მშვიდობით, ბრძენო სიტყვითა, მშვიდობით, მტერთა მკვლელი და! ვით გესალმებით, არ ვიციო, სად გაქვს საცხოვროდ ბოლოდა!“

„რად ესალმებით, მოყმენო!“ —ურთიერთს ეუბნებოდეს:

„თან წაგვიყვანე, ბატონო, გული შენთანა გვევებოდეს,

იქნება მართლს მტერი გზედეს, თუშთ ხმა არ გეყურებოდეს.

ჩვენთვინ სირცხვილ არს, ფშავ-ხევსურ რომე არ შენთან კედებოდეს!“

„მშვიდობით, თუშთა იმედო, მშვიდობით, ფშაველთ მყვარო-და,

მშვიდობით, ხევსურთ საუნჯევე, მშვიდობით, მტერთა მშარო-და,

მშვიდობით, არაგველთ ძილო, მშვიდობით, ქსნელთა მძღვარო-და,

ერთობლივ გიორგიელთა, მეცხვარ-მწყემს-წინამძღვარო-და!..“

თქმულებას, რომ ცოცხალი თამარ მეფე ცოლად ვერ შეირთეს ვერც უანმა და ვერც სულთნებმა და განიზრახეს მკვდარი ამოკლთ საფლავიდან და შეეხილწებინათ. ჩვენს აკქსონს თამარისაკე ანდერძად უქტევი და ასრე გაუღუქსია:

ანდერძი ნახეს მეფისა თამარის დატოვებული:

„ჰქმნითო სამნი კუბონი, თვალ-ოქროთ განშვენებული,
 ერთი დამარხეთ მცხეთასა, ერთი ვარძიას დებული,
 მე დამარხეთო გელითში, არ მყონ თათართა ვნებული.“

თამარი ჯერ ცოცხალი იყო, — განაგრძობს აკქსონი, — და ნუქარდიან სულთანმა დააქადაგა, რომ ოდეს მოკვდება მეფეა, მამან წაგალო, საქართველოს ავაზრებო და მერე

„სიდაც დამარხვენ მეფესა, უქმნა მის საფლავს ძვრანია,
 ცოცხალს ვერ ვუყავ რაც მწადდა, მკვდარსა ვყოფ შენასვირია!“

და ამიტომაც ქართველთ აღასრულეს თამარ მეფის ანდერძი:

„ერთი მუნ დაფლეს, ერთი მუნ, მტერთა ვერა ჰქმნან ძებნანი“.

წიგნში შეხარულა არა ერთი კორექტორული შეცდომა და არც სარჩევი აქვს ჩართული. კარგი იქნება, თუ გამოძიებული ამ ძეგლს კვლავ ააცილებს აღნიშნულ ნაკლს.

მ. ჯანაშვილი

II

Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью.
 Георгія Церетели. Изъ VII выпуска Московскаго
 Археологическаго Общества. 1898 г. (стр. 34).

ამ სათაურით აღბეჭდილი სტატია შეიცავს ბ-ნ გ. წერეთლის არსეოლოგიურის მიზნით მოგზაურობას ყვირილის ხეობაში. სტატიაში აწერილია სამკვლენი გაცხის, მღვიმის და სავანის მონასტრებისა და აგრეთვე ეპილესაიუბი ესეკისა, სინაგურისა, ჭახუეთ-მთისა და წმიდის გიორგისა, ანუ მთა-წმინდისა. სტატიას დართული აქვს ექვსი ტაბულა ათის მშენიერის ფოტოტიპიურის სურათით, ერთი პალეოგრაფიული ნიმუში და ორიც სხვა სურათი. ზემო ჩამოთვლი-

ლი ეპიკლეისების აღწერა, თუ არ ვცდებით, პირველია საარსებო-
ლო ლიტერატურაში. რაც შეეხება მონასტრებს კაცხისა, მღვიმისა
და სავანისა ამათზე ცნობებს გვაძლევს დებუა, აღწერალი სოდხეო,
დ. მეღვინეთხუციშვილი და მარბ ბრახსე. ბრახსეს არსებოლოგიურს
მოგზაურობაში (Rapp. XII) და Mélanges asiatiques'-ის მესამე
ტომში შემოკრებილია როგორც ბრახსეს შრომა, ისე ზემო ჩამო-
თვლილის პირებისა. ბოლოს დროს ხსენებული მონასტრები დაუ-
თვალეობია განხეიბებული არსებოლოგს დ. ბაქრაძეს და მათში
დაცულია ძველი ნიკთების აღწერა შეუტანია თხულებაში „Опись
памятниковъ древности въ нѣкоторыхъ храмахъ и монастыряхъ
Грузіи Н. Кондакова и Д. Бакрадзе“. ამ უკანასკნელის თხუ-
ლების ნაკლად ის უნდა ჩითვალოს, რომ ქართული ტექსტი სრუ-
ლებით არ მოიპოვება მასში. ბრახსეს შრომაში ქართული ტექსტი
თუმიც არის, მაგრამ ზოგჯერ გარეხილად არის მოუყანილი, ზოგ-
ჯერ სავსებით წაკითხული არ არის და ზოგი რამ, საუურადღებო
წარწერა და ნიკთი, სრულებით მოხსენებული არ არის. ამ ნაკლს
ავსებს ბ-ნი გ. წერეთლის შრომა, რომელშიაც ბრახსესთან შედა-
რებით ტექსტი უფრო მართლად არის წაკითხული, უფრო სავსე-
ბით არის მოუყანილი და ზოგი რამ ახალი არის მიმატებული.
დ. ბაქრაძესთან შედარებით აკტორს ის უპირატეობა აქვს ამ
შეითხეკვაში, რომ რუსულს თარგმანთან ქართული ტექსტიც მოუ-
ყანია და ქართული ტექსტისათვის დიდი უურადღება მიუქცევია. ქარ-
თული ტექსტი ქართულის არსებოლოგიისა ცენტრი უნდა იყოს
უოკლოთვის, მით უმეტეს, რომ ტექსტს ეველს თავისებურად სთარ-
გმნის, და არავის არ შეუძლიან თარგმანის მიხედვით სრული წარ-
მოდგენა იქონიოს ქართულის ტექსტის შესახებ. ამ გვარად, თუმიც
ხსენებული მონასტრები ჩვენ საუკეთესო არსებოლოგებს შეუსწავლია
და აღწერია, მაგრამ ბ-ნი გ. წერეთლის შრომა არა თუ მეტი არ არის,
არამედ შემავსებელი და შემასწორებელი წინა გამოძიებულები-
სა. ამ მხრით ეველს ქართული არსებოლოგიის გულ-შემატევიარი მადლო-
ბელი უნდა დარჩეს აკტორისა.

მიუხედავად ზემო თქმულისა ზოგი რამ ჩვენი აკტორის შრო-
მაში საცილობელად უნდა დარჩეს, ზოგი რამ შეცდომად უნდა ჩაი-

2. მღვიმის მონასტრის კედელზე დასატული ყოფილა კრის-
 თაუბი. ამ სურათების წარწერანი ავტორს ამ რიგად მოჰყავს:

«ამა კელესიისა აღმაშენებელი რაჭის კრისთავი კასხბერიძე
 რატი! მეუღლე მათი რუსუდან, კასხბერიძე ნიანია». ამ რიგად მოყვა-
 ნილის წარწერით გამოდის, რომ რატი ყოფილა კასხბერის შვილი
 და რატის ცალი — რუსუდან. ბაქრაძეს და ბრახსეს იმ რიგად აქვს
 ეს წარწერები მოყვანილი თარგმანში, რომ გამოდის: «კასხბერის მე
 ნიანია, მეუღლე მათი რუსუდან და შვილი რატი». ამას გარდა ჩვენ
 ავტორის აზრით აქ მოხსენებულნი პირები ეკუთვნიან მე-XIII საუ-
 გუნეს და მღვიმის მონასტერი აშენებულა 1269—1289 წლებში.
 მაგრამ ეგვევი პირნი ისხენიების ნიკორწმინდის წარწერებში და
 დ. ბაქრაძე მათ აკუთნებს მე-XI საუგუნეს. ესეც უნდა შევნიშნა
 ავტორს, რომ ნაჩვენებ სურათების წარწერანი მე-XVIII საუგუ-
 ნის მხედრულის ხელით ყოფილა დაწერილი, როგორც ამოწმებს
 დ. ბაქრაძე. მაშასადამე, სურათები და სურათების წარწერები თანა-
 მედროვე არ ყოფილა მონასტრის აღშენებისა.

3. საჯანში ყოფილა ერთი პატარა ტანის სახარება ეტრატზე
 დაწერილი, მახარობლების სურათებით. ერთს მინაწერს ამ სახარე-
 ბისას ასე კითხულობს ავტორი: «დაიწერა წმინდა ესე სახარება ქო-
 რონიკონსა **ს. მ.** მოქცევასა მერამეტუსა.» ეს მინაწერი რომ მარ-
 თლად იყოს წაკითხული, მაშინ სახარება ეკუთვნებოდა 988 წელს
 (780 + 208 = 988). ავტორი კი სახარებას აკუთვნებს 1520 წელს.
 აქ მერამეტო მოქცევის მაგიერ შეცდომით მიღებულია მეთოთხმეტე
 მოქცევა. მაგრამ სახარება არც 988 წელს ეკუთვნის. ეს ამკარაა
 იქიდან, რომ სახარებაში დაცული ყოფილა გიორგი მთაწმინდელის
 ჩვეულებრივი ანდერძი სახარების თარგმნის შესახებ. მაშასადამე,
 შეუძლებელია ხელნაწერში 208 ქორონიკონი იყოს, და მართლაც
 დ. ბაქრაძის შრომიდან გტყობულობთ, რომ 208 ქორონიკონი კი
 არა, არამედ 250 ყოფილა, ესე იგი ხუცურის ასობის **ს. მ.** და
 არა **ს. მ.**; 250 ქორონიკონი უდრის 1030 წელს ქრისტეს შე-
 მდედ და სახარებაც ამ წელს უნდა იყოს გადაწერილი. ამკვე სახ-
 რების მინაწერში მოხსენებული ზურაბ კალმსელი ცნობილია ართვი-
 ნის სახარების მინაწერებიდან.

4. ზოგჯერ რუსული თარგმანი ჩვენი ავტორისა არ უდრის ქართულს ტექსტს, რაც ჩვენი აზრით, კორექტურულს შევთამას უნდა მიეწეროს. მაგალითად, მუ-10 გვერდზე მოყვანილი სიტყვები: „ერთი თვე რომ გამოვიდა გიორგი ასულედიანიც მოკვდა.“ ესევე ქართლიანთა იყო. ისიც მათთანაკე იყო მიმდებურა, ასე არის რუსულად: „Черезъ мѣсяцьъ Георгійъ Ахвледиани явился къ царю съ покорностью. Онъ тоже участвовалъ въ битвѣ и находился въ лагерѣ, противной царю, партіи“. აღბათ ქართულს ტექსტში «მოკვდას» მაკაურ «მოვიდა» წერებულს. ეს მაგალითი იმისთვისაა კი არ მოგვიყვანია, რომ ავტორს გუსსევედუროთ, არამედ განგებოთ, თუ როგორ საჭიროა, რომ მოსკოვის არსებულთაგანთა საზოგადოების რედაქციამ მეტი ყურადღება მიაქციოს თავის გამომცემს. საჭიროა ქართული შრიფტიც სერიოზული შეიმინოს.

5. სკანის მონასტრის წარწერანი დაწვრილებით აქვს წაკითხული და გარჩეული გ. წერეთელს. ბრძისსეს შრომისა სხუნიველი მონასტრის წარწერანი ძრეულ დამსხინჯებულა. დ. ბაქრაძესაც ზოგაერთი შემოკლებულად მოყვანილი სახელები გაურჩეველი დაუტოვებია. ბაქრაძე თვითონ ამბობს, ჩვენ არ ვიცით, რა სახელები იგულისხმება ასაკებში «ს.» და «გლედს» — შიო. ჩვენი ავტორი კი პირველ ქარაგმისა «სახუს» კითხულაბს და მეორეში გულსვიადს. ამისთანა მაგალითები სხუნიც არის და რდა ამ გვარა ქარაგმების წაკითხვისა ავტორს საჭიროა უნდა ჩაეთვალოს. ნაკლულეკანებად ის მიგვაჩინია, რომ გ. წერეთელს წარწერები ისე შემოკლებულად არ მოჭყავს ეოკლეთის, როგორც ნამდვილშია.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ: ზოგაერთ შემთხვევაში შეუძლებელია თქმა, თუ რომელსამე საეკლე სიტყვას ანუ ქარაგმს რომელი მკვლევარი უფრო მართლად კითხულაბს, მანამდის წარწერების ფოტოგრაფიული სურათები არ გვექნება. ფოტოგრაფიით ან სხვა კარგი საშუალებით წარწერების გადაღება მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს ამ უმად. რაც დრო და უში მიდის, წარწერები თანდათან გვეკარგება, და ის საეკლედ წაკითხული ადგილები წინა გამომკვლევლებისა შეუსწორებელი რჩება. თვით პატივცემული გ. წერე-



თღის სტატიადან სჩანს, რომ ის წარწერები, რომელნიც ბრძოსსუ დროს ყოფილა კაცის მონასტრის კედლებზე, დღემდის ნახეკარდ არ შენახულა, არამედ მოუხპიათ მონასტრის შეკეთების დროს. ესეთივე საქმე მოხუდა ნიკორწმინდის წარწერებსაც, როგორც დ. ბაქრაძე გვაცნობებს. მანგლისში, როგორც ჩვენის თვალთ დაკრწმუნდით, ნახეკარი აღარ არის იმ საურადადებო წარწერების, რომელიც დ. მეღვინეთხუნიშვილის დროს იყო. ბრძოსსუ რომ ფოტოგრაფიულად გადმოკლო ქართული წარწერები, უფრო დიდს სარგებლობას მოუტანდა ქართულს არხეოლოგიას, ვიდრე მათი წაკითხვა. სშირად ჩვენ ვგონობთ, რომ ბრძოსსუ მართლად ვერ წაუკითხავს ზოგიერთი წარწერები, მაგრამ შესწორება აღარ შეგვიძლიან, ვინაითგან თვით წარწერები აღარ შენახულა. ავილოთ მაგალითი თვით გ. წერეთლის სტატიადან: სჯანის მონასტრის ქორანიკონი ბრძოსსუ 201 წაუკითხავს (981 წ.), ნამდვილად კი 266 (1046) ქორანიკონი ყოფილა, როგორც სჩანს გ. წერეთლის და დ. ბაქრაძის სტატიებიდან. მასსადამე ის, რაც მე-XI საუკუნეს ეკუთვნის, შუათე საუკუნისათვის უნდა მიგვეწერა, რომ ეს წარწერა არ დაცულიყო დღემდის. ნიკორწმინდის წარწერაში ბრძოსსუ ნანია ერისთავს ნოველისიმოსის ხარისსს აძლევს, მაშინ როდესაც ეს ხარისსი მარტო მეუკებს ეძლეოდათ და ცხადია, რომ ბრძოსსუ შემდგარია, მაგრამ ესლა შესწორება აღარ შეგვიძლიან, რადგანაც თვით წარწერა აღარ არის დაცული. ფოტოგრაფიას შემდგარ ნამდვილად შეგვინახოს ის, რაც ძველ ნაშთებზე სწერია და თვით ძველი ნაშთებიც, რომელნიც დროთა ვითარების და ჩვენი დაუდევრობის გამო თანდათან ქჭრებიან. ჩვენის აზრით, ფოტოგრაფიული აღბომების შედგენა უნდა ითავოს წერა-კითხვის საზოგადოების გამოკლებამ თავის მუზეუმისთვის, და ყოველი ქართული მოკალა დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეში გამგეობას.

სურათები გ. წერეთლის სტატიაში მშენიერად არის გამოცემული და სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ეს სურათები სკამა, რომ ავტორს მადლობა უძღვნათ.

III

ბ. გვაზავა. ბერძნულ ქართულად. თარგმანი. ტფილისი 1898 წ.
ფასი ორი აბაზი.

მწერალი თავის თხზულებაში იხატება, ბრძანებს შესავალში ბ. გვაზავა ბრძანად სიტყვით-ღა მოგვითხრობს მსოფლიოდ ცნობილის პოეტის ცხოვრებას, დაბადების და გარდაცვალების თარიღი მოჭყავს და რჩი-საში მოსწრებულნი მისი სიტყვა. ბერძნულ ბიბლიოგრაფიულ ცნობათა შორის ქართული მეითხველისთვის საინტერესოდ მარტო შემდეგი ნაკვეთი უცნია მთარგმნელს: «სადაც კვირა თვითვე ნემსი და ძაფი და თავის ხელით, სახსუნჯო სიმღერის ღიღინით, აკრებდა ხოლმე თავისს დახუფს ტანისამოსს. მაგრამ მაინც ამ გაჭირვებაში არ ჭკარავდა მხნობას და თავისებურს სიმსხვილეს. მუზა მატრავკეცააო, სწერს ბერძნულ თავის მეგობარს, მის ერთგულს მეგობარს შარვალი რომ გავსას, ის იცინის და იჭყიტება, შეიძლება რამე გამოუჩნდესო!» სხვა უფრო დაწერილებითი დასასიათება პოეტისა საჭიროდ არ უცნია, რადგან მწერალი თავის თხზულებაში იხატება!... და აი ორმოც და ორი ლექსი მიმღვნის თქვენთვის ბერძნული; «გადაშალეთ, სადაც გნებავთ, წაიკითხეთ ერთი-ორი», და იცანით პოეტი, «რომლის თხზულება საშიშარი საჩკანით იყო საკუ; რომლის სახელი ჭკრკვინავდა არა მარტო საფრანგეთშია და რომელმაც უკვდავება მოიპოვა თავისი სასიამოლო ლექსებითა; წაიკითხეთ და დარწმუნდით, რომ «მაში სტემს რაღაც ღვთიური ძალა.»

თუ ბ. გვაზავას ენდეთ და მისი თარგმანი გადაშალეთ, სადაც გნებავთ, იქ კი არა, თავიდან ბოლომდეც რომ გადაიკითხოთ, კერძო სადმე პოეტისა იპოვნით, კერძო საჩკანში და კერძო უკვდავ ღვთიური ძალას. მარცხალ-ხათვლილი პროზის გარდა კერძო ჭკოვებთ და იმასაც იმდენად დამახინჯებულს, რომ საათის წილ ვითომდა ლექსის გულისთვის სათი შეგხვდებათ, ბედგროლის მაგივრად ბედიკრული, ზარის მაგივრად რითმისთვის ზარა, თავისუფლების წილ თავ-



სუფლები, იუბილური წილ ივბიტერი. ლექსი? მთელს წიგნში,
128 გვ. გადაჭიმულ ლექსებში, ერთი არ არის, რომ, ცოტაც არის,
ნიშანი ედოს ნიჭისა და ხელეწილისა. მაგალითის მოყვანა შეუძ-
ლებელია, რადგან რომელიც გნებავთ, ის წაიკითხეთ, სულ ერთია:

წამოვედით იმ წამს ჩქარა,
ჩამოვბტენით კარგა შორა;
მან ოთანში შემაპარა
და ლოგინში გამავორა.
ჩემი ჭრაკი, ვით ტომარა
ძიძივე იყო იმ დროსა-კი.

ბ.ნ გვანავას ყველა პოემაზედა დიწს ეს «იმ დროსა-კი»!

... ყოველნაირ კაცის რჯულსა,
თეთრსა შავსა მონარშულსა,
გაუშლია ჩემკენ ხელი,...

მონარშული რჯული! იქნება ბერანყეც დეკადენტი იყო?

არა მარტო სიტყვას, სშირად აზრსაც ასახინრებს ბ. მთარ-
გმნელი და ბერანყეს მიაწერს თავის უპარგისი კალმის ნაჩმასს:

«თუ გი მე ისე ვიცნოვრე, როგორც ბებია-ჩემი ცნოვრობდა,
რატომ თქვენ გი ჩემსავით არ უნდა იცნოვროთ?» — ეუბნება დიდი-
დედა თავის შვილიშვილებს (ჩვენი ბებია, გვ. 15), რომელნიც ჭკი-
თხაკენ: «ჩვენც შენსავით ვიცნოვროთ, ბებია, და საყვარლები ვიყო-
ლიათო?» ბ. გვანავა სულ სხვათერვც სთარგმნის ამ პასუხს:

„თუ ეშმაკობენ ბებრუნანები,
თქვენ ხომ ყველაფერს შეგინდობთ ღმერთი.“

ღმერთია მონამე, ჭირივით ეჭვარებოდა ბერანყეს «ბებრუნანე-
ბის ეშმაკობა»!

გასარებული მესამე ქმრის ცოლი იმასის, ორ ქმართან გან-
ტანჯული მესამეზედ — ჩემზედ სუსტზედ — ყერილობ ჟავრსა... (მე-
სამე ქმარი, 5 გვ.). თარგმნილი გი ისეა, თითქო საცოდავი ახლა
მესამეს ჩაუვარდა ხელში:

ორ ქმართანა უბედური
მესამესაც ჩაუვარდი...

ზარსა რქეს მნათე და იძხვის: «გლეჯის ზარით თავი ძრკვა-
წეინე ეკელას, ახლა უფრო მსიარულად დაკრეკოთ ზარი ნათლა-
ბისთვისა...»

ბ. გვაზავას თარგმანი სულ სხვას ამბობს:

გლეჯის ზარი საწყენია
ნათლობის კი სათაკილო.

უწინ, თუ ეზოზეს ვერწმუნეთ,—სწერს ბერანუე,—ეკრძიელი
ოჩანგუტანები ისე ხელეგნურად ღაშანაკობდნენ, რომ ვეჭილები
ჩვენ იმათგან მივიდეთ. ერთს იმათგანს ერთხელ უთქვამს თავის
მსმენელთათვის: «აბა, ისტორია გადისინჯეთ; ბატონებო, ადამიანი
ყოველთვის ოჩანგუტანის მიამენი ყოფილა.»

სულ სხვაფერად სთარგმნის ამას ბ. გვაზავა:

თუ ეზობი მართალს ბრძანებს,
ძველსა დროში მიიმუნებს
ენა ჰქონდათ ისე მკვერი,
რომ ვეჭილებს სჯობდა ბვერი.
ერთსა უთქვამს: „ისტორია
თქვენცა იცით—თუ ჰორია;
ბატონებო! ის გვარწმუნებს,
რომ არ სჯობხართ მიიმუნებს!“

«სიყვარულშიაც კი ჩვენა გვბამაკენ (ადამიანები),—ამბობს ოჩან-
გუტანი,—მაგრამ ჩვენი ცოლები რომ არა გვღალატობენ?...» უკვირს,
საიდან ისწავლა ეს დედაკაცმაო? ბ. გვაზავას თარგმანში სულ სხვა
აზრია:

ჩვენი ქცევა საარშიყო—
მაგალითი თქვენთვის იყო;
თქვენს ქალს განა არ ეტყობა
ჩვენებური გარყენილება?

რადღა გაკავრებულათ, ძალიან შესცდება, ვინც ბ. გვაზავას თარ-
გმანით მოინდომებს ბერანუეს გაცნობას. სათარგმნოთის ერთს საუ-
კეთესო შვილთაგანს, ზოეტს-ღირიკს, ზოეტს-სატირიკს, სამაგ-
ლითო მამულიშვილს, რომელმაც საკვირველი ხელეგნებით შეაერთა
ზოეზია და ზოლიტიკა, ამ თარგმანში კერძადაც ნახავს მკითხველი.



შირიქით, გაიგვირგებს კიდევც, რა არის აქ მისაწონი, რომელიც
 ვება მინიჭა მას კაცობრიობამაჲ. ეს ბერანყეს ლექსები გი არ, ებ-
 რანყესებურა ლექსებია ბ. გვაზავასი, რომელიც ამას წინად აბა-
 ტონიშვილსა ლეკანსა არსეგდა ვითა მტკვანსა; ასლს საკუთარი მუ-
 ზა გაჭქტევისა და სხვისას ასტორღიალებია, მაგრამ ამ უგანსგენ-
 ლისაც ცარელი ჩრდილის არშეი უფთილს და სხვა არაფერი.



შინაური მიმოხილვა

ახალი ცვლილება ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების წეს-წყობილობაში.—ჯერ ვიკითხოთ, როგორ დაეუბრუნოთ საზოგადოებას ის ფული, რომელიც მას ხელიდან ეცლება, და მერე გარდავწყვიტოთ, რას მოვახმართ ის ფული.—ერობის შემოღების საქმე ქუთაისისა და ტფილისის თავად-აზნაურობის კრებებზე.—ქუთაისის თავად-აზნაურობამ წინ გაუსწრო ტფილისისას ნაფიც-მსაჯულთა შესახებ შუამდგომლობის საქმეშიც—მოხსენება ქუთაისის თავად-აზნაურობისა ამ საქმის შესახებ.—ქართული ეკკლესია კავკავში.—ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის საკუთარი შენობის საქმე ბ-ნი ნ. ცხევიძის ხელში.

გასულ წელს ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების წეს-წყობი-ლებაში შესამჩნევი ცვლილება მოახდინა უმაღლესმა მთავრობამ. ცვლილება შეეხება შემდეგ საკნებს. წინაღ საერთო კრებულ ბანკისა შესდგებოდა წევრთა-დამფუძნებელთაგან, რომელთაც ბანკის ძირის თანხა ჰირველად შეუტრფიებიათ, ან მათის შემკვიდრებისაგან. ტფილისის ბანკში კრებაზე ხმა ჰქონდა ყოველ დამფუძნებელს, შემოტანილის ფულის რაოდენობის მიუხედავად. ქუთაისის ბანკში კი ხმა ჰქონდა მხოლოდ ისეთს დამფუძნებელს, რომელსაც შემოტანილი ჰქონდა ფული არა ნაკლებ 200 მანეთისა. წერილ დამფუძნებლებს შეეძლოთ შეერთებულიყვნენ და, თუ მათი წვლილი შეადგენდა ორას მანეთს, თვის შორის ერთი წარმომადგენელი გაეზავნათ საერთო კრებაზე. ამ რიგად ტფილისის და ქუთაისის ბანკების საერთო კრებაზე თავს იურიდა მრავალი წევრი-დამფუძნებელი, რომელთა რიცხვი ხშირად აღიოდა 1500-მდე. ამ კრებაზე მრავალი გარეშე საზოგადოებაც ესწრებოდა და ურს უგდებდა საერთო საქმის მსვლელობას, მის ავ-კარგიანობას.



ახალის წესით კი წვერი-დამფუძნებელის წოდება გაუქმებულია. ის ფული, რომელიც შეუტანიათ ბანკის დაფუძნებისათვის წვერებს, უკან დაუბრუნდებათ. საერთო კრებული ბანკებისა უნდა შესდგეს 210 წვერისაგან, რომლის ნახევარი უნდა ამოარჩიოს თვის შორის თავადაზნაურობამ და ნახევარი მსესხებულებმა. კრებას გარეშე საზოგადოებას არ შეუძლიან დაესწროს.

აქ ჩვენ არ შევხებით იმის განხილვას, თუ რა ღირსება და ნაკლულებანება აქვს ამ ახალს წესსა, «წარმომადგენელთა კრებულსა», რადგანაც ეს საგანი უკვე იყო განხილული ჩვენს ჟურნალში.¹⁾

მიუხილებელ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხეთ მხოლოდ იმ საგანს, რომელიც წამოაყენა ზემოხსენებულმა მთავრობისაგან შემოდებულმა ცვლილებამ და რომლის შესახებ საჩიველი ადრცა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ ამ უკანასკნელ დღეებში. «ბანკების დამფუძნებლებს რომ ფული დაგვიბრუნდება, იმას რა გუერთ, როგორ მოვიზმაროთ», ჭკითხულობენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და ზოგიერთები მასუსსაც იძლევიან ამ საკითხისას.

ჩვენი აზრით კი თავი-და-თავი საკითხი აქ არ არის. სანამდის ვიკითხავდეთ, რას მოვანზაროთ ფული, ის გვაქვს საფიქრებელი და გადასაწყვეტი, როგორ მოვიზმაროთ უფლება იმ ფულზე, რომელიც ჩვენს ბანკებს ხელიდან ეცლებათ და თვითუფს წვერს-დამფუძნებელს უნდა დაურიკდეს? მით უფრო ძნელია ეს საკითხი, რომ კიდევ რომ ვეკლას გარდაწყვეტილი ჭქონდეს ამ ფულის საზოგადო საქმისათვის შეწირვა, ამის კანონიერად და ფორმალურად გამოთქმა ისე ადვილი არ არის, როგორც, შეიძლება, ფიქრობდნენ ზოგიერთები. მიზეზი ამისა ის არის, რომ რადგან კანონმა ბანკების დამფუძნებელთა შემოწირული ფული სცნა კერძო საკუთრებად, ამ ფულის ხელახლა შეწირვა საზოგადო საქმისათვის არის დამოკიდებული თვითუფს მატრონის სურვილზე. ეს სურვილი ცალ-ცალკე უნდა გამოსთქვას თვითუფლმა დამფუძნებულმა, ან მისმა მემკვიდრემ, და ამის მოხერხება თითქმის შეუძლებელია, რადგან ერთის მხრით მემკვიდრეების მონახვაა ხშირად შეუძლებელი და მეორეს მხრით დასაბრუნებელი ფული ისე წვრილმანად შემოტანილია და მასსადამე

1) იხ. „ძოაბზე“, 1894 წ. XI, „შინაური მიმოხილვა“.

ისე წვრილმანად უნდა დაუბრუნდეთ თავის ზატრანებს, რომ ზატრანების მოძებნა და მათგან კანონიერის განცხადების ადება, რომ იგინი ხელს იღებენ მათდამი კუთვნილ ფულზე საზოგადო საქმისათვის, ხარჯდაც არ ედირება.

ვისაც დიდი ფული ჰქონდა შემოტანილი, იმათ მხრით კიდევ მეორე სიძნელე დაგვიხვდება წინ, სახელდობრ ის, რომ ამათ ძლიერ გაჭირდებოთ თავიანთი ფულის ხელიდან გაშვება და საზოგადო საქმისათვის შეწირვა. ამ სიძნელის დამალვა თავის თავის მოტყუება იქმნებოდა ჩვენის მხრით. მართლაც, ნუ დავივიწყებთ ჩვენის თავად-აზნაურობის გაჭირვებულ მდგომარეობას; ნუ დავივიწყებთ იმას, რომ განსაკუთრებით იმერეთში, სადაც უფრო ბევრია ბანკში შეტანილი თავად-აზნაურობის ფული, უფრო ის თავად-აზნაურები არიან გაჭირვებაში, რომელთა მამებს მეტი ადგილ-მამული ჰქონდათ და მეტი გლეხები ჰყავდათ, და, მაშასადამე, მეტი ფული შეუტანიათ ბანკის დასაფუძნებლად. აი დღეს ასეთს უფრო გაჭირვებულებს მთავრობა ეუბნება, რომ თქვენ გერკებათ ას-ასი და ორას-ორასი თუმანი და შეგიძლიანთ გაიტანოთ. ჩვენ კი ვეუბნებით ამათ, შეკრიბეთ თქვენი შემკვდრეობის დამამტკიცებელი საბუთები, მიდით ფულის მისაღებად, მაგრამ მიღების მაგიერ, ფული საზოგადო საქმეს შესწირეთ. ასეთს განსაცდელამდი თუ საქმე მივიდა, ეჭვი არ არის, რომ ბევრი ვერ შესძლებს, გაწვდენილი ხელი უკან წაიღოს და თითქმის ადებული ფული უკან დააბრუნოს.

საჭიროა, რომ ესლავე, სხანამდი საქმე ფულის დარიგებამდი არ მისუღა, რაიმე საშუალება ვიდონოთ, რომ ის ფული, რომელიც შეწირული იყო საერთო საქმისათვის, ეკუთვნოდეს საზოგადოებას, ისევე საზოგადოებას გადაეცეს. ამისათვის, როგორც უკვე ვთქვით, შეუძლებელია თვითივე ზატრანს ჩამოუაროთ და შესაფერი თანხმობა ჩამოგართვათ. ერთადერთი დონე ის დაგვრჩენია, რომ თავად-აზნაურობამ თავის კანონიერ კრებაზე ადძრას ეს საკანი და ერთხმად დაადგინოს, იშუამდგომლოს უმადლეს მთავრობასთან, რომ ეს ფული გარდაეცეს თავად-აზნაურობას საერთო საჭიროებისათვის მისასხმარებლად. ასეთის შუამდგომლობის წინააღმდეგ შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ რადგან უმადლეს მთავრობის განკარგულებისამებრ



ეს ფული შეადგენს კერძო კუთვნილებას იმ თავდა-ზნაურთაგან, რომლებმაც შექმნიეს იგი შეუწირავთ, თავდა-ზნაურობას, როგორც კრებულს, რაღა ხელი აქვს ამის შესახებ რაიმე შუამდგომლობა აღძრას? მაგრამ ნამდვილად კი ასეთს მასუსს აქ ადგილი არ აქვს, რადგან ის იურიდიული მხრივით, რომელზედაც ეს მასუსი დამყარებულია, მაშინ დაირღვა, როცა გადასწყდა, რომ შეწირული ფული ჩამოერთვას იმ იურიდიულ კრებულს, რომლის საკუთრება იგი იყო, და დაუბრუნდეს თავიანთ შემწირველთ. თუ მეორეს მხრით მივიღებთ მხედველობაში, რომ მთავრობამ ამ ფულის დაბრუნება დაადგინა მხოლოდ იმის გამო, რომ დამფუძნებელ წევრთა უფლება გააუქმა და უსამართლობა იქნებოდა, რომ ის ფული, რომელზედაც დამყარებული იყო ეს უფლება, არ დაბრუნებინა და სხვა იურიდიულ კრებულისა, მაგალითად, თავდა-ზნაურობისათვის ფულის გადაცემისათვის კი საკმაოდ საფუძველი არ იყო, რადგან ამის შესახებ არც ამ კრებულის მხრით და არც შემომწირველთა მხრით შუამდგომლობა არ აღძრულა, — საფუძველი გვექნება ვთქვათ, რომ, თუ ესაა ასეთი შუამდგომლობა აღიძვრება თავდა-ზნაურობისაგან, რომლის წევრები არიან ფულის შემომწირველები და რომლის საერთო საჭიროებისათვის ფული შეწირული იყო, მთავრობაც ადვილად შეიწყნარებს ამ შუამდგომლობას.

შუამდგომლობის დადგენასთან ერთად მიუცილებელი საჭიროა, როგორც ჩვენთვის, ისე მთავრობის შუამდგომლობის მხრით შეწყნარებისათვის, რომ აღინიშნოს საგანი, თუ რას უნდა მოხმარდეს აღნიშნული ფული. ჩვენის აზრით, ამ საგნის კარდაწვევტას დიდი ღარი და საზი არ უნდა, თუმცა კი ჩვენს შურნალ-გაზეთობაში კიდევ გამოითქვას ამ საგნის შესახებ სხვა-და-სხვა აზრი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამდი ვერაფერ ვერ უარყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ განათლება ესაა ჩვენი ფარ-სმადია არსებობისათვის ბრძოლაში და სანამდი ეჭვს გარეშე აკრუთვე, რომ ამ მხრით ჩვენ ვუკლავ მეზობელ ერთა შედარებით უკან ჩამორჩენილი ვართ,²⁾ სანამდი ჩვენგანვე დაარსებული სათავდა-ზნაურთა სკოლები უბრუნველ ეფიციენტი არ არის, — მანამდი ზემო დაუკნებულ საკითხს

²⁾ იხ. „მოამბე“, 1898 წ., № XII, „ზღაღადებელი ციფრები“.

თითქმის ადგილიც არ აქვს, რადგან ერთადერთი მასუხი შინა-
უკვლევია და მიუცილებელი: ფული გვეჭირვება განათლებისათვის
საზოგადოდ და თავად-აზნაურობის სკოლების უზრუნველ უფლისა-
თვის კერძოდ.

თუ ვიფიქრებთ იმას, რომ ეს სკოლები, როგორც ამდენ ხანს
იყო, ისე შემდეგშიც უნდა იყოს ბანკების საზრუნველი, კარგი
და ხატოლსანი, მაგრამ, როგორც ვიცით, არც ამდენ-ხანს უფილან-
თუზრუნველი ბანკებისაგან ეს სკოლები, ხშირად გაჭირვების დღე დას-
დგომიან სკოლებს ფულის მხრით, და თუ დღემდე სიტყვით შეინა-
ხეს სკოლებმა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბანკები, როცა მათ სკამო
შემოსავალი არ ქვითდათ, მოსალოდნელ მოკვებიდან წინდაწინ იძლეო-
დნენ ფულსა. ასეთი წესი კი ბანკში ძნელი მოსათმენია და შეიძლება
შემდეგში არც მოითმინონ. თუ დიურთმა ქმნა და ბანკებს მართლაც
დიდი შემოსავალი ექნა, მაშინ რა დაუშლის ბანკის წევრებს ის
ფულიც გადასდონ ამ სასწავლებლების გასათვართებლად, ანდა სხვა
ახალი სასწავლებლების დასაარსებლად?

ამ რიგად, ახალ წელიწადს წილად ხვდა ბანკებისაგან დასა-
ბრუნებელი ფული ისევ საზოგადოებას დაუბრუნოს და საზოგადოე-
ბამ ეს ფული განათლების საქმეს მიანმაროს. იმედი ვიქონიეთ,
რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ამ საქმეს დროზე და რიგაზად შეა-
სრულებს.

მეორე საქმე, რომელიც უანდერძა გასულმა წელმა ახალს
წელიწადს, არის ერთობის შემოღება. ამ საქმეში ტფილისის თავად-
აზნაურობას წინ გაუსწრო ქუთაისისამ, რომელმაც 1897 წლის
მაისის 8-ს საერთო საგუბერნიო კრებაზე ერთხმად დაადგინა, იშუა-
შდგომილად მთავრობის წინაშე ჩვენში ერთობის შემოღებისათვის.
ამის თაობაზე ვრცელი მოხსენებაც შეადგინა ქუთაისის თავად-აზნაუ-
რობამ და უკვე წარუდგინა მთავრობას.³⁾

სამწუხაროდ, მას აქვთ რა მდგომარეობაშია ეს შუამდგომლობა,
არ ვიცით. ესლა იწუება ქუთაისის გუბერნიის მარშლის უმთავრესი
მოკვალეობა: ის უნდა ეცადოს წინ-წასწიოს ეს შუამდგომლობა,
შეაწუხარებინოს იგი მთავრობას. აქ შეუძლიან მარშალს გამოიჩინოს

³⁾ იხ. „მოამბე“, 1898 წ., № III.



თავისი ზირადი თახსნობა და მხნეობა, თორემ მოხსენებანი კომისიები შეადგენენ ხელმე და მაზე ხელის მოწერა და მხოლოდ მიერთევა, სადაც ჯერ არს, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

რაც შეეხება ტფილისის თავად-ახნაურობას, მისს კრებაზე ისეთი თანხმობა არ უოფიდა ერობის შემოდების შესახებ, როგორც იყო ქუთაისის თავად-ახნაურობის კრებაზე. თუმცა ტფილისის თავად-ახნაურობამ 1894 წლის მაისის კრებაზე ზრინციბიალურად მოიწონა ჩვენში ერობის შემოდება და დაავალა ცალკე კომისიას ამის თაობაზე მოხსენების შედგენა, მაგრამ ერთის მხრით ზოგიერთები სრულებით წინააღმდეგნი იუვნენ ერობის შემოდებისა და მეორეს მხრით კომისიას ხელს არ უწეობს გუბერნიის მარშალი და ამის გამო დღესაც ვერ მოუსმენია კომისიის მოხსენება თავად-ახნაურობის კრებულს.

წინააღმდეგნი ერობის შემოდებისა ტფილისის თავად-ახნაურობის კრებაზე აღმოჩნდნენ დიდი მემამულენი. მიზეზი ამისი ცხადია: ემინიანთ, რომ მათ დიდ მამულებს დიდი ხარჯი დაატედება.

ეს მოსაზრება მეტად შემცდარია. მართალია, ერობის შემოდებისთანავე ხარჯი მოემატებათ როგორც დიდსა, ისე მცირე მამულებსა, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ხარჯი უსარგებლო იქნება და მათ არა შეემატება-რა ამ ხარჯის სამაგიერო? ეველამ იცის, რომ სადაც ხარჯი არ არის, იმ მამულში შემოსავალიც არ არის. შემჩნეულია, რომ სადაც ხალხის მეურნე-გამკება ზოლიციის მაგიერ ახარია ერობის დაწესებულებას, იქ ხარჯი ისე ჭმარდება ხალხს, რომ ერთი-ორად და მეტად ბევრი სარგებლობა მოაქვს. იქ ხალხის განათლება, გზები, ხალხის ჯან-მრთელობის დაცვა და უოველივე კეთილ-დღეობა ხალხისა უკედ არის მოწეობილი და წარმატებული.*) რა თქმა უნდა რომ, სადაც ხალხის კეთილ-დღეობა წარმატებული იქნება, იქ მამულსაც ფასი მოემატება და მემამულეც მოკებაში იქნება.

ერობის დაწესებულებათა უზირატესობაში ამ ბოლოს დროს უმაღლესი მთავრობაც დარწმუნდა და ამიტომ, როგორც კახეთების ცნობებიდან ვიცით, მთავრობას გადაწვეტილი აქვს ერობა შემოი-

*) იხ. „მოამბე“, 1897 წ., № VI, „ერობის მნიშვნელობა ჩვენთვის“.

დღეს ისეთ გუბერნიებშიც კი, რომელშიაც ამდენს ხანს არ იყო შტატი შემოდებულნი ზოლიტიკურის მოსაზრებით და აგრეთვე ისეთ გუბერნიებშიც, რომელნიც კულტურის მხრით ბევრად უფრო ჩამორჩენილი არიან ჩვენს ქვეყანაზე. ეჭვი არ არის, რომ ადრე თუ გვიან მთავრობა ჩვენშიაც შემოდებს ერთბაშად, ჩვენც რომ არ ვითხოვთ.

თხრობამ ჩვენის მხრით, იქნება, საქმე დააჩქაროს. ამიტომაც ჩვენი შეტყობება სასურველია, როგორც საქმის დაჩქარებისთვის, ისე ჩვენის მოწინააღმდეგეობის დასამტკიცებლად.

ერთბაშად მოწინააღმდეგენი ტფილისის თავად-აზნაურობის კრებაზე კიდევ მეორე მიზეზს ასახელებდნენ თავის მოწინააღმდეგეობისა და მიზეზს ვითომ უფრო დიდ მნიშვნელობას, ვიდრე ზიკვალს. ერთბაშად იმიტომ ვერ მოგვიტანს სარგებლობას ჩვენო, ამბობდნენ იგინი, რომ ეს დაწესებულება ეკრევე ხელში ჩაუვარდებათ სომხებს, როგორც ქალაქის თვით-მართველობა.

ამ მოსაზრებაში მხარი დაუჭირა ერთბაშად მოწინააღმდეგე ქართველ თავად-აზნაურობას გაზეთმა «კავკაზმა», რომელმაც იგივე მოსაზრება წარმოსთქვა ტფილისში ზოლიტიკური დაარსების მოწინააღმდეგე.

ისეთი შიში რომ კიდევ ნამდვილი იყოს, მაინც არა არის საკმაოდ საბუთი იმისა, რომ კარგი და სასარგებლო დაწესებულება არ იქმნას შემოდებულნი. მართლაც ახირებულნი საქმე: ჩვენ ვითხოვლობთ სინათლეს და ჭკერს და ჩვენი მოკეთებები გვეუბნებიან, არც სინათლეს და არც ჭკერს თქვენ ვერ გადარსებთ, რადგან ერთაც და მეორესაც თქვენზე უფრო სხვები ისარგებლებენ. მერე, რომ ორივენი გაგწოდით, ჩვენც და ჩვენი მეზობლებიც? არა, ბატონებო, თქვენ თუ ჩაგრულების მოკეთე ხართ, ასე სასტიკად ნუ მოიქცევით. ის სჯობს ჩაგრულებს ხელი მოუშაროთ და დაეხმაროთ, რომ მიძლავდნენ გაუმკლავდნენ.

მართლა, რად ვართ ქართველები სწავლა-განათლებლაში უკან ჩამორჩენილი, სხვა ერებთან შედარებით? იმიტომ რომ ჩვენთვის არავის დაუარსებია ჩვენი სარგო, ხელ-მისაწოდომი სასწავლებლები. დაგვიარსეთ, აბა, მაზრებში, ჩვენზე ახლოს, ჩვენი სარგო სასწავლებლები, და მაშინ ნახავთ, რომ სწავლაში არავის უკან არ ჩა-

მფრჩხებით. ვინ ზრუნავს ასეთის სასწავლებლების დაარსებისათვის ჩვენთვის? არაფერ. ამისთვის იზრუნებს ერთბა და, უკვკელა, მისი ზრუნვა ნაყოფიერი იქნება ჩვენშიც ისე, როგორც სხვაგან არის ნაყოფიერი.

კერძოდ ის შიში, რომ ერთბა სომხებს ხელში ჩაუვარდება, სრულებით უსაფუძველდა და ქალაქის თვით-მმართველობის მაგალითი არაფერითაა საბუთს ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს, რადგან ქალაქის თვით-მმართველობაში უზირატესობა აქვთ სომხებს იმიტომ, რომ საქალაქო არჩევნისათვის კახონს დაუდგენია ისეთი ტენზი, რომელიც უზირატესობას აძლევს მდიდრებს. მდიდრები კი ქალაქებში საზოგადოდ ვაჭრები არიან და ტფილისში ვაჭრები უფრო სომხები არიან. ერთბის დაწესებულებაში კი კახონის ძალით უზირატესობა უფრო თავადაზნაურობას ეკუთვნის, ვიდრე სხვა წოდებას.

ვიძვრებით, რომ ვისაც უნდა ქართველობას დაეხმაროს ცხოვრებისათვის ბრძოლაში, იმის მოვალეობაა ხელი გაუმართოს მას ყოველ გაჭირვებაში, სოფელში იქნება, თუ ქალაქში. უფრო კი დახმარება სოფელში ეჭირვება, რადგან ჯერ-ჯერობით იგი სოფელს არ მოსცილება. სოფელს კი გამგე-ზატრონი არა ჰყავს. ასეთი გამგე-ზატრონი იქმნება სოფლისათვის ერთბის დაწესებულება. ეხლა ადაზნისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ჩვენს გლეხობას მიწა-წყალის სიმდიდრე ძლიერ აწუხებს, თუმცა იგი სხვებსაგვით არ არის ჩვეულებრივად და არსად არ მიდის მიწის საძებრად, რის გამო მასზე მართლდება რუსული ანდაზა: «ემსწილი თუ არ სტირის, დედას მისი არ ესმის». ერთბა, უკვკელა, თავის მოვალეობად ჩასთვლის ამ საქმეშიც, თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა, ზატრონობა გაუწიოს ჩვენს გლეხობას.

ქუთაისის თავადაზნაურობამ მეორე შუამდგომლობა აძრა კიდეც მთავრობის წინაშე. 1897 წლის 9 მაისის კრებაზე თავადაზნაურობამ დაადგინა, ვთხოვთ მთავრობას, შემოიღოს, ქუთაისის გუბერნიაში ნათიცი მსაჯულთა სამართალი სისხლის სამართლის საქმეებისათვისა. მოხსენება თავადაზნაურობისა ამ საგნის შესახებ დაბეჭდა „Новое Обозрение“-მ გასულს დეკემბერში.

ჩვენ არ შეგვჩებოთ მოხსენების იმ ნაწილს, სადაც მოყვანილია საზოგადო მოსაზრებანი, რომელიც ამტკიცებენ ნაფიც მსაჯულთა უშირატესობას მთავრობისაგან დანიშნულ მოსამართლეთა წინაშე, რადგან ამ საგანზე ვრცლად ვაქტონდა საუბარი ჩვენს ჟურნალში.^{*)}

ამ მოხსენებაში უფრო საინტერესოა განხილვა იმ მიზეზებისა, რომლებიც, ზოგიერთების აზრით, შეუძლებლად ჭეოფენ ქუთაისის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღებას.

მოხსენება აღნიშნავს, რომ საზოგადოდ მთავრობისაგან დანიშნული მოსამართლეები არ იცნობენ ცხოვრებას ისე კარვად, როგორც ნაფიცი მსაჯულები, და ამიტომაც იგინი ვერა ჭქმნიან სამართალს ისე სწორად, როგორც უკანასკნელნი. ჩვენში კი მოსამართლენი კიდევ ნაკლებ იცნობენ ჩვენს ცხოვრებას, რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან არ არიან დანიშნულნი და ხშირად იცვლებიან. ამის გამო ჩვენს მოსამართლენს ვერ არჩევენ მოწმეების ცრუ ჩვენებას მართლისაგან. აქედან კი წარმოსდგება, რომ რადგან ცრუ მოწმობას გასაყალი აქვს, ფასიც ედება და მრავლდება კიდევ. კარდა ამისა ხშირად მოხდება, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართლის უქონლობის გამო, როცა ზირველი ინსტანციის ნაწარმოებ სჯიმეს მეთრე ინსტანცია გადასინჯავს ხოლმე, აუქმებს ზირველის განაჩენს, ხშირად მართალს. ამის გამო ხალხს სრულებით ეკარგება ნდობა მართლმსაჯულებისა. შეუძლებელია, რომ მართლმსაჯულების სჯიმე ამ რიგად წაუიდაეს და ამიტომ მიუცილებლად საჭიროა, რომ შემოღებული იქმნას ის საუკეთესო ფორმა მართლმსაჯულებისა, რომელიც ცნობილია მთელ განარლებულ ქვეყნიერობაში, რომელიც შემოღებულია რუსეთის შიდა გუბერნიაებში და რომელსაც ეწოდება ნაფიც მსაჯულთა სამართალი.

მოხსენების აზრით არც ერთი ის მიზეზი, რომელსაც ასახელებენ როგორც დამარბროლებელ კარემობას სხენებულ მართლმსაჯულების ფორმის ჩვენში შემოღებისათვის, ნამდვილი არ არის.

მაგალითად, ზირველ მიზეზად ასახელებენ ტომთა ფრიადს სხვადასხვაობას და მათ შორის სიძულვილს. ამის ზასუნად მოხსე-

^{*)} იხ. „მოამბე“, 1895 წ., № VIII, „სახამართლოს წესლების გადასინჯვის გამო“.



ნება ამბობს, რომ ქუთაისის გუბერნიაში სრულებით არ არსებობს ტომთა ასეთი სხვა-და-სხვაობა, რადგან ერთ მილიონ ხალხზე, რომელიც სასლლობს ქუთაისის გუბერნიაში, 900 000 ქართველი ტომის არის და მხოლოდ დანარჩენი 100.000 ეკუთვნის სხვა ტომთა. ამასვე უფრო ერთგვარობა ტომის ძნელად თუ სადმე მიახლოება. გარდა ამისა, კიდევ რომ იქონს ტომთა ისეთი სხვა-და-სხვაობა, როგორსაც ფიქრობენ ნაფიც მსაჯულთა სამართლის მოწინააღმდეგეები, ეს გარემოება რად უნდა იქონს დამაბრკოლებელი მიზეზი, ამბობს მოხსენება, ჩვენში ამ სამართლის შემდეგისა, თუ ეს გარემოება არ იყო ცნობილი ასეთ დამაბრკოლებელ მიზეზად ბესარაბიის გუბერნიაში, სადაც ტომთა სხვა-და-სხვაობა მართლაც რომ შესანიშნავია?

ენის სხვა-და-სხვაობაც არ არსებობს ქუთაისის გუბერნიაში, რადგან აქ ქართული ენა უველამ იცის, როგორც უველამ იცის ქართულივე ტფილისის გუბერნიაში და განჯის, ერევნის და ბაქის გუბერნიაში — თათრული.

მესამე დამაბრკოლებელ მიზეზს ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღებისათვის ასახელებენ იმას, რომ რუსული ენა ნაკლებად არის გავრცელებული. მთავრობის აზრით, სამართალი უსათუოდ რუსულ ენაზე უნდა სწავრებოდეს და რუსულის მცოდნე ნაფიცი მსაჯული კი იმდენი არ მოიპოვება, რამდენიც საჭირო არის.

მოხსენება ამ მოსაზრებაზედაც შეჩერებულია და შერიგების რა იმ აზრს, რომ სამართალი რუსულად უნდა სწავრებოდეს, ამბობს, რომ არც ეს მიზეზი არის ნამდვილი, რადგან თვითრუსული მაცნაში საჭირო იქმნება მხოლოდ სამოცი ნაფიცი მსაჯული და ამდენი რუსულის მცოდნე ეოკულთვის მოიძებნება თითო მაცნაში. ამის დასამტკიცებლად მოხსენებას მოჰყავს ის მოსაზრება, რომ შარმან-წინ ხალხის ერთ-დღიური აღწერისათვის საჭირო იყო ეოველ მაცნაში 200 აღმწერი, რომელთაც რუსული უნდა სცოდნობათ. აღმწერი არა თუ არ შემოკლებიან ჩვენში, არამედ მეტიც იუვნენ. მაშასადამე, უეჭველია, რომ რუსულის მცოდნე ეოველგან საკმაო იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულთა რიცხვი შეავსონ.

მეოთხე და უკანასკნელ დამაბრკოლებელ მიზეზს ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღებისათვის ასახელებენ იმას, რომ ვითომ

ჩვენი ხალხი უოგელს დანაშაულს და განსაკუთრებით ძარცვა-გლეჯას, ქურდობას და სისხლის ძიებას ისე უნტკეროდეს, როგორც საქბო რსმიო. მოხსენება ამ აზრის დარღვევასაც კულდაგულ შესდგომია.

ჩვენ კი სჭირდოდ არ მიგვაჩნია არც განმეორება მოხსენების მოსაზრებისა ამ შემდგარი აზრის წინააღმდეგ და არც სერიოზულად ამ აზრის განხილვა, რადგან ვინც ჩვენს ხალხს ცოტად მაინც იცნობს, მისთვის ცხადზე უცხადესია, რომ ეს აზრი რაღაც ზღაპარს მოგვაგონებს და შედეგია მხოლოდ მტანარი უცოდინარობისა.

ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ჩვენზე მსჯელობენ და ჩვენს ბედსაც სწვევებენ ხშირად ისეთი კაცები, რომელნიც სრულიად არ გვიცნობენ და გაცნობის ხალისიც არა აქვთ.

წარმოიდგინეთ, რომ კომისიაში, რომელსაც ესლა მართლ მსაჯულების მინისტრის თავს-მჯდომარეობით მინდობილი აქვს გადასინჯოს სამოსამართლო წესდებანი საერთოდ რუსეთში და ატრეტვე ჩვენშიაც, არც ერთი წევრი არ ურევია, რომელიც იცნობდეს ჩვენს ქვეყანას და მისს ცხოვრებას. ამიტომაც ძრეულ სჭირდოდ იქნება ქუთაისის თავად-აზნაურობის მოხსენებამ ნაფიც მსაჯულთა სსამართლეს ჩვენში შემოღების თაობაზე მიაღწიოს იმ კომისიამდი. ეს იგრეტ იქნება უეჭველად. მაგრამ საქმე ის არის, რომ თუ მალე არ გადაეცა ეს მოხსენება იმ კომისიას, რომელსაც სწორედ ესლა აქვს მსჯელობა ჩვენში და რუსეთის იმპერიის სსვს განაზიარა ქვეყნებში სსამართლო წეს-წუობილების თაობაზე, კომისია თავის საქმეს ჩქარა გაათავებს (მინისტრს იმედი აქვს, რომ მომავალ მაისისათვის კომისია თავის საქმეს სრულებით შეასრულებს), და კომისია დაიშლება.

ამისათვის ქუთაისის გუბერნიის მარშალმა უნდა აღვენოს თვალური ამ მოხსენების მსჯელობას და ეცადოს, რომ ჩქარა გადაეცეს იგი ხსენებულს კომისიას.

ტფილისის თავად-აზნაურობამ კი თავის აზრით ამ საგნის შესახებ შუამდგომლობისათვის დაკარგა დრო. ეს ძლიერ სამწუხაროა, რადგან ეს საგანი ერთხანად უნდა გადაწედეს, არამთუ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისთვის, არამედ კავკასიის მთელი აქეთა მხარისათვის.

სსსიამოვნოდ მიგვანია დავაბოლოვოთ ეს ჩვენი მიმოხილვა ერთის დასრულებულის საქმის აღნიშვნით. კავკავის ქართველობაში აკო შარშან ქართულის სკოლის ეზოში ქართული ეკლესია, რომელიც ზირველს ნოემბერს აკურთხა ეფუდად-სამღვდელომ კავკავის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა. სსსიამოვნოა ეს ამბავი, როგორც ნიშანი კავკავის ქართველობის საზოგადოებრივის თანხრობისა, საერთო საქმისათვის ერთგულებისა და მხნეობისა. ამ საქმეში დიდი თანაგრძნობა და მთარეულობა გაუწია კავკავის ქართველობას ეპისკოპოსმა ვლადიმერმა, რომელიც საზოგადოდ დიდის ნდობით ეზურება იქურ ქართველობას. სამაგიეროდ ქართველობაც დიდ ზატვისა სტემს თავის მწეუმს-მთავარს.

ამგვარსავე საქმეს შარშან ტფილისშიც დაელო საფუძველი: ჩვენ ვამბობთ ტფილისის სათავად-აზნაურს სკოლისათვის საკუთარის შენობის აგების თაობაზე. ადგილი სკოლისთვის, სივრცით 12 დღიური, უკვე ნაუიდა ვერაზე და სახლის აგებისათვის ფული გროვდება. ეს საქმე მთლად იკისრა თავის თავზე ბ-მა ნ. ცხვედაძემ. ეჭვი არ არის, რომ დიდი, მეტად დიდი და ძნელი ტვირთი იკისრა ამ ზატეცემულმა მღვწემ. მაგრამ მისი ერთგულება საზოგადო საქმისადმი, დაუდალავი შრომა და საქმის ცოდნა თავდება, რომ ეც საქმე სასურველად დამთავრდება. იმედი ვიქნით, რომ მთელი ქართველობა თანაგრძნობას და შემწეობას აღმოუჩენს ამ კუთილს და საშეიღიშეიღო საქმეს.

უსოჯათის მიმოხილვა

ჩინეთის აღორძინება.—მაკედონელთა მზადება აჯანყებისათვის. — მშვიდობიანობის კონფერენცია. — საფრანგეთის რეაქციონერთა ახალი ოინები.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრული შესანიშნავი კაცობრიობის ისტორიაში აზიის უმთავრეს ერთა აღორძინებით. რამდენიმე საუკუნეა აგრ, რაც ეს ერები ღრმა ძილში არიან, რაც მათ შესწევითეს განვითარების გზაზე წინსვლა და შენეადენ. მათი კულტურა, მათი სულიერი და ხორციელი ცხოვრება გაქვავდა ერთ მდგომარეობაში და არ იჩენდა სიცოცხლეს. ევროპამ შესანიშნავად გაუსწრო მათ და შედიდურად გაძისხადა, აზიელთ აღარ შეუძლიანთ განვითარება და წინსვლაო. ევროპული მეცნიერება ერთხან იმას ამტკიცებდა, რომ ერი, როგორც ორგანიზმი, ჯერ ბავშობის სხანს გაივლის, მერე სიჭბუკისას, შემდეგ კი დაბერდება და მოკვდება; აზიელებმა უკვე მოსტამეს თავის ცხოვრება და გაქვავდნენ; და აკეთივე მოძავალი მოკლის ევროპის ერებსაცო, ამბობს ორგანიული თეორიის მოციქული დრეპერი. მაგრამ სინამდვილემ გაამტყუნა ევროპის აზრი აზიელთა შესახებ, ცხოვრებამ დაამხრო ცრუ თეორიები და უსაფუძვლო მოსაზრებანი. ინდოელებმა და აზონიელებმა გაიღვიძეს და საანაკო სისწრაფით წავიდენ წინ განვითარებისა და ზრდის გზაზე. აზონიის განვითარება ჩვენი თვლის წინ რომ არ მომხდარიყო, ძნელად დაუიჯერებდით: ისეთის სისწრაფითა და ძალით მოხდა იგი! ამ უამად აზონია, — თავის ვაჭრობა-მრეწველობით, სწავლა-განათლებით, პოლიტიკური წეს-წყობილებით — ნამდვილი ევროპული ქვეყანაა, რომელიც ბუერს რასმეში ეკვობრება ძველს ევროპას და ჭლამის მის გამოკლებას აზიიდან.



ესლა ჯერ ჩინეთზე მიდგა: იღვიძებს ღრმა ძილიდან ეს ქვეყნისა და უდიდესი სასკლემწიფოც! დიდი ხანი იყო ჩინელი კარხაკტილი და ამჟამად თავის უძველესი კულტურით, თავის პატრიარქალური წესწყობილებით. ის ვერ ამხნევდა, რომ მის კულტურას ხვესი მოჭკიდებოდა, რომ მის ცხოვრებას ათასი წელიწადის გაუმჯობესება არ დასტულობა, რომ მის ცივილიზაციას დაჭკარგვია საკუთარი ძალი ზრდისა და განვითარებისათვის. მაგრამ ვერც ამ გაჭკვებულმა ქვეყანამ გაუძლო ევროპის ძლევამოსილს იერიშს და გაუღო კარები. შევიდნენ ევროპელები თავისი განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობით და გაახლეხ თავისებურად მუშაობა აქა-იქ ჩინეთის ტერიტორიაზე. ამ უმად ევროპელებს მაგრად აქვთ ფეხი მოკიდებული ჩინეთის ოც და ოცს ნაკთ-სადგურში! ახლად მოძველები ევროპელები კიდევ უფრო გააფართოებენ თავის მოღვაწეობას ჩინეთში და კიდევ უფრო წინ-წაიწევენ მის ტერიტორიაზე. ჩინეთის ზოგიერთი ნაკთ-სადგური—როგორც მაგალითად ლუნ-ჩოუ, კანტონი, ფუ-ჩოუ, შანჭაი, ხანგაუ, ტიანცინი და სხვანი—ნამდვილი ევროპელი ქალაქებია, რომლებიდანაც განათლების შუქი ეფენება მთელ შიდა-ჩინეთსაც. ჩრდილოეთიდან ჩინეთს აწეებს რუსეთი, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან—იაპონია, ინგლისი და საფრანგეთი. ამ სასკლემწიფოთა რკინის გზები, ტელეგრაფები, ვაჭრობა—მუსრს ადენენ ძველის ჩინეთის პატრიარქალურს ცხოვრებას და ამყარებენ სრულიად ახალს ფორმებს. ევროპის კაპიტალისტურს წესწყობილებას შესანიშნავი ასსამილაციური ძალა აქვს. დაწინაურებული ერები, რომელთაც მრეწველობა უმადლესად განუვითარებიათ, იძულებულნი არიან მოუპოვონ ბაზარი თავის წარმოებს. ნაშრომ-ნაწარმოების გაკრძელებით ახლად მოპოვებულს ბაზარში, ევროპელები იწევენ მოთხოვნილებათა ზრდას და ამის მიხედვით იძულებულად ხდიან ჩამორჩენილ ქვეყანას—თვითონაც შეუდგეს მრეწველობას; ხოლო ამ ახლის მოღვაწეობის ნაყოფიერებისათვის საჭიროა ევროპული ცოდნისა და კულტურის შეთავისება. ამ რიგად ევროპის ეკონომიური წესწყობილება არღვევს ძველის აზიის სოციალურს ვითარებას და ამით იწევენ უოკალ-მხრივ ცვლილებას ჩამორჩენილ ქვეყნებისას. ამგვარად გაევროპილდა იაპონია, ამგვარად ევროპილდა ჩინეთი.

კარ-ჩაკეტილს ჩინეთს ყოველთვის ეგონა, რომ ის უძლეველი იყო, რომ «ბარბაროსები» მას ვერას აზნებდენ ვერასოდეს. ასეთი მადიდური აზრი სხვაგვარად მოქმედებდა და დიდი ხანი ყველა კრძალვითა და მოწიდაობით უნდობლად ვეებერთელა იმპერიას, რომელშიაც 400 მილიონზედ მეტი მცხოვრებია. მაგრამ ინგლისთან და საფრანგეთთან შეტაკებამ გამოამუღუნა, რამდენად სუსტ სამხრეთულ-ზედ იყო აშენებული აზიის დიდებულ სასკელმწიფოს ძალა და სახელი: განათლებული ევროპის პატარა სასკელმწიფოებმა მეტად ადვილად დაამარცხეს აზიის კოლოსი. ჩინელთა ნაციონალური ამპარტანება შებღალულ იქმნა და ბეკრი მამულისშვილი დაფიქრდა და შეუდგა იმ მიზნების გამოარკვევას, რომელთა წყალობით ასე მოულოდნელად დამცირებულ იქმნა ქვეყანა.

უფრო მეტად დაფიქრს ჩინელები იაპონიის გამარჯვებამ: მათ წინ ცხადი მაგალითი იყო იმისა, თუ რა სასწაული შეუძლია მოქმედოს ევროპის კულტურამ. ჩინეთის საზოგადოების მოწინავე რაზმმა ნათლად დაინახა, რომ სასკელმწიფოს წესწყობილებაში ძირითადი რეფორმები უნდა იქმნას მოსდენილი. ესლა ჩინეთის ვებერთელა ტერიტორია დაუფიქრდა 19 პროვინციად, რომელთაც მართავს 8 ვიცე-გოროლი. ყოველი ვიცე-გოროლი თითქმის მეფეა თავის სამფლობელოში; მის ბრძანების ქვეშ არის აუარებელი რიცხვი მოსკელებისა (მანდარინებისა). ვიცე-გოროლი და ურიცხვი ჯარი მანდარინებისა ერთის მხრით და, — ხალხი, ყოველს უფლებას მოკლებული, მეორის მხრით — აი საზოგადოებრივი ელემენტები ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში! პირველი ჰყვლეუს და ავიროებს მეორეს; მეორე მწარე ოფელსა ღვრის მუდმივს მუშაობაში და არ იცის, რა ეგუთვნის ნაშრომ-ნამოღვაწისაგან მას და რას წაიღებს გაუმძღარი მანდარინი! დრო-გამოშვებით ჩინეთის ისტორიაშიც უფიქრდა უბედურის ხალხის აჯანყება სხვა-და-სხვა საიდუმლო საზოგადოებათა წაქეზებით, მაგრამ ამ აჯანყებას არავითარი შედეგი არ მოჰყუდა ის ხოლმე, რადგანაც ჩინეთის ერში არ არსებობდა ისეთი შეგნებელი ელემენტი, ისეთი კლასი, რომელსაც შესძლებოდა პოლიტიკური ცვლილება განხორციელებინა. მხოლოდ ამ საუგუნის დამლეუს, ევროპის ზედგავლენით, იწყება საჭირო დიფერენცია



ჩინეთის კრში, ირღვევა ძველებური სოციალური საძირკველი ჩინეთისა და მასვე მოჭყება ზედ აშენებული კედლების დასრულება-დაძნობაც.

რეფორმათა შემოღების საჭიროებას გრძნობს ახლა ჩინეთში ბევრი, უმთავრესად სამხრეთ ქალაქებში. იქ აღორძინდა ესლასაიდუმლო საზოგადოებათა მოღვაწეობა: კოლაუსუ და ტიუნტისუ. პირველს საზოგადოებას—«კოლაუსს» (ძმური კავშირი)—მიზნად აქვს დაამხოს ჩინეთის ახლანდელი სამეფო სახლი მანჯურთა შთამომავლობისა და გაძეფოს ვინმე ჩინელი. ამ საიდუმლო საზოგადოების წევრთა აზრით, ჩინეთში მხოლოდ მაშინ აღორძინდება ცხოვრება, როდესაც მანჯურთა ბატონობას მოკლება ბოლო. მეორე საიდუმლო საზოგადოება კომუნისტური პრინციპების მიმდევარია. მის წევრებს მიზნად აქვთ ჯერ დაამხონ მანჯურთა დინასტია და ესლანდელი სახელმწიფო წესწობილება და შემდეგ შემოიღონ პოლიტიკური და სოციალური რეფორმები. ეს საზოგადოებანი ძალიან მძლავრი და გავრცელებულნი არიან ამ უმად ჩინეთში და უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში მომხდარი აქ-იქ აჯანყება მათის მოღვაწეობის შედეგია... რეფორმების საჭიროებას ახლა ჩინეთში მარტო საიდუმლო საზოგადოებანი კი არ ქადაგებენ, თვით მანდარინებშიც არიან განათლებულნი პირნი, რომელნიც მსურველ მომხრენი არიან სახელმწიფოს განათლებისა. მათი მერყადინებობით შარშან ჩინეთში მოხდა შესანიშნავი ამბავი, რომელმაც მიიპყრო მთელის განათლებულის ქვეყნის ურდადლება.

როდესაც გერმანიის გუბებმა ნაკთ-სადგური კიაო-ჩაო დაიპყრეს, რუსეთმა მაშინვე გამოეცხადა ბოგდისანის მთავრობას თავისი განზრახვა პორტ-არტურისა და ტალიენკანის დროებით დაპყრობისა. ამ ამბავმა მეტად დააღონა ჩინეთის მთავრობა და ის, ინგლისის წაქეზებით, მხად იყო უარი ეთქვა რუსეთისათვის. მაგრამ რუსეთის მხარე დააჭირა მძლავრმა და გაკლენიანმა ვიცე-კონსულმა ლისუნანგმა, და ჩინეთმა თანხმობა გამოაცხადა. რუსეთის მიერ ხსენებულის ნაკთ-სადგურების დაპყრობას თან მოჭყება, როგორც იციან მკითხველდამა, კეი-საი-კეის დაჭერა ინგლისულთაგან. კერძის სახელმწიფოთა ამგვარმა მტაცებლობამ დიდი უკმა-



ყოფილება დაჭაბდა ჩინეთის ერში. საზოგადოება ხმა-მაღლა დრტყინავდა და ქვეყნის დამცირებას აბრძობდა მთავრობას. ამ საზოგადოებრივ მოღვაწეობებში მიაღწია თვით ახალგაზრდა იმპერატორის ურამდინანც. იმპერატორი ბოლოს დროს თვითონაც არ იყო გამაფრთხილები საქმეთა მდგომარეობით და რაკი გაიგო, რომ ქვეყნის ჩივისო, მიჭმარათა ჩინურ პრეზიდენტისა პარტიის მომხრე მანდარინებს. უკანასკნელებმა მიუთითეს ბოგდინს ახალგაზრდა კანგ-იუმიზე, როგორც იმგვარ მოღვაწეზე, რომელსაც შეუძლია ჩინეთის ხსნა და აღდგინება. დაეცა ლი-ხუნ-ჩანგის გავლენა და სასახლეში ამაღლდა ახალგაზრდა პრეზიდენტი კანგ-იუმი. ამან მაშინვე აუხსნა იმპერატორს, თუ რაში მდგომარეობს ჩინეთის სისუსტე და რით სჯობნიან ჩინელებს კერძოებლებს; აუწერა მას, როგორ გაძლიერდნენ იაპონელები კერძოებულ გულტურის შეთვისებით და სწავლა-განათლების გაძლიერებით. ამასთანავე კანგ-იუმენმა წარუდგინა იმპერატორს კრძელი პრექტი სხვა-და-სხვა რეფორმებისა. ბოგდინსმა პრექტი მოიწონა და მაშინვე შეუდგა მას განხორციელებას... გრძელად მიღს ჩვეული ჩინელები გააცვიფრა იმპერატორის ედიქტებში: არ გადაიღა დღე, რომ არ გამოეხილა ბრძანება, რომლითაც იმპერატორი გამოხატავდა რომელიმე ძველს კანონს ან ჩვეულებას და აკანონებდა ახალს. ერთი მუჭა ახალთაობა აღტაცებით მიეგება ახალს ხანას. ხუნანში და კანტონში დააარსდნენ პოლიტიკური საზოგადოებანი, რომელთა მიზნად გახდა რეფორმების დაცვა და გაძლიერება. ინგლისელები და იაპონელები თანაგრძობით მიეგებნენ იმპერატორის განზრახვას და რამდენადაც შესაძლებელი იყო ხელს უწყობდნენ პრეზიდენტებს.

საქმეთა ამგვარ მიმართულებში მკრთალ დააფრთხილა ჩინეთის ძველი თაობა. აღელდა ურინცხვი ჯარის მანდარინებისა, რომელთაც კარგად იგრძნეს, რომ რეფორმების დამყარება ნიშნავდა მათი ბატონობისა და ნაკრძობის დამხობას. რეაქციის სათავეში ჩადგნენ მინისტრები, ცუნგ-ლი-ამენის წევრები, გავლენიანი კარის-კაცნი, ერთის სიტყვით—ყველა, ვინც ვი დაინტერესებულა იყო ძველის წესწილობილების შენახვაში!... ცხადია, ვის უნდა გაემარჯვა ამ ბრძოლაში: ჩინეთში ჯერ არ არსებობს ისეთი შეგნებულა საზოგადოე-



ბრვი ელემენტი, რომელსაც შეუძლია თავი გამოადგას რეფორმების ბისათვის და მხარი დაუჭიროს ერთ მუქა პროგრესისტებს — იდეოლოგებს. უკანასკნელნი დამარცხდნენ; საბრალე კანგ-იუმი ძლივს გადაურჩა სიკვდილით დასჯას და გაიქცა სამშობლოდან. ხანჯაზდა იმპერატორს ჩამოართვეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე და უოკელივე ჩაიხარა მოხუცებულმა ქვრივმა იმპერატრიცამ. უკანასკნელმა მაშინვე გააუქმა ბოგდისანის მიერ გამოცემული კანონები... ამრიგად დასრულდა მოკლე ხანა ჩინეთის ლიბერალიზმის ბატონობისა!...

რასაკვირველია, რეფორმების ეს დამარცხება სრულიადაც არ ნიშნავს ჩინეთის აღორძინების შეჩერებას. ეკროზსთან დახლოება და კატროზ-მრეწველობის გაძლიერება ძირიანად სტკლან ჩინეთის ეკონომიურს წესწეობილებას, და მით ორმო ეთხრება მთელს ძველს სისტემასა და კულტურას. რაც უფრო მალე მოხდება ჩინეთის გაკროზიება, მით უმჯობესია მისთვის — უმჯობესია იმიტომ, რომ ამ ყამად მას დიდი განსაცდელი მოადგა კარს. ეკროზის სახელმწიფოებმა მეტად მძლავრი იერიში მიიტანეს მასზე და ბოლოს დროს და მკრად ჩასტიდეს ხელი აქა-იქ მის სამიფლობლოს. მიუხედავად იმისა, რომ უოკელმა მძლავრმა სახელმწიფომ უკვე იგდო ხელში ესა თუ ის გემრიელი ლუკმა ჩინეთის თვალ-გადაუწევენელ სამიფლობლოდან, ეკროზიენი კერ გამაძლარან და ლამის სრულიად ჩანთქან დაჩაგრული ქვეყანა. იგი ამ ყამად გარშემოტემულია მძლავრი მეზობლებით: სამხრეთით მას საზღვრავს საფრანგეთის ან-ნამი და ინგლისის ბირმა, დასავლეთით ინდოეთი, ჩრდილოეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით — რუსეთი; წყნარ ოკეანეს ბატონობენ ინგლისი, იპონია, რუსეთი, საფრანგეთი და ესლახან მათ მიემატა გერმანიის და ამერიკის შეერთებული შტატები (თელიანეს კუნძულები)... შეუძლებს თუ არა ჩინეთი წინააღმდეგობას? დაიცავს თავის ზოლიტიკურს დამოუკიდებულობას, თუ განაწილებულ იქმნება მტერთაგან? ამ საინტერესო საკითხებზე გადაჭრილის პასუხის თქმა ძნელია, რასაკვირველია. უოკელივე დამოკიდებულის იმაზე, თუ როგორ წავა სახელმწიფოს შინაური საქმეები. თუ საჭირო რადიკალური რეფორმები მალე იქმნა შემოღებული,

ერი გაღიანიერდება და ადვილად მოიგერებს მტრებს; ახლანდელი დასავსებულნი წეს-წესობილება კი კერ შესძლებს გარეშე მტრების მოგერებასა და დიდს განსაზღვრულში ჩაგდებას ქვეყანას... ჩინეთის საბედნიეროდ, მის აძენი ხნის გამაგრებას სელს უწუბს მტრება და ქიშხობა, რომელიც ჰსუფიქს შორეულს აღმოსავლეთში დიდ სასელმწიფოთა შორის. მაგრამ ვინ იცის? შესაძლებელია მოცილე სასელმწიფოებმა შეიმუშაონ რაიმე *modus vivendi*, რაქნაირად მორიგდნენ და მასინ რაღა დაუშლის მათ, რომ განაწილონ «ძმურად» ჩინეთი, ისე როგორც თავის დროსე განაწილეს ზოლონეთი ზრუსსიამ, აესტრიაში და რუსეთში! ამიტომ ერთად-ერთი ხსნა ჩინეთისათვის არის გაძლიერება შინ, განვითარება შინაურის ძალებისა, და რეფორმების შემოღება იანპონიასაკით.

კერძის უმთავრეს სასელმწიფოთა ურთიერთშორის უთანხმდება შეღავათს აძლევს არა მარტო ჩინეთს, არამედ ოსმალეთსაც. ამ სასელმწიფოთს თანდათან შორდება სხვა-და-სხვა ნაწილები, უმთავრესად ქრისტიანეთაგან დასახლებული. ზოგი ამ ნაწილებისა სრულდამოუკიდებლობას იძენს, ზოგიც «დროებით» სხვა რომელიმე სასელმწიფოთს მიჭკედლებია. ამრიგად განშორდნენ ოსმალეთს: სერბია, ბულგარია, აღმოსავლეთ-რუმელია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ეგვიპტე, კრიტი და სხვანი. დღემდის ოსმალეთს განშორდებოდნენ სხვა ნაწილებიც და თვით ზორტის ბატონობასაც ბოლო მოეღებოდა კერძაში, რომ სასელმწიფოთ არ აშინებდეს არეულობა და საერთო შეტაკება. ეს გარემოება არაფრად მიანხიათ თვით დამონაგუბულს ერებს და ისინი დრო-გამოშვებით იღებენ სელში იარაღს და იწუებენ ბრძოლას თავისუფლებისათვის.

წელს ბრძოლის დროშის აფრიალების ჯერი, როგორც სჩანს, მაკედონიას სვდა. კრიტის მაგალითით წაქეზებულმა მაკედონელებმაც აღამალეს ხმა. ჯერ მათ რეფორმების შესახებ დაიწვეს ღაზარაკი და ბოლოს დროს კი აკტონომიასედაც გადავიდნენ. კრიტის შეღარბით, მაკედონია უფრო ცუდს შირობებშია ჩაყენებული. მასინ როდესაც კრიტსე უმეტესობას შეადგენენ ბერძენნი და უმცირესობას ოსმალნი, მაკედონიაში ერთმანერთს ებრძვის სხვა-და-სხვა



ერი. აქ სცნოკრებენ ბერძნები, ბულგარები, სერბიულენბი, მალნი და სსკა; ამიტომაც მკედონიას სელს უზოტინებს თითქმის ეკელა სსხელმწიფო ბალკანეთის ნსხკარ-კუნძულდე. გასეთების სიტუეით, მკედონიაში ამ უამდ დიდი აგიტაცია და მსადებაა რძისათვის. ერის მეთაურებს ამ მოკლე სანში დაბეჭდეს თავისი ბრკლამაცია, დაასლოკებით შემდეგის შინაარსისა: მკედონიას, რძელიც შეიცავს სალონიკისა, მონასტრისა, აღრიანზოლისა და უსკიუბის ვილაეტებს, უნდა მიენიჭოს სრული ავტონომია; ამ ავტონომიურ ბრკინციას მმართველად ერი თვით აირჩევს ყოველ 5 წელიწადში გუბერნატორს; უკანასკნელს დახმარებას აღმოუჩენს მართვა-გამკებაში სენატი, რომლის წევრებსაც ირჩევს ერი; მკედონიის დედა-ქალაქად აღიარებულ უნდა იქმნას სოლონიკი. მკედონელთ მძრბობას ცუდის თვალთ შესედეს რუსეთისა და ავსტრუნგრეთის მთავრობამ. რუსეთის «მთავრობის უწყებაში» დაბეჭდილი იყო მთავრობის განცხადება, რომლითაც ის სსსტიკად ჰბიტსკდა მკედონელთ და ურჩევდა მშვიდობიანად ყოფნას. ამკედონის ავსტრიისა და რუსეთის ელჩებს კოსტანტინებოლში გამოყვსადეს სულთანის მთავრობას, რომ სსენებულნი სსხელმწიფონი ყოველგვარ სსშუალებას მიჰმართავენ და ბალკანეთის ნსხკარ-კუნძულზე მშვიდობიანობას არაკის დაარღვევინებენ. მიუხედავად ამკვარის ენერგიული განცხადებისა, არც მკედონია, არც რსმალეთი. შიარბლებას არ აჩერებს. გასულ კვირას რსმალეთმა გაგზავნა ჯარები მკედონიაში და მალე გაგზავნის სსკა-და-სსკა იარბლს და სარმარ სურსათს. თავის მხრით მკედონიას ფარულად უგზავნიან იარბლს ბულგარიდნ.

ამრიგად, შესამლებელია, რომ ამ მოკლე სანში ბალკანეთის ნსხკარ-კუნძულზე იფეთქოს აჯანყებამ და კერობის სსხელმწიფოთ კელაზ გაუნდეს რსმალეთში სდაკიდაარბო და ძნელი სსქმე.

—

ამ უამდ კერობის ყურნალ-გასეთობას განცხარებული ბასი აქვს მშვიდობიანობის კონფერენციის შესსკე. კონფერენციის მოწვევის შესსკე რუსეთის მთავრობამ 30 დეკემბერს გაუგზავნა ეველა უცხო სსხელმწიფოებს სსალი ცირკულიარი, რომელმაც მიიქცია

მთელის ეკროზის უურადლება. 12 აგვისტოს გამოცემული დეკლარაცია მარტავდა საკითხს შრინციპიალურად, ხოლო 30 დეკემბრის ცირკულიარი ესება საზნის პრაქტიკულ მხარეებს. დეკლარაცია ჰგომბდა მილიტარიზმს და ურჩევდა სახელმწიფოთ — შეეჩერათ შეიარაღება და ჯარების ზრდაო, ცირკულიარი კი აღნიშნავს იმ საგნებს, რომელნიც უნდა განისილას მომავალმა კონფერენციამ... თავდაპირველად ჩვენი მთავრობის ახალი ცირკულიარი აცხადებს — ჩვენი დეკლარაცია ყველას სახელმწიფოებმა დადის თანაგრძნობით მიიღო, ყველას თანახმა არის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოგზავნოს წარმომადგენლები და განსაჯოს, თუ როგორ და რა გზით შეიძლება მილიტარიზმის მიმე უღელის შემსუბუქებაო. მაგრამ, განაგრძობს ცირკულიარი, მიუხედავად ამ საერთო თანაგრძნობისა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სახელმწიფო თანახმაა შეეჩეროს შეიარაღება, — არსოდაეს ასე ენერგიულად და სიჩქარით არ ცდილას ყოველი სახელმწიფო კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი ჯარები, როგორც ესლას. რუსეთის მთავრობა მინც არ ჰგარტავს იმედს, რომ მის მიერ მოწოდებულს კონფერენციას სასარგებლო პრაქტიკული შედეგი მოჰყვება და საჭიროდ სთვლის აღნიშნოს კომფერენციის საგანი: ა) დაუფონებლევ უნდა მოიძებნოს, ამბობს ცირკულიარი, საშუალებანი, რომელთა შემწეობით შეიძლება დეს ხმელეთის ჯარებისა და ფლოტის მომარტების შეჩერება ამერიდან და ბ) უნდა აღნიშნოს საშუალებანი, რომელთა შემწეობით შეიძლება დეს სახელმწიფოთა შორის მომხდარის უთანხმოებისა და შეტაკების აცდენა უომრად. განმარტავს რა დაწვრილებით ამ ორს მუხლს, ცირკულიარი დასასრულ ამბობს, რომ კონფერენცია არ შეუდგება სახელმწიფოთა შორის ახლანდელ პოლიტიკურ განწყობილების გარჩევასა და სხვა-და-სხვა საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხების გარდაწვეტას. ეს უგანასკნელი განმარტება შეტად საუურადლებოა, იმიტომ რომ ბერს ეგონა — კონფერენცია თავის მიზნის მისაღწევად იმულებული იქმნება შეესოს და ვარდასწვიტოს ისეთი რთული პოლიტიკური საკითხები, როგორც ელზას-ლორენისა, აღმოსავლეთისა, ეგვიპტისა, შორეულ-აღმოსავლეთისა და სხვათა. ამ შემთხვევაში, ეტვი არ არის, კონფერენცია უნაყოფოდ ჩაიკლიდა,

რადგანაც ამ ძნელ საკითხთა გარდაწყვეტისთვის ჯერ დრო არ და-
 მდგარა.

შუუძლია თუ არა მომავალს კონფერენციას აღსარულს ის
 მოლოდინი, რომელიც მან აღძრა ევროპის განათლებულ საზოგა-
 დოებაში? ნუ-თუ მართლა განსორცთველებულ იქნება მრავალ ჭეშმა-
 ნისტთა ოცნებანი, რომ ცოტათი მაინც შემსუბუქდეს მილიტარიზ-
 მის მეტად ძნელი უღელი? არაგინ, რასაკვირველია, არ მოკლეს,
 რომ კონფერენცია დაამსობს სრულიად და სიმუდამოდ მილიტა-
 რიზმს. სახელმწიფოს დღევანდელი წეს-წყობილება და ახლანდელი
 სოციალური ვითარება იმგვარები არიან, რომ მილიტარიზმი აუცი-
 ლებელ საჭიროებად ხდება. ევროპის სახელმწიფოთა მრეწველობა
 ჭქმნის აუარებელ სიმდიდრეს, აუარებელ ნაწარმოებს, რომელსაც გა-
 სადება უნდა, რომლისთვის ფართო ბაზარია საჭირო. ამიტომ ევ-
 როპის ყოველ სახელმწიფოს კოლონიები აქვს მოპოვებული და
 ამას გარდა ყოველ დღე ახალ-ახალ ბაზარს ეძებს. ძველ კოლონი-
 ბისა და, საერთოდ, მსოფლიო ბაზარზე თავის მდგომარეობის და-
 ცვისათვის ახლანდელს სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჭეკადეს
 მძლავრი მხედრობა, თორემ კონფერენცია აბუხანდ აიგდებს, წაარ-
 თმევს მსოფლიო ბაზარზე ადგილს და ამით მოუსპობს სიცო-
 ცხლეს. ინდუსტრიალურ-ინდოვიდუალური წეს-წყობილება ახლანდ-
 ლის სახელმწიფოსათვის თავის დაცვისათვის და განვითარებისათვის
 საჭიროებს მილიტარიზმს და ამიტომ, სხნამ ამგვარი სოციალური
 წყობილება იქნება, მანამდის მილიტარიზმის სრულიად მოსპობაზე
 თქირი უბრალო ოცნება იქნება. ამასვე აღიარებს რუსეთის მთავრო-
 ბის დეკლარაცია და ამბობს, რომ კონფერენციამ უნდა იზრუნოს
 შეიარაღების შეხერხებაზე, მხედრობის შემცირებაზე, რამდენადაც ეს
 შესაძლებელია („О возможном сокращении тяготѣющихъ надъ
 всеми народами чрезмѣрныхъ вооруженій“). ამ საჭირო დამა-
 ტებით რუსეთის მთავრობის წინადადება პრაქტიკულ ნიადაგზე ამ-
 ყარებს მილიტარიზმთან ბრძოლის საქმეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც
 მას ბევრი დაბრკოლება გადაეღობება წინ.

უმთავრესი დაბრკოლება ის არის, რომ მეტად ძნელი გარდასაწყვე-
 ტია, რომელ სახელმწიფოს რამდენი ჯარი უნდა ეყოლოს. თვითუ-

უდი სახელმწიფო განსხვავდება სიკრძით, ცხოვრებას რაოდენობით, გეოგრაფიული მდებარეობით და სხვა; ამ გარემოებათა მიხედვით ერთ სახელმწიფოს მეტი ჯარი სჭირია, მეორეს ნაკლები, მაგრამ ვის შეუძლია აღნიშნოს ის საზღვარი, რომელზედაც უნდა შეზღუდეს ეს თუ ის სახელმწიფო შეიარაღების საქმეში? 30 დეკემბრის ცირკულარი ამბობს, რომ ყოველი სახელმწიფო დამაყოფილდეს მხედრობის იმ რაოდენობით, რომელიც ამ უმად ჭეკოს მას. მაგრამ ვინ უნდა დააჯეროს, მაგალითად, გერმანია ან საფრანგეთი, რომ მათთვის საკმარისია სწორედ იმდენი ჯარი, რამდენიც დღეს ჭეკოთ მათ? რომ არცერთი სახელმწიფო არ სთვლის საკმარისად არსებულს რაოდენობას ჯარისას მტკიცდება, სხვათა შორის, იმ სისწრაფით და ენერგიით, რომელითაც ამ უმად სახელმწიფო თავის მხედრობას აძლიერებს. ინგლისი და ამერიკა ამტკიცებენ, რომ ისინი დღემდის ცოტა უურადლებას აქცევენ ხმელეთის ჯარს და ამიტომ ახლა აპირებენ ამ საგანზე ზრუნვას; ახლანა ამბობს, რომ ის მხლელად ახლა იწყებს შეიარაღებას, რადგანაც უკანასკნელ დრომდე შეინაურ საქმეებით იყო გატარებული; თავის მხრით გერმანია გაიძახის, მე ისეთი საშისი გეოგრაფიული მდებარეობა მიჭირავს, იმდენი გაუთავებელი ანგარიშები მაქვს მუზობლებთან და ახლად შეერთებულ იმპერიის ნაწილები ჯერ-ჯერობით იმდენად კარგად ვერ აჩიან შეკავშირებულნი, რომ იმულებული ვარ კიდევ მოუწყობო ჯარების რიცხვსა, და მართლაც უმატებს ამ უმად... ვის შეუძლია შეაჩეროს ეს სახელმწიფოები და დააჯეროს ისინი, რომ მათთვის აღარ არის საჭირო მხედრობის გაძლიერება? შესაძლებელია, სახელმწიფოებმა პირობა შეჭრან კონთერენციაზე, ნუღარ ვინმართ რძის დროს ამა და ამ ამოთქებულ მასალას, (რუსეთის ცირკულარის მე-3 მუხლი), ნუღარ ვისარგებლებთ წყლის ქვეშისაღი გემებით (მე-4 მუხლი), დაკავშირებული თაფ-იარაღის იმ სისტემით, რომელიც ამ უმად გვაქვს და ნუღარ შევსცვლით მას, თუ ვინიცობა ტენიკამ გაუთავებეს აწ არსებული სისტემა (მე-2 მუხლი); შესაძლებელია აგრეთვე, სახელმწიფოებმა შეიმუშაონ წეს-რიგი საერთაშორისო სამედიცინო სასამართლოსი (მე-8 მუხლი ცირკულარისა), მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, კერძა დათანხმდეს



მხედრობის თან-და-თანობით შემცირებაზე (მუხლი პირველი ტომ-
კულარისა—О постепенномъ сокращении вооруженныхъ силъ
и бюджетовъ)...

როგორც ისმის, კონფერენცია მოხდება მარტში და მაშინ
გნახავთ—რა პრაქტიკული შედეგი მოჭეუება მას; რაც უნდა მცირე
იქმნეს ეს შედეგი, კონფერენციის წინაგზაზე-პრინციპიალური მნი-
შეუვალად დიდი იქმნება მაინც. დღემდის ჯარებისა და სამხედრო
ხარჯების შემცირებაზე სჯავსასი უბრალო დროს დაკარგვა იყო და
შეჭეუვრდა მხოლოდ ფუტკო ცნებათა მოყვარულს ადამიანს, დღეის
იქით კი ამ საკანზე წარუგვა უბრალო ლაშაკავი კი არ იქნება, არამედ
სახელმწიფოთა პრაქტიკულ საქმედ შეიქნება... ესეც დიდი გამარჯვ-
ბას ჭეუძინისმისა და კაცთ-მოყვარეობისა ჩვენს დროში!

—

საფრანგეთი ისევე დედაკასა და შოფოთავაში! ყოველ დღე ახალ-
ახალი და უნაურო ამბები მოდის. აღარ ედება ბოლო მეტად მხელ-
სა და უბედურს საქმეს, რომელიც ორი წელიწადის აწესებს ქვეყ-
ნის და რომლის მეორებით, ვინ იცის, რა განსაცდელი მოეღოს
მრავალ-ტანჯულ ერს!...

მას შემდეგ, რაც დრეიფუსის საქმე საკასაციო პალატას გარ-
დასცა რადიკალთა სამინისტრომ, ბევრს იმედი მიეცა—ამიერიდან
ქვეყნის დამშვიდდება, რადგანაც ყველასა სწამს, რომ საფრანგეთის
უმთავრესი სასამართლო პირუთენელად, მიუდგომლად და შეუცდომ-
ლად გარდასწევს საქმეს. მაგრამ, საუბედუროდ, ქვეყნის დამშვი-
დების იმედი მალე გაცრუდა! როგორც კი გავრცელდა ხმა, რომ
საკასაციო პალატა თანდათან რწმუნდება, დრეიფუსი დამნაშავე არ
არის, რეაქციონერებმა მაშინვე დაიწყეს თავისი უგუნური და ქვეყ-
ნის დამღუბველი ბრძოლა. დეპუტატთა პალატაში, გაცეთეში, სა-
ზოგადოებაში რეაქციონერები ავრცელებდენ სხვა-და-სხვა ჭორობს
საკასაციო პალატის წევრების შესახებ. მაგრამ როდესაც დაინახეს,
რომ საზოგადოება დიდის ნდობით უნჭერის საფრანგეთის უმთავ-
რესს სამოსამართლო დაწესებულებას, მათ ყოველი დონისძიება
ინმარეს და თვით საკასაციო პალატის წევრთა შორის ჩამოაგდეს
განსეთქილება: პალატის ერთ-ერთ წევრმა—კენე-დე-ბორეპერმა—წე-

რადიკალიზაციის გამოწვევასა და საბინისტრის, რომ მას აქვს ხელში ფაქტები, რომელიც ამტკიცებს ზოგიერთ მოსამართლეთა პირმართობას დრეიფტის სექტორში, რომ მოსამართლეთ წინდაწინვე ქტანდათ განზრახული დრეიფტის გამართლება, რომ ისინი პოლიტიკით ხელმძღვანელებენ და სხვა; სხვათა შორის ეს იმით მტკიცდება, რომ მოსამართლენი მეტად მეგობრულად ექცევიან პიკარს, რომელიც სამხედრო მთავრობის მიერ სამართალშია მიტოვებული. ამ განცხადებამ მეტად ააღიარა საზოგადოება. საუკეთესო მისი ნაწილი ნათლად ხედავდა, რომ ეს გამოლაშქრება რეაქციონერთა ახალი რინის და სხვა არაფერი და უჩველად მთავრობას ნუ აქცევს ურადლებას არა სინდიკატურ დაბეზლებასა. უმთავრეს შტაბის მომხრეებმა კი მშინვე კიჟინა დასტეს, რომ მოსამართლენი საუკუნის არიან, ამიერიდან მათ განაჩენს არავითარი ძალა აღარ ექნება ქვეყნის თვალში და ამიტომ დრეიფტის სექტორ ისევე სამხედრო (!) სასამართლოს უნდა გადაეცეს. დიუხუის საბინისტრამ დანიშნა გამომეხა, რომელიც ამ დღეებში დასრულდა და რომელიც დაამტკიცა, რომ პალატის სამი წევრი—ლევი, ბარდი და მანო, რომელთაც ამტყუნებდა კენე-დე-ბორეპერი, არასფერში დამნაშავენი არ არიან. მიუხედავად ამისა მთავრობამ უფრო ათხოვა რეაქციონერთა დღადს და დეპუტატთა პალატას წარუდგინა კანონ-პროექტი, რომელიც პალატამ უკვე შეიწინარა და ამით უფრო გამწვავა ბრძოლა. აი რაში მდგომარეობს ახალი კანონ-პროექტი: საკასაციო პალატა შესდგება სამის განყოფილებისგან: სისხლის სამართლის განყოფილება, სამოქალაქო სექტორთა განყოფილება და არმთა მიმღები განყოფილება. დრეიფტის სექტორ, როგორც კანონი მოითხოვდა, გადაეცა სისხლის სამართლის განყოფილებას. რაკი ამ განყოფილების წინააღმდეგ გაილაშქრეს რეაქციონერთა ძალებმა, მთავრობამ მოიწადინა—როგორც გამოკლებულ დრეიფტის სექტორს სხენებულს განყოფილებას. ამისთვის მან შეიმუშავა ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალით ამიერიდან უკველი რთული საკასაციო სექტორ განხილულ უნდა იქნეს საკასაციო პალატის სამივე განყოფილებათა მიერ ერთად. კანონ-პროექტმა დიდად ააღიარა რადიკალები და სოციალისტები, რომელიც ნათლად ხედავენ, რომ მთავრობას რეაქ-



ციონერთა მხარე უჭირავს და თუ ესაა დაუთმო მათ, კიდევ უფრო ბევრს დაუთმობს, რითაც განსაცდელში ჩაყენებს რესპუბლიკას. სამაგიეროდ რეაქციონერები განსარებულნი არიან და მათ ისევე მიეცათ იმედი გამარჯვებისა. მათი გამარჯვება კი არაფერს კარგს არ უჭადის საფრანგეთს. სულად ესუთება გაცს და გული უწყისს, როდესაც კითხულობს ამბებს საოცარის განგაშისას, რომელიც ჰსწევს დღეს ჰარისში! ამ დღეებში მრავალამ შეკრებილებამ დიდი მანიფესტაცია მოახდინა რესპუბლიკის წინააღმდეგ. სარა ბრნარის თეატრში არდგენდნენ ისტორიულს ჰეისას «რომის მეფეს». ჰეისაში ნაზოლენია გამოყვანილი და აი ამით ისარგებლა საზოგადოებამ და შექმნა ყვირილი: დამსობა რესპუბლიკასაო! გაუმარჯოს ნაზოლენ მესუთეს, გაუმარჯოს იმპერიასო! რამდენამე დამსწრემ პროტესტი გამოაცხადა მანიფესტაციის წინააღმდეგ, მაგრამ საზოგადოებამ სმა ჩააწვეკტინა მათ. მართალია, თეატრში არისტოკრატია იყო მსოფლიდ, მაგრამ ასეთი აშკარა გამოლასქრება რესპუბლიკის წინააღმდეგ არაფერს კარგს არ მოასწავებს და მხევენებულის იმისა, რომ მრავალ-ტანჯული ქვეყანა დიდს განსაცდელშია.

ღალი.

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1. სიტყვიერების თეორია, სალიტერატურო ნიმუშებს დამატებით.—შედგ. ანხიმ. კირიონისა და გრ. ვიფშიძის-მიერ ტფილისი 1898 წ. ფასი 1 მან.

2. საქართველოაჲს ძველ დროის იახგადასახვადი, ლექსად დაწერილი.—გამოცემა ლევ. დ. დამბაშიძისა. ქუთაისი. ფასი 40 კ.

3. ბენია. ქართველი მუფუკების სუძანა.—გამოც. ა. ბაქრაძისა № 1. ტფილისი. ფასი ორი შუერი.

4. ქართველ კათოლიკეთა შესახებ.—ბ. იზაშვილისა, გამოც. ფ. ჭიჭინაძისა. ტფილისი. ფასი ორი შუერი.

5. კათოლიკენი საქართველოში.—ლ. ისარლიშვილისა, გამოც. ფ. ჭიჭინაძისა. ტფილისი. ფასი ორი შუერი.

6. ცხორება ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსა.—გამოც. შოროზ. რ. ბარამაძისგან. ტფილისი. ფასი ერთი შუერი.

7. ცხორება ღირსისა თეოდორა ჯღექსანდრიელისა.—შეორე გამოც. შოროზ. რ. ბარამაძისა. ტფილისი. ფასი 5 კახ.

8. ბერანუე.—ქართულად თარგმანი გ. გვაზავასი. ტფილისი. ფასი ორი ახაზი.

9. Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью — Георгія Церетели. Изъ VII выпуска Московскаго Археологическаго Общества. 1898 г. (стр. 34).

ისტორიული ნარკვევი

ანუ

ძრისტომეათია სამართველოს ისტორიისათვის

შედგენილი

ალექსანდრე ჭეონიასკან

მოწონებულა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დანიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების ძალაზიაში

ახალი ქართული წიგნი

სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალაკერდის კპისკოპოსის კარიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაი-
ბარონ ამ აღრესით: Тифлись. Книжный магазинъ Общества
грамотности.

„ი ვ ე რ ი ა“



გამოვა 1899 წელსაც

იმავმ პროგრამით, როგორც წინაღ.

ფასა გაზეთისა:

12 თვით	10 მ. — კ.		6 თვით	6 მ. — კ.
11 "	9 " 50 "		5 "	5 " 50 "
10 "	8 " 75 "		4 "	4 " 75 "
9 "	8 " — "		3 "	3 " 50 "
8 "	7 " 25 "		2 "	2 " 75 "
7 "	6 " 50 "		1 "	1 " 50 "

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.

შეღვათა წლიურ ხელის-მომწერთათვის:

ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილის გარეშე აღრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

ფასი განცხადებისა:

შეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ..

გაზეთის დაბარება შეიძლება შექმდვის ადრესით:

ტფილისი, „ივერიის“ რედაქციას ნიკოლოზის ქ., № 21. და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ. სასახლის ქ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარეხსლა.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდგვის ადრესით:

ТИФЛИСЬ. Редакція „ИВЕРΙΑ.“

ტელეფონი № 227.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძემ.



ყოველ დღეურა გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

გამოვა 1899 წელსაც.

გაზეთი ღირს ყველა ნობათებთ

ერთის წლით . . . 6 მან. || ერთის თვით, . . . 60 კაპ.
ნახევარის წლით . . . 4 მან. || ცალკე ნომერი . . . 3 კაპ.
სოფლის მასწავლებელთ გაზეთი დაეთმობათ 5 მანეთად

წლიურ ხელის მომწერთა ნობათი

თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი

მკასტარინა გავაუვილისა

ამ საუცხოო ნობათის გარდა წლიურ ხელის მომწერთ
დრო-გამოშვებით წლის განმავლობაში დაურიგდებათ

პატარა-პატარა წიგნაკები

სხვა-და-სხვა საინტერესო შინაარსისა.

კალენდარი 1899 წლისათვის

სურათებიანი და ფერადი წამლებით დასტამბული

შეღავათან ხელის-მომწერთათვის

ხელის-მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულიად შემოტანა
უძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის-მოწერის დროს
2 მან. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვედათვე თითო მანათი, ვი-
დრე წლის ფასს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію газеты
„Цнобисъ-Пурцели“, Дворцовая ул.

რედაქტორ-გამომცემელი ვახუშტაძე გუნაა.

„მ წ ყ ე მ ს“ - ზე

და რუსულ

„П А С Т Ы Р Ъ“ - ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მ წ ყ ე მ სი“	3 მ.	6 თვით „მ წ ყ ე მ სი“	2 მ.
— „ რუსული	3 მ.	— „ რუსული	2 მ.
— „ ორივე გამოცემა	5 „	— „ ორივე გამოცემა	3 მ.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც ვეინაღასში, აგრეთვე ქუთაისშიაც და ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან; ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში — მ. ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან. ახალსენაკში — ბლადოჩინ მამა არისტარქ კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **ს ა მ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეინაღასში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

მომავალ წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად **ხახულის ღვთისმშობლის ფოტოგრაფიული ნახატი**

და ჩვენი მოღვაწის ბატონის

ბ ბ ბ ბ ი ს ს უ რ ა თ ი

ბრეხტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.

შემოდანიშნულ საჩუქრებს ხელის მომწერნი მიიღებენ ფულის შემოტანასთანავე.

რედაქტორი და გამომცემელი **დეკ. დ. ლამბაშიძე**

1899 годъ

изданія годъ II.



Открыта подписка на выходящее 20 разъ въ годъ, т. е. по одному разу въ теченіе четырехъ лѣтнихъ мѣсяцевъ (май, іюнь, іюль и августъ) и по два раза въ остальное время, иллюстрированное изданіе безъ предварительной цензуры

„Журналъ Журналовъ“

и

Энциклопедическое Обзорніе“.

Кромѣ оригинальныхъ статей, непоявившихся до сего въ печати и написанныхъ большею частью спеціально для журнала выдающимися учеными и мыслителями какъ русскими, такъ и иностранными, въ отдѣлѣ „Изъ журналовъ“ печатаются экстракты замѣчательнѣйшихъ статей, и статей извѣстнѣйшихъ авторовъ, появляющихся въ русской или иностранной періодической прессѣ, а также критика, библіографія и обзорніе русскихъ и иностранныхъ журналовъ, смѣсь, гигиена и здоровье и пр. Въ программу журнала входятъ: науки естеств., медиц., физико-математ., исторія и обществ. науки, философія, метафизика, психологія, литература, искусства, критика и т. д.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ—при сотрудничествѣ и подѣ наблюденіемъ акад. кн. И. Р. ТАРХАНОВА; исторіи—при сотрудничествѣ В. Ф. ГОЛОВАЧОВА.

Подписная цѣна:

	На годъ.	На 1/2 годъ.
На роскошное изданіе съ дост. „ „ . . .	10 р.	6 р.
На дешевое изданіе безъ дост. и перес. . . .	5 р.	3 р.
„ „ „ съ достав. „ „ . . .	6 р.	4 р.
За границу деш. изд.	9 р.	5 р.
„ „ роск. „	14 р.	8 р.

Отдѣльные номера дешеваго изданія по 75 к., роскошнаго изданія по 1 р.

Роскошное изданіе печатается на лучшей бумагѣ съ улучшенными иллюстраціями и иногда съ увеличеніемъ ихъ количества. Разсрочка на дешевое изданіе съ пересылкою и доставкою при обращеніи непосредственно въ контору журнала допускается со взносами не менѣе 1 р. ежемѣсячно съ 1-го января.

Подписка и продажа отдѣльныхъ №№ во всѣхъ значительныхъ магазинахъ и въ конторѣ журнала.

Издатель-редакторъ **И. П. Кондыревъ.**

Контора и редакція: СПб., Гороховая, 13 (уголь Б. Морской).

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„НЕФТЯНОЕ ДѢЛО“

на 1899 годъ,

органъ Совѣта съѣзда нефтопромышленниковъ въ г. Баку.

Выходить 2 раза въ мѣсяцъ по слѣдующей программѣ:

1. Узаконенія и распоряженія Правительства, касающіяся нефтяной промышленности. 2. Самостоятельныя статьи, посвященныя нефтяной промышленности и другимъ связаннымъ съ нею вопросамъ, каковы: судоходство, пути сообщенія, тарифы, кредитъ и т. п. 3. Хроника нефтяного дѣла: буреніе, добыча нефти, заводская ея переработка, вывозъ и торговля нефтяными продуктами. 4. Новости техники нефтяного дѣла. 5. Статистика нефтяного дѣла. 6. Обзоръ печати: свѣдѣнія и мнѣнія другихъ изданій по вопросамъ нефтяной промышленности и ихъ критическая оцѣнка. 7. Корреспонденціи и телеграммы изъ нефтяныхъ районовъ и центровъ нефтяной торговли. 8. Нефтяная биржа: цѣна на нефтяные продукты, состояніе рынковъ, акцій нефтепромышленныхъ обществъ и общія биржевыя свѣдѣнія. 9. Положеніе, нужды и статистика рабочаго населенія и служащихъ бакинскаго промысловаго района. 10. Несчастные случаи и пожары на нефтяныхъ промыслахъ, заводахъ, складахъ, станціяхъ, пристаняхъ, судахъ и поѣздахъ. 11. Отчеты нефтепромышленныхъ фирмъ. 12. Библиографія: рецензіи о книгахъ и статьяхъ по нефтяной промышленности и вопросамъ, имѣющимъ связь съ нею. 13. Смѣсь: мелкія новости изъ нефтяного міра. 14. Отчеты о съѣздахъ нефтепромышленниковъ. 15. Представительская дѣятельность Совѣта съѣзда нефтепромышленниковъ: ходатайства, отзывы, мнѣнія и переписка Совѣта по вопросамъ и нуждамъ нефтяной промышленности съ правительственными и общественными учрежденіями. 16. Хозяйственная дѣятельность Совѣта по благоустройству бакинскаго промысловаго и заводскаго районовъ: врачебное дѣло, народное образованіе, пути сообщенія, осушеніе промысловъ, пожарное дѣло, общественныя сооруженія, приходъ и расходъ суммъ съѣзда и пр. 17. Объявленія о предметахъ, имѣющихъ связь съ нефтяной промышленностью.

Подписная цѣна съ доставкой: на годъ 10 р., на 6 мѣсяцевъ—
6 р., на 3 мѣсяца 4 руб.

Подписка принимается въ г. Баку, въ редакціи, въ помѣщеніи Совѣта съѣзда нефтепромышленниковъ.

Объявленія принимаются тамъ-же.

Редакторъ П. О. Гунасовъ.

Подписка на 1899-й годъ

(второй годъ).



„СУДЕБНЫЯ ДРАМЫ“.

„Здѣсь одна правда, дѣйствительность во всей своей подчасъ неприглядной наготѣ“.

12 книгъ въ годъ съ пересылкой 4 р.

Вмѣсто разсрочки годовой подписки на Журналь можно подписываться, только чрезъ контору редакціи, по полугодіямъ (въ январѣ и іюлѣ) и по четвертямъ года (январѣ, апрѣлѣ, іюлѣ и октябрѣ)—безъ повышенія подписной цѣны.

Контора Редакціи—МОСКВА. Остоженка, Савеловскій пер. д. Снегиревой.

Журналь по прежнему будетъ помѣщать: Замѣчательные и загадочные процессы и уголовныя исторіи всѣхъ странъ.—Рѣчи судебныхъ ораторовъ.—Процессы дня.—Біографіи, мемуары и автобіографіи.—Рисунки и портреты.

Въ 1899 году будутъ продолжаться: Судебныя ошибки всѣхъ странъ, съ рисунками. Великіе адвокаты XIX в., съ портретами. Заготовлены: Дѣло Вуазень и др. замѣшанныхъ въ отравленіяхъ лицъ, какъ характеристика нравовъ временъ Людовика XIV. Легендарныя дѣла: украинскаго разбойника Горкуши, Ваньки Каина, Картуша и Мандрена во Франціи. Рядъ русскихъ замѣчательныхъ процессовъ съ полными рѣчами ораторовъ.

Изъ конторы редакціи можно выписывать: Процессъ Зола. 335 стр. Единственное изданіе съ полными рѣчами Лабори и Клемансо, съ рисунками и портретами. Ц. 1 р. 50 коп.

Новые годовые подписчики на нынѣшній 1898 годъ получаютъ журналь безъ Январской книжки, которая вся разошлась по подпискѣ. Впрочемъ съ Февральской книжки начаты всѣ новыя статьи.

Редакторъ-Издатель Л. О. Снегиревъ.